ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი

# შემდეგი გაჩერება - ბელორუსი?

## ადამიანის უფლებები საქართველოში

## 2005 წლის ანგარიში

თბილისი
2006

ანგარიში მომზადებულია ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მიერ.

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი შემდეგი საერთაშორისო ორგანიზაციების წევრია:**

*ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია(FIDH); წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT - ქსელი SOS-წამება); „ადამიანის უფლებები საზღვრების გარეშე"; ადამიანის უფლებათა ინფორმაციის და დოკუმენტაციის საერთაშორისო სისტემები (HURIDOCS); მშვიდობის საერთაშორისო ბიურო (IPB); ბავშვთა უფლებების საინფორმაციო ქსელი (CRIN); სამოქალაქო მშვიდობის სამსახურების ევროპული ქსელი (EN. CPS.);სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს არასამთავრობათა კოალიცია (ICC); UNITED for Intercultural Action - ევროპული ქსელი ნაციონალიზმის, რასიზმის, ფაშიზმის წინააღმდეგ და მიგრანტებისა და ლტოლვილების მხარდასაჭერად.*

**ცენტრი მუშაობს შემდეგ პროგრამებზე:**

ადამიანის უფლებების მონიტორინგი; ბავშვთა უფლებები; ქალთა უფლებები; ტრეფიკინგი; ლტოლვილები; მედია; სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული უფლებები; პოლიცია და ადამიანის უფლებები; კონფლიქტების პრევენცია; ადამიანის უფლებათა განათლება;

**ორგანიზაცია გამოხატავს მადლიერებას იმ ორგანიზაციების და ფონდების მიმართ, რომლებმაც ცენტრს აღმოუჩინეს ფინანსური დახმარება სხვადასხვა პროგრამებისა და პროექტების განხორციელებაში. მათ შორის არიან:**

*ევროპის საბჭო; კორდეიდი (ნიდერლანდები);საბერძნეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობების და განვითარების თანამშრომლობის გენერალური სამდივნო (YDAS); "ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის", NED(აშშ); ციხის საერთაშორისო რეფორმა /ევროკავშირი; ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტრო/ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტი; გაეროს ბავშვთა ფონდი; ნორვეგიის ადამიანის უფლებათა ფონდი; ნიდერლანდების სამეფოს საელჩო; კანადის საელჩო; ეუთო; შვეიცარიის განვითარების და თანამშრომლობის სააგენტო; გაეროს ფონდი მონობის თანამედროვე ფორმების წინააღმდეგ; აშშ მშვიდობის ინსტიტუტი; X მინუს Y სოლიდარობის ფონდი, (ნიდერლანდები); ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდი (დიდი ბრიტანეთი); ღია საზოგადოების ინსტიტუტი (ბუდაპეშტი, უნგრეთი); მსოფლიო ბანკი; ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო"; IREX/IATP; გაეროს მოხალისეები; შვედური ინსტიტუტი; ფრიდირიჰ ებერტის ფონდი.*

**დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ჩვენი ვებ-გვერდები:**

www.hridc.org
www.HumanRights.ge

**საკონტაქტო ინფორმაცია:**


მისამართი: თბილისი, 0105, რუსთაველის გამზ. 1, V სად., IV სართ., ბინა 68
ტელ.: (+995 32) 99 04 02; (+995 32) 45 45 33
ფაქსი: (+995 32) 99 08 01
ელ-ფოსტა: hridc@hridc.org



ანგარიში მომზადებულია **ნიკოლაი პუშკარიოვის** მიერ
რედაქტირება: **უჩა ნანუაშვილი და ნინო ღვედაშვილი**

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი ანგარიშის მომზადებაში გაწეული დახმარებისათვის განსაკუთრებულ მადლობას უხდის ნორვეგიის საგარეო საქმეთა სამინისტროს/ნორვეგიის ჰელსინკის კომიტეტს, კორდეიდს (ნიდერლანდები) და ფონდს „ეროვნული წვლილი დემოკრატიისათვის" NED, (აშშ).

## - შინაარსი -


| | |
|---|---|
| შესავალი | 4 |
| ადამიანის უფლებათა სფეროში ანგარიშების მიმოხილვა | 5 |
| კანონის უზენაესობა | 9 |
| სამართალდამცავი ორგანოები | 16 |
| წამება და არაადამიანური მოპყრობა | 26 |
| სასჯელაღსრულებითი დაწესებულებანი | 31 |
| სამართლიანი სასამართლო | 36 |
| მედიის თავისუფლება | 47 |
| შეკრების თავისუფლება | 65 |
| სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიცია | 71 |
| ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები | 79 |
| რელიგიის თავისუფლება | 86 |
| ტრეფიკინგი | 87 |
| ქალები და ბავშვები | 95 |
| კონფლიქტური რეგიონები | 98 |
| სოციალურ-ეკონომიკური საკითხები | 101 |

# - შესავალი -

მეორე წელი მიიწურა 2003 წლის ნოემბრის ვარდების რევოლუციის შემდეგ. კიდევ ერთი წელი იმისათვის, რომ საქართველოს ახალმა მთავრობამ მოსახლეობისა და მსოფლიო საზოგადოების მოლოდინი გაამართლოს. წელი, როდესაც მთავრობამ უნდა დაამტკიცოს, რომ საბოლოოდ გამოემშვიდობა კორუფციულ და უყურადღებო წარსულს, ბოლო მოუღო ძველ სცენარს და ახალი მოქმედი პირებით ცდილობს ღია და სიცოცხლისუნარიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას.

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა პირველი წლიური ანგარიში საქართველოში ადამიანის უფლებების შესახებ „ვარდების რევოლუციიდან" ერთი წლის გასვლის შემდეგ, 2004 წლის დეკემბერში გამოაქვეყნა. „ერთი ნაბიჯი წინ, ორი ნაბიჯი უკან" იმედის მომცემი რევოლუციის შემდეგ ადამიანის უფლებების სფეროში გამოკვეთილ ტენდენციებს აკვირდებოდა. დადებით შედეგებთან ერთად, (საპატრულო პოლიციის შექმნა, აჭარის მშვიდობიანი გზით დაბრუნება, ანტი-კორუფციული რეფორმები და სხვა ნაბიჯები) ანგარიშში უარყოფითი მხარეც იყო განხილული. ქვეყანაში არსებულ ანტი-დემოკრატიულ ტენდენციებს, კანონის უზენაესობის უპატივცემულობასა და ადამიანის უფლებათა იგნორირებას საქართველო ნაბიჯ-ნაბიჯ პოლიციური სახელმწიფოს მოდელისაკენ მიჰყავს.

რაც შეეხება 2005 წელს - ყველაზე დიდი დარღვევები **გამოხატვის თავისუფლების** სფეროში გამოვლინდა. უკანონო დაკავებები, ცემა, თავდასხმები და ზეწოლა ჟურნალისტებზე თითქმის ყოველდღიურ მოვლენად იქცა. 2005 წელს ათობით ჟურნალისტი საქართველოში მკაცრი ზეწოლის, ძალადობისა და უკანონო დაკავების მსხვერპლი გახდა. როგორც ორგანიზაცია „ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე" აღნიშნავს, სიტყვის თავისუფლების მაჩვენებლის მიხედვით, საქართველო კატასტროფული სიჩქარით დაბლა ეშვება. უკანასკნელ წლებთან შედარებით, ჩვენმა ქვეყანამ სიტყვის თავისუფლების მიხედვით 26 საფეხურით უკან დაიხია. მთავრობა უძლურია დაიცვას ჟურნალისტთა უფლებები, მეტიც, ხშირ შემთხვევაში ზეწოლისა და დაშინების ინიციატორებად სწორედ ხელისუფლების წარმომადგენლები გამოდიან.

პრობლემებია დაფიქსირებული ადამიანის უფლებათა სხვა სფეროებშიც. **სასამართლომ დამოუკიდებლობა საბოლოოდ დაკარგა** და მთავრობის ერთგვარ „გამონაზარდად" იქცა. ზეწოლა იმ მოსამართლეების მიმართ, რომლებიც უსამართლობის წინააღმდეგ ილაშქრებენ, საოცარი სისწრაფით იზრდება. **დაუსჯელობის სინდრომი** სამართალდამცავებში კვლავ პრობლემატურია და რეალურად ამ ფენომენის დამარცხებას არც არავინ ცდილობს. **გაერთიანებისა და მანიფესტაციის უფლება,** რომელიც კონსტიტუციითაა დაცული, ხშირად ირღვევა. დაფიქსირდა მშვიდობიანი აქციებისა და დემონსტრაციების დარბევისა და ორგანიზატორების დაკავების ფაქტები. ეს ყველაფერი კი მოსახლეობაში საკუთარი აზრის გამოთქმისა და გამოხატვის სურვილის დეგრადირებას იწვევს. პოლიტიკურად მოტივირებული **გატაცებები და სისხლიანი სპეცოპერაციები** საზოგადოებაში ტერორის ატმოსფეროს ქმნის. გართულებულია **ჩეჩენ ლტოლვილთა** მდგომარეობაც, ისინი პრორუსული პოლიტიკისა და ნეგატიური სტერეოტიპების მსხვერპლნი ხდებიან. დარღვევებია დაფიქსირებული **სოციალურ-ეკონომიკურ სფეროშიც:** სახელმწიფო მოხელეთა მასობრივმა დათხოვნებმა უკვე ყოველდღიური სახე შეიძინა. **საზოგადოებრივი და არასამთავრობო ორგანიზაციების აზრი** პრაქტიკულად იგნორირებულია, მეტიც, ხშირ შემთხვევაში ეს ორგანიზაციები მაღალჩინოსანთა ზეწოლასაც კი განიცდიან.

ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიც არიან ევროპის საბჭო (Council of Europe), საერთაშორისო ამნისტია (Amnesty International), ჰიუმან რაიტს ვოჩი (Human Rights Watch), წამების საწინააღმდეგო მსოფლიო ორგანიზაცია (OMCT), ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH), ადამიანის უფლებათა ჰელსინკის საერთაშორისო ფედერაცია (IHF) და სხვებმა ყურადღება მიაქციეს საქართველოში მიმდინარე განვითარების პროცესებს და ხელისუფლებას რეკომენდაციების პაკეტი მოუმზადეს. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლება ამ რეკომენდაციებს დღემდე იგნორირებას უკეთებს.

წარმოდგენილ ანგარიშში 2005 წელს საქართველოში დაფიქსირებულ რეალურ ფაქტებზე იქნება საუბარი, სადაც ადამიანის უფლებები და ძირითადი თავისუფლებებია დარღვეული. მართალია ანგარიშს მცირე ანალიტიკური ნაწილებიცა აქვს დართული, თუმცა ჩვენ არ გვაქვს საქართველოში

ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ ყოვლისმომცველი და ღრმა ანალიზის ჩატარების პრეტენზია. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი 2005 წელს საქართველოში ადამიანის უფლებათა მდგომარეობის შესახებ მიმოხილვას გთავაზობთ. ინფორმაცია, რომელიც ანგარიშშია მოცემული ჟურნალისტების, მედიის წარმომადგენლების და ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის, ასევე სხვა ორგანიზაციების იურიდიული კონსულტანტებისა და იურისტების მიერაა მოძიებული.

წარმოდგენილი ანგარიშის სახელწოდება **"შემდეგი გაჩერება – ბელორუსი?"** წარმოადგენს ჩვენს მიერ საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და საქართველოს ხელისუფლების ერთგვარ გაფრთხილებას, რათა ამ უკანასკნელმა სერიოზულად შეხედოს საქართველოში მიმდინარე რეფორმების ფონზე ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა დაცვის პრაქტიკას და მიიღოს კონკრეტული ზომები უფლებათა მკვეთრი გაუარესების შესაჩერებლად.

უფლებათა დარღვევების მასობრივი ხასიათი და ხელისუფლების არაშესაბამისი რეაგირება მსგავს ფაქტებზე გვაძლევს უფლებას მოვუწოდოთ საერთაშორისო საზოგადოებას საქართველოში **ადამიანის უფლებათა დარღვევების საგანგაშო მდგომარეობაზე** გაამახვილონ ყურადღება და მოუწოდონ საქართველოს მთავრობას მის მიერ დეკლარირებული პრინციპების დაცვა.

„შემდეგი გაჩერება - ბელორუსი?" მიზნად ისახავს გაზარდოს საქართველოს ხელისუფლებისა და საერთაშორისო საზოგადოების ინტერესი ადამიანის უფლებების მიმართ და გამოავლინოს ის ძირითადი ტენდენციები ადამიანის უფლებების სფეროში, რაც გასულ 2005 წელს იქნა დაფიქსირებული. ის ზოგადი მდგომარეობა, რაც ქვეყანაში ადამიანის უფლებების სფეროშია დაფიქსირებული, ხელისუფლების გულგრილობა და არაადეკვატური რეაქცია პრობლემებზე სხვა გზას არ გვიტოვებს გარდა იმისა, რომ საქართველოში შექმნილ საგანგაშო მდგომარეობაზე ხმამაღლა ვისაუბროთ, ისე რომ ჩვენმა ხმამ საერთაშორისო საზოგადოების ყურამდე მიაღწიოს. ჩვენი სურვილია, რომ ამ ფაქტებმა ანალიზისა და დისკუსიის საფუძველი შექმნან, რომელიც ღია და სიცოცხლისუნარიანი საზოგადოების ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.

ასეთი სახის ანგარიშის წაკითხვის შემდეგ, მაღალჩინოსნები თვალნათლივ დაინახავენ, რომ ის რეფორმები, რაც მათ გაატარეს, ხშირ შემთხვევაში მხოლოდ ქაღალდზევე რჩება. არ განხორციელებულა ცვლილებები ინსტიტუციონალურ სტრუქტურებში და არ შეცვლილა სამუშაო მეთოდები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კონკრეტული პირების წყალობით, გარკვეულ წარმატებებს ხელისუფლებამ მიაღწია, მაგრამ მათი თანამდებობიდან გათავისუფლების შემდეგ სიტუაცია კვლავ ისევ დეგრადირებასა და დაღმა სვლას იწყებს.

## - ადამიანის უფლებათა სფეროში ანგარიშების მიმოხილვა -

ქვემოთ იხილავთ ავტორიტეტული საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ 2005 წლის განმავლობაში საქართველოში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ ტენდენციების თაობაზე მომზადებულ რამდენიმე ანგარიშის მოკლე მიმოხილვას.

*ევროპის საბჭო*

2005 წლის იანვარში ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო № 1415 რეზოლუცია საქართველოს მიერ ნაკისრი მოვალეობებისა და ვალდებულებების შესრულების თაობაზე. რეზოლუცია შეიცავს, როგორც ზოგადი დაკვირვების შედეგებს და რეკომენდაციებს, ასევე კონკრეტულ, ნაკისრ ვალდებულებებთან საქართველოს სახელმწიფოს შესატყვისობის თაობაზე ვადების ცვლილებებს. ასამბლეა დადებითად აფასებს კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის, პოლიციის სტრუქტურებში რეფორმისა და რელიგიური თავისუფლების სფეროში გადადგმულ ნაბიჯებს. ამავე დროს იგი დასძენს, რომ უამრავი რამ ჯერ კიდევ გასაკეთებელია. ამგვარად, იგი ურჩევს საქართველოს მთავრობას თავშეკავებით მიუდგეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტობრივად გამოყოფილ რეგიონებს და კონფლიქტის გადაწყვეტის მხოლოდ მშვიდობიანი გზები ეძიოს. ის აფრთხილებს მთავრობას, რომ პოსტრევოლუციური სიტუაცია არ უნდა გახდეს ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღების, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ხელყოფის ალიბი.

შემდგომ, ის აღნიშნავს, რომ "საქართველო ნახევრად საპრეზიდენტო სახელმწიფოა, პრეზიდენტის ძლიერი ხელისუფლებით; სუსტი საპარლამენტო ოპოზიციით; სუსტი სამოქალაქო საზოგადოებით; სასამართლო

სისტემით, რომელიც ჯერ კიდევ საკმარისად დამოუკიდებელი არ არის და ნორმალურად ვერ ფუნქციონირებს; განუვითარებელი ან არ არსებული ადგილობრივი დემოკრატიით; თვითშეზღუდული მედიითა და აჭარის ავტონომიის არაადეკვატური მოდელით." მთავრობისათვის ერთ-ერთ პრიორიტეტად უნდა დარჩეს სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების ადეკვატური სისტემის შექმნა და ფუნქციონირება, რომელიც ჯერ კიდევ სახეზე არ არის. ის ასევე თხოვს საქართველოს ხელისუფლებას, მათ შორის, უზრუნველყოს მსხვეპლნი 1990-1993 წლების კონფლიქტების დროს დაკარგული ქონების კომპენსაციით, მოაგვაროს იძულებით გადაადგილებულ პირთა მდგომარეობა, კრიტიკული თვალით გადახედოს დანაშაულის აღიარების არსებულ მექანიზმებს, დაკავების ადგილებში ზოგადი მდგომარეობის გამოსწორებას, ებრძოლოს წამებას და ცუდად მოპყრობას, უახლოეს მომავალში ე.წ. თურქი მესხების რეპატრიაციის თაობაზე გეგმის მზადყოფნას და სასამართლო სისტემაში, პოლიციასა და პროკურატურაში რეფორმების გატარების გაგრძელებას.[1]

*გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამებასთან დაკავშირებით*

2005 წლის თებერვალში, ბატონმა ნოვაკმა, წამების და სხვა სასტიკი, არაადამიანური და ღირსების შემლახველი მოპყრობის ან სასჯელის თაობაზე გაეროს სპეციალურმა მომხსენებელმა განახორციელა სამუშაო ვიზიტი საქართველოში. ექსპერტთა ჯგუფებთან და დაკავებულებთან ადგილებზე შეხვედრების საფუძველზე, იგი მივიდა შემდეგ აღმოჩენამდე:

წამება და ცუდად მოპყრობა ჯერ კიდევ არსებობს საქართველოში და ხორციელდება როგორც წესი პოლიციის მიერ დაკავების 72 საათის განმავლობაში, რათა მიიღონ გაუხსნელ დანაშაულებში აღიარება. ხშირად, ბრალდებისა და მსჯავრდების საფუძველს სწორედ ამგვარი აღიარებები წარმოადგენს. წამების ფაქტების თაობაზე განცხადებების საფუძველზე ჩატარებული სერიოზული და სამაგალითო გამოძიების პრეცედენტების ნაკლებობა ერთ-ერთ პრობლემას წარმოადგენს, რომელსაც, სახელმწიფო მოხელეების დაუსჯელობის სინდრომამდე მივყავართ.

საყურადღებოა ასევე წინასწარი დაკავების ადგილებში არსებული არასახარბიელო მდგომარეობა. რესურსების უკმარისობასთან ერთად, რამდენიმე სტრუქტურული გარღვევაც შეინიშნება კანონმდებლობასა და პრაქტიკაში, რომელიც კიდევ უფრო ამწვავებს სიტუაციას. მოსამართლეები და პროკურორები თითქმის ყველა შემთხვევაში, დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, მიმართავენ წინასწარი პატიმრობის ზომას. წინასწარ პატიმრობას, რომელიც შეიძლება ცხრა თვემდე გაგრძელდეს, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების გადატვირთამდე მივყავართ. ასევე, როგორც მომხსენებელი ბრძანებს, ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება უდანაშაულობის პრეზუმფციის პრინციპს და საერთაშორისო სამართლის თანახმად, თავისუფლების ხელყოფის ინსტრუმენტის გამონაკლის შემთხვევებში გამოყენებას.

ხელისუფლების მხრიდან, გააზრებულ, დადებით ნაბიჯს წარმოადგენდა არსებული პრობლემების გაცნობა, პროგრამა მოდერნიზირებული სასჯელაღსრულებითი დაწესებულების აგების თაობაზე, სასჯელაღსრულებითი დაწესებულების მონიტორინგის მექანიზმების შექმნა (ამ საკითხის თაობაზე იხილეთ ქვემოთ) და გარანტია იმისა, რომ მომხსენებლის რეკომენდაციებს სერიოზულად გაითვალისწინებდნენ.[2]

*საერთაშორისო ამნისტია*

"პოლიციის ოფიცრებმა ჩემი ცემა დაიწყეს. მათ აიღეს სკამის ფეხი და მარცხენა ხელის თითებზე დამარტყეს. ცემის პროცესში, ოთახში კიდევ ერთი პოლიციის ოფიცერი და პროკურორი შემოვიდნენ, რომლებიც მკვლელობაში მდებდნენ ბრალს. ერთ-ერთმა ოფიცერმა დამაშინა, რომ იმ შემთხვევაში, თუ მე მკვლელობას არ ვაღიარებდი, ჩემს ცოლს, დედაჩემს და ბავშვებს გამილახავდა. ცემის დროს რამდენჯერმე დავკარგე გონება. პირიდან სისხლი მდიოდა და თვალში ნორმალურად ვერ ვიხედებოდი. მოძრაობა მიჭირდა... ექიმი არ მომითხოვია, რადგან, უპირველეს ყოვლისა, მეშინოდა."

საერთასორისო ამნისტიამ გამოაქვეყნა კარგად დოკუმენტირებული ანგარიში, რომელიც აღწერს განვითარებებს წამებისა და ცუდად მოპყრობის სფეროში "ვარდების რევოლუციიდან" მოყოლებული დღემდე. შეინიშნება დადებითი ტენდენციებიც. "წამების წინააღმდეგ სამოქმედო გეგმასთან" (2003-2005) დაკავშირებით განხორციელდა რამდენიმე ღონისძიება, რომელიც მიზნად ისახავს კანონის საფუძველზე, მონიტორინგისა და ადამიანის უფლებათა ხელმყოფთა დაუსჯელობის წინააღმდეგ ბრძოლის მეშვეობით, წინ აღუდგეს წამებას. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში მიღებულ იქნა ცვლილებები, რომლებიც პირდაპირ, თუ არაპირდაპირ ეხება ცუდად მოპყრობის საკითხს. "საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის

[1] Council of Europe, Resolution 1415; Honouring of Obligations and Commitments by Georgia, (2005), http://assembly.coe.int/Main.asp?link=http://assembly.coe.int./Documents/AdoptedText/ta05/ERES1415.htm#_ftn1

[2] UN Special Rapporteur on torture and other cruel inhuman, or degrading treatment or punishment, *Civil and Political Rights, Including: the Questions of Torture and Detention. Mission to Georgia*. (2005), http://www.ohchr.org/english/bodies/chr/docs/61chr/E.CN.4.2005.62.Add.3.pdf

რეფორმის სტრატეგია", რომელიც მიღებულ იქნა 2005 წლის ივლისში, მოიცავს (თუ პრაქტიკაში იქნა განხორციელებული), ღონისძიებებს, რომელთაც გავლენა უნდა მოახდინონ პრაქტიკაში არსებულ წამებაზე. ზემოთხსენებულ სტრატეგიასთან დაკავშირებულია, ასევე ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის განხილვა, რომელიც გვთავაზობს მოწმეთა უფრო ძლიერ დაცვას, პოლიციის მიერ გატარებულ ღონისძიებათა მეტ ღიაობას საზოგადოებისათვის, ადგილობრივი პოლიციის განყოფილებებისათვის მონიტორინგის საბჭოების დაარსებას და პოლიციის ოფიცრებისათვის ეთიკის კოდექსის შემუშავებას. ამავე თვეს "წამების წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციის" დამატებითი პროტოკოლი იქნა რატიფიცირებული, რომელიც კონვენციის მონაწილე ქვეყნებს ავალდებულებს, წამების პრევენციის მიზნით, მონიტორინგის მექანიზმების შექმნას.

რიგი გაუმჯობესებები შეიმჩნევა პოლიციის სტრუქტურებშიაც. როგორც მოგეხსენებათ, წარსულში არ არსებობდა მნიშვნელოვანი ტრეინინგები პოლიციელთათვის, ამჟამად კი, პოლიციის აკადემიამ დაიწყო ფუძემდებლური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება ადამიანის უფლებებზე ფოკუსირებით, სხვადასხვა სამართალდამცავი შტოების წარმომადგენელთათვის. ამასთანავე 2005 წლის აპრილიდან, ახლადდაარსებული პატრულის პოლიციისათვის შემოღებულ იქნა სამ თვიანი სასწავლო კურსი (მანამდე არსებობდა მხოლოდ ორ კვირიანი კურსი) და კიდევ სხვა, უკვე შემუშავებული კურსების განხორციელებაა დაგეგმილი მომავალში. სამართალდამცავთა ხელფასის მომატებამ თითქოსდა შეამცირა პოლიციის მიერ დაკავების დროს ძალის გამოყენებით გამოძალვის შემთხვევები. წამების ფაქტებზე პოლიციელთა წინააღმდეგ რამდენიმე საქმე იქნა აღძრული (2005 წლის ნოემბრის მდგომარეობით, სტატისტიკურ მონაცემებზე დაყრდნობით, წამების მუხლით მსჯავრდებული ათი სამართალდამრღვევი იხდის სასჯელს), 2005 წლის განმავლობაში, წინასწარი გამოძიების 118 შემთხვევა ეფუძნებოდა წამების საფუძველზე მოპოვებულ აღიარებას.

ამგვარად, საქართველომ ჯერ კიდევ გრძელი გზა უნდა განვლოს, მანამ, სანამ  გონივრულ ხარისხამდე მაინც, "წამებისაგან თავისუფალ" ქვეყნად გამოცხადდება. 2005 წლის იანვრიდან აგვისტომდე, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა მონიტორინგის დეპარტამენტმა ფიზიკური ძალადობის 192 შემთხვევა გამოავლინა. სჩანს, რომ რეალური მაჩვენებელი ბევრად უფრო მაღალია, რადგან არსებობს მინიშნება იმის თაობაზე, რომ უამრავი მსხვერპლი სდუმს სამართალდამცავებისაგან საპასუხო ქმედების განხორციელების შიშით. იმავე დეპარტამენტმა, 2005 წლის აპრილიდან სექტემბრის ჩათვლით, 930 საქმე დაარეგისტრირა იმ ადამიანიების თაობაზე, რომლებსაც ფიზიკური ძალადობის ნიშნები აღენიშნებოდათ წინასწარი დაკავების ადგილას მიყვანისას. ამათგან მხოლოდ ორმოცმა განაცხადა, რომ მათი დაზიანებები პოლიციელთა მიერ ჩადენილი უმოწყალო საქციელის შედეგი იყო. სპეცსამსახურების მიერ ხალხის აყვანისა და უდაბურ ადგილებში მათი ცემის ფაქტების თაობაზე ანგარიშები კვლავაც არსებობს.

მიუხედავად იმისა, რომ მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანოები და ორგანიზაციები ცდილობენ გამოავლინონ წამების ფაქტები, თბილისის გარეთ ამ სფეროში შედარებით მცირედი სამუშაოები ტარდება და სამართალდამცავები აგრძელებენ ფაქტების დაფარვას და ამ სფეროში ურთიერთდახმარებას. უამრავი ადვოკატი, განსაკუთრებით კი სახაზინო წესით დანიშნული, როგორც წესი არწმუნებს საკუთარ კლიენტს, რომ ცუდად მოპყრობის თაობაზე არ იჩივლოს, რათა ამან პოლიციელთა მხრიდან განმეორებითი ძალადობა არ გამოიწვიოს. კიდევ ერთ პრობლემას წარმოადგენს სასამართლო, პროკურატურისა და პოლიციის სტრუქტურების თვალშისაცემი გაერთიანება და ურიერთგადახლართვა. სამართალდამცავების მიერ წამების  ან ცუდად მოპყრობის თაობაზე ჩივილმა შეიძლება უარყოფითი გავლენა მოახდინოს მსხვერპლის მიმართ აღძრული სისხლის სამართლის საქმის საბოლოო გადაწყვეტაზე. მაშინ, როდესაც სახელმწიფო მოხელეთა უმრავლესობამ და პრეზიდენტმა აღიარეს წამების პრობლემის არსებობა, მიხეილ სააკაშვილის 2005 წლის ივნისის განცხადება, იმის თაობაზე, რომ მას შემდეგ, რაც ახალი პოლიციის უფროსი დაინიშნა თანამდებობაზე (რაც 2005 წლის იანვარში მოხდა) არც ერთი ადამიანი არ ყოფილა ნაცემი პოლიციის მიერ დაკავებისას, ცოტა არ იყოს მოულოდნელია, რადგან ეს განცხადება სხვა მონაცემებს ეწინააღმდეგება. ამ საკითხის საჯაროდ უარყოფას საწინააღმდეგო შედეგამდე მივყავართ და ამან შეიძლება მომავალში მსხვერპლს ჩივილის სურვილი ჩაუხშოს.

"მთავრობამ, სამართალდამცავების საქმიანობიდან, წამებისა და ცუდად მოპყრობის  ამოძირკვა დღის წესრიგში პრიორიტეტულ საკითხად უნდა დააყენოს. მიუხედავად იმისა, რომ მნიშვნელოვანი ნაბიჯები უკვე გადაიდგა, მთავრობას ამ მიმართულებით ჯერ კიდევ გრძელი გზა აქვს გასავლელი. საჭიროა ამ საკითხზე ხანგრძლივი მუშაობა, იმისათვის რომ მივაღწიოთ შედეგს, რომელიც დროის დინებას გაუძლებს", განაცხადა ანა ზუნდერ-პლასმანმა, საქართველოს საკითხებზე საერთაშორისო ამნისტიის მკვლევარმა. "მოცემულ ეტაპზე ხელისუფლების წარმომადგენლებმა სამართლებრივი გარანტიების განხორციელებაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება. სამართლებრივი გარანტიების დარღვევის თაობაზე ნებისმიერ განცხადებას უნდა მოეკიდონ სერიოზულად და დაუყოვნებლივ და მიუკერძოებლად გამოიძიონ."[3]

---

[3] Amnesty International, *Georgia: Torture and Ill-treatment Still a Concern after the Rose Revolution*, (2005), http://web.amnesty.org/library/Index/ENGEUR560012005?open&of=ENG-GEO

საქართველო, სომხეთთან და აზერბაიჯანთან ერთად გახდა ევრო კავშირის სამეზობლოს პოლიტიკისათვის მისაღები და სასურველი. Human Rights Watch-თვის ეს სრულყოფილ შემთხვევას წარმოადგენს, იმისათვის, რათა ადამიანის უფლებათა სფეროში დასახოს მიზნები და დააწესოს კრიტერიუმები. საყურადღებოა შემდეგი სფეროები.

ვინაიდან პრეზიდენტი უფლებამოსილია თანამდებობაზე დანიშნოს და თანამდებობიდან გაანთავისუფლოს მოსამართლეები, ამ უკანასკნელთა დამოუკიდებლობა კითხვის ნიშნის ქვეშ დგას. სასამართლო სისტემაში კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა ძალიან მისასალმებელია, თუმცაღა ამ კამპანიაში მოსამართლეთა თანამდებობიდან დათხოვნისათვის ნათელი კრიტერიუმების ნაკლებობა შეინიშნება. ამას მივყავართ იმ შედეგამდე, რომ მოსამართლეები, დათხოვნის შიშით, ერიდებიან ისეთი გადაწყვეტილებების მიღებას, რამაც შეიძლება მთავრობის უკმაყოფილება გამოიწვიოს. მთავრობის მიერ მედიის სფეროში ხშირად გამოიყენება გადასახადების იარაღი, რათა დაეხმარონ ხელისუფლების ინტერესებზე ორიენტირებულ მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს, გადასახადების შეკვეცის საშუალებით ან "დასაჯონ" კრიტიკული გამოცემები და ორგანიზაციები, ინსპექტორებისა და ფინანსური პოლიციის წარმომადგენელთა მიგზავნით. ხშირად თვითცენზურასაც კი მიმართავენ, რადგან მსხვილი მედია კომპანიების დირექტორებს, როგორც წესი მჭიდრო კავშირი აქვთ ხელისუფლების წარმომადგენლებთან. რაც შეეხება ცალკეულ ჟურნალისტებს, როგორც წესი სამსახურის დაკარგვის შიშით, კრიტიკული მოსაზრებების საჯაროდ გამოხატვისაგან თავის შეკავებას ამჯობინებენ.

მაშინ, როდესაც სახელმწიფოს მიერ შეკრების თავისუფლება აღიარებულია, ყოფილა შემთხვევები, როდესაც პოლიციამ ძალის გამოყენებით დაშალა აქცია. ჩეჩენ ლტოლვილებთან მიმართებაშიც არსებობს პრობლემები, რომლებიც პოლიციის მხრიდან ძალადობისა და სახელმწიფოდან გაძევების თაობაზე დაშინების ობიექტებს წარმოადგენენ. არსებობს ანგარიშები იმის თაობაზე, რომ ქართველი მესაზღვრეები ჩეჩენ ლტოვილებს არ უშვებენ საქართველოში და აიძულებენ რუსეთში დაბრუნებას. ჩეჩენ ლტოლვილთა გაქრობის შემთხვევებიც არის დაფიქსირებული, სავარაუდოდ, რუსეთის საიდუმლო სამსახურებთან თანამშრომლობით.[4]

ქართული მართლმადიდებლობა მთავარი რელიგიური მიმდინარეობაა და მართლმადიდებლურ ეკლესიას დამოუკიდებელი სამართლებრივი სტატუსი გააჩნია. საქართველოში ადგილი აქვს არატრადიციული რელიგიების მიმართ დისკრიმინაციას და ზოგჯერ მათზე თავდასხმასაც კი. 2005 წლის თებერვალში, ექსტრემისტ, ყოფილ მღვდელს, ბასილ მკალავიშვილს ექვსი წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. რამოდენიმე წლის განმავლობაში, მან, თავის მხარდამჭერებთან ერთად, რელიგიური უმცირესობების მიმართ ძალადობრივი თავდასხმები განახორციელა. ეს კარგი ნიშანია, რომ რელიგიური უმცირესობების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების უდიდესი წამქეზებელი მსჯავრდებულ იქნა თავისი მართლსაწინააღმდეგო ქმედებებისათვის. და მაინც, ბასილ მკალავლიშვილის გარდა, სხვა სამართალდამრღვევები ჯერ კიდევ არ ყოფილან ბრალდებულნი. მიუხედავად იმისა, რომ, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, რწმენისა და აღმსარებლობის თავისუფლებასთან დაკავშირებით სახელმწიფოში კლიმატი გაუმჯობესდა, მაგრამ მაინც უამრავი რამ არის გასაკეთებელი, მოსახლეობაში შემწყნარებლობის დანერგვის მიზნით და ასევე, რათა ნეგატიური რიტორიკა თავიდან იქნეს აცილებული.[5]

კიდევ ერთი ანგარიში, რომელიც 2005 წელს იქნა გამოქვეყნებული, ეხება წამების პრობლემას. რადგანაც, მასში აღწერილის უმეტესი ნაწილი დაკავშირებულია იმ საკითხებთან, რომლებიც საერთაშორისო ამნისტიამ გააშუქა, ამ ანგარიშთან დაკავშირებით მხოლოდ დამატებით ინფორმაციას მოგაწვდით. მთავრობის მიერ გამოჩენილ კიდევ ერთ ინიციატივას, რომელიც ზემოთ არ არის ნახსენები, წარმოადგენს სასამართლო ექსპერტიზის ცენტრების დაარსებების თაობაზე გეგმის შემუშავება და მომავალ პოლიციელთათვის განკუთვნილი ტრეინინგების პროგრამაში მტკიცებულებების მოპოვების სასწავლო კურსის ჩართვა. ამის დასაბუთებას წარმოადგენს ის, რომ, თუ სამართალდამცავები მიიღებენ განათლებას იმის თაობაზე, თუ სწორად როგორ მოიპოვონ მტკიცებულებები, წამების გზით აღიარების მოპოვება აღარ იქნება აუცილებელი.

იმის აღიარებასთან ერთად, რომ ახალი მთავრობა იბრძვის წამების დიდი ხნის წინ დამკვიდრებული პრაქტიკისა და წამების ფაქტების დამალვის წინააღმდეგ, ამ სფეროში ყველაზე მეტად მოლოდინს აცრუებს მთავრობის უუნარობა და ალბათ სურვილის არ ქონაც, - ებრძოლოს სამართალდამრღვევთა ინსტიტუციონალურ დაუსჯელობას. ძალიან ხშირად მაღალჩინოსნები თავს იკავებენ შეურაცხყოფის ფაქტების თაობაზე შემოსული განცხადებების საფუძველზე გამოძიების ჩატარებისაგან. დანაშაულის ჩადენის თაობაზე აღიარების მოპოვების სისტემამ, რომელიც 2004 წლის დასაწყისში იქნა წარმოდგენილი და, რომელიც თანხის გადახდის საფუძველზე

[4] Human Rights Watch, *Georgia and the European Neighborhood Policy*, (2005), http://hrw.org/backgrounder/eca/georgia0605/

[5] Human Rights Watch, *Georgia: Ex-priest Jailed for Attacks against Religious Minorities*, (2005), http://hrw.org/english/docs/2005/01/31/georgi10098.htm

სასჯელის შემცირების შესაძლებლობას იძლევა, ძალადობით გამოძალვის შემთხვევებამდე მიგვიყვანა. ასე ხდება, რომ ხალხს აწამებენ, რათა ეს უკანასკნელნი დათანხმდნენ განსაზღვრული ოდენობის თანხის გადახდაზე.[6]

*Redress*

"Redress"-მა, ასევე, ახლახანს გამოაქვეყნა ანგარიში წამებასთან დაკავშირებით. იგი დეტალურად აღწერს ამ საკითხთან დაკავშირებულ საერთაშორისო სტანდარტებს, ჩამოთვლის საქართველოს საერთაშორისო ვალდებულებებს და განიხილავს ამ ვალდებულებათა ეროვნულ კანონმდებლობაში გატარების საკითხს. შემდგომ, ის აფასებს, იმას თუ რამდენად ხორციელდება მოცემული ვალდებულებები პრაქტიკაში. რამდენიმე დადებით განვითარებასთან და მიმართულებასთან ერთად (რომლის ძირითადი შტრიხებიც ზემოთ უკვე განვიხილეთ), საყურადღებოა შემდეგი სფეროები.

Redress-ის თანახმად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიერ დადგენილი წამების ცნება არ არის ისეთი ფართო, როგორც "გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წამების წინააღმდეგ კონვენციის" მიერ მოცემული ცნება. წამების მსხვერპლნი და მოწმეები პრაქტიკაში არ არიან სათანადოდ დაცულნი, რის გამოც ისინი ერიდებიან ჩივილს. გამოძიება, კი, თუ საერთოდ დაიწყო, მოკლებულია სიზუსტესა და მიუკერძოებლობას. მისი ეფექტურობა, შემდგომში შესუსტებულია, ასევე სამედიცინო გამოკვლევითაც, რომელიც, როგორც წესი არ არის დამოუკიდებელი. ამას მივყავართ იქამდე, რომ წამების დანაშაულის ჩამდენი პირები რჩებიან სათანადო სისხლის სამართლებრივი დევნისა და შესაბამისი სასჯელის შეფარდების გარეშე. ასევე, წამების მსხვერპლთა რეაბილიტაციის ზომები ნაკლებად ეფექტურია.[7]

* * *

ქვემოთ იხილავთ ბმულებს 2005 წელს გამოქვეყნებულ რამოდენიმე ანგარიშზე, რომლებიც ეხება მოცემულ თარიღამდე მომხდარ ფაქტებს.

- Amnesty International, *Georgia: Torture and ill-treatment. Still a concern after the "Rose Revolution",* http://web.amnesty.org/library/Index/ENGEUR560012005?open&of=ENG-GEO

- Committee on the Elimination of Racial Discrimination, *Concluding observations of the Committee on the Elimination of Racial Discrimination: Georgia. 01/11/2005*, (2005), http://www.unhchr.ch/tbs/doc.nsf/(Symbol)/CERD.C.GEO.CO.3.En?OpenDocument

- Human Rights Information and Documentation Center, *Alternative Report for the Committee on the Elimination of Racial Discrimination*, (2005), http://www.humanrights.ge/eng/files/CERD%20alternative%20report%20Georgie.pdf

- Council of Europe, *Report to the Georgian Government on the visit to Georgia carried out by the European Committee for the Prevention of Torture and Inhuman or Degrading Treatment or Punishment (CPT)*, (2005), http://www.cpt.coe.int/documents/geo/2005-12-inf-eng.htm

- International Federation for Human Rights (FIDH), *International Fact-finding Mission. Ethnic Minorities in Georgia*, (2005), http://www.fidh.org/IMG/pdf/ge412ang.pdf

- International Helsinki Federation for Human Rights, *Human Rights in the OSCE Region: Europe, Central Asia and North America. Report 2005 (Events of 2004),* (2005), http://www.ihfhr.org/documents/doc_summary.php?sec_id=3&d_id=4057

- Human Rights Watch, *Georgia: Uncertain Torture Reform: Since the 'Rose Revolution',* http://hrw.org/backgrounder/eca/georgia0405/6.htm

## - კანონის უზენაესობა -

ადამიანის უფლებათა მდგომარეობა სახელმწიფოში მჭიდროდაა დაკავშირებული სამთავრობო სტრუქტურებთან. ჩვეულებრივ, სახელმწიფოს ადანაშაულებენ ადამიანის უფლებათა აქტიურ ხელყოფაში, ან მაშინ, როდესაც მოქალაქეთა უფლებები შელახულია სხვათა მიერ, სახელმწიფოს

[6] Human Rights Watch, *Georgia: Uncertain Torture Reform*, (2005), http://hrw.org/backgrounder/eca/georgia0405/

[7] Redress, *Georgia at the Crossroads: Time to Ensure Accountability and Justice for Torture*, (2005), http://www.redress.org/publications/GeorgiaAug2005.pdf

ბრალს დებენ უმოქმედობაში, ან აშკარად არაადეკვატურ მოქმედებაში. სახელმწიფო სტრუქტურებს, სწორედ მათ ხელთ არსებული უდიდესი ძალაუფლების გამო, რომელსაც საზოგადოებაში მოვლენათა დინების შეცვლა ძალუძთ, შორსგამიზნული პასუხისმგებლობა ეკისრებათ. სამოქალაქო მოსამსახურეებს ზოგადად და განსაკუთრებით კი საჯარო პირებს კარგად უნდა ჰქონდეთ გაცნობიერებული ის პასუხისმგებლობა, რომელიც მათი ფუნქციების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს და მათ უნდა გაიაზრონ, ის, რომ ისინი პასუხს აგებენ მათ მიერ განხორციელებული ქმედებების გამო, რადგანაც, სწორედ ეს ქმედებები განსაზღვრავს  საზოგადოებაში არსებულ მიმართულებებს და ატმოსფეროს.

"კანონის უზენაესობის" იდეა თავის თავში მოიცავს, კონკრეტულ პირთა ოფიციალური ფუნქციების განხორციელებას მთელი პასუხისმგებლობით, ყურადღებითა და მიუკერძოებლობით. აქ ლაპარაკია, არა მხოლოდ შიდა სახელმწიფოებრივი კანონმდებლობით ამ საკითხის დარეგულირებაზე, არამედ მისი საერთაშორისო ნორმებისა და მორალური პრინციპების საფუძველზე მოწესრიგებაზეც. ეჭვგარეშეა, რომ კანონის უზენაესობის საკითხი არ არის მოგვარებული და კვლავაც ერთ-ერთ მტკივნეულ პრობლემად რჩება. როგორც მოცემული ნაშრომის ამ თავითა და მომდევნო თავებით ჩანს, ოფიციალური ფუნქციების მიუკერძოებელი, გულისხმიერი და მოსალოდნელი აღსრულება, კვლავაც უტოპიურ ოცნებად რჩება.

ძალიან ხშირად, როდესაც ადამიანები იკავებენ სახელმწიფო თანამდებობებს, ისინი საკუთარ ინტერესებზე ზრუნავენ, - როგორ გაისქელონ საკუთარი ჯიბეები და სახელმწიფო აპარატის ამა თუ იმ საფეხურზე როგორ განამტკიცონ საკუთარი მდგომარეობა. იმაზე ფიქრი, თუ როგორ გადაჭრან ხალხის პრობლემები მეორადი მნიშვნელობის ხდება. კორუფცია და პროტექციული დამოკიდებულება ნათესავებისა და მეგობრების მიმართ ჯერ კიდევ არსებობს, მხოლოდ ამჟამად მორალურად ობიექტური სახის მქონე პროცედურების მიღმაა დამალული. არ ჩანს, რომ ოფიციალური ღონისძიებების ხასიათის შესაცვლელად, მიკერძოებისა და მოულოდნელობისაგან, მიუკერძოებლობისა და კანონის უზენაესობის მიმართულებით, სერიოზული და სტრუქტურული მცდელობები განხორციელებულიყოს. ამის ფონზე კარგი წამოწყებები შეიძლება ნაკლებად ეფექტური აღმოჩნდეს. ნათელია, რომ მაღალ თანამდებობებზე არ არიან საკმარისი რაოდენობის ადამიანები, რომლებიც თვლიან, რომ  საკუთარი საქმისადმი განსხვავებული დამოკიდებულება მათივე ინტერესებში შედის.

ზოგჯერ, შეიძლება დაგრჩეს შთაბეჭდილება, რომ სახელმწიფო მოხელეები და სოციალური ელიტა ურთიერთშორის, კულისებს მიღმა, საზოგადოების სხვა ნაწილისათვის მიუწვდომელ, ჩაკეტილ თამაშში არიან ჩართულნი. ამ გაგებით, ეს არ არის მთავრობა, რომელიც საკუთარ ხალხზე ზრუნავს, არამედ პირიქით. მხოლოდ ზემდგომთა მიმართ ანგარიშვალდებულების მენტალიტეტი ჯერ კიდევ ფართოდაა გავრცელებული მოხელეთა შორის. პროცედურებისა და ინფორმაციის ღიაობა, რომელიც საჯარო პასუხისმგებლობისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა, პრაქტიკაში ნაკლებადაა გავრცელებული, - იმ შემთხვევაში თუ არ გვაჩვენებენ, საინტერესოა, რა აქვთ დასამალი?

* * *

**საქართველოს, აზერბაიჯანსა და სომხეთს მეტი მუშაობა მოუწევთ – ფიქრობენ "ჰუმან რაითს ვოთჩში"**

2005 წლის 9 დეკემბერს, "ჰუმან რაითს ვოთჩმა" სამხრეთ კავკასიაში ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ განცხადება გაავრცელა. ადამიანის უფლებათა დაცვის საერთაშორისო ორგანიზაციის  დასკვნაში აღნიშნულია, რომ ადამიანთა წამების ფაქტებთან დაკავშირებით ევროკავშირმა საქართველოზე, აზერბაიჯანსა და სომხეთზე ზეგავლენა უნდა მოახდინოს.

ვარდების რევოლუციის შედეგად სახელმწიფოს სათავეში მოსულმა მთავრობამ მართალია ამბიციური რეფორმები ჩაატარა, თუმცა ადამიანის უფლებები ჯერ კიდევ ბევრ სფეროში ირღვევა.

2004 წლის განმავლობაში მიღებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა სასამართლო სისტემაზე პრეზიდენტის ზეგავლენა მნიშვნელოვნად გაზარდა, რაც სასამართლოს დამოუკიდებლობას სერიოზულ საფრთხეს უქმნის. პრეზიდენტის სპეციალური დადგენილების საფუძველზე, აპრილში მოსამართლეების მნიშვნელოვანი რაოდენობა დაუსაბუთებელი მიზეზების გამო დაითხოვეს.

მიუხედავად იმისა, რომ მედია ამ დროისათვის შედარებით თავისუფალია საქართველოში, იგი მთავრობის მიმართ ნაკლებად კრიტიკულია, რის გამოც შესაძლებელია მედიაზე მთავრობის ზეგავლენის გაზრდაზე ვისაუბროთ.

საქართველოს მთავრობამ წამების დასამარცხებლად გარკვეული ნაბიჯები გადადგა, თუმცა წამებისა და ადამინის უფლებების დარღვევის ფაქტები თავს მაინც იჩენს. იძულებით დევნილები, განსაკუთრებით ჩეჩენი ლტოლვილები კვლავ პოლიციის და სხვა მაღალჩინოსნების ზეწოლის ქვეშ იმყოფებიან.

“ევროკავშირმა მხოლოდ ისეთ სამოქმედო გეგმებს უნდა დაუჭიროს მხარი, რომელიც ადამიანის უფლებების სფეროში კონკრეტულ მიმართულებებსა და მდგომარეობის გამოსწორების კონკრეტულ ვადებს ასახელებს,”- აცხადებს “ჰუმან რაითს ვოთჩის” კოორდინატორი ევროპასა და ცენტრალურ აზიაში ჰოლი კარტნერი, - “ევროკავშირმა მკაცრად უნდა განსაზღვროს ის შედეგები, რაც შეიძლება ამ პირობების შეუსრულებლობას მოჰყვეს”.

**პრეზიდენტ სააკაშვილს ევროსაბჭოს შენიშვნები საგანგაშოდ არ მიაჩნია**

***თბილისი.17.01.05.მედია-ნიუსი.*** პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის მონიტორინგის ჯგუფის მიერ საქათველოს მიმართ გამოთქმულ რეკომენდაციებს და შენიშვნებს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ მსგავს შენიშვნებს ევროპის თითქმის ყველა ქვეყანა იღებს და ამაში გასაოცარი და საგანგაშო არაფერია.

მანვე ქართველი პარლამენტარების მიერ აღნიშნულ რეკომენდაციებთან დაკავშირებით გამოთქმულ შეშფოთებას „პროვინციული და სასაცილო გნიასი“ უწოდა. სააკაშვილის თქმით, საქართველო დასავლეთში ისეთი მასშტაბური მხარდაჭერა აქვს, მსგავსი მხარდაჭერა შესაძლოა მომავალშიც არ ჰქონდეს.

„ჩვენ გვაძლევენ რეკომენდაციას. ეს კარგია, მაგრამ ჩვენ დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ და ჩვენი ხალხი გადაწყვეტს იმას, თუ როგორ უნდა იმართოს ქვეყანა,“- განაცხადა პრეზიდენტმა.

ცნობისთვის: ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე, რომელიც 22-დან 27 იანვრამდე სტრასბურგში გაიმართება, საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილიც დაესწრება

**2005 წლის "კორუფციის აღქმის ინდექსი"**

***18 ოქტომბერი, 2005 წელი, თბილისი, "საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო"*** - დღეს "საერთაშორისო გამჭვირვალობამ" გამოაქვეყნა 2005 წლის "კორუფციის აღქმის ინდექსის" (CPI) კვლევის შედეგები. კვლევა ახდენს ქვეყანათა რანგირებას კორუფციის იმ ხარისხობრივი მაჩვენებლის მიხედვით, რომლითაც უცხოელი და ადგილობრივი ბიზნესმენები და ანალიტიკოსები აღიქვამენ კორუფციას ქვეყნის სახელმწიფო თუ პოლიტიკურ სექტორებში. წელს საქართველოს 2.3 ქულა აქვს შესაძლო 10 ქულიდან და 130-ე ადგილს იკავებს გამოკვლეული 158 ქვეყნიდან. წინა წლის შედეგებთან შედარებით საქართველომ 0.3 ქულით გაიუმჯობესა შედეგი. საქართველოს მოხვედრა სამ ქულაზე ნაკლებ ქვეყანათა ჯგუფში (ბურუნდისთან, კამბოჯასთან, კონგოსთან, ვენესუელასთან, პაპუა ახალ გვინეასთან და ყირგიზეთთან ერთად) იმის მაჩვენებელია, რომ ქვეყანაში კორუციის დონე ჯერ კიდევ საკმაოდ მაღალია. შარშანდელთან შედარებით მცირეოდენი ცვლილება კი გვიჩვენებს, რომ პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, წინსვლა შესაძლებელია. თუმცა კორუფციულ სისტემათა აღმოსაფხვრელად დიდი ძალისხმევაა საჭირო. საზოგადოების აღქმაში ეს უმნიშვნელო ცვლილება შესაძლოა განპირობებული იყოს ხელისუფლების მიერ ჩატარებული რამდენიმე ცნობილი ანტიკორუფციული ღონისძიებით, კერძოდ, თანამდებობის პირთა დაკავებით და ცალკეულ სამინისტროებში მიმდინარე ინსტიტუციონალური ცვლილებებით. მაგრამ იმისათვის, რომ მთავრობის ანტიკორუფციული კამპანიის შედეგები იყოს მდგრადი, დამატებითი ძალისხმევაა საჭირო, რათა განისაზღვროს ქვეყნის ანტიკორუფციული პოლიტიკა და შეიქმნას ძლიერი ინსტიტუტები. დღემდე მთავრობის ანტიკორუფციული სტრატეგია უფრო აღმკვეთი ხასიათის იყო, ვიდრე პრევენციული. 2005 წლის ივნისში, საქართველოს პრეზიდენტმა დაამტკიცა საქართველოს ანტიკორუფციული სტრატეგია, რომლის მიხედვითაც ჩამოყალიბდა მთავრობის პრიორიტეტები კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლაში, კერძოდ: კორუფციის პრევენცია და ინსტიტუციონალური რეფორმა, ბიზნეს გარემოს ლიბერალიზაცია და საზოგადოების თანამონაწილეობის უზრუნველყოფა ანტიკორუფციულ ღონისძიებებში. სტრატეგიაზე დაყრდნობით მთავრობამ შექმნა სამოქმედო გეგმა, რომლის მიზანია სტრატეგიის განხორციელებისათვის საჭირო კონკრეტულ ღონისძიებათა განსაზღვრა. დღეისათვის მნიშვნელოვანია, რომ მთავრობის მიერ მოწონებული ანტიკორუფციული გეგმის განხორციელებაში აქტიურად ჩაებას როგორც აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლება, ისე ფართო საზოგადოება. მაშინ, როდესაც საზოგადოება არ ფლობს ინფორმაციას ხელისუფლების მიერ დაგეგმილი ღონისძიებებისა და რეფორმების შესახებ, საზოგადოების ნდობა და მხარდაჭერა ამ ცვლილებების განხორციელების პროცესში არასათანადოა. ბრძოლა კორუფციის

წინააღმდეგ საქართველოში უფრო წარმატებული იქნება, თუ ეს პროცესი ეფექტურად დაიგეგმება და საზოგადოებას საშუალება ექნება აქტიური მონაწილეობა მიიღოს მის განხორციელებაში.

* * *

**უბედური შემთხვევა თუ მკვლელობა?**
**რატომ ხდება დამოუკიდებელი ექსპერტი და მედია მუქარის მსხვერპლი**

პრემიერ - მინისტრის ზურაბ ჟვანიას ბუნდოვან ვითარებაში გარდაცვალების შესახებ კვლავ არაერთი კითხვა რჩება უპასუხოდ. როგორც დამოუკიდებელი ექსპერტები აცხადებენ, გამოძიებაზე ზეწოლაა და თავისუფალი აზრის გამოხატვა ამ საკითხზე იზღუდება. ჟვანიას გარდაცვალებასთან დაკავშირებით ალტერნატიული აზრის გამოხატვისათვის მუქარის ობიექტი გახდა როგორც დამოუკიდებელი ექსპერტი მაია ნიკოლეიშვილი, ასევე ტელეომპანია „მზე“, რომელმაც პირდაპირი ეთერი დაუთმო დამოუკიდებელ ექსპერტს საზოგადოებისათვის კომპეტენტური აზრის მისაწოდებლად ხელისუფლების მიერ გამოთქმულ ვერსიებთან დაკავაშირებით. აღნიშნული მუქარების გამო ექსპერტმა ქალაქში გადაადგილების არეალი შეზღუდა, ხოლო ტელეკომპანია „მზის“ თანამშრომლები კომენტარისაგან თავს იკავებენ.

ტელეკომპანია „მზის“ საინფორმაციო-ანალიტიკური გადაცემაში „არჩევანის ზღვარზე“ ნიკოლეიშვილის კრიტიკის საგანი გახდა ის განცხადებები და დასკვნები, რომელიც გააკეთეს ქვეყნის პირველმა პირებმა და სამედიცინო ექსპერტიზაში მონაწილე ექსპერტებმა, რომლებმაც მომწამლავი ნივთიერების კონცენტრაციის შესახებ ურთიერთგამომრიცხავი ინფორმაციები გაავრცელეს.

გადაცემის ეთერში გაშუქების შემდეგ მაია ნიკოლეიშვილსა და ტელეკომპანია „მზეს“ მუქარის ზარები არ ასცდა. როგორც ექსპერტი აცხადებს, მის მიმართ იყო მუქარების ზარები, სადაც მას ურჩევდნენ თავი დაენებებინა ზურაბ ჟვანიას სიკვდილზე საუბარს. აზრის გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვა და მით უმეტეს პროფესიულისა საქართველოში ბოლო დროს კიდევ უფრო ინტენსიურად იჩენს თავს.

3 თებერვალს საინფორმაციო-ანალიტიკურ პროექტში „არჩევანის ზღვარზე“ ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის მონაწილეობის მიღების შემდეგ, გადაცემა ეთერში განმეორებით არ გასულა. გადაცემის ჩანაწერი გარკვეულმა სამსახურებმა ამოიღეს, ხოლო დამოუკიდებელ ექსპერტს დაემუქრნენ.

გადაცემაში „არჩევანის ზღვარზე“ ექსპერტმა მაია ნიკოლეიშვილმა ისაუბრა ზურაბ ჟვანიას დაღუპვის გამო მიმდინარე გამოძიების ვერსიებსა და რეალურ ფაქტებს შორის შეუსაბამობაზე. ჩვენთან საუბარში ქ-მა მაიამ აღნიშნა ის გარემოებები, რამაც გამოიწვია მის მიმართ მუქარის ზარები და მიუთითა იმ ზეწოლაზე, რაც ხორციელდება გამოძიებაზე: „გადაცემაში „არჩევანის ზღვარზე“ გავაკრიტიკე ის, თუ რატომ იყო მიწოდებული ოფიციალური პირის მიერ მხოლოდ ერთადერთი ვერსია. გამოძიებაში ასეთი რამ დაუშვებელია, ეს გარკვეულ მითითებას ნიშნავს და თავისთავად საკითხის ასე დაყენება არასწორია. გადაცემაში საუბრისას ოპონირება მოვახდინეთ ექსპერტიზის ცენტრის პასუხებზე, რომლებმაც განაცხადეს, რომ 20%-ია ლეტალური კონცენტრაცია, ხოლო შემდეგ მონაცემები შეცვალეს. სწორედ ეს იყო ოპონირების ძირითადი მიზეზი. რადგან ექსპერტიზაში უშუალო მონაწილეობა არ მიმიღია, ამიტომ არგუმენტები არ მქონდა, ხოლო ექსპერტიზაში არ მონაწილეობა ჩავთვალე პროცესების დახურვად. ბოლო ათწლეულის განმავლობაში მე არ მახსოვს, რომ ასეთი დახურული პროცესები ყოფილიყოს“,-განგვიცხადა ქალბატონმა მაია ნიკოლეიშვილმა.

*- როგორ ფიქრობთ რის დამალვას ცდილობს ხელისუფლება?*

- ახალი არ არის არავისთვის, რომ მე ერთი წლის განმავლობაში მთლიანად პრეზიდენტ სააკაშვილის საკადრო პოლიტიკას ვაკრიტიკებ. საკმაოდ ბევრი მითქვამს მათ არაპროფესიონალიზმზე. ერთგულება კარგია, მაგრამ არაპროფესიონალიზმი ძალიან ცუდი. ჯობია ადამიანი თავისი საქმის ერთგული იყოს, ვიდრე პირადად პრეზიდენტის ერთგული, რადგან თავისი საქმის ერთგული პროფესიონალი საქმეს არ უღალატებს. მე პიროვნულად არავის არ ვეხები, მაგრამ საკადრო პოლიტიკაში მეგობრობის ნიშნით კადრების დაკომპლექტება დამღუპველია ქვეყნისთვის, რისი არა ერთი შედეგი გვქონდა მთელი წლის მანძილზე და ეხლაც ეს გრძელდება. დავუშვათ ჟვანიას გარდაცვალების ვერსიის გამოცხადება არაპროფესიონალიზმის შედეგი იყო, მაგრამ ამდენი შეცდომის დაშვება, პროცესების ასეთი დახურვა ამ შემთხვევაში უკვე ზედმეტი იყო. ეს არ არის მარტო ერთი ადამიანის სიკვდილი. ის იყო ჩვენი ქვეყნის პრემიერ მინისტრი და უბედური შემთხვევით გარდაიცვალა ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარო მოხელეები, მაღალჩინოსნები აბსოლუტურად დაუცველები არიან და ქვეყანაში დაცვის სისტემა საერთოდ არ არსებობს, რაც უკვე თავისთავად ნიშნავს, რომ ხვალ შეიძლება კიდევ რაღაც უბედურება მოხდეს. უბედური შემთხვევით შეიძლება ჩვეულებრივი მოქალაქე გარდაიცვალოს, მაგრამ ასეთი დონის დაცულ პერსონას ასეთი რამ არ უნდა შეემთხვას. და თუ ეს მოუწყვეს ამ შემთხვევაში გასაგებია, რომ ეს სერიოზული პოლიტიკური საფრთხეა, რომელიც ხვალ-ზეგ სხვანაირად იჩენს თავს.

*-გავრცელებული ინფორმაციით, გადაცემაში მონაწილეობის შემდეგ თქვენს მიმართ განხორციელდა ზეწოლა, ადასტურებთ თუ არა ამას და რა სახის ზეწოლას ჰქონდა ადგილი?*

-დიახ, გადაცემის გაშუქების შემდეგ იყო რამოდენიმე მუქარის ზარები, რის შემდეგაც გარკვეული პერიოდის განმავლობაში შევზღუდე ქალაქში გადაადგილების არეალი. ამჟამად, მუქარები შეწყდა.

* * *

**საქართველოში საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობა ნათესაური კავშირებისა და ნაციონალური პარტიის ნიშნით არის შესაძლებელი**

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დანიშნეს პირი, რომელსაც კონკურსი არ გაუვლია. ნათელმირონობა საკმარისი აღმოჩნდა მისი აღნიშნულ თანამდებობაზე უკონკურსოდ დასანიშნად. გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე კი კონკურსში გიგი უგულავას ბიძაშვილი ეკა უგულავა იმარჯვებს.

მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუციით გარანტირებულია საჯარო სამსახურის ხელმისაწვდომობის უფლება, აღნიშნული სრულიად უგულვეყოფილია დღევანდელი რევოლუციური ხელისუფლების მიერ.

ბოლო 2 წლის განმავლობაში ჩატარდა კონკურსები საჯარო სამსახურში მისაღებად, რაც იდეაში კადრების ობიექტური კრიტერიუმის საფუძველზე მიღების და შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოების უფრო ეფექტურად და კვალიფიციურად მოქმედების მიზანს ემსახურება. სინამდვილეში ეს კონკურსები მორიგი პიარ აქცია აღმოჩნდა, რაც მოსახლეობაში ადმინისტრაციული ორგანოების რეპუტაციის და ნდობის ამაღლებას ემსახურებოდა. მართალია, ეს ნდობა და იმედის ნაპერწკალი წარმოიშვა მრავალი კვალიფიციური და განათლებული ადამიანისათვის, რომლებიც პატრონისა და ნაცნობობის გარეშე ვერ მოხვდნენ წინა ხელისუფლების დროს საჯარო სამსახურში, მაგრამ მალევე გაქრა როგორც მრავალი დანაპირები ამ ხელისუფლებისა.

თითქმის შეუძლებელი გახდა კონკურსში კარგი ნაცნობის, ნათესავის ან პარტიის რეკომენდაციის გარეშე გამარჯვება. ტესტირება, როგორც წესი, წარმატებით შეგიძლია გაიარო (საუბარია მომზადებულ/ღირსეულ კონკურსანტებზე), გასაუბრება კი ბოლოს მოგიღებთ თუ თქვენ არ აკმაყოფილებთ უმნიშვნელოვანეს მოთხოვნას - ვისი ახლობელი ხართ, რა დამსახურება გაქვთ რევოლუციის წინაშე, გენდობათ თუ არა პარტია და ა.შ.

როგორც იურისტი გიგა გიორგაძე აცხადებს, კონკურსმა საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში უამრავი დარღვევებით ჩაიარა. იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დანიშნეს ის პირი, რომელსაც კონკურსი არ გაუვლია, ხოლო გასაუბრებაზე უარყვეს გიორგაძის კანდიდატურა, რომელმაც კონკურსის 3 ეტაპი წარმატებით გაიარა. საქმე იმაშია, რომ თავად მინისტრი ჭიპაშვილი და დეპარტამენტის მოქმედი შეფი ელზა გულიაშვილი საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პირველი მოადგილის – ვახტანგ მეგრელიშვლის (ცნობილი საპენსიო კანონპროექტის ავტორი) მეჯვარეები არიან. ასე, რომ მინიტრი, პირველი მოადგილე და იურიდიული დეპარტამენტის უფროსი - ახლო სანათესაო წრე სამინისტროს სათავეში.

დღეს ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის ოფისში გამართულ პრეს-კონფერენციაზე, გიგა გიორგაძემ კიდევ ერთი მაგალითი მოიყვანა მსგავსი დარღვევისა, რომლის მსხვერპლიც ისევ და ისევ თავად აღმოჩნდა. თბილისის მერიაში ჩატარებულ კონკურსში გლდანი-ნაძალადევის რაიონის გამგებლის მოადგილის თანამდებობაზე მისი კონკურენტი ქალაქის მერის, გიგი უგულავას ახლო ნათესავი ეკა უგულავა აღმოჩნდა. გასაუბრებაზე ეკეა უგულავამ გაიმარჯვა.

ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია იმ ცუდი გამოცდილებისა, რაც ერთმა ადამიანმა მიიღო საჯარო სამსახურში კონკურსის წესით მოხვედრის სურვილით. მსგავსი მრავალი ფაქტი არსებობს, რაც შემდეგში პირდაპირ აისახება ადმინისტრაციული ორგანოების ეფექტურ მუშაობაზე. „ნათესავი და ახლობელი ერთმანეთს არ გაწირავენ, ასევ ბევრ მათაგანს არ გააჩნია შესაბამისი კვალიფიკაცია და განათლება. შესაბამისად, მათ ეპატიებათ ის გადაცდომები, რომელსაც ადგილი აქვს მოქალაქეთა მიმართ, იქნება ეს კანცელარიებში, მოქალაქეთა მისაღებებში თუ სხვაგან, სადაც მოქალაქეებს შეხება უხდებათ“,- აცხადებს გიორგაძე.

აქვე ჩნდება კითხვა - რატომ იხარჯება ბიუჯეტიდან ფული კონკურსის ორგანიზებისათვის თუკი შედეგი წინასწარაა გადაწყვეტილი? მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ კონკურსებში კომისიის შემადგენლობაში, გარდა ადმინისტრაციული ორგანოს ხელმძღვანელობისა, მონაწილეობენ საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებიც, რომლებსაც აქამდე არ გაუპროტესტებიათ აღნიშნული დარღვევები, რასაც მათ თვალწინ ჰქონდა ადგილი.

***P.S.*** ზემოთ აღნიშნულ პრესკონფერენციას სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის ელზა გულიაშვილის მხრიდან გიგა გიორგაძის მობილურზე 25 წუთიანი გაღიზიანებული სატელეფონო საუბარი მოჰყვა.

ქ-მა გულიაშვილმა პრესკონფერენციაზე გახმაურებული ფაქტი – რომ იგი თანამდებობაზე კონკურსის გარეშე დაინიშნა და მას ამაში სავარაუდოდ ხელი შეუწყო ჯანდაცვის მინისტრთან და პირველ მოადგილესთან ნათესაუმა კავშირმა, პირად შეურაცხყოფად აღიქვა. სატელეფონო საუბარში მან არ უარყო ნათესაური კავშირი მინისტრ ჭიპაშვილთან და მის მოადგილე მეგრელიშვილთან, თუმცა აღნიშნა, რომ ეს გარემოება კავშირში არ იყო მისი ამ თანამდებობაზე უკონკურსოდ დანიშვნის ფაქტთან. აქვე შეგახსენებთ, რომ ელზა გულიაშვილს იურიდიული დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა არ მიუღია.

ცენტრის ადვოკატის გიგა გიორგაძის რჩევაზე, თუკი იგი თავს შეურაცხყოფილად გრძნობდა მოეხდინა ამაზე შესაბამისი რეაგირება, დეპარტამენტის უფროსმა ქალბატონმა ელზამ ირონიულად უპასუხა: "სასამართლოში ვიჩივლო თუ კაცურად ქუჩაში დაგხვდე და პასუხი გაგებინო".

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრი აღნიშნულ ქმედებას საჯარო მოხელის მხრიდან ზეწოლად აფასებს და მიმართავს მასმედიას სათანადო ყურადღება დაუთმოს ჯანდაცვის სამინისტროში კონკურსებთან დაკავშირებულ დარღვევებს.

**ცესკოს წევრობის კანდიდატთა შერჩევის პროცესს აკლია სიცხადე და გამჭვირვალობა - ISFED ცესკოს წევრების შერჩევის პროცესით უკმაყოფილოა**

**06.06.05 - ISFED** (საერთაშორისო საზოგადოება სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიისათვის) გამოთქვამს შეშფოთებას ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრობის კანდიდატების შერჩევით გამოწვეული საზოგადოებრივი უნდობლობისა და დაპირისპირების გამო. აქ ჩვენ გამოვყოფდით ორ ძირითად პრობლემას:

**შერჩევის პროცესი არ იყო გამჭვირვალე:**

საქართველოს ერთიანი საარჩევნო კოდექსის თანახმად, 2005 წლის 25 მაისს საქართველოს პრეზიდენტმა გამოსცა განკარგულება #401 ცესკოს თავმჯდომარეობის/წევრობის კანდიდატთა შესარჩევი საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ. პრეზიდენტის განკარგულებას არ მიეცა საკმარისად საჯარო სახე და საზოგადოებამაც არ იცოდა, ვინ იყვნენ კომისიის წევრები.

**პროცესის გაუმჭვირვალობა ძირითადად საკონკურსო კომისიის საქმიანობას უკავშირდება.**

კომისიას არ გამოუქვეყნებია ინფორმაცია თავისი სხდომების დროისა და ადგილის შესახებ, რასაც შეეძლო, ხელი შეეშალა დაინტერესებული სუბიექტებისათვის, განსაკუთრებით კი კანდიდატებისა და არჩევნებზე დამკვირვებელი ორგანიზაციებისათვის, დასწრებოდნენ მათ სხდომებს და დაკვირვებოდნენ პროცესს.

უცნობი რჩება საკონკურსო კომისიის მიერ პრეზიდენტისათვის წარდგენილი კანდიდატების ოფიციალური რაოდენობა და სახელები, რადგანაც არც კომისიამ და არც პრეზიდენტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა არ გამოაქვეყნა ოფიციალური განცხადება ამასთან დაკავშირებით. გარდა ამისა, არ გამოქვეყნებულა არც პრეზიდენტისათვის წარდგენილი და არც პრეზიდენტის მიერ პარლამენტისათვის ნომინირებული კანდიდატების ბიოგრაფიები.

**გაურკვეველია შერჩევისას გამოყენებული კრიტერიუმები**

ყოველგვარი გაურკვევლობა კანდიდატთა შერჩევისას გამოყენებული კრიტერიუმების თაობაზე გამოწვეულია ერთიანი საარჩევნო კოდექსის ბუნდოვანი მუხლებით.

პრეზიდენტის მიერ შექმნილი საკონკურსო კომისია შედგება 5 წევრისაგან: სამი მათგანი წარმოადგენს პრეზიდენტის ადმინისტრაციას, ორი კი – სამოქალაქო საზოგადოებას. სამწუხაროდ, საარჩევნო კოდექსი არ განსაზღვრავს საკონკურსო კომისიის წევრთა შესარჩევ კრიტერიუმებს. გაუგებარია, რომელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეარჩია პრეზიდენტმა კომისიის წევრები, რადგან მათ უმრავლესობას არა აქვს სათანადო საარჩევნო გამოცდილება, რაც საშუალებას მისცემდა კომისიას, შეერჩია ცესკოს წევრობის ყველაზე კვალიფიციური კანდიდატები.

საკონკურსო კომისიამ ბევრი განცხადება მიიღო: 483 კანდიდატი იყო წარდგენილი ცესკოს წევრების და 32 _ ცესკოს თავმჯდომარის ვაკანსიაზე. საარჩევნო კოდექსის თანახმად, საქართველოს ნებისმიერ უპარტიო მოქალაქეს 25 წლის ასაკიდან, რომელსაც აქვს უმაღლესი განათლება და თავისუფლად ფლობს ქართულ ენას, აქვს მინიმუმ სამი წლის შრომითი გამოცდილება და სარგებლობს დადებითი რეპუტაციით საზოგადოებაში, შეეძლო

ცესკოს წევრობაზე საკუთარი კანდიდატურის წარდგენა. კანდიდატების წარდგენის ვადა 24 მაისს ამოიწურა.

კანონით დადგენილი ზოგადი კრიტერიუმები კანდიდატთა დიდმა რაოდენობამ დააკმაყოფილა. კომისიას არ განუსაზღვრავს, ან თუ განსაზღვრა, არ გამოუცხადებია უფრო დეტალური კრიტერიუმები და შიდა პროცედურები, რომლებიც, შესაძლოა, კანდიდატების შესარჩევად ყოფილიყო გამოყენებული. კომისიას შეეძლო, მაგალითად, განემარტა, რა იგულისხმება "საზოგადოებაში დადებითი რეპუტაციით სარგებლობაში," რის ახსნასაც საარჩევნო კოდექსი არ იძლევა. კომისიას რომ განესაზღვრა და გამოექვეყნებინა ეს კრიტერიუმები და პროცედურები, საზოგადოების ნდობა მოცემული პროცესისადმი უფრო მაღალი იქნებოდა.

გარდა ამისა, იმის გამო, რომ პრეზიდენტს 29 მაისს უნდა წარედგინა პარლამენტისათვის ცესკოს წევრობის კანდიდატები, საკონკურსო კომისიას მხოლოდ 4 დღე ჰქონდა კანდიდატების შესარჩევად და პრეზიდენტისათვის წარსადგენად. ჩვენი აზრით, დროის სიმცირემ უარყოფითი გავლენა იქონია კომისიის მუშაობაზე. გაურკვევლი რჩება, როგორ შეძლო კომისიამ 4 დღეში 515 განაცხადის შესწავლა და ისეთი მნიშვნელოვანი ორგანოს წევრთა კომპეტენტური შერჩევა, როგორიც ცესკოა.

გარდა ამისა, ბუნდოვანია საკონკურსო კომისიის მიერ წარდგენილი სიიდან რომელ კრიტერიუმებზე დაყრდნობით შეარჩია პრეზიდენტმა პარლამენტისათვის ასარჩევად წარდგენილი 13 კანდიდატი _ იყო ეს მათი საარჩევნო გამოცდილება, შრომითი გამოცდილება თუ "დადებითი რეპუტაცია საზოგადოებაში." რაც შეეხება ამ უკანასკნელს, პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი არცერთი კანდიდატი არ არის ცნობილი ქართული საზოგადოებისათვის.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემის თავიდან აცილება შესაძლებელი იქნებოდა, 2005 წლის აპრილში ერთიან საარჩევნო კოდექსში ცვლილებების მიღებამდე პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტს სათანადოდ რომ განეხილა ISFED-ის, სხვა არასამთავრობო ორგანიზაციების და პოლიტიკური პარტიების მიერ წარმოდგენილი საკანონმდებლო ცვლილებები და კომენტარები. უფრო მეტიც, იურიდიულმა კომიტეტმა დაარღვია პარლამენტის რეგლამენტი და არც კი განიხილა ISFED-ის საკანონმდებლო წინადადება ცესკოს დაკომპლექტების წესის შესახებ. იმის გამო, რომ არ იქნა გათვალისწინებული ბევრი საგულისხმო რეკომენდაცია და, შესაბამისად, არ იქნა უზრუნველყოფილი ცესკოს კანდიდატთა შერჩევის პროცედურული გამჭვირვალობა, განხორციელებულმა შერჩევამ გამოიწვია დიდ უნდობლობა და დაპირისპირება საზოგადოებაში. ყველაფერ ამის გამო კი საფრთხის ქვეშ დადგა მომავალი არჩევნების სამართლიანობა საქართველოში.

* * *

**დუშეთის რაიონის გამგებელმა რეზერვისტი სცემა**

***თბილისი19.01.05.მედია-ნიუსი***. მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პრეზიდენტის სახელმწიფო რწმუნებული გოგა ხაჩიძე ადასტურებს ინფორმაციას, რომ დუშეთის რაიონის გამგებელმა გოდერძი ბერბერაშვილმა რამდენიმე დღის წინათ რეზერვისტი, ბულაჩაურის საკრებულოს ყოფილი თავმჯდომარე გიორგი გურაშვილი სცემა.

მისივე თქმით, ინციდენტი უშუქობის გამო მოსახლეობის მიერ გამართულ საპროტესტო აქციაზე მოხდა და გამგებელი ნასვამ მდგომარეობაში იმყოფებოდა.

თავად დაზარალებული ამჟამად ტვინის შერყევისა და თავის ქალის დაზიანების დიაგნოზით მცხეთის საავადმყოფოში მკურნალობს.

რწმუნებულის განცხადებით, პოლიციამ მოკვლევა უკვე დაასრულა და საქმე საგამოძიებო ნაწილს გადაეცა. ბერბერაშვილის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საკითხი კი მას შემდეგ გაირკვევა, რაც ექსპერტთა ჯგუფი მოამზადებს დასკვნას გურაშვილის ჯანმრთელობის მდგომარეობის სიმძიმის შესახებ

**ციხეში სახალხო დამცველის რწმუნებული სცემეს**

***თბილისი.17.06.05.მედიანიუსი.*** სახალხო დამცველის რწმუნებულს გიორგი ონიანს ორთაჭალის #7 საპყრობილეში ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს.

ონიანი საპყრობილეში პატიმრების ცემის ფაქტთან დაკავშირებით ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე შევიდა, საიდანაც ციხის ადმინისტრაციამ აღარ გამოუშვია.

გავრცელებული ინფორმაციით, ციხის ადმინისტრაციამ უარი განაცხადა ონიანისთვის საპყრობილეში გადაღებული მასალის გატანებაზე. სახალხო დამცველის რწმუნებულმა მასალის გარეშე ციხიდან გასვლა არ ისურვა, რასაც ციხის ადმინისტრაციის მხრიდან მისთვის ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენება მოჰყვა.

"როდესაც ციხის ადმინისტრაციამ გაიგო ომბუდსმენის რწმუნებულის ვიზიტის მიზეზი, ჩაუკეტა კარი და გარეთ გამოსვლის საშუალება არ მისცა. ამის შემდეგ ციხის დირექტორი ფიზიკურად გაუსწორდა გოგა ონიანს", _ განაცხადა სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამ.

#7 საპყრობილესთან იმყოფებიან იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის, სახალხო დამცველის აპარატისა და თავისუფლების ინსტიტუტის წარმომადგენლები.

მომხდართან დაკავშირებით მოკვლევა მიმდინარეობს. "მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერება. ძირს ყრია მობილურები და სხვადასხვა ნივთმტკიცებები. გამოძიება დაწყებულია 333-ე მუხლით, რაც გულისხმობს სამსახურებრივი მოვალეობის გადამეტებას. გამოძიება ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ დაადგინოს რა მოხდა სინამდვილეში", _ განაცხადა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ზედამხედველმა პროკურორმა ვალერი გრიგალაშვილმა.

18 ივნისს სამართალდამცავებმა დავით ვარდოსანიძე დააკავეს. ის პროკურატურამ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში დაადანაშაულა სახალხო დამცველის რწმუნებულის, გიორგი ონიანის აღნიშნულ საპყრობილეში დაყოვნებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო.

**ჯარისკაცებმა დახმარებისთვის სახალხო დამცველს მიმართეს**

***თბილისი.02.06.05.მედიანიუსი.*** საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ლაგოდეხის სასაზღვრო ნაწილიდან, სისტემატური ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის გამო, ოთხი აჭარელი ჯარისკაცი გაიქცა.

მათ სახალხო დამცველის აპარატის ადმინისტრაციული სამმართველოს უფროსი რეზო ჭარბაძე ბათუმში შეხვდა და ახსნა-განმარტებები ჩამოართვა. როგორც ირკვევა, აჭარიდან ჩასულმა ჯარისკაცებმა სამხედრო ნაწილში ჩაგვრისა და ცემის შესახებ ნაწილის უფროსს, პოლკოვნიკ ბესო ზურაბიშვილს მოახსენეს, რომელსაც არავითარი ზომები არ მიუღია.

როგორც სახალხო დამცველის აპარატში აცხადებენ, ჯარისკაცებმა სამხედრო სამსახურის გავლა სხვა ნაწილში მოითხოვეს, რის გამოც ისინი ჯერ ნაწილის ოფიცრებმა ცემეს და შემდეგ ჯარისკაცებსაც მოუწოდეს, ფიზიკურად გასწორებოდნენ მათ. დაზარალებულებს მრავლობითი გარეგანი დაზიანებების გარდა, ტვინის შერყევაც აღენიშნებოდათ, რაც მათი სამედიცინო ცნობებიდანაც დასტურდება.

ჯარისკაცების ცემის ფაქტი თავის ახსნა-განმარტებაში ბათუმის სამხედრო გარნიზონის კომენდანტმა, ვიცე-პოლკოვნიკმა ნინიძემაც დაადასტურა. ნინიძე მომხდარის შესახებ პირადად ესაუბრა ლაგოდეხის სამხედრო ნაწილის უფროსს. თუმცა, მოგვიანებით, სახალხო დამცვლის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსის გიორგი ონიანის მიერ ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებაში ზურაბიშვილმა დაწერა, რომ მისთვის უცნობი იყო მსგავსი ჩაგვრისა და დამცირების ფაქტები.

მოპოვებული მასალები, ახსნა-განმარტებები და სამედიცინო ცნობები სახალხო დამცველის აპარატმა გენერალურ პროკურატურაში გადააგზავნა. პროკურატურამ სამხედრო ნაწილის უფროსის მხრიდან უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ გამოძიება დაიწყო.

**ამერიკის საელჩოს თანამშრომელი იზოლატორიდან ხელწერილით გაუშვეს**

***თბილისი.08.09.05.მედიანიუსი.*** კასპის რაიონის სოფელ აღაიანთან მომხდარი ავტოსაგზაო შემთხვევა მსხვერპლით დასრულდა. „ტოიოტა ლენდკრუიზერი“, რომელსაც საქართველოში აშშ-ის საელჩოს თანამშრომელი ჩარლზ იულიამ თრიუსლერი მართავდა, ფეხით მოსიარულე მამუკა გობეჯიშვილს დაეჯახა, რომელიც ადგილზე დაიღუპა.

ავტომანქანის მძღოლი პოლიციამ დააკავა და გორის წინასწარი დაკავების იზოლატორში გადაიყვანა, თუმცა მოგვიანებით ის ხელწერილით გაათავისუფლეს. მომხდარზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

ეჭვმიტანილს დიპლომატიური იმუნიტეტი არ იცავს, რადგან ის საელჩოს კონტრაქტორი თანამშრომელია.

**- სამართალდამცავი ორგანოები -**

ისინი, ვინც ვალდებულნი არიან აღასრულონ კანონი და დაგვიცვან, ზოგჯერ ჩვენთვის უსაშინლეს ღამის სიზმრად იქცეცვიან. შემთხვევითი დაკავება, მიკერძოებული გამოძიება, დაკავებულთა წამება აღიარების იძულების მიზნით და ეჭვმიტანილთა მიმართ დამამცირებელი, შეურაცხმყოფელი

მოპყრობა, - ჯერ კიდევ სამართალდამცავთა მიერ ფართოდ გამოყენებულ მეთოდებს წარმოადგენს. ამასთანავე, მაშინ, როდესაც პოლიციელთა მიერ გატარებული ღონისძიებების ეფექტურობა ძლიერ ეჭვქვეშ დგას, მათ მიერ გამოყენებული დაკავების მეთოდები, ძალადობრივი ხასიათისაა, ყოველგვარი მოტივაციის გარეშე. ე.წ. "მაჩოს" კულტურა და ზოგადი ცნობიერება, იმის თაობაზე, რომ ისინი კანონზე მაღლა დგანან, კვლავაც დამახასიათებელია სამართალდამცავებისათვის. და ყველაფერ ამას კიდევ უფრო აძლიერებს ზოგადად სამართლისა და ადამიანის უფლებათა ცოდნის დონისა და პროფესიონალიზმის დაბალი ხარისხი.

* * *

**საქართველოში დანაშაულთა რაოდენობა გაიზარდა**

საქართველოში სამართალდამცავ სისტემაში პოსტრევოლუციური ხელისუფლების მიერ დაწყებული სტრუქტურული და საკადრო რეფორმა, რომლის მიზანი სამართალდამცავი სისტემის სრულყოფა, გაუმჯობესება, დანაშაულის მინიმუმამდე შემცირება, საზოგადოების ნდობის აღდგენა და მისი უსაფრთხოების უზრუნველყოფა იყო, უნდა წარმოადგენდეს ქვეყანაში უსაფრთხოებისა და საზოგადოების სტაბილური განვითარების გარანტიას. თუმცა, სამწუხაროდ, არ არსებობს არანაირი ნიშანი იმისა, რომ ამ სფეროში რეფორმა წარმატებით ხორციელდება და ქვეყანაში საზოგადოება დაცულია კრიმინალურ დაჯგუფებათა თავდასხმისაგან.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ძირითად ფუნქციას საზოგადოების უსაფრთხო გარემოს შექმნა წარმოადგენს. თუმცა, როგორც ჩანს, სახელმწიფო ვერ ახერხებს ამ ფუნქციის განხორციელებას და სამართალდამცავი ორგანოები ვერ უზრუნველყოფენ ქვეყანაში უსაფრთხოებისა და წესრიგის დამყარებას. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება დიდ წარმატებებზე საუბრობს ამ სფეროში და შესაბამისი სამართალდამცავი ორგანოების ხელმძღვანელები აცხადებენ, რომ ქვეყანაში დანაშაული შემცირდა, შს სამინისტროს ოფიციალური სტატისტიკური მონაცემები სულ სხვა სიტუაციას ასახავენ, ხელისუფლება კი სრულ იგნორირებას უკეთებს ამ ფაქტებს.

არსებობს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოფიცილაური მონაცემები, რომლის თანახმად, საქართველოში დანაშაული კატასტროფულად გაიზარდა და არსებული სტატისტიკური მონაცემები რეალურად საგანგაშოა. პოლიტოლოგმა პაატა ზაქარეიშვილმა, რომელსაც ხელთ აქვს ეს მონაცემები, არაერთხელ განაცხადა ბეჭდვითი მედიის საშუალებით, რომ ქვეყანაში დანაშაულთა რიცხვი ერთი ორად გაიზარდა და რომ ხელისუფლებამ შესაბამისი რეაგირება უნდა მოახდინოს ამაზე.

როგორც ექსპერტ პაატა ზაქარეიშვილის მიერ გავრცელებული შს სამინისტროს ოფიციალურ მონაცემებშია აღნიშნული დანაშაულის რაოდენობა 4893-ით გაიზარდა. ანუ წინა წელთა შედარებით დანაშაული 95%-ით გაიზარდა. თუ შარშან დანაშაულის ჩადენის 5154 შემთხვევა იყო, წელს არის -10 047 შემთხვევა. მიუხედავად იმისა, რომ ყველაზე მეტად წესრიგი დედაქალაქში უნდა იყო დაცული, როგორც ბატონი პაატა აცხადებს, თბილისში ერთი წლის წინ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის 1849 შემთხვევა იყო, ხოლო წელს ეს ციფრი საგრძნობლად გაიზარდა ანუ დანაშაულთა რაოდენობა 3 938- ს შეადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულმა 114%-ით მოიმატა. თბილისში მძიმე დანაშაულის 1761 შემთხვევა დაფიქსირდა გასულ წელს, ხოლო ამჟამად 3449 გახდა. ოფიცილაური მონაცემების თანახმად, წელს აღრიცხულია 17833 დანაშაული ე.ი. საერთო რაოდენობა 7 000-ით გაიზარდა.

„ქვეყანაში დანაშაულთა რაოდენობის ზრდა რამოდენიმე ფაქტორმა განაპირობა - აცხადებს პაატა ზაქარეიშვილი - პირველ რიგში, კრიმინალები ხელისუფლებასთან შეკრულები აღარ არიან, რაც თავისთავად კარგი ნიშანია. მეორე, რეფორმების შედეგად, სამართალდამცავი ორგანოებიდან დათხოვილ იქნა 16-17 ათასი ადამიანი, ხოლო ახალ კადრებს არ გააჩნიათ შესაბამისი კვალიფიკაცია და გამოცდილება. ხოლო რაც ყველაზე საგანგაშოა, ეს არის ხელისუფლების გულგრილი დამოკიდებულება და იგნორირება შს სამინისტროს მონაცემებისა.“

* * *

**სისხლის სამართლის კოდექსში რევოლუციური ცვლილებები განხორციელდა**

***თბილისი.28.03.05.მედია-ნიუსი.*** საქართველოს პარლამენტმა სისხლის სამართლის კოდექსში რევოლუციური ცვლილებები შეიტანა,- განაცხადეს 28 მარტს გამართულ ბრიფინგზე პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ, გენერალურმა პროკურორმა ზურაბ ადეიშვილმა, პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარემ ლევან ბეჟაშვილმა და ცვლილებების ერთ-ერთმა ინიციატორმა, პარლამენტარმა ნუგზარ შოშიაშვილმა.

აღნიშნულმა ცვლილებებმა მნიშვნელოვნად უნდა გააუმჯობესოს სამართალდამცავი ორგანოების მუშაობა და რაც მთავარია, ადამიანის უფლებების დაცვა.

ცვლილებების თანახმად, ვიდრე არ შეგროვდება მტკიცებულებები, სამართალდამცავი ორგანოები პირებს ვერ დააკავებენ. ამასთან, ბრალდებულად ყოფნის ვადა მცირდება 24-დან 12 თვემდე, წინასწარი პატიმრობის ვადა მცირდება 9-დან 4 თვემდე. ბრალდებულმა სასამართლო პროცესზე უნდა დაადასტუროს მის მიერ მიცემული ჩვენება, წინააღმდეგ შემთხვევაში მისი ჩვენება, როგორც მტკიცებულება, მიღებული არ იქნება; ჟურნალისტს უფლება აქვს არ მისცეს ჩვენება მის მიერ პროფესიონალურ საქმიანობასთან დაკავშირებით მოპოვებულ ინფორმაციაზე. ძლიერდება წინასწარ გამოძიებაზე საპროკურორო ზედამხედველობა.

ზურაბ ადეიშვილის განცხადებით, აღნიშნული ცვლილებებით უარი ვთქვით საბჭოურ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაზე.

პარლამენტმა აღნიშნული ცვლილებები მესამე მოსმენით გასულ კვირას მიიღო. კანონი ძალაში 2006 წლის 1 იანვრიდან შევა.

**შვილმკვდარი დედა სამართლის ძიებაში საზოგადოებრივად საშიშ პიროვნებად შერაცხეს - რატომ არ იხსნება დავით საყვარელიძის საქმე?**

„ხავერდოვანი რევოლუციის“ დღეს გარდაცვლილი დავით საყვარელიძის დედა, მარიამ საყვარელიძე სამართალდამცავთა და პრეზიდენტის პირადი დაცვის თანამშრომელთა მხრიდან ზეწოლას განიცდის და ფსიქოლოგიური წნეხის ქვეშ იმყოფება. “ვარდების რევოლუციის” ტანკებს შეწირული დავით საყვარელიძის ოჯახისთვის სამართლის ძიება დღესდღეობით არანაკლებ სახიფათოა, ვიდრე 2003 წლის 22 ნოემბერის ტრაგიკული დასასრული. სამართალდამცავები დაშინებისა და ზეწოლის ყველა მეთოდს იყენებენ საყვარელიძეების ოჯახის გასაჩუმებლად და „ვარდების რევოლუციის“ უსისხლო „იმიჯის“ შესანარჩუნებლად.

2003 წლის 22 ნოემბერს მაშინდელი უშიშროების სამინისტროს სწრაფი რეაგირების სამმართველოს დაქვემდებარებაში მყოფი სპეციალური სატრანსპორტო საშუალება „ჯტრ“–ი „ბმვ“-ს მარკის ავტომანქანას შეეჯახა, რამაც ორი ადამიანის - 23 წლის დავით საყვარელიძისა და სამი შვილის დედის, ეთერ შიოშვილი-წულიაშვილის გარდაცვალება გამოიწვია. მას შემდეგ მოყოლებული გარდაცვლილი დავით საყვარელიძის დედა, მარიამ საყვარელიძე საკუთარი შვილისა და დის სიკვდილში დამნაშავე ადამიანების დასჯას მოითხოვს და ამის გამო ძალოვანი უწყებების წარმომადგენელთა მხრიდან სერიოზულ ზეწოლას განიცდის და მუქარის სიტყვებს ისმენს.

სამართალდამცავთა მხრიდან ზეწოლის ფაქტი 2004 წლის 10 მარტს დაფიქსირდა, როდესაც მარიამ საყვარელიძე შინაგან საქმეთა სამინისტროს უშიშროების სამმართველოში დაიბარეს და საუბრისას ყველა ღონეს ხმარობდნენ, რათა აეძულებინათ სასამართლოდან სარჩელის გამოტანა; სანაცვლოდ კი გარკვეული თანხის შეთავაზებას ცდილობდნენ. თუმცა, დაინახეს რა, რომ მსგავსი მეთოდებით ვერაფერს გახდებოდნენ შემდგომ უკვე ღია მუქარაზე გადავიდნენ. უშიშროების ერთ-ერთი თანამშრომელი, ოფიცერი აჩიკო მამაგეიშვილი პირდაპირ მუქარასაც არ მორიდებია და მუქარის ტონით გააფრთხილა მარიამ საყვარელიძე: „თქვენ ჩვენთან ვერაფერს გახდებით“.

შვილმკვდარი დედა წელიწად ნახევრის განმავლობაში იბრძვის სამართლიანობის აღდგენისთვის. მიუხედავად უამრავი წერილისა, რომელიც მან სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებში გააგზავნა თხოვნით, დახმარებოდნენ საქმის გახსნაში, მისი წერილები რეაგირების გარეშე დარჩა.

მარიამ საყვარელიძემ ასევე დიდი ძალისხმევის შედეგად და შემთხვევითობის წყალობით ორჯერ მოახერხა პრეზიდენტისათვის მიეწოდებინა ინფორმაცია აღნიშნული ფაქტის შესახებ და დახმარება ეთხოვა. შეხვედრისას მიხეილ სააკაშვილმა განუცხადა, რომ იცოდა ამ შემთხვევის შესახებ და საქმის ობიექტურად გამოძიებაში დახმარება აღუთქვა, თუმცა დაპირება დაპირებად დარჩა.

თუმცა, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მარიამ საყვარელიძის პრეზიდენტთან შეხვედრის შემდეგ, ორჯერ გათავისუფლდნენ პრეზიდენტის პირადი დაცვის თანამშრომლები და მას შემდეგ მარიამ საყვარელიძე ახალი დაცვის თანამშრომელთა მხრიდან ზეწოლისა და მუდმივი თვალთვალის ობიექტი გახდა. ყოველ მნიშვნელოვან სადღესასწაულო დღეებში მთელი დღის განმავლობაში მარიამ საყვარელიძის საცხოვრებელ კორპუსთან დგას უცხო მარკის ავტომანქანა და ყარაულობს მას, რათა სახლიდან არ გამოვიდეს.

როდესაც მარიამ საყვარელიძე პრეზიდენტთან შეხვედრის იმედით 2004 წლის 26 მაისის აღლუმზე გავიდა კანცელარიასთან მიახლოებისთანავე დაცვის წევრებმა ჩასვეს მანქანაში და გაარიდეს მიმდებარე ტერიტორიას, ასევე 9 აპრილს სობჩაკის ძეგლის გახსნაზე, რომ არ შეხვედროდა მიხეილ სააკაშვილს დაცვის თანამშრომლებმა

იგი ოთახში ჩაკეტეს და მხოლოდ პრეზიდენტის წასვლის შემდეგ გამოუშვეს იქიდან. როგორც თავად მარიამ საყვარელიძემ ჩვენთან საუბარში განაცხადა, პრეზიდენტის დაცვის წევრთა შორის დარიგებულია სპეციალური ბროშურა და მისი ფოტოსურათი, რათა იცნონ და არ მიუშვან პრეზიდენტთან. როგორც ჩანს, საქართველოს პრეზიდენტს არ სიამოვნებს იმ გაუბედურებული ხალხის დანახვა, რომელთა გამოც მის საყოველთაოდ აღიარებულ „ხავერდოვან რევოლუციას“ იმიჯი ელახება და ყველანაირად ცდილობს როგორც ფაქტის, ასევე დაზარალებული ადამიანების იგნორირებას.

„ყველას მხრიდან ისეთი დამოკიდებულებაა თითქოს მარიამ საყვარელიძე საზოგადოებისთვის საშიში ადამიანია. ყველასთვის გასაგები უნდა იყოს დედა, რომელსაც შვილი მოუკვდა ადვილად ვერ შეეგუება მის დაკარგვას და ეს ქალი ცდილობს სიმართლის დამტკიცებას და დამნაშავის დასჯას, რაც საქმიდან გამომდინარე, დიდ სირთულეს არ წარმოადგენს. მაგრამ ჯერ-ჯერობით აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით ქმედითი ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს საქმის ბოლომდე მიყვანას, არ განხორციელებულა და ხდება დროის ხელოვნური გაწელვა“,- განაცხადა მარიამ საყვარელიძის ადვოკატმა ნონა კალანდაძემ.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პრეზიდენტ ბუშის ვიზიტის შემდეგ მარიამ საყვარელიძეს გამუდმებით იბარებენ უშიშროების სამმართველოში და კითხვებს უსვამენ 10 მაისს თავისუფლების მოედანზე სამთავრობო ლოჟის მიმდებარე ტერიტორიაზე აღმოჩენილი ხელყუმბარის შესახებ. თუმცა, მათთვის უცნობი არ უნდა იყოს, რომ იმ დღეს მარიამ საყვარელიძე ოჯახთან ერთად სასაფლაოზე იმყოფებოდა, რადგან მიცვალებულთა მოხსენიების დღე იყო. ასევე უშიშროების წარმომადგენლებმა რამოდენიმეჯერ მიაკითხეს მარიამ საყვარელიძის ძმას და დაიბარეს სამინისტროში, როგორც თვითონ უთხრეს, „კაცურად დასალაპარაკებლად“, თუმცა დაზარალებულებისთვის გაურკვეველია რას ნიშნავდა და რა იგულისხმებოდა ამ სიტყვებში. 5 საათის ლოდინის შემდეგ უშიშროების წარმომადგენლებმა მოუცლელობა მოიმიზეზეს და „კაცურად საუბარი“ არ შედგა.

„ჩემთვის გაუგებარია თუ რატომ მთვლიან ქვეყნისათვის საშიშ პიროვნებად. მე ვარ გაუბედურებული დედა და მხოლოდ მოვითხოვ ჩემი შვილის მკვლელის დასჯას სხვას არაფერს“,- განაცხადა მარიამ საყვარელიძემ.

* * *

**პოლიცია ცრუ მოწმეთა ჩვენებებს აქტიურად იყენებს**

პოლიციის თანამშრომელთა უკანონო ხერხებით მუშაობის კიდევ ერთი ფაქტი გამოვლინდა, რომელიც იმიჯს ულახავს მთლიანად სამართალდამცავ სისტემას და განაპირობებს საზოგადოების უნდობლობის ზრდას სამართალდამცავთა მიმართ. როგორც ჩანს, პოლიციელები საკმაოდ აქტიურად იყენებენ ცრუ მოწმეთა ჩვენებებს ადამიანთა დასაკავებლად და ამგვარი უკანონო მათოდებით საქმეების წარმართვას. სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტის, გიორგი აფხაიძის დასაკავებლად პოლიციამ ცრუ მოწმის, დავით გუგუშვილის ჩვენებები გამოიყენა, რომელიც, თავის მხრივ, ამას პოლიციის მხრიდან ზეწოლისა და შანტაჟის გამო აკეთებს.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ცხელ ხაზზე შემოსული ინფორმაციის საფუძველზე უშიშროების დროებითი მოთავსების იზოლატორში მყოფი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი, ორი შვილის მამა გიორგი აფხაიძე მოინახულეს.

აფხაიძე და მისი მეგობარი ფაფიაშვილი ტაქსით სახლში ბრუნდებოდნენ, როდესაც მათ სპეციალური დანიშნულების რაზმმა დაკავებისას 2 გრამამდე ჰეროინი აღმოუჩინა. აფხაიძესთან და მის მეგობართან ერთად მანქანაში ორჯერ ნასამართლევი გამყრელიძე იმყოფებოდა, რომელიც დაემგზავრა მათ.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა გაარკვიეს, რომ ტაქსის მგზავრების დაკავებასა და გაჩხრეკვისას სპეცრაზმს წარსულში ცნობილი ცრუ მოწმეების ოჯახის წევრი დავით გუგუშვილი ახლდა, რომელიც 2003 წლის 29 მაისს გასამართლებული იქნა ნარკოტიკების მოხმარებისთვის. ნარკოტიკების მომხმარებელია მისი ძმა, პაატა გუგუშვილიც.

სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებისთვის ცნობილი გახდა, რომ ძმები გუგუშვილები და მათი მამა აქტიურად თანამშრომლობენ პოლიციასთან და იარაღისა და ნარკოტიკების ამოღების ათამდე ფაქტის მოწმენი არიან. სახალხო დამცველის აპარატმა ერთხელ უკვე გამოიძია გუგუშვილების მოწმეობის საკითხი, სადაც ძმები თავად აღიარებდნენ, რომ ჩვენებები პოლიციის მხრიდან შანტაჟისა და ზეწოლის შედეგად მისცეს.

გიორგი აფხაიძე, მისი ახსნა-განმარტების თანახმად, ჯერ დაკავებისას, შემდეგ კი უკვე საკანში სცემეს. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა მის სხეულზე დაზიანებები აღმოაჩინეს და ოქმი შეადგინეს. აფხაიძის დაკავებისას სხვა პროცესუალურ დარღვევებსაც ჰქონდა ადგილი. კერძოდ, მას არ გააცნეს უფლებები, არ დართეს

ნება მიეყვანა თავისი ადვოკატი და დაუნიშნეს სახაზინო ადვოკატი, რომელიც მხოლოდ პირველ დაკითხვას დაესწრო.

22 აპრილს თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლომ არ გაითვალისწინა დაკავებისას წარმოჩენილი დარღვევები და სასამართლოს თავმჯდომარემ, მამუკა სონღულაშვილმა გიორგი აფხაიძეს აღკვეთ ღონისძიებად სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა.

მიუხედავად სამართალდამცავთა მხრიდან ცრუ მოწმეთა ჩვენებებზე საქმეების წარმართვასა და მსგავსი უკანონო საქმიანობისა, ჯერ-ჯერობით შესაბამისი სადამსჯელო ღონისძიებები არ გატარებულა იმ პოლიციელთა მიმართ, რომლებიც ამგვარი ხერხით ცდილობენ „გაიადვილონ“ სამუშაო.

**სამართალდამცავთა პირადი ანგარიშსწორების მსხვერპლი**

2005 წლის 12 მაისს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა სპეცრაზმთან ერთად საკუთარ სახლში ნარკოტიკული ნივთიერებების შენახვის ბრალდებით 43 წლის გივი ჯანიაშვილი დააკავეს. ჯანიაშვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლებმა და 20-30-მდე სპეცრაზმელმა დაკავებისას სასტიკად სცემეს. დაკავებულის ადვოკატის თქმით, ნარკოტიკი, რომელიც ჯანიაშვილს აღმოუჩინეს სამართალდამცავების მიერაა ჩადებული.

დაკავებულის ადვოკატის ზურაბ როსტიაშვილის ინფორმაციით, გივი ჯანიაშვილის დაკავება ამა წლის 12 მაისს განსაკუთრებული სისასტიკით განხორციელდა. მას იარაღის კონდახით თავის არეში მძიმე დაზიანებები მიაყენეს. როგორც შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის გამომძიებელი აცხადებს, დაკავებულის წინააღმდეგ მართლაც იქნა ძალა გამოყენებული, თუმცა ამას სამართალდამცავები თავისებურად ხსნიან და გამართლებას იმაში პოულობენ, რომ ჯანიაშვილმა დაკავებისას მათ წინააღმდეგობა გაუწია. საწინააღმდეგოს ამტკიცებს დაკავებულის ადვოკატი და მოწმეები, რომლებიც აცხადებენ, რომ დაკავებისას გივი ჯანიაშვილის წინააღმდეგ ძალის გამოყენება ყოვლად გაუმართლებელი იყო, რადგან იგი სამართალდამცავებს წინააღმდეგობას არ უწევდა. მის ბინაში ჩხრეკისას არ იქნა აღმოჩენილი იარაღი, შესაბამისად მისი მხრიდან შეიარაღებული წინააღმდეგობაც გამორიცხულია.

გივი ჯანიაშვილი უშიშროების თანამშრომლებმა პირველად ერთი წლის წინ ვალეს საზღვრის გადაკვეთისას დააკავეს. სამართალდამცავებმა მას დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალებების უკანონოდ შეძენის, შენახვისა და გადაზიდვის ბრალდება წაუყენეს. ადვოკატის ინფორმაციით, ჯანიაშვილს აიძულებდნენ ნარკოტიკული ნივთიერების შენახვა ეღიარებინა. გარდა ამისა, ჩხრეკის ოქმში სამართალდამცავებმა არარსებული მოწმეები შეიყვანეს.

გივი ჯანიაშვილის ადვოკატის კესო ცარციძის განცხადებით, 2005 წლის 3 მაისს 260-ე მუხლის მეორე ნაწილით, ასპინძის რაიონულმა სასამართლომ მტკიცებულებებისა და მოწმეების არარსებობის გამო, იგი გაამართლა და გაათავისუფლა.

ათი დღის შემდეგ, 12 მაისს, დღის ორის ნახევარზე 20-30 ნიღბიანი სპეცრაზმელი შეიჭრა ჯანიაშვილის ბინაში და დააკავეს. ჯანიაშვილის ადვოკატის განცხადებით, დაკავების დროს დარღვეულ იქნა არაერთი საპროცესო ნორმა. ამჯერად, გივი ჯანიაშვილს სასამართლომ სამთვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა, თუმცა დაკავებულის ადვოკატი გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

როგორც დაკავებულის მეუღლე, ნანა ჯანიაშვილი აცხადებს, მისი მეუღლე სამართალდამცავთა პირადი ინტერესების მსხვერპლია. მასზე უშიშროების დევნას შემდეგნაირად ხსნის: “გივი ჯანიაშვილის მეგობარმა სერიოზული ბიზნესი წამოიწყო. ერთხელ მას უშიშროებიდან დაურეკეს და გააფრთხილეს, შენი გატაცება იგეგმება, ფულის გამოძალვის მიზნითო. მას შემდეგ გივი თავის მეგობარს გვერდიდან არ მოშორებია. საბოლოოდ გაირკვა, რომ გატაცებას თვითონ უშიშროება გეგმავდა. აღმოჩნდა, რომ ამ გეგმის განხორციელებაში მათ ხელი გივი ჯანიაშვილმა შეუშალა. სწორედ ამ ამბის შემდეგ დაიწყო პროვოკაციები. უფრო მეტიც, გივის ფულიც მოსთხოვეს, 3000 დოლარი, ოპერაციის ჩაშლის სანაცვლოდ“.

საქმეს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი იძიებს.

* * *

**ნანა კაკაბაძე პატიმრების გათავისუფლებას ითხოვს**

***თბილისი.15.11.05.მედიანიუსი.*** არასამთავრობო ორგანიზაცია "ყოფილი პოლიტპატიმრები _ ადამიანის უფლებებისათვის" საქართველოს პარლამენტს საყოველთაო ამნისტიის პროექტზე მუშაობისკენ მოუწოდებს.

ორგანიზაციის თავმჯდომარის ნანა კაკაბაძის განცხადებით, ხელისუფლებამ აღიარა, რომ უამრავი ადამიანი ციხეში პოლიციის მიერ ხელოვნურად შექმნილი ბრალდებების გამო მოხვდა.

"თვით ხელისუფლების მაღალჩინოსნებმა აღიარეს, რომ 2004 წლის განმავლობაში ადგილი ჰქონდა როგორც დაკავებულთა წამების, ასევე მათთვის იარაღისა თუ ნარკოტიკების "ჩადების" მრავალ ფაქტს, ამის მიუხედავად, ბევრი ასეთი პირი დღესაც პატიმრობაში იმყოფება. მდგომარეობას ისიც ამძიმებს, რომ ხელისუფლება ვერ უზრუნველყოფს პატიმრებისთვის მინიმალური ადამიანური პირობების შექმნას. მოვუწოდებთ პარლამენტს, დაიწყოს მუშაობა საყოველთაო ამნისტიის პროექტზე, სადაც უპირობოდ იქნება გათვალისწინებული იმ მოქალაქეთა გათავისუფლება, რომლებიც ციხეში პოლიციის თვითნებობის გამო მოხვდნენ", _ განაცხადა ნანა კაკაბაძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

მისივე განმარტებით, ამნისტიის პროექტი არ უნდა შეეხოს იმ პატიმრებს, რომლებიც მკვლელობის ან დაყაჩაღება-ძალადობის საფუძველზე იხდიან სასჯელს

**როგორ ხვდება ჰაერში ნასროლი ტყვია კონტრაბანდისტების მკერდში**

ფინანსური პოლიცია გარდაბნის რაიონში სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას თავის უფლებამოსილებას აჭარბებს და მიზნის მისაღწევად მშვიდობიან მოსახლეობასაც კი არ ინდობს. იგი მოქმედებს პრინციპით „მიზანი ამართლებს საშუალებას." ფინანსური პოლიციის მიერ გარდაბნის რაიონში ჩატარებული სპეცოპერაციის შედეგად სამი აზერბაიჯანელი დაიჭრა, რომელთაგან ერთ-ერთის მდგომარეობა, გავრცელებული ინფორმაციით, კრიტიკულია.

საინფორმაციო საშუალებების მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, 20 იანვარს, საღამოს გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში ფინანსური პოლიციის თანამშრომლებმა აზერბაიჯანიდან შემოტანილი კონტრაბანდული ტვირთის - ელექტროტექნიკის დასაკავებლად სპეცოპერაცია ჩაატარეს.

გავრცელებული ინფორმაციით, აზერბაიჯანიდან შემოტანილი კონტრაბანდული ტვირთის მფლობელს, რომელსაც ფინანსური პოლიცია სადახლოს საკონტროლო-გამშვები პუნქტის მიმდებარე ტერიტორიაზე აედევნა და მიკროავტობუსის გაჩერება მოსთხოვა. მძღოლი ბრძანებას არ დაემორჩილა, რის გამოც პოლიციამ გახსნა ცეცხლი. მძღოლი იძულებული გახდა გადმოსულიყო მიკროავტობუსიდან და თავი სოფელ ვახტანგისს შეაფარა.

სოფელ ვახტანგისის მოსახლეობასა და ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა შორის დაპირისპირების მიზეზი მოსახლეობის მხრიდან კონტრაბანდული ტვირთის მფლობელის დაცვა და ფინანსური პოლიციისათვის მძღოლის გადაცემაზე უარი გახდა. ინციდენტის დროს, მოსახლეობამ ამ უკანასკნელებს ქვები დაუშინეს, რამაც ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან ცეცხლის გახსნა განაპირობა. ოფიციალური ინფორმაციით, სროლა ჰაერში განხორციელდა, თუმცა, „ჰაერში ნასროლმა ტყვიამ" სამი აზერბაიჯანელი ეროვნების მოქალაქე დაჭრა, რომლებიც ამჟამად საავადმყოფოში იმყოფებიან. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ერთ-ერთი დაჭრილი აზერბაიჯანელის მდგომარეობა კრიტიკულია.

ფინანსური პოლიციის წარმომადგენელმა აღნიშნულ ინციდენტზე პასუხისმგებლობა საბაჟოს დააკისრა, რომელმაც საზღვარზე არადეკლარირებული საქონელი გაატარა.

როგორც აზერბაიჯანული საინფორმაციო საშუალებები იუწყებიან, საქართველოს ელჩი აზერბაიჯანში ზურაბ გუმბერიძე ფინანსური პოლიციის მიერ განხორციელებულ ქმედებას ამართლებს და ტელეკომპანია „ატვ"-თვის (ATV) მიცემულ ინტერვიუში მან განაცხადა, რომ ფინანსური პოლიცია კონტრაბანდასთან ბრძოლას მთელი ქვეყნის მასშტაბით ახორციელებს და არა მხოლოდ ორი ქვეყნის საზღვარზე.

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი** შეშფოთებას გამოთქვამს გარდაბნის რაიონის სოფელ ვახტანგისში მომხდარი ინციდენტის გამო და გმობს ფინანსური პოლიციის თანამშრომელთა მხრიდან მშვიდობიან მოქალაქეებზე ცეცხლის გახსნის ფაქტს, რომელიც ყოვლად მიუღებელი და, პირველ რიგში, უკანონო ქმედებაა აღელვებული მოქალაქეების დასაწყნარებლად და თვლის, რომ კონტრაბანდასთან ამგვარი ხერხებით ბრძოლა გაამწვავებს ქართველებსა და აზერბაიჯანელებს შორის ურთიერთობას. ასევე ორგანიზაცია მიიჩნევს, რომ არანაკლები პასუხისმგებლობა უნდა დაეკისროს საბაჟო დეპარტამენტს, სადაც, როგორც ჩანს, კორუფცია

კვლავ მძვინვარებს და ასევე, უნდა დადგეს იმ კონკრეტული პირების პასუხისმგებლობის საკითხი, რომელთა უშუალო ხელდასმით მოხდა არადეკლარირებული ტვირთის საქართველოს ტერიტორიაზე გატარება.

* * *

**შეიარაღებული სპეცოპერაცია კაფე „ნიკალაში“ - HRIDC გმობს ხელისუფლების “მხედრიონიზაციას”**

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი შეშფოთებას გამოთქვამს საქართველოში უკანასკნელ ხანებში ანტი დემოკრატიული ტენდენციების გაძლიერების და ადამიანის უფლებათა დარღვევების ფაქტების გახშირებასთან დაკავშირებით.

ცენტრის აღშფოთება გამოიწვია 2005 წლის 16 ივნისს ქ. თბილისში, კაფე “ნიკალაში” განხორციელებულმა ოპერაციამ, რომელიც ფინანსურმა პოლიციამ შესაძლო ფინანსური დარღვევების გამოვლენის მიზნით მოაწყო.

ცენტრი აღნიშნულ ფაქტს მიიჩნევს საზოგადოების დაშინების და ტერორიზების კიდევ ერთ მცდელობად. სამწუხაროდ ხელისუფლების წარმომადგენელთა ქმედებები სულ უფრო და უფრო ემსგავსება ავადსახსენებელი “მხედრიონის” საქმიანობის მეთოდებს და უმაღლესი ხელისუფლება რეალურად არაფერს აკეთებს სიტუაციის გამოსასწორებლად. მომხდარი ფაქტი კიდევ ერთხელ მეტყველებს იმ ტენდენციაზე, რომ სახელმწიფო სტრუქტურების “მხედრიონიზაცია” უკვე შორსწასული პროცესია და საქართველოს ყოველდღიურად უახლოვდება ლათინური ამერიკის და აფრიკის სახელმწიფოების რეჟიმებს. სამწუხაროა ის ფაქტიც, რომ ტელეკომპანია “რუსთავი2”-ის, რბილად რომ ვთქვათ, გაუგებარი პოზიცია, როდესაც პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ წინასწარ მხოლოდ მათთვის ცნობილ ფაქტს, თანაც ეს აქცია მაინცდამაინც დაემთხვა 9 საათიანი საინფორმაციო გადაცემის დაწყების დროს, რითაც კიდევ ერთხელ დადასტურდა რომ ხელისუფლება ტერორის ატმოსფეროს, მოქალაქეთა და ბიზნესმენთა დაშინებას მსგავსი ქმედებებით ახორციელებს.

ადამიანთა უფლებათა ცენტრი მოითხოვს ფინანსური პოლიციის ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის საკითხის დასმას აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

* * *

**პარლამენტარი ფინანსურ პოლიციას დევნაში ადანაშაულებს**

***თბილისი.05.01.05.მედია-ნიუსი.*** პარლამენტარი ბეჟან გუნავა ფინანსური პოლიციის უფროსს დავით კეზერაშვილს დევნასა და ზეწოლაში ადანაშაულებს.

დეპუტატის თქმით, დავით კეზერაშვილი მას შემდეგ დაუპირისპირდა, რაც გაზეთ „ასავალ-დასავალში“ რამდენიმე თვის წინათ გამოქვეყნდა მისი ინტერვიუ, სადაც იგი ფინანსური პოლიციის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებზე საუბრობდა. კერძოდ კი, გუნავას ინფორმაციით, ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა იმ ფირმებს, რომლებიც ტრანზიტითა და ექსპორტით არიან დაკავებულნი, გარკვეული თანხების რაღაც ანგარიშებზე გადარიცხვა მოსთხოვეს.

„ამას შემდეგ, დამირეკა ფინანსური პოლიციის ოპერატიული სამსახურის უფროსმა და დამემუქრა. მან ახსენა კომპანიები „მეგაჩაი“ და „მეგაფლოტი“ და ეს იყო მინიშნება, რომ თუ მე არ გავჩერდებოდი, ისინი ჩემს ძმას დაიჭერდნენ. ჩემი ძმა არის დამოუკიდებელი პიროვნება და ვიცი, რომ იგი კანონსაწინააღმდეგო ქმედებას არ ჩაიდენდა,“- აღნიშნა ბეჟან გუნავამ.

თავად დავით კეზერაშვილი ბეჟან გუნავას ბრალდებებს უარყოფს.

ცნობისთვის: ფინანსურმა პოლიციამ ამ დღეებში პარლამენტარ ბეჟან გუნავას ძმის, ბიზნესმენ გოჩა გუნავას წინააღმდეგ გადასახადების დამალვისა და თანხების მითვისების ბრალდებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა და მასზე ძებნა გამოცხადდა.

**“მემარჯვენე ოპოზიციის” წევრი საპატრულო პოლიციას უკანონო ქმედებაში ადანაშაულებს**

***თბილისი.27.09.05.მედიანიუსი.*** ოპოზიციური საპარლამენტო ფრაქცია “მემარჯვენე ოპოზიციის” წევრი კოკა გუნცაძე საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს უკანონო ქმედებაში ადანაშაულებს.

როგორც დეპუტატმა „მედიანიუსს“ განუცხადა, გუშინ, საღამოს ის პატრულის თანამშრომელთა მხრიდან უცნობი მოქალაქის ფიზიკური შეურაცხყოფის ფაქტს შემთხვევით შეესწრო. მისი თქმით, შემთხვევა ე.წ. „დეზერტირების ბაზრის“ ტერიტორიაზე, საღამოს 9 საათზე მოხდა.

დეპუტატის თქმით, ის დიდუბისკენ საკუთარი მანქანით მიემართებოდა, როცა მისი ყურადღება ჩოჩქოლმა მიიპყრო. როგორც გუნცაძე აცხადებს, პატრულის ათამდე თანამშრომელი ახალგზრდა კაცს უმოწყალოდ სცემდა და დასცინოდა.

“მე ჩხუბში ჩავერთე და ახალგაზრდა კაცის მათი ხელიდან გამოხსნა ვცადე. თუმცა, ვიდრე პატრულის თანამშრომლებს პარლამენტის მოწმობა არ წარვუდგინე, მოქალაქის ცემას თავი არ დაანებეს. როცა მისი ცემის მიზეზი ვიკითხე, მიპასუხეს, რომ მოქალაქე ნასვამი იყო და მათ აგინებდა”, - ამბობს გუნცაძე.

მისივე თქმით, ამის შემდეგ მოქალაქე თვალთახედვიდან გაუჩინარდა, თუმცა ის პატრულს არ დაუკავებია. პარლამენტარის თქმით, ეს პატრულის მხრიდან უკანონო ქმედება იყო. “თუ მოქალაქე კანონს არღვევდა, მაშინ ის უნდა დაეკავებინათ და არა ეცემათ”, - განმარტავს გუნცაძე.

ამ ფაქტთან დაკავშირებით პარლამენტარი პრესკონფერენციის გამართვასა და პატრულის საქციელის დაგმობას აპირებს. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურში კოკა გუნცაძის ნაამბობთან დაკავშირებით კომენტარისგან თავს იკავებენ.

**კობა დავითაშვილი: სენაკში ფინანსურმა პოლიციის წარმომადგენლებმა მოხუცი ქალები სცემეს**

***თბილისი.16.12.05.მედიანიუსი.*** ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრი კობა დავითაშვილი პარლამენტისგან სენაკში მომხდარი ინციდენტის შესწავლას მოითხოვს.
დავითაშვილის განცხადებით, 15 დეკემბერს სენაკში ფინანსური პოლიციის წარმომადგენლებმა მოხუცი ქალები სცემეს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ამასთან დაკავშირებით აღნიშნა, რომ ამ ინციდენტის შესახებ მან დავითაშვილისგან შეიტყო. ნინო ბურჯანაძის თქმით, სენაკში მომხდარ ინციდენტს იურიდიული კომიტეტი შეისწავლის.

* * *

**იძულებითი ჩვენების გამო ფანჩულიძე დღესაც ციხეში ზის**

17 წლის გოგა ფანჩულიძის მკვლელობისათვის ბრალდებული დათო ფანჩულიძე წელიწადზე მეტია დაკავებულია. მკვლელობა 2004 წლის 21 აპრილს თერჯოლის რაიონში მოხდა. მას ბრალი ერთადერთი მოწმის ჩვენების საფუძველზე წაუყენეს, რომელმაც პოლიციის განყოფილებიდან გამოსვლის მეორე დღესვე თავი სახალხო დამცველს შეაფარა და განაცხადა, რომ ჩვენება ფიზიკური და მორალური ზეწოლის პირობებში მისცა და მკვლელობის ფაქტს არ შესწრებია: “მაიძულეს, მირტყეს პოლიციაში, იტყვი იმას, რომ დათომ მოკლა გოგა - დანა დაარტყა გულში და გაიქცაო, სინამდვილეში მე ქორწილიდან ადრე წამოვედი, საერთოდ არაფერი მინახავს”,- ამბობს მოწმე შოთა მეფარიძე.

იმ ფაქტს, რომ მოწმეზე ფიზიკური ზეწოლა მოხდა, ექსპერტიზის დასკვნაც ადასტურებს. ჩატარებული ექსპერტიზის მიხედვით, მას სხეულზე სისხლნაჟღენთები აღენიშნებოდა.

შოთა მეფარიძის ჩვენების შემდეგ ფანჩულიძე, რომელიც მანამდე მოწმის სტატუსით ფიგურირებდა საქმეში, ეჭვმიტანილი გახდა. იგი იმავე საღამოს დააკავეს.

ბრალდებულის დედა იხსენებს, რომ დათომ მესამე დღეს, როცა უკვე მისთვის ბრალი უნდა წაეყენებიათ ღამის 4 საათზე დარეკა. “ერთ ერთ პოლიციელს მიუცია ტელეფონი, გკლავენ მგონი და იქნებ ოჯახში დარეკოო. დამირეკა და მითხრა დედა ცუდად ვარ, იქნებ ადვოკატი მომაშველოო”,- ამბობს ჩვენთან საუბარში ქ-ნი იზო ფანჩულიძე.

ადვოკატმა მეორე დღესვე ბრალდებულის სამედიცინო შემოწმება მოითხოვა, რაზეც გამოძიებამ უარი უთხრა. სახალხო დამცველის ოფისის ჩართვის შემდეგ, ექსპერტიზა ჩატარდა, რის მიხედვითაც, დაკავებულს მძიმე ფიზიკური ზეწოლის კვალი აღმოაჩნდა. ყველაფერთან ერთად, თავის ტვინის დაზიანების გამო მას ეპილეფსია განუვითარდა. დაკავებული ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მიუხედავად დიდი ფიზიკური ზეწოლისა, აღიარებითი ჩვენება პოლიციამ მისგან მაინც ვერ მიიღო.

ადვოკატი დალი სულაქველიძე გამოძიების სხვა ხარვეზებზეც საუბრობს და ამბობს, რომ სამართალდამცავები მიზანმიმართულად ერთ ვერსიაზე მუშაობდნენ, რომლის თანახმადაც, დავით ფანჩულიძემ გოგა ფანჩულიძე პირადი უთანხმოების გამო გულში დაჭრა. ადვოკატის თქმით, გამოძიებამ მნიშვნელოვან გარემოებებზე თვალი გამიზნულად დახუჭა და ნამდვილი მკვლელის გამოვლენა არც უცდია. "ქორწილში 5-ჯერ მოხდა ჩხუბი, არც ერთი მოჩხუბარი პოლიციას არ დაუკითხია, გამოძიება არ დაინტერესებულა იმ მომენტით, თუ რა მოხდა ჩხუბის დროს. გიგა ფანჩულიძემ, როგორც მისი ნათესავი აცხადებს, გარდაცვალებამდე აღნიშნა, რომ გაშველების მომენტში დაიჭრა".

სამართალდამცავების მხრიდან ამ საკითხზე კომენტარის მიღება შეუძლებელი გახდა. თერჯოლის რაიონის პოლიციის უფროსი თემურ ისაკაძე თანამდებობიდან გათავისუფლებულია. მას რაიონში მომხდარი ყაჩაღობის ფაქტის დაფარვას ედავებიან. თანამდებობიდანაა გათავისუფლებული გამომძიებელი მამუკა ხითარიშვილიც. სამხარეო პროკურატურა კი რომლის ფუნქციებშიც ამ საქმის ზედამხედველობა შედის კომენტარზე კატეგორიულ უარს აცხადებს.

ის პირნი ვინც დავით ფანჩულიძის საქმის გამოძიებაში მონაწილეობას ღებულობდა თანამდებობებზე აღარ არიან, დავით ფანჩულიძე კი საბყრობილეში ჯანმრთელობაშერყეული ძლიერმოქმედი წამლებით მკურნალობს და სიმართლის დადგენას ახლა სასამართლოსგან ელის.

**პატრულის იმიჯს გიორგი მიქიაშვილის ჯანმრთელობა ეწირება**

პატრულის თანამშრომლებისათვის დაუმორჩილებლობის ბრალდებით გიორგი მიქიაშვილი 30 ოქტომბერს დააკავეს. იგი, მძიმე ფიზიკური მდგომარეობით დღეს ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში იმყოფება.

მიქიაშვილის დაკავების შემდეგ, ადგილზე ღამის 3 საათზე, შინაგან საქმეთა მინისტრი ვანო მერაბიშვილი მივიდა. მინისტრის ინფორმაციით, დაკავებულნი ლოტკინის ბანდის წევრები იყვნენ. რეალურად კი, შემთხვევის ადგილზე, მინისტრს ნაცემი 21 წლის ფეხბურთელი გიორგი მიქიაშვილი და მისი მეგობარი დავით ბარამიძე დახვდა. ის, რომ ისინი სასტიკად ნაცემები იყვნენ, გადაღებული ოპერატიული მასალიდანაც ჩანს. დაკავებიდან 9 დღეში მიქიაშვილი ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს ფსიქიატრიულ განყოფილებაში გადაიყვანეს.

"ძალიან მძიმე მდგომარეობაში იყო, საიზოლაციო ნაწილში ჩაიყვანეს. პატიმრებმა მითხრეს, რომ 12 ადამიანი აკავებდა ნემსი რომ გაეკეთებინათ. ციხის საავადმყოფოს ექიმი მეუბნებოდა, რომ ძალიან დიდ დოზებს ვაძლევდით, რომ დაეძინაო. გიორგი ახლაც სვამს წამლებს, თუმცა უკვე შედარებით უკეთეს მდგომარეობაშია", _ ამბობს გიორგი მიქიაშვილის და ქალბატონი ნინო მიქიაშვილი.

29 ოქტომბერს, გვიან ღამით, გიორგი დაბადების დღიდან ბრუნდებოდა. იგი მანქანაში ელოდებოდა მეგობრებს როცა დაინახა, რომ დავით ბარამიძეს და მის მეუღლეს პატრულის თანამშრომლები მიუახლოვდნენ. პატრულს ეჭვი გაუჩნდა, მობილური, რომლითაც  დათო საუბრობდა, მოპარული იყო. როგორც გაირკვა, მობილური ბარამიძის საკუთრება იყო. პატრულსა და ახალგაზრდებს შორის შელაპარაკება მოხდა, რაც მიქიაშვილისა და ბარამიძის დაკავებით დასრულდა. „საინტერესოა ერთი მომენტი - ვინ კითხავდა პატრულს, როდესაც ადამიანი თავის მეუღლესთან ერთად მიდის, ჰკითხოს მას _ ეს მობილური შენია თუ მოპარულიაო - ამის უფლება მათ არ აქვთ. აქედან გამომდინარე, მათი საბრალდებო სკამზე დასმა ჩემი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებაა", - ამბობს მიქიაშვილის ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი. ჯერ-ჯერობით კი საბრალდებო სკამზე მხოლოდ გიორგი და მისი მეგობარი ზის.

მიქიაშვილის განცხადებით, წინასწარი დაკავების საკანში, მას მრავალჯერადად მიაყენეს ფიზიკური შეურაცყოფა, რამდენჯერმე დაკარგა გონება. ადვოკატმა ზაზა ხატიაშვილმა შუამდგომლობა დააყენა სასამართლო ექსპერტიზის ჩატარების შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ დაკავებულს სახეზე ფიზიკური ზემოქმედების კვალი ეტყობოდა, გამოძიებამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა.

ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი აცხადებს: "გამოძიება განზრახ მალავს საქმის მასალებს, რათა ვერ მოხერხდეს ალტერნატიული სასამართლო ექსპერტიზის ჩატარება. დრო გაყავთ და გიორგის ძლიერმოქმედი წამლებით მკურნალობენ, რათა ფიზიკური ზეწოლის ნიშნები დამალონ".

ექიმ-ფსიქიატრის მარიამ ჯიშკარიანის მიერ ჩატარებული სამედიცინო გამოკვლევის შედეგად, მას მძიმე რეაქტიული ფსიქიკური მდგომარეობა, თავის ქალის დაზიანება და ტვინის შერყევა დაუდგინდა.

გამომძიებლის უარი ექსპერტიზის ჩატარების შესახებ სასამართლოში გასაჩივრდა.  მოსამართლეს საქმის განხილვა 24 საათის განმავლობაში ევალებოდა, მიუხედავად ამისა, სასამართლო პროცესი მხოლოდ მას შემდეგ

გაიმართა, რაც მიქიაშვილის ოჯახმა მოსამართლე ლევან მურუსიძის დისციპლინარული გადაცდომის შესახებ სარჩელი შეიტანა. სასამართლო ექსპერტიზა კი 3 დღის წინ დაინიშნა.

გიორგის დის ნინო მიქიაშვილის განცხადებით, გამომძიებელი გიორგი გედენიძე მასთან საუბარში აღნიშნავდა, რომ გიორგის ცემა მოხდა ციხეში. "ძალიან უნდათ რომ ისე გააჟღერონ, თითქოს, გიორგის ცემა ციხეში მოხდა. ხმამაღლა ვაცხადებ, რომ გიორგის მიმართ ციხეში არანაირი ცემის ფაქტს ადგილი არ ქონია. ციხის ჟურნალში აღნიშნულია, რომ გიორგი დაზიანებებით შევიდა იქ. ხელისუფლებას საპატრულო პოლიციის უფლებამოსილების გადაჭარბების და დანაშაულის ჩადენის ფაქტების აღიარება უჭირს. ამით მათ მიერ გავრცელებული "მითები" პატრულზე დაიმსხვრევა და "ვარდების რევოლუციას" საგრძნობი ჩრდილი მიადგება", - ამბობს ნინო მიქიაშვილი.

იმ შემთხვევაში თუ სამართალი საქართველოში ვერ იპოვა მიქიაშვილის ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში აპირებს სარჩელის შეტანას. თუკი სახელმწიფომ ვერ დაადგინა მიზეზი იმისა, თუ რა ვითარებაში მიიღო მიქიაშვილმა დაზიანებები, ევრო სასამართლო ამ ფაქტს ევროკონვენციის მესამე მუხლის დარღვევად, წამება და არაადამინურ მობყრობად ჩათვლის. ამ შემთხვევაში კი სახელმწიფოს სოლიდური ჯარიმის გადახდა მოუწევს. ეს ქვეყანას იმაზე დიდ ჩრდილს მიაყენებს, ვიდრე პატრულის დანაშაულის აღიარება.

**პოლიციას უკანონო დაკავებაში ადანაშაულებენ**

***თბილისი.16.08.05.მედიანიუსი.*** „თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის თეა თუთბერიძის განცხადებით, შიდა ქართლის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლებმა თორმეტი ადამიანი უკანონოდ დააკავეს და ადვოკატებთან შეხვედრის საშუალებას დიდი ხნის მანძილზე არ აძლევდნენ.

„ამის გამო, მე და ადვოკატებს ღამის თორმეტ საათზე მოგვიწია გორში ჩასვლა. ჩვენი ჩასვლის მომენტისთვის დაკავებულების გარკვეული რაოდენობა გაუშვეს და უკანონო პატიმრობაში მხოლოდ ორი კაცი დარჩა", _ აღნიშნა თუთბერიძემ დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე.

თუთბერიძის თქმით, სამხარეო სამმართველოს უფროსი ვლადიმერ ჯუღელი მათ უმტკიცებდა, რომ ზემოხსენებული ორი პირი საკუთარი ნებით იმყოფებოდა პოლიციის შენობაში და მათ არც ადვოკატებთან შეხვედრა მოუთხოვიათ.

„საბოლოოდ, ეს ორი პიროვნება გაუშვეს, მაგრამ ჯუღელის მითითებით ისინი ჩასხდნენ მანქანაში და იქაურობას გაეცალნენ, რათა ჩვენ არ დაგვლაპარაკებოდნენ", - განაცხადა თეა თუთბერიძემ.

**იმერეთში ადამიანის უფლებათა დარღვევის ფაქტები გამოვლინდა**

***ქუთაისი.15.04.05.მედიანიუსი.*** იმერეთის რეგიონში სახალხო დამცველის რწმუნებული გიორგი მშვენიერაძე ადგილობრივ სამართალდამცავ ორგანოებს პატიმართა უკანონო დაკავების ფაქტებსა და ადვოკატების უფლებების დარღვევაში ადანაშაულებს.

მისი თქმით, ბოლო ერთი თვის განმავლობაში ქუთაისისა და წყალტუბოს წინასწარი დაკავების საკნებში გამოვლენილია ადამიანთა უფლებების დარღვევის რვა ფაქტი.

"ამის შესახებ ჩვენ საქმის კურსში ვაყენებთ შინაგან საქმეთა სამინისტროს ომბუდსმენს შოთა ხიზანიშვილს, რომელიც დროზე რეაგირებს, მაგრამ შინაგან საქმეთა სამინისტროს პროკურატურამაც უნდა მიუთითოს, რათა აღნიშნული ხარვეზები აღმოფხვრას," - აცხადებს გიორგი მშვენიერაძე.

**პატიმარმა თითი ბრიტვით მოიჭრა**

სასჯელაღსრულების №5 საპყრობილეში მყოფმა პატიმარმა მუხრან კობახიძემ პროტესტის უკიდურეს ზომებს მიმართა და სასამართლო პროცესის წინ ბრიტვით თითი მოიჭრა. პატიმრის პროტესტი გამოიწვია მისი საქმისადმი მოსამართლის გულგრილმა დამოკიდებულებამ.

მუხრან კობახიძე მიიჩნევდა, რომ მას უსაფუძვლოდ და უკანონოდ ჰქონდა ბრალი წაყენებული. ამასთან დაკავშირებით, მან საჩივრებით მიმართა თითქმის ყველა შესაბამის სტრუქტურას.

მუხრან კობახიძე 2004 წლის 4 აგვისტოს წერეთლის გამზირზე დააკავეს და ჩაუტარეს პირადი ჩხრეკა. ჩხრეკის დროს მას აღმოაჩნდა კომპიუტერი თავის მოწყობილობით. ეს ფაქტი საკმარისი გახდა, რომ მისთვის ქურდობის

ბრალდებით წაეყენებინათ ბრალი, თუმცა თავად მუხრან კობახიძე აცხადებდა, რომ აღნიშნული კომპიუტერი მას მისცა მისმა ნაცნობმა დავით  და მამუკა მეტრევლებმა.

მიუხედავად იმისა, რომ მუხრან კობახიძე ასახელებდა პიროვნებებს, რომლებმაც მას გადასცეს კომპიუტერი, გამოძიებას არანაირი ღონისძიება არ გაუტარებია ამ პიროვნებების დასადგენად და მოსაძებნად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე გია ფურცელაძემ არ დააკმაყოფილა დაცვის მხარის მიერ წარმოდგენილი არც ერთი შუამდომლობა. ყოველგვარი საფუძვლების გარეშე მუხრან კობახიძეს მიესაჯა 5 წლითა და 6 თვით თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში მოხდით.

**პატიმარმა თვითმკვლელობა სცადა**

***ზუგდიდი.28.04.05.მედიანიუსი.*** დღეს ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში თავის ქალის მძიმე დაზიანებით გიორგი ჟვანია მიიყვანეს, რომელმაც თვითმკვლელობა სცადა.

გიორგი ჟვანია წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა და მან წინასწარი დაკავების იზოლატორში თვითმკვლელობა სცადა, რისთვისაც თავში მძიმე საგნის ჩარტყმით ჭრილობები მიიყენა.

როგორც დაზარალებულის ახლობლები აცხადებენ, ჟვანია პატიმრობაში უსამართლოდ იმყოფებოდა. იგი პოლიციამ მაშინ დააკავა, როდესაც ჩხუბის მონაწილეებს აშველებდა.

ზუგდიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოს მედპერსონალის განცხადებით, ავადმყოფის მდგომარეობა საშუალო სიმძიმისაა. მას თავის ქალაზე თხემის ძვლის მოტეხილობა აღენიშნება.
ჟვანიას ამჟამად ზუდგიდის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ოპერაცია უკეთდება.

**- წამება და არაადამიანური მოპყრობა -**

საქართველოს პოლიციის მხრიდან განხორციელებული წამებისა და ცუდად მოპყრობის ფაქტები, საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ ერთ-ერთ ყველაზე ფართოდ გაშუქებულ საკითხს წარმოადგენს და ამ პრობლემამ საქართველოს მთავრობის ყურადღებაც კი მიიპყრო. ზემოთხსენებულის მიუხედავად, მნიშვნელოვანი რისკი იმისა, რომ დაკავებისა და დაკითხვის დროს პოლიციელთა მიერ ეჭვმიტანილები ცუდად იქნებიან მოპყრობილნი, ჯერ კიდევ არსებობს. ავად მოპყრობის წინააღმდეგ ბრძოლისათვის ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს "დაუსჯელობის სინდრომი", - პოლიციელები თავს ხელშეუხებლად გრძნობენ. ისინი კვლავაც ერთმანეთის დაცვით არიან დაკავებულნი და როგორც ჩანს, ამ "დაავადების" წინააღმდეგ ეფექტური წამალი ჯერ კიდევ არ არის გამოგონებული. მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ვიცით, ამ სფეროში არსებულ მონაცემებს ბოლომდე ვერ დავეყრდნობით, წამების ფაქტების რიცხვის ყველაზე მოკრძალებულ მაჩვენებელთან შედარებით, უკიდურესად მცირე რაოდენობის გამოძიება და ბრალდება მიმდინარეობს ხელმყოფთა მიმართ. 2004 წლის განმავლობაში, ცუდად მოპყრობის 1000-ზე მეტი ფაქტი გამოვლინდა, მაგრამ ამათგან მხოლოდ 12  ფაქტზე აღიძრა სისხლის სამართლის საქმე და მარტოოდენ 6 ხელმყოფი დაისაჯა. ამასთან დაკავშირებით, სააკაშვილის მიერ თბილისის ბიზნეს ფორუმზე წარმოთქმული სიტყვა, ცოტა არ იყოს, გასაკვირია: "მე მეამაყება, რომ ამ რეგიონში ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა, სადაც ადამიანები აღარ განიცდიან ცემასა და წამებას და სადაც პოლიცია აღარ სჩადის სამართალდარღვევებს."

სხვა შესაძლო ახსნას იმისა, თუ პრაქტიკაში ასე ხშირად რატომ მიმართავენ ცუდად მოპყრობას, წარმოადგენს დაკითხვის ტექნიკის დარგში პროფესიონალური ცოდნის უკმარისობა და მტკიცებულებების შეგროვების სფეროში, გარდა ძალადობის გზით აღიარების მოპოვებისა, სხვა საშუალებებისა და ცოდნის უკმარისობა. ავად მოპყრობის წინააღმდეგ ისეთი საკანონმდებლო გარანტიები როგორიცაა, მაგალითად, პირის დაკავების შესახებ შეტყობინება, ადვოკატის მონაწილეობა სისხლის სამართლის პროცესში და სამედიცინო გამოკვლევა, როგორც წესი სინამდვილეში ძალიან იშვიათად სრულდება. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ავად დამკვიდრებული პრაქტიკის მხოლოდ კანონმდებლობის მეშვეობით დაძლევის სირთულეს.

**შემცირდა თუ არა წინასწარი დაკავების საკნებში პატიმართა ცემა?**

პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორის მონიტორინგის საბჭოს შექმნის ძირითად მიზანს წინასწარი დაკავების იზოლატორებში პოლიციის თანამშრომელთა მიერ დაკავებულთა ცემისა და წამების ფაქტებისა და უკანონო პატიმართა გამოვლენა წარმოადგენს, რასაც სახალხო დამცველის თქმით, აღნიშნული საბჭო წარმატებით ასრულებს. თუმცა ის ფაქტი, თუ რა კრიტერიუმების საფუძველზე მოხდა საბჭოს დაკომპლექტება სერიოზულ კითხვის ნიშნებსა და ეჭვებს ბადებს იმ ადამიანებში ვისაც უშუალო შეხება აქვს აღნიშნულ სფეროსთან.

2004 წლის დეკემბერში შინაგან საქმეთა სამინისტრომ და სახალხო დამცველმა ხელი მოაწერეს პოლიციის წინასწარი დაკავების იზოლატორის მონიტორინგის საბჭოს შექმნის შესახებ მემორანდუმს. მონიტორინგის საბჭოს შემადგენლობაში შევიდნენ სახალხო დამცველის აპარატის წარმომადგენლები, კონკურსის შედეგად აყვანილი სტაჟიორები და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები. კერძოდ, ოთხი ადამიანი თავისუფლების ინსტიტუტიდან და ათი ადამიანი ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციიდან არის წარმომადგენელი, ასევე რამოდენიმე ადამიანი, რომელთაც აქვთ წინასწარი დაკავების საკნებში შესვლის მანდატი. მთლიანობაში საბჭო 80 ადამიანისაგან შედგება და მათ შორის არიან ადამიანები, რომლებიც რეგიონებში განახორციელებენ მონიტორინგს.

საქართველოს სახალხო დამცველმა მონიტორინგის საბჭოს დაკომპლექტება პირადი ნდობის საფუძველზე განახორციელა. როგორც ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრთან საუბრისას სოზარ სუბარმა აღნიშნა, შერჩეულ იქნენ ის ადამიანები, რომელთაც იგი პირადად იცნობს და ენდობა. ამასთან იგი თვლის, რომ მეტი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ჩართვა მეტ კონტროლს საჭიროებს, ხოლო მას ქმედითი ბერკეტი სჭირდება.

სახალხო დამცველმა უარი განაცხადა ადვოკატებისა და ჟურნალისტების მონიტორინგის ჯგუფში მოწვევაზე იმ მოტივით, რომ ისინი თავიანთი ინტერესებისთვის გამოიყენებენ ამ ინფორმაციას. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ, თავად იყო წინა ხელისუფლების დროს არსებული მონიტორინგის ჯგუფის წევრი, მიუხედავად მისი ჟურნალისტური პროფესიისა. აღსანიშნავია აგრეთვე, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო ცენტრმა საქართველოს სახალხო დამცველს მიმართა თხოვნით ზემოთხსენებულ საბჭოში გაწევრიანებისათვის. თუმცა, აღნიშნულ წერილზე არანაირი პასუხი ცენტრს არ მიუღია სამი თვის შემდეგაც კი.

ადვოკატთა ერთი ნაწილი თვლის, რომ მონიტორინგის ჯგუფი პრეზიდენტის ინიციატივით წარდგენილი არასამთავრობო ორგანიზაციებით არის დაკომპლექტებული და მასში შევიდნენ ის პირები, ვინც ხელისუფლებასთან ასე თუ ისე ლოიალურად არიან განწყობილნი. „ჩემთვის საეჭვოა ის ფაქტი, რომ მონიტორინგის ჯგუფში არ შევიდნენ ლია მუხაშავრია, ნანა კაკაბაძე, ქართლოს ღარიბაშვილი, რომლებიც წლების განმავლობაში ებრძვიან პოლიციურ სახელმწიფოს, - აცხადებს იურისტი ზაზა ხატიაშვილი - მათ შორის ვარ მეც, რადგან 10 წლის განმალობაში ვმუშაობ ამ მიმართულებით და მთელი ჩემი ცხოვრება ვებრძვი პოლიციურ სახელმწიფოს. მაგრამ დღეს ვინც პოლიციურ სახელმწიფოს უთხრის საძირკველს ის ადამიანები პირიქით ჩვენ გვიპირისპირდებიან და პოლიციური ხანის დადგომა სურთ.”

სოზარ სუბარის განცხადებით, უკანონო დაკავებები წინასწარი დაკავების საკნებში, პატიმართა ცემისა და წამების ფაქტები საგრძნობლად შემცირდა მას შემდეგ, რაც მონიტორინგის საბჭო ამოქმედდა. თუმცა აღნიშნულ მოსაზრებას კატეგორიულად არ ეთანხმება ადვოკატი ზაზა ხატიაშვილი და აცხადებს, რომ დღეს-დღეობით წინასწარი დაკავების საკნებში ცემის ფაქტები, ნარკოტიკების ჩადების ფაქტები არნახული მასშტაბით არის გაზრდილი.

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის** აღმასრულებელი დირექტორი უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ სახალხო დამცველის მოსაზრება ცემისა და წამების ფაქტების შემცირების შესახებ ძირითადად დედაქალაქის მასშტაბით შეიძლება იყოს გამართლებული და რომ მონიტორინგის ჯგუფებს ნაკლები გავლენა აქვს ქვეყნის მასშტაბით. „რაც შეეხება რეგიონებს, ცემა-წამების ფაქტების სიმრავლე კვლავ სერიოზული შეშფოთების საგანს წარმოადგენს“,- აცხადებს იგი.

**დაკავებულთა ცემის ფაქტები გახშირდა**

**თბილისი.21.01.05.მედია-ნიუსი.** თავისუფლების ინსტიტუტი პოლიციას ადამიანის უფლებათა დარღვევებში, კერძოდ კი დაკავებულთა ცემაში და წამებაში ადანაშაულებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით თავისუფლების ინსტიტუტის წევრებმა პრესკონფერენცია გამართეს, რომელსაც ესწრებოდნენ შს სამინისტროს, სახალხო დამცველის აპარატის და გენერალური პროკურორის წარმომადგენლები.

არასამთავრობოთა ინფორმაციით, №1 საპყრობილეში 33 ადამიანია სხეულის დაზიანებით. აქედან 14 აცხადებს, თუ რა ვითარებაში და რომელი პოლიციელის მხრიდან მოხდა ზეწოლა. ქუთაისის №2 საპყრობილეში სხეულის დაზიანებით რვა ადამიანია მოთავსებული.

„თბილისში იანვრის თვეში 200-მდე დაკავებულს აღენიშნა სხეულის დაზიანება. პროკურატურას გადაგზავნილი აქვს ოქმები, თუ რა ვითარებაში მიიღეს მათ დაზიანება. ამ ფაქტთან დაკავშირებით ჯერ პროკურატურას არავინ დაუკავებია,"- განაცხადა სახალხო დამცველის მოადგილემ ბაჩო ახალაიამ.

„თავისუფლების ინსტიტუტის" წევრის თეა თუთბერიძის თქმით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ინფორმაციით, 2004 წლის დეკემბერში საპყრობილეში სხეულის დაზიანებით 21 ადამიანია შეყვანილი, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, რადგან ანალოგიური დაზიანებით მარტო №1 საპყრობილეში 92 ადამიანია მოთავსებული.

უფლებადამცველები არასწორი ინფორმაციისთვის ამ ადამიანების პასუხისგებაში მიცემას ითხოვენ.

**სახალხო დამცველის რწმუნებულებმა პოლიციის განყოფილებებში დარღვევები აღმოაჩინეს**

*თბილისი.30.01.05.მედია-ნიუსი*. ამ დღეებში სახალხო დამცველის რწმუნებულებმა დუშეთის, მცხეთის, თელავის და გურჯაანის რაიონების პოლიციის განყოფილებების მონიტორინგი ჩაატარეს. დაკავებული მხოლოდ თელავის პოლიციაში აღმოჩნდა, რომელსაც ძალადობის ნიშნები არ აღენიშნებოდა და პოლიციის მიმართ საჩივრები არ ჰქონდა.

მონიტორინგის ჯგუფის წევრები აღნიშნავენ, რომ მათ მიერ შემოწმებულ პოლიციის განყოფილებების საკნებში ყველგან გაუსაძლისი მდგომარეობაა: საკნებში ჩადის წყალი, დაბინძურებულია, არის კანალიზაციის სუნი, არ შედის მზის სინათლე და არ მიეწოდება ელექტროენერგია. ამ მხრივ ყველაზე სავალალო მდგომარეობაა მცხეთის რაიონის პოლიციის განყოფილებაში.

სახალხო დამცველის რწმუნებულებმა აღნიშნეს, რომ ყველა შემოწმებულ დაწესებულებაში საქმის წარმოების განსხვავებული პრაქტიკა არსებობს. კერძოდ, ზოგ დაწესებულებაში წინასწარ დაკავებულთა აღრიცხვის ორი ჟურნალი არსებობს.

აღსანიშნავია ასევე ის, რომ დუშეთის განყოფილება იარაღის მიმაგრების ჟურნალს არ აწარმოებს. ამასთანავე, ყველა დაწესებულებაში თანამშრომლებს არ აქვთ შესაბამისი ცოდნა იმ აქტების შესახებ, რომლებიც იარაღის მიმაგრების საკითხს აწესრიგებენ.

სახალხო დამცველის რწმუნებულთა მონიტორინგის ჯგუფის წევრების აზრით, მსგავსი დარღვევების მიზეზი ის არის, რომ პოლიციის თანამშრომლებს კანონის უზენაესობის ხელშეწყობისათვის აუცილებელი განათლება არ აქვთ და მათი საქმიანობის მომწესრიგებელ აქტებს არ იცნობენ.

**პოლიციის განყოფილებებში 137 დარღვევა აღმოაჩინეს**

*თბილისი.10.02.05.მედია-ნიუსი*. სახალხო დამცველის აპარატთან არსებულმა პოლიციაზე ზედამხედველობის საზოგადოებრივმა საბჭომ 12 იანვრიდან 9 თებერვლის ჩათვლით თბილისის მასშტაბით განხორციელებული მონიტორინგის შედეგად პოლიციის განყოფილებებში 137 დარღვევა დააფიქსირა.

აქედან ადამიანის უფლებების დარღვევის საერთო რაოდენობა 89, პროცესუალურის კი - 58.

მონიტორინგის განხორციელების პროცესში გაირკვა, რომ 28 დაკავებულს აღენიშნებოდა ფიზიკური დაზიანებები, თუმცა მათგან მხოლოდ ხუთი აცხადებდა, რომ ადგილი ჰქონდა პოლიციის მხრიდან ფიზიკურ ზეწოლას, შვიდი დაკავებულის თქმით კი, პოლიცია მასზე ფსიქოლოგიურად ზემოქმედებდა.

მონიტორინგის შედეგად გამოვლინდა, რომ უმეტეს შემთხვევაში, დაკავებულებს საკუთარ უფლებებს არ განუმარტავდნენ. ოთხს არ მიეცა ტელეფონით დარეკვის საშუალება, 14 პატიმარს კი- ეჭვმიტანილად ცნობის ასლი არ ჩაბარდა.

უფლებაშელახულთა უმრავლესობას მამაკაცები შეადგენდნენ, იყვნენ არასრულწლოვანებიც, რომელთა საქმის შესწავლაც მიმდინარეობს. მონიტორინგმა გამოავლინა დაკავებულთა სარეგისტრაციო ჟურნალის არასწორად წარმოების 56 შემთხვევა. ორკვირიანი მონიტორინგის მანძილზე ვიზიტების რაოდენობამ 179 შეადგინა და საშუალოდ დღეში პოლიციის შვიდი განყოფილების შემოწმება ხდებოდა.

* * *

**წამება - შეჩვეულს ნუ გადააჩვევ და შეუჩვეველს ნუ შეაჩვევო?!**

პოლიციის რეფორმა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ სადავეების ხელში აღებისთანავე წამოიწყო ჯერ კიდევ ვერ აღწევს სასურველ შედეგს. პოლიციელები ვერ ელევიან ჩვეული პრაქტიკის დათმობას და სასურველი აღიარების მისაღებად „აპრობირებულ“ მეთოდს - წამებას ისევ აქტიურად იყენებენ. ადამიანის უფლებებს ისევ და ისევ სამართალდამცველები არღვევენ და თანაც საკმაოდ ხშირად. 2004 წლის 15 დეკემბერს დაკავებული ფრიდონ გურაშვილი და გელა კიკილაშვილი სიღნაღის რაიონის პოლიციის განყოფილებაში სასტიკად სცემეს, რათა მათგან სასურველი აღიარება მოეპოვებინათ.

2004 წლის 15 დეკემბერს სიღნაღის რაიონის პოლიციამ მკვლელობის ბრალდებით ფრიდონ გურაშვილი და გელა კიკილაშვილი დააკავა. აღნიშნული პირები პოლიციის განყოფილებაში მიიყვანეს, სადაც მათ პოლიციელებმა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენეს. როგორც მათი ადვოკატი - ზაზა ხატიაშვილი აცხადებს, აღნიშნული პირები უკანონოდ იქნენ დაკავებულები, რასაც დაემატა მათი წამება: „პოლიციელებმა ისინი ფანჯარაზე მიაბეს, ცემეს და აიძულებდნენ ეღიარებინათ ნასყიდა ალავერდაშვილის მკვლელობა“,- აცხადებს ხატიაშვილი და ამატებს, რომ ამ საქმეში აგრეთვე აქტიურად იყვნენ ჩართული სიღნაღის რაიონის პოლიციის უფროსი, კრიმინალური პოლიციის ყოფილი უფროსი და სისხლის სამართლის სამმებრო ქვეგანყოფილების უფროსი. დაზარალებულების გათავისუფლება მოხერხდა მოგვიანებით მედიისა და სიღნაღის პროკურორის ჩარევით.

ფრიდონ გურაშვილზე და გელა კიკილაშვილზე კი იმის გამო რომ ისინი დაუპირისპირდნენ პოლიციის უფროსს, ამოიცნეს მოძალადე პოლიციელები და საჩივარიც შეიტანეს სასამართლოში, მიმდინარეობს განუწყვეტელი ზეწოლა, რომელსაც პოლიცია კრიმინალური ელემენტების მეშვეობით ახორციელებს. სწორედ ისინი დაესხნენ თავს გელა კიკილაშვილს და სასტიკად სცემეს. მათი მოთხოვნა იყო, რომ კიკილაშვილს გამოეტანა საჩივარი და შეეწყვიტა საქმე პოლიციის უფროსისა და სხვა მოძალადეების მიმართ. როგორც ადვოკატი აცხადებს, ეს იყო მეორე თავდასხმა მათზე: „პირველი თავდასხმისას იგი არ უცემიათ მაგრამ მოთხოვნა იგივე იყო“. თავდასხმის შემდეგ გელა კიკილაშვილს არავინ დახმარებია და არც ექსპერტიზა, ჩაუტარებიათ რადგან, როგორც ადვოკატი აცხადებს, კიკილაშვილი შიშის ქვეშ იმყოფება. „საერთოდ ყველას ძალიან ეშინია პოლიციის უფროსის - ხოხონიშვილის. ბიჭები იმის შიშით რომ ნარკოტიკი არ ჩაუგდონ ჯიბეამოკერილები დადიან და ხალხს გარეთ გამოსვლის ეშინია“, – აცხადებს ზაზა ხატიაშვილი.

პოლიციის რეფორმა, რომელიც ახალმა ხელისუფლებამ სადავეების ხელში აღებისთანავე წამოიწყო ჯერ კიდევ ვერ აღწევს სასურველ შედეგს. ადამიანის უფლებები სწორედ ისევ და ისევ სამართალდამცველების მიერ ირღვევა და თანაც საკმაოდ ხშირად. დღესდღეობით ამ პოლიციელების მიმართ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და როგორც საოლქო პროკურორის მოადგილე თავის წერილში წერს „უახლოეს ხანში ისინი მიცემულ იქნებიან პასუხისგებაში ხსენებული დანაშაულის ჩადენისათვის“. თუმცა, პოლიციის უფროსი ხოხონიშვილი და სხვა პირები, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულში არიან ეჭვმიტანილნი კვლავ ინარჩუნებენ თანამდებობებს.

**ახალი ხელისუფლების ძველი მანკიერებანი**

2004 წლის 13 მაისს დილის 9 საათზე სამართალდამცავებმა იარაღის უკანონო ტარების ბრალდებით მოქალაქე დავით მინდაძე დააკავეს. მოგვიანებით, ბრალდება შეიცვალა და პროკურატურაში მის მიმართ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე მკვლელობის ფაქტზე და ბრალდების სახით წაუყენეს პარლამენტარ კახა გიუაშვილის განზრახ მკვლელობის მცდელობა, რომელიც თითქოს სააქციო საზოგადოება „ინტელექტბანკი-ს“ ბათუმის ფილიალის მმართველმა მიხეილ ნემსიწვერიძემ და მისმა ძმამ, ვალერი ნემსიწვერიძემ შეუკვეთეს. შედეგად, იმავე საღამოს დაკავებულ იქნენ ძმები ნემსიწვერიძეებიც.

დათო მინდაძის დანაშაულის აღიარება და ჩვენების ჩამორთმევა საეჭვო ვითარებაში მოხდა. კერძოდ, აღიარებითი ჩვენება დაწერილია არა დაკავებულის, არამედ გამომძიებელი პეტრე ბალახაშვილის მიერ, რასაც თვითონაც არ უარყოფს, რადგან მისი თქმით, დაკავებული ცუდად იყო და მას მოსასულიერებლად წყალს ასხამდნენ. დათო მინდაძეს უარი უთხრეს ნათესავებთან დაკავშირებაზე და არც ადვოკატი მოაყვანინეს.

პატიმრის ნახვის საშუალება მისმა ნათესავებმა მხოლოდ ორი კვირის შემდეგ მოახერხეს. ქეთინო მეშველიანის თქმით, №7 საპყრობილეში მეუღლესთან შეხვედრისას ეს უკანასკნელი გამოუტყდა, რომ მის მიმართ წამებასა და სასტიკ, არაადამიანურ მოპყრობას ჰქონდა ადგილი, რის შედეგადაც პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა. სამართალდამცავთა მხრიდან პატიმარზე ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლა მისი დაკავების დღიდან ხდებოდა. დაკავებისას პოლიციელმა მძიმე ნივთი ჩაარტყა, რის შედეგადაც მან გონება დაკარგა. როგორც თვითონ დაზარალებულმა განაცხადა, პროკურატურაში მას აიძულებდნენ ემხილა ძმები ნემსიწვერიძეები და ეღიარებინა დანაშაული. აღიარებითი ჩვენების მოპოვების მიზნით პოლიციამ იგი

სხვადასხვა მეთოდით აწამა, მათ შორის ადგილი ჰქონდა მის მიმართ ელექტრო დენის გამოყენებას. ამავე დროს მასზე ფსიქოლოგიურ ზეწოლას აწარმოებდნენ მისი ოჯახის წევრებზე ანგარიშწორების გზით.

ადვოკატის შუამდგომლობა სამედიცინო ექსპერტიზის ჩატარების თაობაზე გამოძიებამ მართალია დააკმაყოფილა, მაგრამ საფუძვლიანი სამედიცინო შემოწმების ნაცვლად პატიმარს მხოლოდ რენდგენი გადაუღეს და ისიც 3 თვის შემდეგ.

მიუხედავად ადვოკატის შუამდგომლობისა პატიმარს სახელმწიფო სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა არ ჩაუტარდა, რის შემდეგაც დათო მინდაძის მეუღლემ 2004 წლის სექტემბერს მიმართა წამების, ძალადობისა და გამოხატული სტრესული ზემოქმედების მსხვერპლთა ფსიქო-რეაბილიტაციის ცენტრ „ემპათიას," რომელმაც იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის წარმომადგენელთაგან სამედიცინო შემოწმების ნებართვის აღების შემდეგ ექსპერტიზა ჩაატარა. ჩატარებულის სრული სამედიცინო გამოკვლევების შემდეგ ცენტრმა დაადასტურა პატიმრის მიმართ წამებისა და ღირსების შემლახავი მოპყრობის ფაქტი.

გაეროს კომისარმა საქართველოში ვიზიტის დროს მოინახულა სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები და გაეცნო პატიმართა მდგომარეობას. მონიტორინგის შედეგად მან ამოიწერა ნაწამებ პატიმართა სია, რომელთა შორის დათო მინდაძეც იყო. კომისარის განცხადებით, ის აპირებს ამა წლის აპრილში განსახილველად გაიტანოს გაეროს საკომისიო მოსმენაზე წამების შედეგად დაზარალებულ პატიმართა სია.

როდესაც დათო მინდაძემ შეცვალა აღიარებითი ჩვენება და ახალ ჩვენებაში განაცხადა, რომ დანაშაული სამართალდამცავთა მხრიდან ფიზიკური და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ აღიარა და გამორიცხა როგორც მისი, ისე ნემსიწვერიძეების მონაწილეობა დანაშაულის ჩადენაში. პატიმრის მეუღლის, ქეთინო მეშველიანის თქმით, მას დაუკავშირდნენ პროკურატურის უფროსი გამომძიებელი პ. ბალახაშვილი და პარლამენტარ კახა გიუაშვილის ადვოკატი ინგა არახამია იმ წინადადებით, რომ მისი მეუღლე დაბრუნებოდა თავის პირვანდელ ჩვენებას, სადაც ძმები ნემსიწვერიძეები დანაშაულის შემკვეთებად არიან წარმოდგენილნი, რის სანაცვლოდაც მას სოლიდური თანხა შესთავაზეს.

აღნიშნული ბანკის ერთ-ერთ დამფუძნებელს, პარლამენტარ კახა გიუაშვილსა და მიხეილ და ვალერი ნემსიწვერიძეებს რამოდენიმე წლის განმავლობაში საქმიანი ურთიერთობა აკავშირებდათ. ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, როდესაც სათაო ბანკის შიდა აუდიტის ჩატარების შედეგად გამოვლენილი ზარალის ანაზღაურება პარლამენტარმა ნემსიწვერიძეებს დააკისრა.

ამის შემდგომ პატიმრის მეუღლემ, ქეთინო მეშველიანმა გენერალური პროკურატურის გენერალურ ინსპექციაში შეიტანა განცხადება, რომელსაც თან ერთვოდა ექსპერტიზის დასკვნა და მოკვლევის შედეგად გენერალურ პროკურატურაში გამოიტანეს სისხლის სამართლის არ აღძვრის შესახებ გადაწყვეტილება. საბოლოოდ უზენაესმა სასამართლომ გამოიტანა განჩინება სისხლის სამართლის აღძვრის შესახებ და 2005 წლის 24 თებერვალს გენერალურ ინსპექციაში დავით მინდაძის წამებაში ეჭვმიტანილი პოლიციელების - დავით კეკუას, ჩიხრაძესა და დვალიშვილის წინააღმდეგ აღიძრა სისხლის სამართლის საქმე. ამჟამად მიმდინარეობს გამოძიება.

როგორ წარიმართება გამოძიება და რისი იმედი შეიძლება ჰქონდეს საზოგადოებას იმიჯშელახული პოლიციისაგან? მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლებაში მოვიდა ახალი მთავრობა, რომელმაც ყველა უწყებაში ფართომასშტაბიანი რეფორმები დაიწყო, რომლის მიზანი დემოკრატიული სახემწიფოს მშენებლობა, საზოგადოების განვითარების, უსაფრთხოების გაძლიერება, ადამიანის უფლებების დაცვა და მოსახლეობის კეთილდღეობაზე ზრუნვა წარმოადგენს, წელიწადნახევრის მმართველობის შემდეგ ადამიანის უფლებების საკითხში მდგომარეობის გაუმჯობესების მხრივ სახარბიელო წინსვლა არ შეიმჩნევა. სამწუხაროდ, პოსტრევოლუციური ხელისუფლება კვლავ აქტიურად იყენებს გამოძიების ყოვლად მიუღებელ, საბჭოურ მეთოდებს, რის შედეგადაც ადამიანები უსამართლობის, უკანონობის მსხვერპლნი ხდებიან.

**პატიმარი პოლიციას წამებაში ადანაშაულებს**

***თბილისი.11.04.05. მედიანიუსი.*** 8 აპრილს თბილისის #1 საპყრობილედან გურჯაანის პოლიციის განყოფილებაში მოწმის სახით დაკითხვის მიზნით გადაიყვანეს მსჯავრდებული ელდარ ქონენიშვილი, რომელიც იქ, არასამთავრობო ორგანიზაცამ "ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისათვის" ინფორმაციით, სასტიკად აწამეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით "ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის" თავმჯდომარემ ნანა კაკაბაძემ 11 აპრილს გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, რომ ქონენიშვილის მიმართ გამოიყენებოდა წამების სხვადასხვა ფორმები: იარაღის ტარით თავში ცემა, სკამის მომტვრეული ფეხით მთელ სხეულზე ცემა, ჩაქოლვის მუქარა და ა.შ.

ნანა კაკაბაძის თქმით, მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ფაქტი ეცნობა გენერალურ პროკურატურას, დღემდე არ ჩატარებულა ნაწამები პატიმრის ექსპერტიზა. ნაწამები ელდარ ქონენიშვილი აცხადებს, რომ სახეზე ცნობს მის ყველა მწამებელს და მათ შორის #1 საპყრობილის ყოფილი დირექტორის ჯიმშერ ბაწაშვილის შვილს, პოლიციელ გელა ბაწაშვილს ასახელებს.

„ყოფილი პოლიტპატიმრები - ადამიანის უფლებებისათვის“ მოითხოვს, აღიძრას სისხლის სამართლის საქმე და ყველა პოლიციელი პატიმრის წამებისათვის დაისაჯოს.

**სახალხო დამცველი პროკურატურას დაკავებულის ცემის ფაქტზე რეაგირებას სთხოვს**

***თბილისი.19.05.05. მედიანიუსი***. სახალხო დამცველს სოზარ სუბარს წერილობით მიმართა ბადრი სვანიშვილის ადვოკატმა, ვლადიმერ ლაცაბიძემ და დახმარება სთხოვა. ადვოკატის განცხადებით, მისი დაცვის ქვეშ მყოფს მკვლელობის აღიარებას აიძულებდნენ და ამ მიზნით თბილისის გლდანი-ნაძალადევის პოლიციაში სასტიკად სცემეს.

ბადრი სვანიშვილი ამჟამად თბილისის №1 საპყრობილეშია მოთავსებული. სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს თანამშრომლებმა შეისწავლეს მისი სამედიცინო ცნობა, რომლის თანახმადაც, სვანიშვილს დაკავებისას აღენიშნებოდა დაზიანებები თავის არეში - ნახეთქი ჭრილობა საფეთქელთან, მარჯვენა ყურის ნიჟარის ზედა ნაწილის დაზიანება, ჩამომტვრეული ჰქონდა ზედა მარჯვენა პირველი კბილი. სვანიშვილის განცხადებით, ფიზიკური შეურაცხყოფა მას პოლიციაში მიაყენეს.

გლდანი-ნაძალადევის პოლიციის IX განყოფილების უფროსმა ფრიდონ მირიანაშვილმა, მისმა მოადგილემ გიორგი ცომაიამ და გამომძიებელმა ბიძინა ბერიძემ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მიერ ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებში უარყვეს დაკავებულზე რაიმე სახის ზემოქმედება და აღნიშნეს, რომ სვანიშვილი მათ ჩხუბის დროს დააკავეს და დაზიანებებიც იმ ჩხუბში იყო მიღებული.

ვინაიდან, ჩამორთმეულ ახსნა-განმარტებებს შორის არის განსხვავება, სახალხო დამცველის აპარატმა მოკვლეული მასალები შემდგომი რეაგირებისათვის გენერალურ პროკურატურას გადაუგზავნა.

**ეჭვმიტანილების ცემის გამო სამი პოლიციელის მიმართ საქმე აღიძრა**

***თბილისი. 14 სექტემბერი. "ჯი-ეიჩ-ენი".*** ოზურგეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს ქვეგანაყოფის უფროსის ელგუჯა თოდუასა და თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის შინაგან საქმეთა სამმართველოს თანამშრომლების მიმართ პროკურატურამ პატიმართა წამების ფაქტებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღძრა. თოდუა დაკავებულია, ხოლო თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის თანამშრომლები, გიორგი ხონელიძე და ლაშა ბუკური, იძებნებიან.

დღეს თბილისის პროკურორ გიორგი ღვინიაშვილთან ერთად გამართულ პრესკონფერენციაზე გენერალური პროკურატურის ადამიანის უფლებათა დაცვის სამმართველოს უფროსმა თამარ თომაშვილმა აღნიშნა, რომ თოდუა არასრულწლოვანი ეჭვმიტანილის, რაჟდენ ბრეგვაძეს ცემის ფაქტზე აღძრულ საქმესთან დაკავშირებით დააკავეს.

ხონელიძე და ბუკური ოთხი ეჭვმიტანილის სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის გამო იძებნებიან.

გიორგი ღვინიაშვილის განცხადებით, ბოლო პერიოდში სამართალდამცავების მიერ ცემისა და წამების ფაქტები შემცირებულია, თუმცა პატიმართა უფლებების დარღვევის ცალკეული შემთხვევები მაინც გამოვლინდა.

**- სასჯელაღსრულებითი დაწესებულებანი -**

დაბალი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნებში, ჩვეულებრივ, უზარმაზარი პრობლემებია დაკავშირებული სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ცხოვრების პირობებთან. რაღათქმა უნდა, საქართველო არ წარმოადგენს გამონაკლისს. ასეთი დაწესებულებებისათვის დამახასიათებელ გადატვირთვას, ავადმყოფობებს, ძალადობას, გამოძალვის ფაქტებს, უსამართლობას, ციხის ადმინისტრაციის გულგრილ დამოკიდებულებას და ცუდ სამედიცინო დახმარებას ციხესა და სასჯელაღსრულების სხვა დაწესებულებებში შექმნილ საშინელ ატმოსფერომდე მივყავართ. გავრცელებული შეხედულების თანახმად, პატიმართა კეთილდღეობა არ წარმოადგენს ერთ-ერთ პრიორიტეტს, რადგანაც სხვა საკითხებიც, რომელნიც ზრუნვას მოითხოვს, საკმარისად არის. ნათელია, რომ ამ პატიმრებმა, პრინციპში,საზოგადოებისათვის არასასურველი ქმედებები ჩაიდინეს,

მაგრამ, მიუხედავად ამისა, ისინი ადამიანებად რჩებიან და ღირსეულ მოპყრობას იმსახურებენ. ამ ხალხის, ერთი ხელის მოსმით, საშინელ და მორალურად გამხრწნელ პირობებში გამოკეტვა აფერხებს მათ "ნორმალურ" ცხოვრებაში დაბრუნებას.

* * *

**საქართველოს ციხეებში მდგომარეობა საგანგაშოა**

*თბილისი.21.04.05.მედიანიუსი*. სახალხო დამცველი სოზარ სუბარი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლებას ითხოვს.

როგორც მან პარლამენტში ყოველწლიური მოხსენებით გამოსვლისას განაცხადა, საპყრობილეებში უმძიმესი მდგომარეობაა, რაზეც პასუხისმგებლობა სწორედ კოპაძეს ეკისრება.

სახალხო დამცველის თქმით, ციხეებში ისევ არსებობს ე.წ. ქურდების საკნები და კვლავ გროვდება ე.წ. ობშიაკის თანხები.

სოზარ სუბარი მოითხოვს აგრეთვე №1 საპყრობილის ხელმძღვანელის გელა კიკილაშვილის თანამდებობიდან გათავისუფლებასაც, რომელმაც, მისი თქმით, შარშან სამი პატიმარი თავად სცემა.

სუბარის თქმით, თითოეული პატიმრის კვებაზე ყოველთვიურად 23 ლარი იყო გამოყოფილი, რაც 6 ათას პატიმარზე იყო გაანგარიშებული. თუმცა იმის გამო, რომ პატიმრები ბევრად მეტია, რეალურად კვების თანხა პატიმარზე 15 ლარს შეადგენს. მათი მკურნალობისთვის კი სახელმწიფო მხოლოდ 1 ლარს ხარჯავს.

კვლავ მძიმე მდგომარეობაა დაკავებულთა ცემის თვალსაზრისით. შარშან 2700 დაკავებულიდან 1100-ს სხეულის დაზიანება აღმოაჩნდა. ასეთ ფაქტებზე კი პროკურატურა არ რეაგირებს. პატიმართა სხეულის დაზიანების მიზეზად კი კიბიდან დაგორება ან კედელზე შეჯახება სახელდება.

სახალხო დამცველი ჯარში არსებულ ვითარებასაც შეეხო. მართალია, დაფინანსების მკვეთრად გაზრდის პირობებში ჯარისკაცთა საყოფაცხოვრებო პირობები გაუმჯობესდა, მაგრამ დარჩა პრობლემები, რომელიც ჯარისკაცებსა და მათ ხელმძღვანელობას შორის ურთიერთობაში წარმოიქმნება; ადგილი აქვს ე.წ. დედოვშინისა და კუთხური ნიშნით დაპირისპირების ფაქტებს.

**წელს ციხეში 18 პატიმარი გარდაიცვალა**

*თბილისი.07.09.05.მედიანიუსი.* იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემებით, დეპარტამენტის წარდგინებით მძიმე ავადმყოფობის გამო წელს, ექვს თვეში პატიმრობიდან ორი პატიმარი გათავისუფლდა.

პატიმართა გარდაცვალების სტატისტიკა კი ასეთია: 2003 წელს ავადმყოფობის შედეგად 39 პატიმარი გარდაიცვალა, 2005 წლის 6 თვეში ამავე მიზეზით -15 პატიმარი.

სასიკვდილო ზემოქმედების შედეგად 2003 წელს გარდაიცვალა 13 პატიმარი, 2005 წლის 8 თვეში კი - 3 პატიმარი.

**ბათუმის საპყრობილეში პატიმართა რიცხვი დადგენილ ნორმას ორჯერ აღემატება**

*თბილისი.26.06.05.მედიანიუსი*. საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებების დაცვის კომიტეტების წევრებმა ბათუმის №3 საპყრობილე მოინახულეს. იქ შექმნილ ვითარებას ისინი საგანგაშოს უწოდებენ.

საპყრობილეში არსებულ მდგომარეობას პარლამენტარებთან ერთად გაეცნენ აჭარის უზენაესი საბჭოს დეპუტატები და აშშ ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის წარმომადგენლები.

ბათუმის №3 საპყრობილე 220 პატიმარზეა გაანგარიშებული, თუმცა მათი რაოდენობა ამ მაჩვენებელს თითქმის ორჯერ აღემატება; 12-ადგილიან საკანში 37 პატიმარი ცხოვრობს და მათ ძილი მორიგეობით უწევთ. ამასთან, ტუბურკულოზით და "ცე" ჰეპატიტით დაავადებული პატიმრები სასჯელს სხვა, ჯანმრთელ ტუსაღებთან ერთად იხდიან.

პატიმრებმა ხელისუფლების წარმომადგენლებთან პრეტენზია გამოთქვეს ციხეში არსებულ პირობებსა და სასამართლოს მიმართ. მათი თქმით, რამდენიმე ბრალდებული სასამართლოს გადაწყვეტილებას უკვე ათი თვეა ელოდება.

საპყრობილეში შექმნილ ვითარებასთან დაკავშირებით პარლამენტის ორივე კომიტეტი შუახევში გასვლით სხდომას ჩაატარებს.

* * *

**ვინ არის პასუხისმგებელი პატიმრის გარდაცვალებაზე?**

ქრონიკულად დაავადებული პატიმრის, ფირუზ ჯაჭვლიანის გარდაცვალების პასუხისმგებლობას მისი ადვოკატი კესო ცარციძე სასჯელაღსრულებით სამედიცინო დაწესებულებას აკისრებს. იგი აცხადებს, რომ სათანადო სამედიცინო დახმარების გაწევის შემთხვევაში, პატიმარი გადარჩებოდა. მიუხედავად ადვოკატების არა ერთი მოთხოვნისა და სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის დასკვნისა, ფირუზ ჯაჭვლიანს აღმკვეთი ღონისძიება არ შეეცვალა შინა პატიმრობით. შედეგად, ადვოკატები იძულებულნი გახდნენ მოეთხოვათ ალტერნატიული ექპერტიზის დანიშვნა და მიმართეს ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილს, რომლის დასკვნის შემდეგ მოხდა პატიმრის სტაციონარში გადაყვანა, რაც ორი თვის დაგვიანებით განხორციელდა და ექიმებმა ვეღარ შეძლეს ფირუზ ჯაჭვლიანის გადარჩენა.

დღეს-დღეობით საქართველოს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში ჯანმრთელ პატიმრებთან ერთად სასჯელს იხდიან მძიმე ქრონიკული დაავადებების მქონე პატიმრები, რომლებიც სერიოზულ სამედიცინო ჩარევას საჭიროებენ და ხშირ შემთხვევაში სტაციონალურ მკურნალობას. თუმცა, გაურკვეველი მიზეზების გამო, ასეთი ადამიანების მკურნალობა შესაბამის სამედიცინო დაწესებულებებში არ ხდება. შედეგად, ავადმყოფი პატიმრების ჯანმრთელობის მდგომარეობა საგანგაშო ხასიათს იძენს როგორც თავად ავადმყოფისთვის ასევე დანარჩენი, მის გარშემო მყოფი პატიმრებისთვის. მსგავსი მძიმე დაავადების მქონე ავადმყოფთა რიცხვს მიეკუთვნებოდა პატიმარი ფირუზ ჯაჭვლიანი, რომელიც 13 მაისს გარდაიცვალა.

ფირუზ ჯაჭვლიანს, რომელიც ქურდობის მუხლით იხდიდა სასჯელს, დაკავებამდე მძიმე სნეულებები ჰქონდა, მათ შორის ქრონიკული დაავადებით - ღვიძლის ცეროზით იყო დაავადებული და ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყო მოთავსებული. თუმცა, მსგავსი მძიმე დაავადებების მქონე ადამიანებისთვის სათანადო მედიკამენტებისა დეფიციტის და მკურნალობის გაუწევლობის შედეგად ფირუზ ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა.

მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზის სამსახურის მიერ ჩატარებულ 25 თებერვლის სამედიცინო დასკვნაში ცალსახად იყო აღნიშნული, რომ ავადმყოფის მდგომარეობა მძიმე იყო და ის საჭიროებდა სტაციონალურ მკურნალობას ჰეპატოლოგიური პროფილის სამკურნალო დაწესებულებაში და ხანგრძლივი ამბოლატორიულ მეთვალყურეობას, მისი ინფექციური საავადმყოფოში გადაყვანა არ მოხდა. არც სასამართლომ დააკმაყოფილა ფირუზ ჯაჭვლიანის ადვოკატების მიმართვა აღმკვეთი ღონისძიების შინა პატიმრობით შეცვლის თაობაზე.

როდესაც ფირუზ ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესდა, ადვოკატებმა მიმართეს იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტს და დამატებით გამოითხოვეს პატიმრის იმჟამინდელი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა, რის შემდეგაც დაუკავშირდნენ მაია ნიკოლეიშვილს, რომლის სამედიცინო დასკვნის საფუძველზე სამ დღეში მოხდა ფირუზ ჯაჭვლიანის შიდაპატიმრობით გამოშვება.

აღნიშნული დასკვნის შემდეგ, ფირუზ ჯაჭვლიანის ადვოკატებმა იმ დღესვე შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს და იგი მესამე დღეს, 29 აპრილს გადაყვანილ იქნა ინფექციურ საავადმყოფოში, თუმცა მისი სიცოცხლის გადარჩენა ვეღარ მოხერხდა და ის 13 მაისს გარდაიცვალა.

ექსპერტ მაია ნიკოლეიშვილის მიერ ფირუზ ჯაჭვლიანის სამედიცინო შემოწმების შემდეგ 21 აპრილს გამოქვეყნებულ დასკვნაში წერია, რომ „ავადმყოფი დაავადებულია მძიმე ქრონიკული დაავადებით ღვიძლის ციროზით. ღვიძლის ციროზისა და ქრონიკული ვირუსული ჰეპატიტი B-სგან პატიმრის საბოლოო განკურნება შეუძლებელია. ამჟამად ფირუზ ჯაჭვლიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მძიმეა, საგანგაშოა და სასწრაფო და გადაუდებელი ადეკვატური და სრულმასშტაბიანი მკურნალობის გარეშე მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება.“

ფირუზ ჯაჭვლიანის ერთ-ერთი ადვოკატი კესო ცარციძე მისი დაცვის ქვეშ მყოფი პატიმრის გარდაცვალებაზე პასუხისმგებლობას სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტს აკისრებს და აცხადებს, რომ თავის დროზე შესაბამისი აუცილებელი სტაციონარული მკურნალობის გაწევისას პატიმარი გადარჩებოდა. „ფირუზ

ჯაჭვლიანის გარდაცვალება არის სასჯელაღსრულების სამედიცინო დეპარტამენტის დაუდევრობის შედეგი“,- აცხადებს ადვოკატი.

**ავადმყოფი პატიმრები ციხეში რჩებიან**

ბოლო ერთი თვის განმავლობაში ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში ე.წ. მფრინავი მენინგიტით ორი პატიმარი გარდაიცვალა. ამ ფაქტის გამო, სასჯელაღსრულების მონიტორინგის საბჭო იუსტიციის მინისტრს, კოტე კემულარიას უმოქმედობაში, ხოლო მის უწყებას კორუფციულ გარიგებებში ადანაშაულებს.

ამ საკითხთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი გაესაუბრა სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველოს უფროსს ბ-ნ გოგა ონიანს, რომელმაც განაცხადა, რომ ასეთ სერიოზულ მოვლენასთან დაკავშირებით, იუსტიციის მინისტრს დაუსაბუთებელი კომენტარები არ უნდა გაეკეთებინა.

პირველი გარდაცვლილი აღმოჩნდა შათირიშვილი, რასაც ცოტა ხანში მოყვა მეორე პატიმრის დაღუპვა. ამას დაემატა ფსიქიკურად ავადმყოფი პატიმრის, ცანავას მიერ თავისი მკურნალი ექიმისა და ციხის რესპუბლიკური საავადმყოფოს დირექტორის ცემა. გავრცელებული ინფორმაციის საფუძველზე, იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექციის უფროსის ბ-ნი ფანცხავასა და დეპარტამენტის ხელმძღვანელის შოთა კოპაძის ხელშეწყობით, რესპუბლიკურ სააავადმყოფოში მყოფი 55 პატიმარი გადაყვანილ იქნა სხვადასხვა კოლონიაში.

გოგა ონიანს დაუკავშირდა გულის მანკით დაავადებული არასრულწლოვანი პატიმრის - იაშვილის მშობელი, რომელიც ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იყო მოთავსებული და მოხვდა სხვადასხვა კოლონიაში გადანაწილებულ 55 პატიმარ შორის. იაშვილის მშობელის განცხადების საფუძველზე, სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ახსნა-განმარტებები ჩამოართვეს ციხის დირექტორს ბ-ნ დათო ასათიანს და იუსტიციის სამინისტროს სამედიცინო დეპარტამენტის უფროსს ბ-ნ რამაზ ღულაძეს. მათ განაცხადეს, რომ არავის საქმის კურსში ეს ადამიანები არ ჩაუყენებია და არავის აუღია ნებართვა შეიძლებოდა თუ არა ამ პატიმრების გაყვანა ციხის რესპუბლიკური საავადმყოფიდან და რომ ეს ღონისძიება ჩაატარა გენერალურმა ინსპექციამ შოთა კოპაძის დახმარებით. იმავე დღეს რამაზ ღულაძემ პრესისთვის განცხადება გააკეთა, რომ მან ნამდვილად არაფერი იცოდა ამ ღონისძიების შესახებ, არ გაუცია თანხმობა ამ 55 პატიმრის გადაყვანის თაობაზე. სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლების მხრიდანაც გაკეთდა კომენტარი. ყოველივე ამის ფონზე იმ დღეს 34 ადამიანი იქნა დაბრუნებული ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში, შემდეგ კიდევ 11. სწორედ ამას მოჰყვა დაპირისპირებები და მინისტრის მხრიდან გაუგებარი განცხადებები. სახალხო დამცველის აპარატის მართლმსაჯულების სამმართველომ მოითხოვა გენერალური ინსპექციის უფროსის ირაკლი ფანცხავას და შოთა კოპაძის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება, უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით. „არც ერთ მათგანს არ ყოფნიდა სამედიცინო განათლება იმისთვის, რომ შესულიყვნენ ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში და ყოველგვარი დასკვნის გარეშე მოეთხოვათ ამა თუ იმ პატიმრის გადაყვანა სხვა კოლონიაში“ - განაცხადა ბ-ნმა გოგა ონიანმა.

რამაზ ღულაძემ სახალხო დამცველს სთხოვა, რომ შექმნილიყო ახალი კომისია, რომელიც თავიდან შეამოწმებდა ყველა იმ პატიმარს, რომელიც ახლა ციხის რესპუბლიკურ საავადმყოფოში იმყოფება და თუ აღმოჩნდებოდა მისი ხელმოწერით გადაყვანილი ჯანმრთელი პატიმარი, ამ საქმისთვის პასუხს აგებდა, თუ არა და ითხოვდა გენერალური ინსპექციის უფროსის პასუხისმგებლობის დაყენებას. სწორედ ამ ფონზე ბატონი კემულარია იზიარებს ირაკლი ფანცხავასა და შოთა კოპაძის პოზიციას და აცხადებს, რომ რამაზ ღულაძის საქმიანობაში არის კორუფციული ნიშნები და, რომ ამ კორუფციულ გარიგებებს იგი აწარმოებდა მონიტორინგის საბჭოს წევრთან - ჯიშკარიანთან და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლთან - ლანა გალდავასთან ერთად. „სახალხო დამცველის აპარატი მინისტრზე ბევრად უფრო ადრე ითხოვდა ამ ადამიანის თანამდებობიდან გადაყენებას. მაგრამ ახლა ხელის შეწმენდა იმაზე, რომ რამაზ ღულაძე იყო კორუმპირებული და ეს ქმნიდა იქ იმ კარგად აწყობილ კორუმპირებულ სისტემას, რომელიც აბსოლუტურად არ განსხვავდება შევარდნაძის დროინდელი შსს სისტემისგან, ეს არის უბრალოდ სასაცილო“- აცხადებს ონიანი.

* * *

**ციხეებში ვითარებას კრიმინალური ავტორიტეტებიც აკონტროლებენ**

***თბილისი.02.03.05.მედია-ნიუსი***. სახალხო დამცველის აპარატთან არსებული მონიტორინგის საბჭოს წევრებმა თბილისის №1 საპყრობილეში არასრულწლოვანი პატიმარი შოთა ჯალიაშვილი მოინახულეს.

დაკავებისას ჯალიაშვილზე თბილისის მუხიანის პოლიციაში ფიზიკური ზემოქმედება მოახდინეს და სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები ციხეში მისთვის ახსნა-განმარტების ჩამოსართმევად მივიდნენ.

პატიმარს საპყრობილეს დირექტორის მოადგილის ავთანდილ რამინაშვილის კაბინეტში შეხვდნენ. თუმცა, ჯალიაშვილი მარტო არ მისულა, მას კამერიდან სხვა პატიმარი გამოყვა და შეხვედრაზე დასწრება მოითხოვა. მონიტორინგის ჯგუფი პატიმრის მოთხოვნას მხოლოდ ციხის ადმინისტრაციის რჩევით დათანხმდა, რათა

წინააღმდეგ შემთხვევაში ჯალიაშვილს ქურდული სამყაროს მხრიდან პრობლემები არ შექმნოდა. საკნიდან გამოყოლილი პატიმრის დასწრებას დაჟინებით ითხოვდა ჯალიაშვილიც.

როგორც გაირკვა, საპყრობილეში მიღებული წესის თანახმად, არასრულწლოვნების კამერიდან ადმინისტრაციის მიერ გამოძახებულ ნებისმიერ ახალ პატიმარს ქურდული სამყაროს წარმომადგენელი, ე.წ. „თვალი“ მიყვება, რომელიც ციხის ადმინისტრაციისა და პატიმრის გასაუბრებას ესწრება.

საპატიმროს ხელმძღვანელობა მსგავს კონტროლს არ აპროტესტებს. ასეთი ზედამხედველობა კრიმინალური ავტორიტეტების მოთხოვნით ხორციელდება, ციხის ხელმძღვანელობას კი არ ყოფნის არც ძალაუფლება და არც ნება, აღკვეთოს ქურდების ხელისუფლება. მყარი ქურდული მენტალიტეტი ციხეს სტაბილურობას უნარჩუნებს.

**კანონს მიღმა დარჩენილი პატიმრები**

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში ისედაც გაუსაძლის და მძიმე კომუნალურ პირობებში მყოფი პატიმრები კანონიერი ქურდების მხრიდან ფულის გამოძალვის მსხვერპლნი გახდნენ, თუმცა შიშის გამო ამაზე საუბარს თავს არიდებენ. ციხეებში არსებულ განუკითხაობაზე პასუხისმგებლობას სახალხო დამცველის ოფისი ციხის ადმინისტრაციასა და, პირველ რიგში, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფროსს შოთა კოპაძეს აკისრებს.

„ციხე ისევ ქურდისაა“ - ასეთი სათაურით აშუქებენ ბეჭდვითი მედიის წარმომადგენლები სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში არსებულ მდგომარეობას. სახალხო დამცველის ოფისის მიერ გავრცელდა ინფორმაცია საპატიმროებში ე. წ. კანონიერი ქურდების მიერ პატიმართაგან ფულის გამოძალვის შესახებ, რომელიც შემდგომ ციხის ადმინისტრაციასა და „შავ სამყაროს“ შორის ნაწილდება.

სახალხო დამცველის რწმუნებულმა გოგა ონიანმა ჩვენთან საუბარში განაცხადა იმ მექანიზმის შესახებ, რომლითაც ხდება თანხის გამოძალვა პატიმრებისგან: ციხის თითოეულ საკანში იმყოფება ე.წ. „მაყურებელი“ „შავი სამყაროდან,“ რომელიც აგროვებს თანხას პატიმრებისგან და გადასცემს ბადრაგს. ეს უკანასკნელი კი, თავის მხრივ, შეგროვილ თანხას აძლევს ე.წ. კანონიერ ქურდებს, ხოლო ბადრაგისთვის „ფეხის ქირის“ გადახდის შემდეგ აღნიშნული თანხა იყოფა ციხის ადმინისტრაციასთან. რაც შეეხება თანხის რაოდენობას, აღნიშნული დამოკიდებულია პატიმრის მატერიალურ და დაპატიმრებამდე მის სოციალურ მდგომარეობაზე. აქედან გამომდინარე მინიმალური ზღვარი 50 ლარს შეადგენს, ხოლო მაქსიმალური 10 ათასს დოლარს აღწევს, ყოველთვიურად კი 300 ათასი ლარი გროვდება.

დღეს-დღეობით ციხეებში სრული განუკითხაობაა და შიშის სინდრომია დამკვიდრებული, ამიტომ პატიმრები ციხეში არსებული მდგომარეობის შესახებ საუბარს ათავს არიდებენ. ისინი დარწმუნებულნი არიან, რომ ციხის ადმინისტრაცია ვერ დაიცავს მათ ქურდისგან და დაუმორჩილებლობის შემთხვევაში სასტიკად გაუსწორდება მათ. ამის გამო ისინი იძულებულნი არიან ყოველთვიურად გადაიხადოს გარკვეული თანხა. „ყველაზე მეტად მაღელვებს ის ფაქტი, რომ ციხეში არც ერთი პატიმარი არ არის დაცული „შავი სამყაროსაგან“, რასაც კერძო საუბრებში თვითონ ციხის ადმინისტრაციის თანამშრომლებიც აღიარებენ. ქურდმა რომ მოითხოვოს ნებისმიერი პატიმრის აყვანა მასთან საკანში ან პატიმარს აუყვანენ ან ამ ქურდს შეიყვანენ პატიმართან საკანში“, - განაცხადა ომბუდსმენის რწმუნებულმა გოგა ონიანმა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ ფაქტს, რომ ციხის ადმინისტრაციაც ჩართულია აღნიშნულ საქმიანობაში.

სახალხო დამცველის ოფისი და არასამთავრობო ორგანიზაციები განგაშის ზარს ტეხენ საპატიმროებში არსებული სიტუაციის შესახებ და ხელისუფლების შესაბამის უწყებებს ქმედითი ღონისძიებების ჩატარებისთვის მოუწოდებენ. სახალხო დამცველის აპარატმა რეკომენდაციით მიმართა იუსტიციის სამინისტროს და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის შოთა კოპაძის თანამდებობიდან გათავისუფლება მოითხოვა.

„როდესაც ხელმძღვანელი ვერ ან არ აკონტროლებს თავის ადმინისტრაციას, რომელიც დანაშაულს სჩადის, იგი სულ მცირე ადმინისტრაციული წესით მაინც უნდა დაისაჯოს“,- განაცხადა გოგა ონიანმა.

**პარლამენტი კანონიერი ქურდების შესახებ კანონპროექტს განიხილავს**

***თბილისი.08.11.05.მედიანიუსი.*** პარლამენტმა პირველი მოსმენით განიხილა კანონპროექტი ორგანიზებულ დანაშაულთა და რეკეტთან ბრძოლის შესახებ. კანონპროექტი დეპუტატებს პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოვალეობის შემსრულებელმა ზურაბ დეკანოიძემ წარუდგინა.

კანონპროექტში ძირითადი ყურადღება ე.წ. კანონიერ ქურდებთან ბრძოლაზეა გამახვილებული. პროექტის მიხედვით, ქურდულ სამყაროდ ითვლება პირთა ის წრე, რომელიც დადგენილი სპეციალური წესებით, მუქარითა და დაშინებით ცდილობს სარგებლის მიღებას.

ამავე ნორმატიულ აქტში აღნიშნულია, რომ ქურდულ გარჩევად ითვლება დამნაშავეთა ისეთი თავყრილობა, რომლებიც სპეციალური წესებით, მუქარითა და შანტაჟით ცდილობენ სარგებლის მიღებას. ხოლო კანონიერ ქურდად ითვლება პირი, რომელიც დამნაშავეთა სამყაროში ორგანიზატორის როლს ასრულებს, ან სხვას აქეზებს დანაშაულის ჩასადენად.

პრეზიდენტის საპარლამენტო მდივნის მოვალეობის შემსრულებლის განცხადებით, თუ სასამართლო პირს ე. წ. კანონიერ ქურდად სცნობს, მას ჩამოერთმევა რეკეტით შეძენილი ქონება და გადაეცემა სახელმწიფოს.

ფრაქცია "დემოკრატიული ფრონტის" წევრის ივლიანე ხაინდრავას განცხადებით, კანონპროექტში ფაქტობრივად, ქურდული სამყაროს ლეგალიზაცია მოხდა.

"ქურდული სამყარო და ე.წ. კანონიერი ქურდები ყოველთვის კანონის გარეთ იდგნენ. სახელმწიფომ კი მათ კვალიფიკაცია მიანიჭა და მათი ლეგალიზაცია მოახდინა, რასაც ვულოცავ ამ ხელისუფლებას. კანონპროექტში აღნიშნულია, რომ ქურდულ სამყაროდ ითვლება პირთა ის წრე, რომლებიც მოქმედებენ სპეციალურად დადგენილი წესებით და ცდილობენ სარგებლის მიღებას. კი მაგრამ, ფეხბურთის გუნდიც სპეციალურად დადგენილი წესებით მოქმედებს და მისი მიზანიც სარგებლის მიღებაა. კანონპროექტის მიხედვით გამოდის, რომ თითოეული ფეხბურთელი, ან მოკრივე ქურდული სამყაროს წევრია", _ განაცხადა ივლიანე ხაინდრავამ.

ხაინდრავას დაეთანხმა "მემარჯვენეების" ერთ-ერთი ლიდერი ზურაბ ტყემალაძე, რომელმაც აღნიშნა, რომ კანონპროექტი საკმაოდ ბუნდოვან განმარტებებს შეიცავს.

* * *

**ხონის #9 დაწესებულებაში მსჯავრდებულმა თავი მოიკლა**

***თბილისი.04.10.05.მედიანიუსი.*** იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხონის #9 დაწესებულებაში მსჯავრდებულმა ზურაბ ცინცაძემ, წინასწარი გამოძიების მონაცემებით, თავი მოიკლა. ჩატარებული სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზის პირველადი შედეგებით, გარდაცვლილს სხეულზე ძალადობის კვალი არ აღენიშნება.

30 წლის ზურაბ ცინცაძის გვამი 30 სექტემბერს, საღამოს ხონის დაწესებულებაში, საკუჭნაოში ზეწრით ჩამოკიდებული იპოვნეს. ამ ფაქტის შესახებ დაუყოვნებლივ ეცნობა იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტს, სადაც სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

2004 წლის 5 ივნისს დაკავებულ ცინცაძეს სხვისი ნივთის განადგურებისათვის 3 წლით პატიმრობის განაჩენი ჰქონდა გამოტანილი. იგი წარსულში ნასამართლევი იყო.

**#1 საპყრობილეში პატიმარმა პატიმარი მოკლა**

***თბილისი.24.11.05.მედიანიუსი.*** 23 ნოემბერს, დაახლოებით 18 საათზე, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის #1 საპყრობილის სარდაფში, სადაც ადრე აბანო იყო განთავსებული, მსჯავდებული 27 წლის პაატა მამულიას გვამი აღმოაჩინეს.

ოპერატიული ღონისძიების შედეგად ცხელ კვალზე დააკავეს ყაჩაღობის, მანქანის გატაცებისა და მკვლელობის მცდელობისათვის გასამართლებული, 29 წლის მათე ხოსიტაშვილი.

მკვლელობაში ეჭვმიტანილი პატიმრის ჩვენების მიხედვით, ინციდენტი ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე მოხდა. მათე ხოსიტაშვილმა პაატა მამულიას თავში რკინის საგანი ჩაარტყა.

მომხდარის შესახებ დაუყონებლივ ეცნობა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ხელმძღვანელობას, პროკურატურას. საქმეს იუსტიციის სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს.

**- სამართლიანი სასამართლო -**

ხელისუფლების დანაწილების პრინციპის მიხედვით, რომლის საფუძველზედაც აგებულია თანამედროვე სახელმწიფოთა უმრავლესობა, სასამართლო, ან სხვანაირად რომ ვთქვათ, "მაკონტროლებელი შტო", წარმოადგენს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ ბოძს. მთავარი აზრი მდგომარეობს იმაში, რომ, თუ საკანონმდებლო ან აღმასრულებელი ხელისუფლება საკუთარი

ფუნქციების შესრულების საქმეში სწორ გზას აცდება, იარსებებს ეს მესამე ხელისუფლება, რომელიც უფლებამოსილი იქნება შეამოწმოს დანარჩენი ორის საქმიანობა, იმისათვის, რათა დაიცვას ხალხი მათი უფლებებისა და თავისუფლებების ხელყოფისაგან და სახელმწიფოში განამტკიცოს სამართლიანობა. სასამართლო, რომელიც ყველა დემოკრატიულ ქვეყანაში უმნიშვნელოვანეს ინსტიტუტს წარმოადგენს, შეიძლება ფუნქციონირებდეს დამოუკიდებლად, მხოლოდ მაშინ, როდესაც არა მხოლოდ ფორმალურად, არამედ ფაქტობრივადაც თავისუფალი იქნება მთავრობისა და სხვა დაინტერესებული მხარის ზეწოლისაგან.

საუბედუროდ, საქართველოში ამ უკანასკნელის ნაკლებობაა. პოლიცია, პროკურატურა და სასამართლო ისე მჭიდროდაა ურთიერთგადახლართული, რომ დამოუკიდებლობაზე ლაპარაკიც კი, ზედმეტია. მოსამართლეები, ხშირად, სახელმწიფო მოხელეთაგან ზეწოლას განიცდიან, იმის საფუძვლით, რომ პროკურორების მოთხოვნები გაითვალისწინონ ან პროცესი ისე წაიყვანონ, როგორც ეს მთავრობას სურს. ახლახანს, უზენაესი სასამართლოს ოთხი მოსამართლე სადისციპლინო საბჭოს მიერ თანამდებობიდან დათხოვნილ იქნენ, მოვალეობათა ჯეროვნად შეუსრულებლობის ბრალდებით. თვით ამ მოსამართლეთა მტკიცებით, ისინი გახდნენ მათზე გამოცხადებული ნადირობის მსხვერპლნი, რომელიც მას შემდეგ დაიწყო, რაც მათ რამდენიმეჯერ უარი განაცხადეს წარემართათ სასამართლო პროცესები ისე, როგორც ნაბრძანები ქონდათ.

მოსამართლეთა უმრავლესობა კორუმპირებულია. ძალიან ხშირად მათ არასაკმარისი პროფესიული გამოცდილება აქვთ და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებისა და კანონმდებლობის სფეროში ცოდნა აკლიათ. პრაქტიკაში ხდება როგორც წინასწარგანზრახული, ისე გაუფრთხილებელი შეცდომების დაშვება და პროცესუალური ნორმების დარღვევა. კიდევ ერთი პრობლემა, რომელიც მჭიდრო კავშირშია ანგარიშში გაშუქებულ სხვა პრობლემებთან, არის ის, რომ, როგორც ჩანს, სასამართლოები ადამიანებს წინასწარ პატიმრობას უსჯიან იმ დანაშაულის სიმძიმის მიუხედავად, რომლის ჩადენაშიაც ეს უკანასკნელნი ეჭვმიტანილნი არიან. გარდა ამისა, იგი ადამიანის უფლებათა ხელყოფას წარმოადგენს (პატიმრობა წარმოადგენს პირადი თავისუფლების უხეშ ხელყოფას, რაც ძლიერი სიფრთხილით უნდა იქნეს გამოყენებული), რასაც, ასევე, სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების გადატვირთამდე მივყავართ და რაც, თავის მხვრივ, პატიმრობის დროს ცუდი მოპყრობის საფუძველს წარმოადგენს.

* * *

**საქართველოში, ძირითადად, სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა**

***თბილისი.08.11.05.მედიანიუსი***. ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული 14 უფლებიდან საქართველოში, ძირითადად, სამართლიანი სასამართლოს უფლება ირღვევა, - აცხადებენ არასამთავრობო ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" წარმომადგენლები.

ამ ორგანიზაციამ მოსამართლეთა სწავლების ცენტრში დღეს დისკუსია გამართა. დისკუსიის თემა იყო "ევროსასამართლო და საქართველო". იგი სამწლიანი პროექტის - "ევროსასამართლოს სტანდარტების დანერგვა საქართველოში" ფარგლებში ჩატარდა. ღონისძიებას თბილისის საქალაქო სასამართლოს, იუსტიციის სამინისტროსა და სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლები, აგრეთვე ადვოკატები ესწრებოდნენ.

როგორც პროექტის კოორდინატორმა მანანა კობახიძემ აღნიშნა, პროექტის მთავარი მიზანია ქართულ სამართალწარმოებაში ევროსასამართლოს გამოცდილების დანერგვა.
"ჩვენი ინტერესია სამართლიანი სასამართლოს უფლება მოქალაქეს საქართველოშივე ჰქონდეს და შემცირდეს ევროსასამართლოში საქართველოდან გაგზავნილ განაცხადთა რაოდენობა", - აღნიშნა მან.

ევროპულ კონვენციას საქართველო 1999 წელს შეუერთდა. ამ ხნის განმავლობაში საქართველოდან ევროსასამართლოში განსახილველად 75-მდე საქმე გაიგზავნა. ევროსასამართლომ ოთხი მათგანი უკვე განიხილა. მათგან ორი: „ასანიძე - საქართველოს წინააღმდეგ" და ე.წ. ჩეჩნების საქმე „შამაევი და 12 სხვა საქართველოსა და რუსეთის წინააღმდეგ" მოსარჩელეთა გამარჯვებით დასრულდა. ამ ქვეყნებს მომჩივანი მხარის სასარგებლოდ სოლიდური თანხის გადახდა დაეკისრათ. ასანიძის საქმის შემთხვევაში საქართველომ 150 ათასი ევრო დროულად გადაიხადა.

როგორც "კონსტიტუციის 42-ე მუხლში" აცხადებენ, საქართველოსთვის 75 საჩივარი დიდი რიცხვია, არადა ევროსასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში ქვეყანას სერიოზული

ფულადი ჯარიმა დაეკისრება. მისი გადაუხდელობის შემთხვევაში კი ევროსაბჭოდან მისი გარიცხვის საკითხიც დადგება.

**პრეზიდენტის ინიციატივა საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს შეამცირებს**

***თბილისი.11.01.05.მედია-ნიუსი***. საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით მომზადებული კანონპროექტი, რომელიც საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეების პრეზიდენტის წარდგინებით დანიშვნას ითვალისწინებს, საკონსტიტუციო სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხს შეამცირებს,"- მიიჩნევს ექსპერტი ვახტანგ ხმალაძე.

მისი თქმით, ევროპის ყველა ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს ერთი ან რამდენიმე სახელმწიფო ორგანო ნიშნავს და თუ სასამართლოს წევრები პრეზიდენტის წარდგინებით დაინიშნებიან, ისინი უმაღლესი ხელისუფლების მითითებების შესრულებას ვერ გაექცევიან.

ვახტანგ ხმალაძისთვის მიუღებელია აგრეთვე საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ამ თანამდებობაზე ორი ვადით დანიშვნა, რაც გათვალისწინებულია ახალი კანონპროექტით. ექსპერტი მიიჩნევს, რომ სასამართლოს წევრები პირველი ვადის ამოწურვისას შეეცდებიან იმ ორგანოს გული მოიგონ, რომელსაც მათი ხელმეორე დანიშვნა შეუძლია. ასე რომ, ამ პუნქტითაც საკონსტიტუციო სასამართლოს უფლებები იზღუდება. ვახტანგ ხმალაძე არ იზიარებს აგრეთვე იმ ცვლილებებს, რომლის მიხედვითაც საკონსტიტუციო სასამართლოს წევრებს იმუნიტეტს უხსნის არა თავად საკონსტიტუციო სასამართლო, არამედ პარლამენტი. ამ პუნქტშიც დევს ის, რომ სასამართლოს წევრები დამოუკიდებელნი ხდებიან პოლიტიკურ ორგანოზე.

ექსპერტის თქმით, მიუღებელია საკონსტიტუციო სასამართლოს წევრების ასაკის 30 წლამდე შემცირება. „ევროპის ყველა ქვეყანაში საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს სასამართლო საქმიანობის 15-17 წლიანი სტაჟი მოეთხოვება, რაც მის ასაკს 35 წლამდე ზრდის.

საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი არა მხოლოდ გამოცდილი იურისტი უნდა იყოს, არამედ მას უნდა ჰქონდეს ცხოვრებისეული გამოცდილებაც, რაც ასაკთან ერთად მოდის. 30 წლის ახალგაზრდას, რაც არ უნდა მწიგნობარი იყოს იგი, არ ექნება ის ცოდნა, რაც 40 წლის ადამიანს,"- აცხადებს ვახტანგ ხმალაძე.

* * *

**უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს მოსამართლეები დაუპირისპირდნენ**

***თბილისი.21.11.05.მედიანიუსი.*** მოსამართლეები უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარის და იუსტიციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წინააღმდეგ გამოდიან.

სამი მოსამართლე: ნინო გვენეტაძე, საოლქო სასამართლოს ყოფილი თავმჯდომარე დავით სულაქველიძე და მერაბ ტურავა მათ წინააღმდეგ დაწყებულ დისციპლინარულ დევნაზე საუბრობენ. სამივე აცხადებს, რომ დევნა დაიწყო მას შემდეგ, რაც მათ რამდენჯერმე უარი თქვეს წინასწარ შეკვეთილი გადაწყვეტილების მიღებაზე.

"სწორედ ამის შემდეგ დამიკავშირდნენ მე იუსტიციის საბჭოდან და მითხრეს, რომ ჩემს წინააღმდეგ აღიძრა დისციპლინარული დევნა. მიზეზი არ დაუსახელებიათ, შემდეგ, ვერ მოითმინეს და შაბათს ღამის პირველის ნახევარზე დამირეკეს, რათა ეცნობებინათ, რომ ჩემი საკითხი განიხილება სამშაბათს 18 საათზე. ასეთი ქმედებები ყოველგვარი საზღვრებიდან გამოდის და უხეშად არღვევს ადამიანის უფლებებს", - აცხადებს ტურავა.

დღეს მოსამართლეების საკითხი დისციპლინარულ საბჭოზე გადის და პრეტენზიად სწორედ დისციპლინარულ გადაცდომებს წაუყენებენ.

გუშინ სამივე მოსამართლემ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად პრესკონფერენცია მოაწყო.

**უზენაესი სასამართლოს ოთხ მოსამართლეს უფლებამოსილება შეუწყდა**

***თბილისი.26.12.05.მედიანიუსი.*** საქართველოს უზენაესი სასამართლოს ოთხ მოსამართლეს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სადისციპლინო კოლეგიის გადაწყვეტილებით, უფლებამოსილება შეუწყდა. ეს მოსამართლეები არიან: ნინო გვენეტაძე, მერაბ ტურავა, მურმან ისაევი და თამარ ვალიანი.

ამგვარი გადაწყვეტილება სადისციპლინო კოლეგიამ წუხელ, ცხრასაათიანი მსჯელობის შემდეგ მიიღო. უზენაესი სასამართლოს კიდევ ერთ მოსამართლეს დავით სულაქველიძეს კოლეგიამ შენიშვნა მისცა, საოლქო სასამართლოს მოსამართლეებს კი საყვედური გამოუცხადა.

იუსტიციის საბჭოს სადისციპლინო კოლეგია სულ 18 მოსამართლის საქმეს იხილავდა. საბჭო მათ პროცესუალურ გადაცდომებსა და კანონდარღვევებში ადანაშაულებდა. დასჯილი მოსამართლეები საბჭოს გადაწყვეტილებას არ ეთანხმებიან და მის გასაჩივრებას აპირებენ. ისინი ასევე აპირებენ, წერილობით მიმართონ საქართველოს პრეზიდენტს, მიხეილ სააკაშვილს. საბოლოო გადაწყვეტილება კი პარლამენტმა უნდა მიიღოს.

როგორც მოსამართლეთა ერთ-ერთი ადვოკატი ეკა ბესელია აცხადებს, უცნობია საბჭოს ამგვარი გადაწყვეტილების საფუძველი. „გამოცხადდა მხოლოდ სარეზოლუციო ნაწილი. ამ გადაწყვეტილებას კომენტარი აღარ სჭირდება“, - ამბობს ეკა ბესელია.

* * *

**რად მინდა ხელისუფლება, თუ არ მექნება უფლება**

“ბატონო პრეზიდენტო, თქვენივე სიტყვებით რომ ვთქვათ, თუ თქვენმა დამქირავებელმა ჩემი სახით შეიძლება ისმინოს თქვენი საპროგრამო დაპირებები, თქვენც გამოიჩინეთ კეთილი ნება, გამოძებნეთ დრო და მოისმინეთ ის, რამაც საბოლოო განადგურებამდე და სულიერ მოსპობამდე მიიყვანა საქართველოს მოქალაქე და მისი შვილები, ვისაც დიდი ხანია, ფაქტობრივად წართმეული აქვს მოქალაქისა და ადამიანის უფლებები და რომელმაც იმედის მომცემი “ვარდების რევოლუციის“ ერთი წლის თავზე, იმედგაცრუებულმა გადაწყვიტა ამ პროცესის დასრულება საქართველოს მოქალაქეობაზე უარის თქმით, რათა დაიწყოს ადამიანის უფლებებისა და ფიზიკური გადარჩენის შანსის მოძიება, ბუნებრივია, არა საქართველოში და რაც შეიძლება შორს დსთ-დან”,- ამ სიტყვებით იწყებს საქართველოს პრეზიდენტისადმი მიმართვას ვარდების რევოლუციის შემდგომ განვლილ წელიწადნახევრიან პერიოდში სამართლის ძიებისას რწმენის დაკარგვისა და იმედგაცრუების მსხვერპლი ბატონი ლევან კასრაშვილი.

საბჭოთა კავშირის ნგრევის პროცესში აღმოცენებული ერთ-ერთი პირველი მეწარმე და ექსპრეზიდენტ შევარდნაძისა და მისი კრიმინალური “საძმოს” (როგორც ბატონი ლევანი მათ უწოდებს) ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი, საქართველოს პრეზიდენტის გარდა თავის ვრცელ წერილს (რომლის სრული ვერსიის ხილვაც შეგიძლიათ თან დართულ დოკუმენტში) 2005 წლის თებერვალში მრავალი სხვადასხვა მისამართით აგზავნის. დასაგზავნთა გრძელ სიას ავსებენ როგორც სამთავრობო სტრუქტურები, ისე არასამთავრობო და მედიის წარმომადგენელნი, სახალხო დამცველი, საერთაშორისო თუ ადგილობრივი ორგანიზაციები, საელჩოები, თუ მთელი რიგი ქვეყნების ხელმძღვანელები. თუმცა, რეაგირება მხოლოდ მედიის მხრიდან მოჰყვა, ისიც არცთუ ფართო. ეტყობა ადრესატთა უმრავლესობა ცდილობს თვალი აარიდოს საკუთარ თუ სხვის - ძველი თუ ახალი ხელისუფლების მანკიერებებს.

მისი უბედურების ისტორია 1991 წლიდან დაიწყო, როდესაც საქართველოში სამოქალაქო ომი მძვინვარებდა. შევარდნაძის და მისი კრიმინალური „საძმოს“ მიერ ორგანიზებული სამხედრო გადატრიალების მონაწილეებმა 1991-1992 წლებში გაძარცვეს მისი საწარმო. გატაცებული ქონების ღირებულება 1 200 000 აშშ დოლარს სცილდებოდა.

ამას მოჰყვა 1993-1994 წლებში შევარდნაძის „საძმოს“ მიერ ძალაუფლების ყველა სახელისუფლებო ბერკეტების გამოყენებით ჩადენილი მორიგი დაყაჩაღება, რომლის დროსაც თანხამ შეადგინა 350 000-400 000 აშშ დოლარი.

1998 წელს შევარდნაძის ბანკმა განახორციელა კიდევ ერთი ძარცვა. ამ შემთხვევაში უდიდესი ძალისხმევის შედეგად საქმე მიყვანილ იქნა სასამართლო გადაწყვეტილების მიღებამდე, თუმცა ხელისუფლებამ კვლავ ბოროტად გამოიყენა ძალაუფლება და ყველაფერი გააკეთა საიმისოდ, რათა არ მომხდარიყო სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, ამ ეპიზოდში თბილინტერბანკის (რომლის საკონტროლო პაკეტს პრეზიდენტი შევარდნაძე ფლობდა) მიერ მიყენებულმა ზარალმა მიაღწია 500 000 აშშ დოლარს.

შევარდნაძის ხელისუფლების მიერ ბოროტად გამოყენების მსხვერპლი სამართლის აღდგენას ამაოდ ელოდა “ვარდების რევოლუციის” შედეგად მოსული მთავრობისაგან. ბოლო აკორდი იყო პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ჩატარებული ფინანსური ამნისტიის პრეზენტაცია, რომელმაც ბატონი ლევანის ნდობის ლიმიტის ნაჩქარევად ამოწურვა მოახდინა და გააყალბა მისი რწმენა პრეზიდენტის სამართლიანობაში. აღნიშნულ ფინანსურ ამნისტიას ბატონი ლევანი უწოდებს შევარდნაძის რეჟიმის პერიოდში “ნაქურდალის დაკანონებას”. “დღეს, თქვენ გინდათ მოახდინიოთ ნაძარცვის ამნისტირება, ანუ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია – დაუბრუნებელი, ანუ მიტაცებული საკრედიტო რესურსების, მიტაცებული შენობების, საწარმოების, ანაბრების, მანქანა-დანადგარების, მიწების, ესე იგი ნაქურდალის ლეგალიზაცია, დაკანონება. შევარდნაძის პერიოდის პოლიტიკის მიზანი იყო საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დარჩენილი სახალხო, საზოგადოებრივი ქონების მიტაცება, ხოლო ამნისტიის

კანონის პროექტმა გამოაშკარავა ახალი ხელისუფლების პოლიტიკური მიზანი, - წინა პერიოდში ნაძარცვავის დაკანონება",- ვკითხულობთ ლევან კასრაშვილის წერილში, რომლის ერთ-ერთი ადრესატი პრეზიდენტიც გახლავთ.

როგორც ბატონი ლევანი გვიყვება, ყველაფერი ასე დაიწყო: "1991 წლის ბოლოს, სამოქალაქო ომის დროს, მეუღლესთან და ორ არასრულწლოვან (8 და 3 წლის) შვილთან ერთად მივატოვე და თავს ვუშველე გაქცევით საცხოვრებელი სახლიდან, რომელიც მდებარეობდა საბრძოლო მოქმედებების ეპიცენტრში (თბილისი, რუსთაველის გამზ. #1). ამ მოვლენების დროს, უპატრონოდ მიტოვებულ სახლში, საბრძოლო მოქმედებების შედეგად გაჩენილმა ხანძარმა და ჩასაქრობად გამოყენებულმა წყალმა გაანადგურა ბინა და ჩემი ოჯახის, საცხოვრებლად აუცილებელი ქონება".

საცხოვრებელი ბინისა და სხვა პირადი ზარალის გარდა, ოჯახმა საარსებო საშუალებაც დაკარგა რადგან ამავე მოვლენების დროს, სახელმწიფო გადატრიალების მონაწილეების მიერ გაძარცულ იქნა კასრაშვილის კერძო საწარმო. საქართველოს მოქმედი სამოქალაქო კოდექსის #389-ე მუხლის თანახმად, მიღებული ზარალი სცილდებოდა 1 მლნ. 200 ათას აშშ დოლარს.

"დახმარებისათვის, წერილობით მივმართეთ სახელმწიფო გადატრიალების ერთ-ერთ ინიციატორს – პრემიერ-მინისტრ თენგიზ სიგუას. მიმართვა დარჩა უპასუხოდ". შემდეგ იყო 13 წლიანი პერიოდი ტანჯვა-წამებისა, უსამართლო ძარცვისა და დევნისა, რომლის დროსაც კასრაშვილების ოჯახმა განიცადა უდიდესი მატერიალური, მორალური და ემოციური ზიანი. „სულ უფრო მეტად ვრწმუნდებოდი იმაში, რომ საქართველოსთვის ვიყავი უცხო სხეული, რადგან იქ, სადაც მიმდინარეობს ძარცვა, არ შეიძლება რაიმეს შექმნა და შენება",- აცხადებს სასოწარკვეთილი კასრაშვილი, რომელსაც ვარდების რევოლუციით შობილი ახალი იმედები თანმიმდევრულად დაემსხვრა.

"ვარდების რევოლუციის შემდეგ, დეკემბრის პირველი დღეებიდანვე, იმის გამო, რომ არა ერთი ძარცვის შედეგად გავხდი გადახდისუუნარო, ანუ არ გამაჩნია ადვოკატის დაქირავებისთვის და სამართლებრივი დაცვის ორგანიზაციისთვის საჭირო სახსრები, იძულებული გავხდი მიმემართა საქართველოში არსებული არასამთავრობო ორგანიზაციების ხელმძღვანელებისთვის, რომლებიც აცხადებენ, რომ ახორციელებენ ადამიანის უფლებების დაცვას, მათ შორის იყვნენ "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია", "თავისუფლების ინსტიტუტი", ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლი", "კონსტიტუციურ უფლებათა დაცვის ცენტრი" და კიდევ სხვა 14 არასამთავრობო ორგანიზაციას. ამის შესახებ ეცნობა მთელ რიგ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომლებიც საქართველოში გრანტების სახით აფინანსებენ და მონიტორინგს უწევენ ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში მომუშავე, ფსევდო არასამთავრობო ორგანიზაციებს. თუმცა ყველა მათგანმა, იურიდიული დახმარებისაგან თავი შეიკავა და ოფიციალური პასუხის გაცემაზეც კი უარი განმიცხადეს."

ყველამ მიმართვა დატოვა უპასუხოდ, გამონაკლისი იყო გაეროს ელჩი საქართველოში, ბატონი ლენს კლარკი, რომელმაც 60-სიტყვიანი დეპეშით მადლობა მოუხადა კასრაშვილს წერილისათვის და სინანული გამოთქვა, როგორც ბატონი ლევანი ამბობს, მის „გარდაცვალებასთან" დაკავშირებით. ხოლო მის მიერ დასმული კითხვები, გაეროს გენერალური ასამბლეის დეკლარაციასთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა „მართლმსაჯულების ძირითად პრინციპებს დანაშაულის და ხელისუფლების ბოროტად გამოყენება მსხვერპლთა მიმართებაში" დარჩა უპასუხოდ.

იმავდროულად 2004 წლის თებერვალში კასრაშვილმა მიმართა საქართველოს სახალხო დამცველის სამსახურს, საიდანაც, საქმის გაცნობის შემდეგ, მასალები გადაეგზავნა გენერალურ პროკურორს. სააკაშვილის თანაგუნდელის, სოზარ სუბარის თანამდებობაზე დანიშვნის შემდეგ მან ხელახლა მიმართა სახალხო დამცველის ოფისს. ორი თვის შემდეგ, სახალხო დამცველის მოადგილესგან, ბაჩო ახალაიასგან ასეთი პასუხი მიიღო: "გვაცალეთ, ვსწავლობთ, როდესაც დაგვჭირდებით, შეგატყობინებთო". პასუხი დღემდე არ ჩანს.

ამავე წერილით მიემართა საქართველოს პარლამენტის, ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ელენე თევდორაძემ წერილით მიმართა გენერალურ პროკურორს, რომელსაც, საკმაოდ კატეგორიულად თხოვდა, წარდგენილი განცხადების განხილვას და სამართლებრივი რეაგირების მიცემას, ხოლო მიღებული ზომების შესახებ, პერიოდულად მის საქმის კურსში ჩაყენებას. მიუხედავად ამისა, გენერალური პროკურატურა კვლავ ყოველ ღონეს ხმარობს, რათა არ მოხდეს საკითხის განხილვის მცდელობაც კი და საპარლამენტო კომიტეტში დღემდე წერილის მიღების დასტურიც კი არ მიუღიათ.

როგორც ხედავთ, პროკურატურა იყენებს წლების განმავლობაში აპრობირებულ "დუმილის უფლებას". ამ ფონზე ჩნდება კითხვა, ის, რაც „ვარდების რევოლუციის" შემდეგ ხდება საქართველოში, არის დანაშაულთან ბრძოლა, თუ შერჩევითი საჩვენებელი პროცესები.

ამ პირობებში, სამართლებრივ კომპენსაციაზე იმედგადაწურული კასრაშვილი მოქალაქეობაზე უარის თქმასთან დაკავშირებული განცხადებით მიმართავს იუსტიციის სამინისტროს 2005 წლის 11 თებერვალს.

საკმაოდ მოცულობითი დოკუმენტი დაიდო მინისტრის მაგიდაზე, რომელმაც თავი მხრივ მოახდინა მისი ბლოკირება. დღესდღეობით დოკუმენტის არამც თუ განხილვა, არამედ მისი ადგილსამყოფელიც არ არის ცნობილი იუსტიციის სამინისტროს სათანადო სამსახურებისთვის. ასე, რომ ბრალდებათა გრძელ სიას, რომელსაც ბ-ნი ლევანი ხელისუფლებას უყენებს, ემატება კიდევ ერთი. კასრაშვილი აცხადებს, რომ მის მიმართ დაირღვა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-15 მუხლით გათვალისწინებული უფლებები.

ადამიანის ელემენტარული უფლებების არ არსებობისა და დევნის ფაქტია ისიც, რომ ხელისუფლებამ ოფიციალურად უარი განუცხადა ბატონ ლევანს მის სოციალური სტატუსის განსაზღვრა/დადგენაზე.

აფხაზეთსა და ოსეთში დატრიალებული უბედურების შედეგად საქართველომ მიიღო 300-350 ათასი უსახლკარო, გაუბედურებული, დამშეული ლტოლვილი. შევარდნაძის „საძმოს“ მიერ საქართველოს ეკონომიკის „დაბომბვის“ და განადგურების შედეგად, ქვეყანამ მიიღო მინიმუმ 3 000 000 არარაობად ქცეული მოქალაქე!

„ბატონო პრეზიდენტო, - მიმართავს კასრაშვილი თავის წერილში საქართველოს პრეზიდენს, ამის გამო მე პირადად თქვენ ბრალს გდებთ, ჩემი და ჯერჯერობით ჩემი ქვეყნის, მტრების მფარველობაში, მათი პასუხისგებაში არ მიცემის გამო“.

წლების მანძილზე სამართლის ძებნაში ამაოდ დამაშვრალი საქართველოს მოქალაქე ითხოვს პირად ამნისტიას საქართველოს მოქალაქეობისგან, მისი გვარიდან ქართული კვალის ამოღებას და აპატრიდის სტატუსის მინიჭებას!

**სტრასბურგის ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო კიდევ ერთ ქართულ საქმეს განიხილავს**

***სტრასბურგი, 05.10.2005*** - პირველ საქმეში განმცხადებლები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «ამატ-ჯი » და საქართველოს მოქალაქე ვაჟა მებაღიშვილი, დაბადებული 1960 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში. იგი არის შპს «ამატ-ჯი»-ს გენერალური დირექტორი.

მეორე საქმეში განმცხადებლები არიან შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება «იზა» და საქართველოს მოქალაქე ნოდარ მაკრახიძე, დაბადებული 1956 წელს, მცხოვრები ქ. თბილისში. იგი არის სამშენებლო კომპანია «იზა»-ს დამფუძნებელი დირექტორი.

შპს «ამატ-ჯი» - 1998-1999 წლებში შპს «ამატ-ჯი»-მ თევზის სხვადასხვა პროდუქციით მოამარაგა საქართველოს თავდაცვის სამინისტრო. გამომდინარე იქედან, რომ სამინისტრომ კომპანიის მიერ გაწეული მომსახურეობის საფასური სრულად არ გადაიხადა, განმცხადებლებმა 1999 წლის ოქტომბერში ხელშეკრულების პირობების დარღვევისა და მისგან გამოწვეული ზიანისათვის სარჩელი აღძრეს სამინისტროს წინააღმდეგ. 1999 წლის 6 დეკემბერს ეროვნულმა სასამართლომ განაჩინა, რომ სამინისტროს უნდა გადაეხადა კომპენსაცია. აღსრულების პროცესი დაიწყო, მაგრამ ვალი არ იქნა გადახდილი.

შპს «იზა» - 1998 წლის ივლისში კომპანიის დერექტორმა სახელმწიფო სკოლასთან გააფორმა ხელშეკრულება, რომელიც ითვალისწინებდა სკოლის შენობის შეკეთებას. ხელშეკრულების თანახმად განათლების სამინისტროს უნდა ჩაერიცხა თანხა განმცხადებელი კომპანიის ანგარიშზე. მოგვიანებით განმცხადებლებმა მიიღეს ხელშეკრულების საერთო თანხაზე დაფუძნებული საგადასახადო დეკლარაცია მაშინ, როდესაც კომპანიამ სამინისტროსაგან მიიღო მხოლოდ და მხოლოდ ხელშეკრულებით გათვალისწინებული კუთვნილი თანხის ნაწილი. განმცხადებელი კომპანია ასაჩივრებდა, რომ ვალის გადაუხდელობის გამო იგი სირთულეებს წააწყდა ბიზნესის წარმართვაში.

მართალია განათლების სამინისტროს წინააღმდეგ 2001 წლის მაისში აღძრული სარჩელი დაკმაყოფილებულ იქნა ეროვნული სასამართლოს მიერ, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილებები ვალის გადახდასთან დაკავშირებით არ იქნა აღსრულებული. შესაბამისად, კომპანიამ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით მიმართა პროკურატურას, რომელმაც გამოიტანა დადგენილება, რომ დაუშვებელი იყო კონკრეტული პირის მიმართ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, ვინაიდან არ აღსრულება გამომდინარეობდა სახელმწიფო ბიუჯეტში სახსრების არარსებობიდან.

განმცხადებელი კომპანიები ასაჩივრებდნენ, რომ ხელისუფლების ორგანოებმა არ აღასრულეს განაჩენები მათ სასარგებლოდ და, რომ მათ არ გააჩნდათ სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალება. ისინი ასევე ამტკიცებდნენ, რომ სასამართლოს გადაწვეტილებით განსაზღვრული ვალის გადაუხდელობით მათ ჩამოერთვათ

თავიანთი საკუთრება. განმცხადებლები ეყრდნობოდნენ მე-6 მუხლის 1-ელ პუნქტს (გონივრულ ვადაში საქმის სამართლიანი განხილვის უფლება), მე-13 მუხლს (სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი საშუალების უფლება), # 1 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლსა (საკუთრების დაცვა) და შპს «ამატ-ჯი»-სთან მიმართებაში ასევე მე-17 მუხლს (უფლებათა ბოროტად გამოყენების აკრძალვა).

სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმეზე არსებული გარემოებები მხოლოდ და მხოლოდ განმცხადებელ კომპანიებთან იყო პირდაპირ შემხებლობაში და, შესაბამისად, მხოლოდ მათი განაცხადები გამოცხადდა არსებით განხილვაზე დაშვებულად. სტრასბურგის სასამართლომ არ დააკმაყოფილა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად შპს `ამატ-ჯი~-ს მიერ აღძრული საჩივრები, რომლებიც ეხებოდა 2002 წელს ეროვნული სასამართლოს წინაშე გამართულ სამართალწარმოებას, ისევე როგორც მე-17 მუხლის თანახმად წარდგენილი საჩივრები.

სასამართლომ აღნიშნა, რომ სახეზე იყო სახელმწიფო დაწესებულებების წინააღმდეგ გამოტანილი საბოლოო განაჩენების აღუსრულებლობის გავრცელებული პრაქტიკა, რაც აღიარებულ იქნა ხელისუფლების მხრიდანაც. სასამართლომ დაადგინა, რომ ხელისუფლების ორგანოების მხრიდან შპს «ამატ-ჯი»-სთან მიმართებაში ხუთი წლისა და რვა თვის განმავლობაში და შპს «იზა»-სთან მიმართებაში ოთხ წელზე მეტი ხნით განაჩენების აღუსრულებლობამ განაპირობა ყველანაირი სასარგებლო ეფექტიანობის ჩამოშორება მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტისათვის.

სასამართლომ აღნიშნა, რომ განმცხადებლებისათვის ხელმისაწვდომი სამართლებრივი დაცვის საშუალება, რომლის გამოყენებითაც შესაძლებელი იყო აღმასრულებლის წინააღმდეგ სისხლის სამართალწარმოების აღძვრა, საფუძველს მოკლებული იყო, რადგანაც განაჩენის აღსრულება დამოკიდებული იყო საბიუჯეტო სახსრებზე და არა თვით აღმასრულებლის ქმედებაზე. შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელ კომპანიას არ გააჩნდა სამართლებრივი დაცვის საშუალება.

დამატებით სასამართლომ დაადგინა, რომ განმცხადებელი კომპანიების სასარგებლოდ საბოლოო განაჩენების არ აღსრულება წარმოადგენდა მათი საკუთრებით შეუფერხებელი სარგებლობის უფლებაში ჩარევას.

შესაბამისად, სასამართლომ დაადგინა, რომ ადგილი ჰქონდა მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის, მე-13 მუხლისა და # 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის დარღვევას.

სასამართლომ მიანიჭა:

შპს «ამატ-ჯი»-ს _ 200,000 ევრო განცდილი მატერიალური ზიანისათვის და 2,000 ევრო გაწეული ხარჯებისათვის;

შპს «იზა»-ს _ 10,000 ევრო განცდილი მატერიალური ზიანისათვის, 1,000 ევრო არამატერიალური ზიანისათვის და 2,050 ევრო გაწეული ხარჯებისათვის.

* * *

**სულხან მოლაშვილი კვლავ უკანონო პატიმარია**

2005 წლის 5 აგვისტოს გაიმართა სასამართლო პროცესი კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელის სულხან მოლაშვილის წინააღმდეგ თეიმურაზ ნემსაძის შუამდგომლობით. ადვოკატი ითხოვდა საქმის გასაცნობად კანონით გათვალისწინებულ 30 დღეს. თუმცა, მოსამართლე მანუჩარ კაპანაძემ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ადვოკატს საქმის გასაცნობად მხოლოდ 5 დღე მისცა. მოსამართლის გადაწყვეტილებით, შემდეგი კვირის ხუთშაბათს განახლდება სულხან მოლაშვილის საქმის განხილვა. მოლაშვილის ადვოკატი აღნიშნული გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი შარშან აპრილში დააკავეს. იგი პროკურატურამ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში და ბიუჯეტისთვის ზარალის მიყენებაში დაადანაშაულა. მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით, ბრალდებულის წინასწარი პატიმრობის ვადა 9 თვემდეა განსაზღვრული, სულხან მოლაშვილ 16 თვეა რაც პატიმრობაშია. ის უკვე 7 თვეა უკანონო პატიმრობაშია.

ამა წლის 5 აგვისტოს, 12 საათზე განახლდა მოლაშვილის საქმის განხილვა, მაგრამ პროცესი უშედეგოდ დამთავრდა. სულხან მოლაშვილის ორივე ადვოკატი შალვა შავგულიძე და სოსო ბარათაშვილი შვებულებაში გავიდნენ. პროცესზე მათ თეიმურაზ ნემსაძე ცვლიდა. მოლაშვილის ახალმა ადვოკატმა საქმის დაწვრილებით შესასწავლად მოითხოვა 30 დღე, რაც მას ეკუთვნის საქმის შესასწავლად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 429(2) მუხლის მიხედვით. მოსამართლემ მისი მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და მხოლოდ 5 დღე მისცა. უნდა აღინიშნოს, რომ მოლაშვილის საქმე შედგება 25 ტომისგან, თითო 500 გვერდიანი. მიუხედავად

იმისა, რომ თეიმურაზ ნემსაძემ განაცხადა, რომ მისთვის 5 დღე საკმარისი არ იქნება მსგავსი მოცულობის საქმის შესასწავლად, მოსამართლეს გადაწყვეტილება არ შეუცვლია.

ბრალმდებელმა, მანანა მუსულიშვილმა, ამ მოთხოვნას უწოდა მხოლოდ და მხოლოდ პროცესის გაჭიანურების მიზეზი. მას მიაჩნია, რომ მოლაშვილის ადვოკატებმა პროცესის გასაჭიანურებლად სპეციალურად მიმართეს მსგავს ხერხს. „ყველაფერი არსებობს მისი ბრალდების დასამტკიცებლად და ამიტომაც უნდათ დროის გაჭიმვა",- ამბობს მბრალდებელი მანანა მუსულიშვილი.

თავად კონტროლის პალატის ყოფილი ხელმძღვანელი სულხან მოლაშვილი განცვიფრებულია, რომ მას პროცესის გაჭიმვას აბრალებენ. მოლაშვილი დეკემბრის შემდეგ ელოდება სასამართლოს დაწყებას, რომელიც ივლისამდე გაიჭიმა და ახლა, როცა თვითონ კანონის ფარგლებში ითხოვს დამატებით დროს, მას უარს ეუბნებიან. „ასე პირუტყვსაც არ ექცევიან",- აცხადებს აღშფოთებული მოლაშვილი და ამატებს, რომ თუ ასე გაგრძელდება, თვითონ იტყვის უარს დაცვაზე და მოსამართლესა და ქალბატონი პროკურორს გადასცემს თავის ბედს ხელში.

სულხან მოლაშვილის ადვოკატმა თეიმურაზ ნემსაძემ განაცხადა, რომ მოსამართლე ზეწოლის ქვეშ იმყოფებოდა. ადვოკატი აღშფოთებას ვერ მალავს სასამართლო გადაწყვეტილების მიმართ და აცხადებს, რომ მოსამართლე ზღუდავს დაცვის უფლებებს და ყველანაირი კანონის დარღვევით ეუბნება მას უარს მოთხოვნაზე. თეიმურაზ ნემსაძე ამ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებს.

**სულხან მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს**

***თბილისი.07.09.05.მედიანიუსი.*** თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიამ კონტროლის პალატის ყოფილ თავმჯდომარეს სულხან მოლაშვილს 9 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა.

სასამართლო ხმაურით მიმდინარეობდა, რადგან მოსამართლის გადაწყვეტილება მოლაშვილის ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა გააპროტესტეს.

სულხან მოლაშვილის ადვოკატის იოსებ ბარათაშვილის განცხადებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ უამრავი უკანონობა ჩაიდინა, რის თაობაზეც ის აცნობებს ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლოს, რომელმაც მოლაშვილის სარჩელი უნდა განიხილოს.

მოლაშვილის ადვოკატები საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებას ორი კვირის ვადაში საოლქო სასამართლოში გაასაჩივრებენ.

* * *

**სასამართლოს აიძულებენ, ერთი ბოთლი ლუდის მიმთვისებელი ციხეში ჩასვას**

თიანეთის მკვიდრმა დავით ბერიკიშვილმა 2004 წლის აგვისტოში გადაწყვიტა ლუდი დაელია, მაღაზიის გამყიდველმა მის მოთხოვნაზე ვალად მიეცათ ერთი ბოთლი ლუდი უარით უპასუხა რის შემდეგაც, დავით ბერიკიშვილმა გამყიდველის ნების საწინააღმდეგოდ გამოაღო მაცივარი და ერთ ბოთლ ლუდს დაეუფლა.

ეს ქმედება პოლიციამ, გამოძიებამ და პროკურატურამ შეაფასა, როგორც განსაკუთრებით მძიმე სისხლის სამართლის დანაშაული და დავით ბერიკიშვილს წარუდგინეს ბრალდება გათვალისიწნებული სსკ 178-ე მუხლის მე-3 ნაწილით, რაც გულისხმობს ძარცვას და ისჯება პატიმრობით ოთხიდან თორმეტ წლამდე.

მიუხევადად იმისა, რომ მიყენებული ზიანი ბერიკიშვილმა მეორე დღესვე აანაზღაურა, გამოძიებამ და პროკურატურამ საქმე სასამართლომდე მაინც მიიტანა და, რამდენადაც გასაკვირი არ უნდა იყოს, სახელმწიფო ბრალმდებელმა ბერიკიშვილისათვის სასჯელად თერთმეტი წლით დაპატიმრება მოითხოვა.

დავით ბერიკიშვილის ადვოკატი არჩილ ჩოფიკაშვილი („კონსტიტუციის 42-ე მუხლი") აღნიშნავს, რომ "ბრალდების მხარე კურიოზულ სიტუაციაში აღმოჩნდა". მისი მტკიცებით პროკურატურა ამ მდგომარეობიდან გამოსვლას სასამართლოზე ზეწოლით ცდილობს, რასაც მორიგი უსამართლო ქმედებები მოყვება.

დაცვის მხარემ სარჩელი სააპელაციო სასამართლოში შეიტანა. სააპელაციო კოლეგიის თავმჯდომარე მაია მწარიაშვილი არ დაეთანხმა გამამტყუნებელ განაჩენს და წარმოადგინა დასაბუთებული განსხვავებული აზრი. კოლეგიის ორმა წევრმა მაია ოშხარელმა და რუსუდან ჭანტურიძემ კი სამწუხაროდ ვერ გაუძლეს პროკურატურის ზეწოლას და ბერიკიშვილი 4-წლიანი პატიმრობისათვის გაწირეს.

თუმცა პროკურატურის ამბიციას საზღვარი არ აღმოაჩნდა და ბრალდებამ  უზენაეს სასამართლოს მიმართა საჩივრით, რომლითაც მოითხოვა სასჯელის დამძიმება 11 წლამდე.

2005 წლის 11 ოქტომბერს უზენაესი სასამართლო განიხილავს აღნიშნულ საქმეს და საბოლოო სიტყვა საქმეზე მას ეკუთვნის.

**ჟურნალისტ თამაზ ბაკურიძის ადვოკატი აჭარის უმაღლეს სასამართლოს კანონდარღვევაში ადანაშაულებს**

თამაზ ბაკურიძის ადვოკატის ნინო კიკალიშვილის განცხადებით, ბათუმის საქალაქო სასამართლოს 21 ივნისის განაჩენი, რომლითაც ჟურნალისტს 6 წლით და 6 თვით თვისუფლების აღკვეთა აქვს მისჯილი, აჭარის უმაღლეს სასამართლოს სააპელაციო პალატაში მიმდინარე წლის ივლისში გაასაჩივრეს.

ადვოკატის თქმით, მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 228-ე მუხლის თანახმად, სააპელაციო საჩივარი სასამართლოს მიმდინარე წლის 1 სექტემბრისთვის მაინც უნდა განეხილა, თუმცა პროცესი დღემდე არ დანიშნულა. საქმის განხილვის გაჭიანურებით კი უხეშად ირღვევა მოქმედი კანონმდებლობა. სააპელაციო სარჩელით, დაცვის მხარე ბაკურიძის განაჩენის გაუქმებას და ჟურნალისტის პატიმრობიდან გათავისუფლებას ითხოვს, რადგან კიკალაშვილის მტკიცებით, ბაკურიძის ბრალეულობა არც ერთ ეპიზოდში არ დადასტურდა. აჭარის ყოფილი ლიდერის ასლან აბაშიძის ყოფილი პრესმდივანი და სახელმწიფო ტელეკომპანია "აჭარას" ყოფილი გენდირექტორი თამაზ ბაკურიძე გასული წლის აგვისტოში დააკავეს. იგი თანამდებობრივი მდგომარეობის ბოროტად გამოყენებისა და თანხების არამიზნობრივად ხარჯვის ბრალდებით გაასამართლეს.

* * *

**წინასწარი პატიმრობა - ქართული მართლმსაჯულების გარდაუვალი განაჩენი**

საქართველოში წინასწარი პატიმრობა უკვე ნორმად არის ქცეული. დღეს თითქმის არ არსებობს არცერთი სასამართლო პროცესი, რომელიც ბრალდებულისათვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებით არ მთავრდებოდეს. გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხში მანფრედ ნოვაკი მიიჩნევს, რომ ეს საერთაშორისო სტანდარტების უხეში დარღვევაა.

საქართველოში წინასწარი პატიმრობა დიდი ხანია გარდაუვალ ნორმად იქცა და ისედაც გადაჭედილ საკნებს რევოლუციის შემდეგ განსაკუთრებით გაუჭირდა, რადგან მათ არაერთი „მაღალი რანგის" „დამნაშავე" შეემატა. ქართულ მართლმსაჯულებას, უკვე ჩვეულებაში გადასულ გადაწყვეტილებებს, საერთაშორისო ექსპერტები პრაქტიკას უწუნებენ და წინასწარი პატიმრობის შეფარდების იშვიათად გამოყენებას ურჩევენ. მათი აზრით, წინასწარი პატიმრობის გამონაკლისის სახით გამოყენება სერიოზულად გააუმჯობესებს წინასწარი დაკავების იზოლატორებში არსებულ ვითარებას, სადაც ამჟამად 11 კაცის ნაცვლად 40-მდე ადამიანს უწევს ყოფნა.

„ერთ-ერთი ძირითადი რეკომენდაცია, რომელსაც საქართველოს გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი აძლევს, სწორედ წინასწარი პატიმრობის რაც შეიძლება ნაკლებად გამოყენებაა. არ არის აუცილებელი, ყველა ეჭვმიტანილი აუცილებლად წინასწარპატიმრობაში იქნეს აყვანილი, მით უმეტეს, თუ მისი გარეთ ყოფნა გამოძიებას პრობლემას არ შეუქმნის",- განაცხადა გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სპეციალურმა მომხსენებელმა წამების საკითხში მანფრედ ნოვაკმა რომელიც საქართველოს ორდღიანი ვიზიტით 19 თებერვალს ეწვია.

მან საქართველოში ყოფნისას მოინახულა რამოდენიმე პატიმარი, მათ შორის კონტროლის პალატის ყოფილი თავმჯდომარე სულხან მოლაშვილი და აღნიშნა, რომ მისი მდგომარეობის შესახებ მის მოხსენებაში ჩანაწერი აუცილებლად გაკეთდება.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ წინასწარი დაკავების საკნებში ხშირია წამებისა და არაადამიანურად მოპყრობის შემთხვევები და მიუხედავად იმისა, რომ არასამთავრობო ორგანიზაციები ამაზე ხშირად მიუთითებენ და წამებისა და არაადამიანური მოპყრობის კონკრეტულ ფაქტებსაც აწვდიან შესაბამის სამსახურებს, ჯერ-ჯერობით არც ერთი პოლიციელი, რომელიც პატიმრის წამებაშია მხილებული, არ არის გასამართლებული სისხლის სამართლის შესაბამისი მუხლით. ამ ფაქტზე ყურადღება გაამახვილა მანფრედ ნოვაკმაც და აღნიშნა, რომ ეს საქართველოში ერთგვარი დაუსჯელობის კულტურის არსებობაზე მიუთითებს.

2004 წლის 26 ივნისს ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა და წამების მსხვერპლთა ფსიქო–სოციალური რეაბილიტაციის ცენტრმა საქართველოს პარლამენტს ღია წერილით მიმართეს, რომელშიც ჩამოყალიბებულია მოთხოვნა, რომ მოხდეს წამების საწინააღმდეგო კონვენციის დამატებითი ოქმის რატიფიცირება. ოქმი ხელს უწყობს წამების აღმოფხვრას თავისუფლების აღკვეთის ადგილებში რეგულარული

ვიზიტების სისტემის ჩამოყალიბების გზით, რომელსაც განახორციელებენ დამოუკიდებელი და შესაბამისი უფლებამოსილების მქონე საერთაშორისო და ეროვნული ექსპერტები.

ზემოთხსენებულ საერთაშორისო დოკუმენტთან შეერთების რეკომენდაცია საქართველოს ხელისუფლებას მანფრედ ნოვაკმაც მისცა საქართველოში თავისი ორდღიანი ვიზიტისას სიტუაციის შესწავლის შემდეგ. იგი აღნიშნავს, რომ აღნიშნული დოკუმენტის რატიფიცირება წამების წინააღმდეგ არასამთავრობო სექტორის გააქტიურებას შეუწყობს ხელს.

მანფრედ ნოვაკი საქართველოში ვიზიტის შესახებ წინასწარ მასალებს გააცნობს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის სესიას, ხოლო საბოლოო მოხსენებას წარადგენს კომიტეტის 26-ე სესიაზე, რომელიც 2006 წელს გაიმართება.

მანფრედ ნოვაკი საქართველოში ორდღიანი ვიზიტით 19 თებერვალს ჩამოვიდა და შეხვდა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს, სახალხო დამცველსა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებს.

**უკანონო პატიმრობის კიდევ ერთი მსხვერპლი**

სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ზურაბ ჭანკოტაძის უფლებების შელახვა მისი დაკავების დღიდან დაიწყო. იგი თითქმის ერთი წელია, რაც უკანონო პატიმრობაში იმყოფება. სასამართლო პროცესი მისი დაპატიმრებიდან ერთი წლის თავზე გაიმართა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოში გაეროს ადამიანის უფლებათა დეკლარაციით აღიარებულ ადამიანის უფლებებსა და თავისუფლებებს და საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს.

სამოქალაქო ავიაციის ყოფილი ხელმძღვანელი, ზურაბ ჭანკოტაძე 2004 წლის 16 მარტიდან წინასწარ პატიმრობაში იმყოფება. გამოძიება მას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის, კერძოდ, თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება 2004 წლის 31 აგვისტოს დასრულდა და ამავე წლის 20 სექტემბერს საქმე გადაეცა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს. თუმცა, სასამართლო პროცესი ზუსტად ერთი წლის თავზე გაიმართა და ზურაბ ჭანკოტაძე 2005 წლის 16 მარტს არის მიცემული სამართალში.

საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლის 6-ე პუნქტი ადგენს, რომ ბრალდებულისათვის წინასწარ პატიმრობაში ყოფნის ზღვრული ვადა არის ცხრა თვე. ხოლო, ზურაბ ჭანკოტაძის დაკავებიდან თითქმის ერთი წელი იყო გასული. ასე, რომ 20 სექტემბრიდან იგი უკანონო პატიმრობაში იმყოფებოდა, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციისა და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციის მოთხოვნებს.

საგულისხმოა ასევე ის, რომ სანამ აღნიშნული საქმე წარმოებაში მიიღებოდა, საქართველოს სახალხო დამცველმა, სოზარ სუბარმა შეისწავლა ზურაბ ჭანკოტაძის საქმე და მიიჩნია ადამიანის უფლებათა დარღვევად. მან ამა წლის 11 თებერვალს სარეკომენდაციო წერილით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს შეეწყვიტა უკანონო პატიმრობა. მისი მიმართვიდან ერთი თვის შემდეგ სასამართლომ აღნიშნული საქმე მიიღო წარმოებაში და ამჟამად 12 მოწმე დაიკითხა.

სამოქალაქო ავიაციის ყოფილი ხელმძღვანელის ადვოკატის, გოჩა სვანიძის განცხადების თანახმად, ზურაბ ჭანკოტაძე ამ ერთი წლის განმავლობაში სხვადასხვა სტადიაში სხვადასხვა კუთხით იყო უკანონო პატიმარი და ამასთან დაკავშირებით მან მიმართა სტრასბურგის სასამართლოს და ერთი თვის წინ შეიტანა სარჩელი მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

**უკანონო დაპატიმრებები საქართველოში ჩვეულ მოვლენად რჩება**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მესხეთისა და ჯავახეთის (ახალციხისა და ახალქალაქის) ფილიალის რექტორის მერაბ ბერიძის დაპატიმრებას დიდი რეზონანსი მოჰყვა როგორც ახალციხეში, ასევე თბილისში. მერაბ ბერიძის დაპატიმრებით აღშფოთებულმა სტუდენტებმა და პროფესორ-მასწავლებლებმა პროტესტის გამოსახატად და რექტორის გათავისუფლების მოთხოვნით ქუჩებში მასობრივი აქციები გამართეს. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი, ანა დოლიძე მიიჩნევს, რომ მერაბ ბერიძის მიმართ წაყენებული ბრალდებები და მისი დაპატიმრება ყოვლად უსამართლო და დაუსაბუთებელი იყო. მიუხედავად ამისა სასამართლომ მას წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეუფარდა, მაგრამ რამოდენიმე დღის შემდეგ იგი თავდებით გაათავისუფლა და მოგვიანებით კი მიიღო გადაწყვეტილება მერაბ ბერიძის თსუ-ს ახალქალაქის ფილიალის თანამდებობაზე აღდგენის შესახებ, ხოლო ახალციხის ფილიალიდან გამოძიების დასრულებამდე გაათავისუფლეს. მაგრამ როგორც რექტორი აცხადებს, რომც აღადგინონ თანამდებობაზე არ დაბრუნდება.

თსუ-ს მესხეთის ფილიალის რექტორი დაპატიმრებულ იქნა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით. პროკურატურა მას 58 ათასი ლარის არამიზნობრივ ხარჯვაში ადანაშაულებდა. „ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ანა დოლიძე თვლის, რომ მერაბ მერიძე საერთოდ არ იმსახურებდა აღკვეთის ღონისძიებას, რადგანაც გამოძიებას არ ჰქონდა წარმოდგენილი წინასწარ საკმარისი რაოდენობა მტკიცებულებებისა, რაც დაასაბუთებდა მის ბრალეულობას".

მას შემდეგ, რაც რაიონის სასამართლომ მერაბ ბერიძეს პატიმრობა შეუფარდა, იქვე ჩატარდა მეორე სასამართლო, რომელმაც იგი სამსახურიდან გადააყენა.

„ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელი ანა დოლიძე თსუ-ს ახალციხის ფილიალის რექტორის მიმართ ბრალდებას თავიდან ბოლომდე აბსურდულად მიიჩნევს. „ბერაბ ბერიძეს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება აქვს წაყენებული. უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია ის, რომ ადამიანს სარგებელი უნდა ჰქონდეს თავისთვის ან სხვებისათვის. ამ შემთხვევაში თვითონ პირველი ინსტანციის მოსამართლის ბრძანებაში და პროკურორის შუამდგომლობაშიც პატიმრობის შეფარდების შესახებ წერია, რომ მას არცერთი თეთრი არ წაუღია სახლში თავისთვის. მთელი თანხები, რაც იყო გადახდილი მოსწავლეების მიერ, გაიცა პროფესორ-მასწავლებლებისათვის ხელფასების სახით და ამის დოკუმენტური მასალებიც არსებობს, ანუ გამოძიება და სასამართლო თვითონ ადასტურებს, რომ მას თავისთვის სარგებელი არ ჰქონია. ასევე, მოსამართლის გადაწყვეტილებაში წერია, რომ სტუდენტებმა უპირატესობა მიიღეს, იმითი, რომ სამხედრო კათედრის გავლის გამო ისინი ჯარში არ წავიდნენ. უნდა გავითვალისწინოთ შემდეგი: იმისათვის, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება ჩაითვალოს, აუცილებლად ვინმეს უფლებები უნდა იყოს შელახული. ამ შემთხვევაში ეს სტუდენტები აგრეთვე მოყვანილნი არიან როგორც დაზარალებულები, ვინაიდან ჯარში არ წავიდნენ. მთელი აბსურდულობა იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე ხალხი ამ შემთხვევაში როგორ შეიძლება იყოს ცნობილი უპირატესობის მიმღები და ამავე დროს ამ უპირატესობით დაზარალებულები?“- განაცხადა "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“ ხელმძღვანელმა, რომელიც იცავდა ბერიძის უფლებებს სასამართლოზე.

ძალიან მნიშვნელოვანია ასევე უფლებამოსილების საკითხი, ვინ იყო უფლებამოსილი მიეღო სამხედრო სწავლების ჩატარების შესახებ გადაწყვეტილება. ჰქონდა კი ბერიძეს ეს უფლება, რომ ბოროტად გამოეყენებინა? მისი ადვოკატის განცხადებით, იგი გადაწყვეტილების მიმღები ამ შემთხვევაში, ანუ ადამიანი, რომელიც რაიმე უფლებას გამოიყენებს, არ იყო, რადგან მთელი ეს პროცესი მიმდინარეობდა ძალიან ბევრი დაწესებულების და თანამდებობის პირის დახმარებით, თანხმობით და მეშვეობით, რაც ბრძანებაშიც წერია. ბრძანებაში მითითებულნი არიან პირები, როგორებიც არიან სამხედრო კათედრის უფროსი და სამხედრო კათედრის თანამშრომლები, უნივერსიტეტის რექტორი როინ მეტრეველი, აგრეთვე თავდაცვის სამინისტრო, რომელიც მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ფიცს იბარებდა სტუდენტებისგან და მათ წოდებებს ანიჭებდა.

„არსებობს მეტრეველის ბრძანება იმასთან დაკავშირებით, რომ გაიარონ ამა და ამ სტუდენტებმა სამხედრო სწავლება, არსებობს ასევე სამხედრო კათედრის ხელშეკრულება, და რაც მთავარია თავდაცვის სამინისტროს ნება ამასთან დაკავშირებით. ამიტომ ვფიქრობდით, რომ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის ამ ადამიანის დამნაშავედ ცნობა იქნებოდა აბსურდი“, - აცხდებს ქ-ნი ანა.

ახალციხის ფილიალის რექტორის მიმართ წინასწარი სამთვიანი პატიმრობის შეფარდებისას სასამართლოზე უდიდესი ზეწოლა ხორციელდებოდა, რაც გამოიხატებოდა იმაში, რომ მოსამართლის მიერ გადაწყვეტილების მიღება ხდებოდა პოლიციისა და სპეცრაზმის ხელმძღვანელის თანდასწრებით.

ამჟამად მერაბ ბერიძე თავდებით გაათავისუფლეს და გამოძიების დასრულებამდე თსუ-ს ახალციხის ფილიალის რექტორად დატოვეს, თუმცა მერაბ ბერიძე რექტორის თანამდებობაზე დარჩენას არ აპირებს და მომავალში სამეცნიერო საქმიანობის გაგრძელებას ფიქრობს.

**სასამართლომ 64 წლის ბებიაქალი პატიმრობაში დატოვა**

***თბილისი.21.02.05.მედია-ნიუსი.*** თბილისის საოლქო სასამართლომ 21 თებერვალს ძალაში დატოვა ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც ტრეფიკინგში ბრალდებულ, თბილისის №5 სამშობიარო სახლის ბებიაქალს ნანული ქენქაძეს წინასწარ სამთვიანი პატიმრობა აქვს შეფარდებული.

როგორც „მედიანიუსს“ დაკავებულის ადვოკატმა ზურაბ ჯორჯიაშვილმა განუცხადა, პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, იგი 2-3 დღეში აღმკვეთი ღონისძიების შეცვლის მოთხოვნით კვლავ აპირებს მიმართოს თბილისის ისანი-სამგორის სასამართლოს. ამჟამად ქენქაძის ჯანმრთელობის მდგომარეობაზე ექსპერტიზა ტარდება.

ადვოკატი აცხადებს, რომ დანაშაულს არასწორი კვალიფიკაცია მიეცა. ეს იყო არა ტრეფიკინგი, არამედ არასრულწლოვანის ყიდვა შვილად აყვანის მიზნით. ეს დანაშაული კი გაცილებით მსუბუქ სასჯელს ითვალისწინებს.

ამას გარდა, ადვოკატის თქმით, ბრალდებული 64 წლისაა. კანონი კი 60 წელს გადაცილებული პირისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდებას კრძალავს.

დანაშაულის დამტკიცების შემთხვევაში ქერქაძეს 8-დან 15 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

## - მედიის თავისუფლება -

ალბათ, ყველაზე თვალსაჩინო სფეროს, რომელშიდაც ჩვენ სამთავრობო ორგანოების მხრიდან მკვეთრ დარღვევებს ვიპოვით, წარმოადგენს მედია. კრიტიკულად განწყობილი მედია კომპანიების შეზღუდვისა და დაშინების ზოგად ფონზე, ზოგიერთმა სახელმწიფო მოხელემ ნამდვილი ჯვაროსნული ომი გამოუცხადა  დამოუკიდებელ ჟურნალისტიკას. ამან კი, რამდენიმე, მართლაც გამაოგნებელი ინციდენტი გამოიწვია. კრიტიკული მედიის გაჩუმების შედარებით ჰუმანურ გზებს წარმოადგენს ფინანსური დევნის, დაშინებისა და მედია კომპანიების დახურვის კარგად ნაცნობი მეთოდები. თვითცენზურაც ჩვეული მოვლენაა, რადგანაც მედია კომპანიების უმრავლესობის მეპატრონეებს ისტორიული კავშირები აქვთ იმ ადამიანებთან, რომლებიც ახლა მთავრობის შემადგენლობაში არიან. ასევე, ზოგიერთი ჟურნალისტიც კი არის პასუხისმგებელი მედიის დამოუკიდებლობის დაბალ ხარისხზე. ჟურნალისტები, ამა თუ იმ პიროვნების წინააღმდეგ მაკომპრომეტირებელი მასალების შეგროვების შემდეგ, ამ უკანასკნელთ, მასალების გამოქვეყნებისაგან თავის შეკავებას სთავაზობენ, იმ შემთხვევაში, თუ ისინი დიდი ოდენობით ფულს გადაიხდიან. ასეთი შემოსავალი ჟურნალისტების მცირე ხელფასებზე კარგ დანამატს წარმოადგენს.

* * *

### მედიის თავისუფლების ხარისხის კატასტროფული ვარდნა გრძელდება

ჟურნალისტები საზღვრებს გარეშე 2005 წლის კვლევის შედეგებს აქვეყნებს. მსოფლიოს 167 ქვეყანაში ჩატარებული კვლევა აჩვენებს, რომ საქართველოში მედიის თავისუფლების ინდექსი გასულ წლებთან შედარებით საგრძნობლად დაეცა. 2003 წლიდან 73-ე ადგილიდან ქართულმა მედიამ ჯერ 94-ე, ხოლო წელს უკვე 99-ე ადგილზე დაიხია.

მაღალრეიტინგული გადაცემებისა და თავად ტელევიზიებისა თუ მრავალი გაზეთის დახურვა პოსტრევოლუციურ საქართველოში ყოველდღიურ რეალობად იქცა. ვარდების რევოლუციის შემდეგ დემოკრატიული საქართველო არაერთ პოლიტიკურ თოქ-შოუსა და დებატებს გამოემშვიდობა -  „ ღამის კურიერი“, „თემა“, „ღამის მზერა“, „არჩევანის ზღვარზე“ და ა.შ. გადაცემებს  თავად ტელევიზიების დახურვა მოჰყვა - "იბერია", "მე-9 არხი". ყოველივე ამის შემდეგ ხელისუფლებას იერიში თავად ჟურნალისტებზეც მიაქვს. უხილავ მარწუხებში მოქცევის ამაოდ მცდელობის შემდეგ, ტელეკომპანია „202“-ის ერთ-ერთი დამფუძნებლის - რამიშვილის ბედი ხილული ბორკილებით დაბოლოვდა. ამას ემატება სამსახურიდან გათავისუფლებული არაერთი ჟურნალისტი, რომელთაც უარი თქვეს ჟურნალისტური თავისუფლების დაკარგვაზე.

ბეჭვდით მედიაშიც შემაშფოთებელი „ცვლილებებია“. დაიხურა „მთავარი გაზეთი“, „დილის გაზეთი“, „ახალი ეპოქა“, „ტრიბუნა“. „ჯორჯიან თაიმსს“ ფინანსური პოლიციის საშუალებით უპირებდნენ გასწორებას და მას ფინანსურ მაქინაციებში, გადასახადების დამალვაში, ფინანსური დოკუმენტების გაყალბებაში სდებდნენ ბრალს.

ყოველივე იმის მანიშნებელია, რომ პოსტრევოლუციური საქართველო თავისუფალ მედიაზე ზეწოლის მეგაირაღე ხდება. ხელისუფლება ფარული ხელით აჩუმებს ყველას (რა თქმა უნდა, მედია ორგანიზაციის მფლობელებს არ სურთ შეიქმნან პრობლემები და ურჩევნიათ „ანგარიში“ გაუწიონ მთავრობას). ობიექტური „სამსჯავრო“ კი ყველაფერს ვარდისფერი სათვალის გარეშე უყურებს და აფასებს ჩვენს ქვეყანაში მიმდინარე მოვლენებს და ჩვენთვის არც თუ ისე სახარბიელო განაჩენი გამოაქვს - საქართველო 99-ე საფეხურს იკავებს და დემოკრატიულ საწყისებს კვლავ შორეულ პერსპექტივაში იტოვებს.

### პრეზიდენტის ახალი წესები  ჟურნალისტების მუშაობას ზღუდავს

პრეზიდენტ სააკაშვილის გადაწყვეტილებით, სახელმწიფო კანცელარიაში ჟურნალისტებისათვის შეზღუდვები წესდება და კანცელარიის პირველ სართულზე მედიის წარმომადგენელთათვის გადაღებებისა და კომენტარების

აღება იკრძალება. ჟურნალისტები თვლიან, რომ მსგავსი დაგაწყვეტილება მათ მუშაობას მნიშვნელოვნად შეზღუდავს და საზოგადოებისთვის საინტერესო და კულუარული ინფორმაციის შეგროვება, ამგვარი წესების შემოღებით, მნიშვნელოვნად გართულდება. ასევე ჟურნალისტები სკეპტიკურად უყურებენ იმას, რომ სრულ და ამომწურავ ინფორმაციას მიიღებენ მინისტრთა პრეს-სპიკერების მეშვეობით.

საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ მიღებული გადაწყვეტილება, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კანცელარიაში აკრედიტირებულ ჟურნალისტებს აეკრძალათ კანცელარიის პირველ სართულზე მუშაობა, მოულოდნელი აღმოჩნდა საზოგადოებისთვის და, პირველ რიგში, თავად მედიის წარმომადგენელთათვის.

როგორც პრემიერ-მინისტრმა, ზურაბ ნოღაიდელმა ჟურნალისტებთან შეხვედრისას განაცხადა, პრეზიდენტის ამგვარი გადაწყვეტილება გამიზნული იყო იმისკენ, რომ ცივილურ ფორმაში განხორციელებულიყო ინფორმაციის შეგროვების პროცესი და ამგვარი გადაწყვეტილება არ შეზღუდავს და ხელს არ შეუშლის ჟურნალისტების თავისუფალ მუშაობას. ახალი წესების თანახმად, მედიის წარმომადგენლებისთვის გამოყოფილ ოთახში ჟურნალისტები ინფორმაციას პრეს-სპიკერების მეშვეობით მიიღებენ.

ტელეკომპანია „იმედის“ ჟურნალისტი თეა ადეიშვილი მიიჩნევს, რომ ინფორმაციის მოპოვების ის ფორმა, რომელიც არსებობდა აქამდე გარკვეულწილად მიუღებელი იყო და ნებისმიერ ცივილიზებულ ქვეყანაში ამგვარი გადაწყვეტილება არ ჩაითვლებოდა ჟურნალისტების მუშაობის შეზღუდვის მცდელობად, მაგრამ საქართველოში, სადაც ინფორმაცია ხშირად იბლოკება, ამგვარი შეზღუდვა გარკვეული დოზით შეამცირებს ინფორმაციის მოპოვების ხარისხსა და მის ოპერატიულად მიწოდებას საზოგადოებამდე.

მიუხედავად პრეზიდენტის განცხადებებისა, რომ ინფორმაციის საჯაროობა დაცული იქნება და ჟურნალისტებს ინფორმაცია კანცელარიაში მიმდინარე მოვლენების შესახებ სრულად მიეწოდებათ, გუშინ, ახალი წესების ქვეშ მომუშავე მედიის წარმომადგენლები ინფორმაციის მიღების თვალსაზრისით შეზღუდვებზე საუბრობდნენ. ასევე, სახელმწიფო დაცვის სამსახურის მიერ მთელი დღის განმავლობაში კონტროლირდებოდა კანცელარიის შენობაში ჟურნალისტთა გადაადგილება.

აქვე ურიგო არ იქნებოდა გაგვეხსენებინა, რომ პრეზიდენტის, როგორც რევოლუციური ლიდერის, განცხადებებში ყოველთვის სჭარბობდა სიტყვის თავისუფლების დაცვისა და დამოუკიდებელი მედიის განვითარების მხარდაჭერის შეპირებები, თუმცა დღევანდელი სიტუაციიდან გამომდინარე მათი შესრულება ეჭვის ქვეშ დგას. მიხეილ სააკაშვილის მიერ არჩეულ დემოკრატიისაკენ მიმავალ გზას საფრთხე ემუქრება, რადგან იზღუდება იმ საზოგადოებრივი ინსტიტუტის მუშაობა, რომელსაც საჯარო ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით შუამავალის ფუნქცია აკისრია საჯარო ხელისუფლებასა და მოსახლეობას შორის.

**“მემარჯვენეები” საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში თავისუფალი მედიის დაცვისაკენ მოუწოდებენ**

***თბილისი.09.09.05.მედიანიუსი.*** საპარლამენტო ფრაქცია “მემარჯვენე ოპოზიციამ” საქართველოში აკრედიტებულ უცხოეთის საელჩოებს, ევროკავშირს, თეთრ სახლს, ნატოს, სენატორებს რიჩარდ ლუგარს და სემ ბრაუნს, აშშ-ს სახელმწიფო მდივანს კონდოლიზა რაისს, ევროსაბჭოს მონიტორინგის ჯგუფის ხელმძღვანელს მათიას იორშს, ევროპარლამენტის ხელმძღვანელს რენე ვან დერ ლინდენს, ნატოს პრეზიდენტს იაპ დე ჰუპ სხეფერს სპეციალური მიმართვა გაუგზავნა, რომელშიც ხელისუფლებას თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ტერორში ადანაშაულებენ.

“საპარლამენტო უმრავლესობის ერთ-ერთი ლიდერის გიგა ბოკერიას მუქარის შემდეგ ტელეეთერიდან გაქრა პოლიტიკური თოქ-შოუ “არჩევანის ზღვარზე”... 2005 წლის 26 აგვისტოს წინასწარ დაწერილი პროვოკაციული სცენარით წინასწარი პატიმრობაში აიყვანეს ტელეკომპანია “202”-ის პოპულარული წამყვანი შალვა რამიშვილი და ამავე ტელეკომპანიის გენერალური დირექტორი დავით კოხრეიძე. 27 აგვისტოს ამავე ტელეკომპანიის ჟურნალისტს “შემთხვევით” დაეჯახა სამართალდამცველთა მანქანა... 6 სექტემბერს დაუდგენელი პირები თავს დაესხნენ ტელეკომპანია ‘202”-ის გადაცემა “დებატების” წამყვანს ირაკლი კაკაბაძეს”, _ ნათქვამია მიმართვაში.

მიმართვაში ისიც არის აღნიშნული, რომ დეპუტატებზე ვალერი გელაშვილსა და თამაზ ყაჭეიშვილზე თავდასხმა პოლიტიკური მოტივებით მოხდა.

“მემარჯვენეები” საერთაშორისო ორგანიზაციებს საქართველოში ოპოზიციური აზრისა და თავისუფალი მედიის დაცვისაკენ მოუწოდებენ.

**ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირი ხელისუფლებას პროფესიონალი კადრების დევნაში ადანაშაულებს**

***თბილისი.09.09.05.მედიანიუსი.*** ჟურნალისტთა საერთაშორისო კავშირი "ობიექტივი" ქართულ მედიას ობიექტურობისა და მიუკერძოებლობისაკენ მოუწოდებს.

კავშირის წევრების განცხადებით, ხელისუფლებას მოაზროვნე და პროფესიონალი ადამიანების ეშინია, რის გამოც ადამიანებს მასობრივად ათავისუფლებენ სამსახურებიდან და ახალგაზრდა, გამოუცდელ დილეტანტებს ასაქმებენ.

"დღეს საქართველოში სხვადასხვა ხერხებით ებრძვიან ყველას სფეროს პროფესიონალებს. მთავრობა ბინძურ პროვოკაციებსა და ადამიანთა ცემის გზებსაც კი მიმართავს, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე ათავისუფლებენ ადამიანებს სამსახურებიდან. მიგვაჩნია, რომ ჩვენ ჟურნალისტები ბევრად უფრო თავისუფალნი ვიყავით წლინახევრის წინ, ვიდრე ახლა ვართ" - აცხადებს "ობიექტივის" წევრი ირმა ინაშვილი.

მისივე აზრით, სერიოზული საფრთხის წინაშე დგას საზოგადოებრივი ტელევიზიაც. "საზოგადოებრივი ტელევიზია თავისუფლების ინსტიტუტს გადაეცა. დროა ფეხზე წამოდგეს საზოგადოება და წინ აღუდგეს ამ უმსგავსობას", - განაცხადა ირმა ინაშვილმა.

მისივე თქმით, საქართველოში სიტყვის თავისუფლება აღარ არსებობს, სახალხო დამცველის ინსტიტუტის არსებობის მიუხედავად, ადამიანის უფლებები ყოველ ფეხის ნაბიჯზე ირღვევა.

"ერთ-ერთი ჟურნალისტური გამოძიება ტელესაკომუნიკაციო სფეროში არსებულ კანონდარღვევებსა და კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარის, დიმიტრი ქიტოშვილის არაკანონიერ საქმიანობას ეხება", - აცხადებს ინაშვილი.

* * *

**"საქართველოს მედიაკლუბი" საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრთა დამტკიცების პროცედურას აპროტესტებს**

3 ივნისს საქართველოს პარლამენტმა კენჭი უყარა საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს ვაკანტურ სამ ადგილზე პრეზიდენტის მიერ წარდგენილ კანდიდატურებს და სამი მათგანი _ ლევან თარხნიშვილი, მამუკა ხერხეულიძე და რუსუდან სებისკვერაძე სამეურვეო საბჭოს წევრებად დაამტკიცა. მიუხედავად იმ დიდი ინტერესისა, რაც საქტელერადიომაუწყებლობის საზოგადოებრივ მაუწყებლად გარდაქმნის პროცესში არსებობს, საზოგადოებრივი ტელევიზიის სტრუქტურის ფორმირებამ უკვე მიიღო დამახინჯებული სახე. 22 აპრილს საქართველოს პარლამენტმა საკმაოდ საეჭვო ვითარებაში დაამტკიცა ექვსი მეურვე (შეგახსენებთ, რომ კენჭისყრამდე საპარლამენტო უმრავლესობის სხდომაზე დეპუტატებს სამეურვეო საბჭოს წევრობაზე წარდგენილი კანდიდატების 18-კაციანი სიის ნაცვლად, ცხრაკაციანი სია დაურიგეს). მიუხედავად ამ, რბილად რომ ვთქვათ, უსიამოვნო ინციდენტისა, ხელისუფლებამ ამჯერადაც საჭიროდ არ ჩათვალა, საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს დარჩენილი სამი წევრის შერჩევა ღიად და კანონით დადგენილი ყველა პროცედურის დაცვით მომხდარიყო:

საქართველოს პრეზიდენტს (კანონის მოთხოვნის მიუხედავად) არ გამოუცხადებია ხელახალი კონკურსი, სადაც თავიდან მოხდებოდა კანდიდატურების წარდგენა. მან ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს 22 აპრილის კენჭისყრისას ჩავარდნილი კანდიდატურები ხელმეორედ წარუდგინა.

უცნაურია, რომ საქართველოს პარლამენტს, წინა განხილვებისგან განსხვავებით, კანდიდატურებზე, პრაქტიკულად, არ უმსჯელია. დეპუტატები მეურვეთა კანდიდატებს შუადღისას, ფაქტობრივად, ცაიტნოტურ მდგომარეობაში, შეხვდნენ, საღამოს კი პლენარულ სხდომაზე სახელდახელოდ უყარეს კენჭი.

საეჭვოა ისიც, რომ ქვეყნის საკანონმდებლო ორგანომ საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრთა კენჭისყრა მაინცდამაინც ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრთა დამტკიცებას დაამთხვია. ანუ მაშინ, როცა საზოგადოების ყურადღება სწორედ ამ თემისკენ იყო მიმართული.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი "მაუწყებლობის შესახებ" არ კრძალავს პრეზიდენტის მიერ მეურვის კანდიდატურის ხელმეორედ წარდგენას, საინტერესოა, რამდენად გამართლებულია ერთხელ ჩავარდნილი კანდიდატურის პარლამენტში ხელმეორედ "შებრუნება". რამდენად ექნება ამგვარად არჩეულ მეურვეს საზოგადოებისგან ნდობის მანდატი და რამდენად იქნება იგი საკუთარ გადაწყვეტილებებში დამოუკიდებელი?

დღევანდელ სამეურვეო საბჭოში ერთხელ დაწუნებული და "მეორე წრეზე" გასული ორი წევრია _ მამუკა ხერხეულიძე და ლევან თარხნიშვილი.

დაბოლოს, 21 აპრილს უმრავლესობის სხდომაზე "შემთხვევით" დარიგებულ ცხრაკაციან სიასა და სამეურვეო საბჭოს წევრთა შორის შვიდი მათგანი - ნინო ანანიაშვილი, ლევან თარხნიშვილი, ფრიდონ თოდუა, თამარ კინწურაშვილი, გია ნოდია, ალექსანდრე რონდელი და მამუკა ხერხეულიძე _ საეჭვოდ ემთხვევა. ვიმედოვნებთ, ეს "შემთხვევითი დამთხვევა" სამეურვეო საბჭოს წევრებს საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელებაში ხელისშემშლელ პირობად არ გადაექცევათ.

"საქართველოს მედია-კლუბი" შეშფოთებულია იმის გამო, რომ ხელისუფლებამ საზოგადოებრივი ტელევიზიის რეფორმირების პროცესს საფუძველშივე მისცა მახინჯი ფორმა, ეს ქმნის საშიშროებას, რომ საბოლოო ჯამში მაყურებელს, შესაძლოა, მხოლოდ სახელშეცვლილი პირველი არხი შერჩეს ხელში.

**საზოგადოებრივი თუ „თავისუფლების ინსტიტუტის“ ტელევიზია?**

დიდი ხმაურისა და აჟიოტაჟის შემდეგ სამეურვეო საბჭომ საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალურ დირექტორად თამარ კინწურაშვილი - „თავისუფლების ინსტიტუტის“ კომუნიკაციებისა და მედიაპროგრამების ყოფილი ხელძღვანელი აირჩია. ასეთმა გადაწყვეტილებამ ეჭვქვეშ დააყენა სამეურვეო საბჭოს ობიექტურობა და საზოგადოების გარკვეულ ფენებში პროტესტი გამოიწვია.

საზოგადოებრივი მაუწყებლობის გენერალური დირექტორის თანამდებობაზე კონკურსი ამა წლის 24 ივნისს გამოცხადდა. ვაკანტურ ადგილზე 16-მა პიროვნებამ გამოთქვა პრეტენზია. სამეურვეო საბჭომ 23 ივლისის სხდომაზე არჩევანი ვერც ერთ მათგანზე ვერ შეაჩერა. ისინი არასაკმარისი მმართველობითი გამოცდილების გამო დაიწუნეს და ხელახალი კონკურსი დანიშნეს. მეორე კონკურსში მონაწილეობა 24-მა ადამიანმა მიიღო. მისი მეორე ტური - კონკურსანტებთან გასაუბრება, 19 აგვისტოს გაიმართა. მეორე ტურში გასულ 3 კანდიდატს: თამარ კინწურაშვილს, ლია მუხაშავრიასა და სერგო ბიწაძეს შორის სამეურვეო საბჭომ არჩევანი მის ყოფილ წევრზე, თამარ კინწურაშვილზე შეაჩერა, რომელიც 6 წლის ვადით გენერალური დირექტორი გახდა. მას სამეურვეო საბჭოს 6-მა წევრმა დაუჭირა მხარი, ერთმა - მაცაცო სებისკვერაძემ ლია მუხაშავრიას მისცა ხმა, ნინო ანანიაშვილმა კი კენჭისყრაში მონაწილეობისგან თავი შეიკავა.

საზოგადოებრივი ტელევიზიის სამეურვეო საბჭოს წევრები პრეზიდენტის განკარგულებით ინიშნებიან და მხოლოდ მისი თანხმობის საფუძველზე შეიძლება წევრის საბჭოდან გასვლა. თუ ქალბატონ თამარ კინწურაშვილს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი არ ჰქონდა განაცხადის შეტანის მომენტში, მაშინ გამორიცხული იყო მისი კონკურსში მონაწილეობა. მიხეილ სააკაშვილი კი იმ დღეებში საქართველოში არ იმყოფებოდა. მას უფლება აქვს მხოლოდ კანცელარიაში დაამტკიცოს ასეთი დოკუმენტი. ასეთ დროს არც სატელეფონო და არც სიტყვიერი თანხმობა არ დაიშვება. იგი დოკუმენტურად დადასტურებული უნდა იყოს. სხვაგვარად მას იურიდიული ძალა ეკარგება. აქედან გამომდინარე, თამარ კინწურაშვილს, რომელიც ხელისუფლების კადრად მოიაზრება, ინტერესთა კონფლიქტი ჰქონდა და კონკურსში მონაწილეობის მიღება არ შეეძლო. თუმცა, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის - ლევან თარხნიშვილის თქმით, კინწურაშვილს წესრიგში ჰქონდა ყველა დოკუმენტი, რომელიც ამჟამად კანცელარიაში ინახება.

იურისტ ლია მუხაშავრიას აზრით, კონკურსი აბსოლუტურად არაობიექტურად ჩატარდა, რადგან სამეურვეო საბჭომ შეასრულა ხელისუფლების დაკვეთა და დანიშნა ის ადამიანი, რომელიც თავად აწყობდა. საპირისპიროს აცხადებს ლევან თარხნიშვილი: „საბჭოს აზრით, იმ კანდიდატებს შორის, რომლებმაც წარმოადგინეს კონცეფცია, ქალბატონი თამარის ხედვა და სამუშაო გამოცდილება ყველაზე მისაღები იყო. თუ ვინმე თვლის, რომ საბჭომ თავისი გადაწყვეტილებით კანონი დაარღვია, არასერიოზული ბრალდებებისა და განცხადებებისგან თავი შეიკავოს და სასამართლოში სარჩელი შეიტანოს“.

ბატონი ლაშა ბაქრაძე, კონკურსის ერთ-ერთი მონაწილე, გასაუბრებამდე ეჭვს გამოთქვამდა, რომ თამარ კინწურაშვილს ჰქონდა საბჭოს უმრავლესობის იმედი და საბჭოს გარეთ კი ძლიერი მხარდაჭერა: „მისი არჩევა გარანტირებული იყო, ასე რომ ასარჩევიც აღარაფერი იყო. პატივისცემას იმსახურებენ საბჭოს ქალბატონი წევრები, რომლებმაც ხმა არ მისცეს წინასწარ გამარჯვებულს. თუ ასეთ სამეურვეო საბჭოს დატოვებენ პატიოსანი ადამიანები, ეს სამოქალაქო ვაჟკაცობის ის მაგალითი იქნება, რომელიც ასე სჭირდება ჩვენს საზოგადოებას.”

ქალბატონი ლია მუხაშავრია ითხოვდა 19 აგვისტოსთვის დანიშნული გასაუბრების პირდაპირი ეთერით ჩვენებას. მისი აზრით, მნიშვნელოვანი იქნებოდა, თუ საბჭოს გადაწყვეტილება მიიღებოდა საჯაროობის დაცვით, რადგან ყველა ნახავდა, ვისი კონცეფცია იყო უკეთესი. ლევან თარხნიშვილი კი უხერხულად მიიჩნევს 3 საათიანი გასაუბრების პირდაპირი ეთერით ჩვენებას. „არა მგონია, ეს ვინმეს ასე აინტერესებდეს. ეს პოპულისტურ გამოსვლად მეჩვენება მუხაშავრიას მხრიდან. საჯაროობა აბსოლუტურად დაცულია, რადგან გასაუბრების ჩაწერა

მიმდინარეობდა. ნებისმიერ დაინტერესებულ ადამიანს შეუძლია მისი მისმენა. იგი გაიშიფრება და ტელევიზიის ვებ-გვერდზეც გამოქვეყნდება.“

იურისტი მუხაშავრია სამეურვეო საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას გეგმავს. „მნიშვნელოვანია, რომ ჩვენს ქვეყანაში, პირველად ისტორიაში, შექმნილიყო ხელისუფლებისგან დამოუკიდებელი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებული საზოგადოებრივი მაუწყებლობა. ამ ორგანიზაციის ფუნქციონირებას დიდი მნიშვნელობა აქვს მთლიანად მედიის განვითარებაში. განსაკუთრებით კი იმ პირობებში, როდესაც ხელისუფლება საუკეთესო დემოკრატიული ხელისუფლების მაგალითს ვერ აძლევს ქვეყანას. მოსახლეობის აღშფოთება და რეაქცია მოჰყვა ამ პროცესს. ამ შემთხვევაში მე გამოვხატავ საზოგადოების იმ ნაწილის ნებას, რომელიც მოითხოვს, რომ ეს გასაჩივრდეს”. მუხაშავრიას ჩვენს ქვეყანაში სამართლის პოვნის იმედი არ აქვს, რადგან თვლის, რომ საქართველოს მართლმსაჯულება არ გამოირჩევა დამოუკიდებლობითა და სამართლიანობით. იგი ფიქრობს, რომ ეს საკითხი დადგება ევროსასამართლოში და იქ აუცილებლად გაიმარჯვებს.

**ჭიაბერაშვილს და ბეგაშვილს მასმედიის მუშაობა არ მოსწონთ**

***თბილისი.14.02.05.მედია ნიუსი.*** თბილისის საკრებულოს თავმჯდომარე ზაზა ბეგაშვილი და დედაქალაქის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი მასმედიის მუშაობით უკმაყოფილონი არიან.

საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილის განცხადებით, მასმედია დედაქალაქში მიმდინარე პოზიტიურ პროცესებს ნაკლებად აშუქებს და ყურადღებას ძირითადად საკრებულოში ზოგიერთი დეპუტატის არაკორექტულ გამონათქვამებსა და ქმედებებზე ამახვილებს.

თბილისის მერი ზურაბ ჭიაბერაშვილი კი მასმედიას ურჩევს, უფრო მეტად საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხებით დაინტერესდეს, ვიდრე „ლანძღვა-გინებით“.

საკრებულოს თავმჯდომარის ზაზა ბეგაშვილის მითითებით, მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახური ამიერიდან ვიდეოფირზე გადაიღებს საკრებულოსა და მთავრობის მიერ საზოგადოებისათვის საინტერესო გადაწყვეტილებების მიღების პროცესს და შემდეგ ტელევიზიით გააშუქებს.

* * *

**მედიაზე „ნადირობის“ მეთოდები „უმჯობესდება“**

2005 წლის 2 ივნისს საინფორმაციო სააგენტო „ინტერ-პრესმა“ მუშაობა შეწყვიტა. 1 ივნისს, დღის 2 საათზე სააგენტოს წარმომადგენლებს იბარებენ სამეთვალყურეო საბჭოს წევრები და სიტყვიერად აუწყებენ, რომ მოხდა სააგენტოს ლიკვიდაცია და ეს თემა არანაირ განხილვას არ ექვემდებარება. ფინანსური მხარე, რომელიც სამეთავალყურეო საბჭომ საბაბად მოიტანა, ინტერ-პრესის რედაქტორის თქმით, არ შეიძლება რეალური საფუძველი ყოფილიყო სააგენტოს დახურვისათვის.

საინფორმაციო სააგენტოს გაუქმების შესახებ ინფორმაცია მოულოდნელი აღმოჩნდა, როგორც საზოგადოებისათვის, ასევე თავად სააგენტოს თანამშრომლებისათვის. როგორც “ინტერ-პრესის” მთავარი რედაქტორი ბაია ცანავა აცხადებს, ჯერ კიდევ ოთხი თვის წინ იყო მცდელობა სააგენტოს კონსერვაციისა, თუმცა მაშინ ლიკვიდაციაზე საუბარი არ ყოფილა. 4 თვის წინ, ანუ პირველ თებერვალს მათ მიიღეს ოფიციალური წერილი, რომელიც ეხებოდა სააგენტოს კონსერვაციას და რომელსაც ხელს აწერდა სააგენტოს სამეთვალყურეო საბჭო. მეორე დღესვე სააგენტომ შეაჩერა მუშაობა და ამ წერილის შესახებ აუწყა საზოგადოებას. თუმცა, რამოდენიმე საათში მიზეზის აუხსნელად ხელმძღვანელობამ გადაწყვეტილება შეცვალა და სააგენტომ მუშაობა განაახლა.

ამჯერად, სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა - სელფორდ-ჯორჯიას ხელმძღვანელმა ირაკლი რუხაძემ და „ი-მედიას“ დირექტორმა ლევან ძნელაძემ 1 ივნისს “ინტერ-პრესის” მთავარ რედაქტორს ბაია ცანავას სიტყვიერად აუწყეს სააგენტოს ლიკვიდაციის შესახებ. ამჯერად საკითხი არანაირ განხილვას არ ექვემდებარებოდა.

“ინტერ-პრესის” დახურვის კონკრეტულ მიზეზებზე საუბარს თავს არიდებს ხელმძღვანელობა. ოფიციალურ მიზეზად კი ისინი ასახელებენ იმას, რომ ამ ეტაპზე ეს ბიზნესი მომგებიანი არ იყო.

რევოლუციის შემდეგ ლიკვიდირებულ საინფორმაციო საშუალებათა გრძელ სიას კიდევ ერთი საკმაოდ მნიშვნელოვანი და გავლენიანი სააგენტო შეუერთდა. ფინანსური კრიზისი, რომელიც ინტერ-პრესის დახურვის ოფიციალურ მიზეზად დასახელდა, ისეთივე უნიათო საბაბი აღმოჩნდა, როგორც სხვა დანარჩენ მსგავს შემთხვევებში.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი მედიის თავისუფლებას საქართველოში საკმაოდ კრიტიკულად აფასებს და არ გამორიცხავს, რომ მედიაზე ხორციელდება პირდაპირი და ირიბი ზეწოლა. ჩვენთან საუბარში იგი აცხადებს, რომ მფლობელის ინტერესები პირდაპირ აისახება რედაქციის პოლიტიკაზე. საქართველოს მედიის სივრცეში პოლიტიკური ინტერესები უფრო მაღალ საფეხურზე დგას, ვიდრე ბიზნესს ინტერესები.

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრთან საუბრისას ინტერ-პრესის მთავარმა რედაქტორმა, ქალბატონმა ბაია ცანავამ აღნიშნა, რომ სააგენტოს ჰქონდა რეალური ბაზა იმისა, რომ მალე მომგებიანი ბიზნესი გამხდარიყო, რადგან მას ჰყავდა 70-მდე დამკვეთი, მათ შორის საერთაშორისო ორგანიზაციები (გაერო, ეუთო), საელჩოები (აშშ, რუსეთი, ისრაელი) და სხვა ორგანიზაციები თუ საინფორმაციო საშუალებები; ოფიციალურ ვერსიას ისიც აბათილებს, რომ ბოლო თვეს კონტრაქტების დადების საოცარი ზრდა იყო.

სააგენტოს დახურვისთანავე გავრცელდა ეჭვი, რომ ეს დაკავშირებული იყო საინფორმაციო სააგენტოს მიერ 2 ივნისს გაკეთებულ განცხადებასთან, სადაც ნათქვამი იყო, რომ გარდაცვლილი პრემიერ-მინისტრის ზურაბ ჟვანიას ძმა, გოგა ჟვანია ტელედებატებში იწვევს უმრავლესობის ერთ-ერთ ლიდერს, გიგა ბოკერიას, რაზეც ბოკერიამ უარი განაცხადა. ჩვენთან საუბრისას ბაია ცანავამ ეს ინფორმაცია არც უარყო და არც დაადასტურა. თუმცა, ცალმხრივად აცხადებდა, რომ პერსონალური ზარებისა და სიტყვიერი მუქარების გარდა, არასოდეს სერიოზული ზეწოლა არ ყოფილა მათზე. „არასოდეს ინტერ-პრესისთვის არავის წინასწარ არ უთქვამს რომ რაიმე ინფორმაცია უნდა გაგვეშვა ან არ გაგვეშვა“,- აცხადებს ქალბატონი ცანავა.

აქვე აღსანიშნავია ის გარემოება, რომ სააგენტოს ლიკვიდაციის მეორე დღეს - 3 ივნისს ინგა გრიგოლიას გადაცემაში „რეაქცია“, როგორც ამას ანონსებიდან ელოდა მაყურებელი, უნდა შემდგარიყო დებატები გოგა ჟვანიასა და გიგა ბოკერიას შორის. თუმცა, მოულოდნელად გადაცემის თემა შეიცვალა. როგორც გადაცემის წამყვანი აცხადებს, ეს შეხვედრა ვერ შედგა, რადგან უმრავლესობის ერთ-ერთმა ლიდერმა გიგა ბოკერიამ უარი განაცხადა შეხვედრაზე.

ცნობისათვის, ახალი ამბების სააგენტო „ინტერ-პრესი“ დაარსდა 1999 წელს. მაშინ სააგენტო იყო დამოუკიდებელი სტრუქტურა. 2002 წლის ზაფხულიდან სააგენტო გაერთიანდა მედია ჰოლდინგ „ი-მედიას“ შემადგენლობაში. მედია ჰოლდინგი აერთიანებს ტელეკომპანია იმედს, რადიო იმედს, რამოდენიმე ბეჭვდითი მედიის გამოცემას, მათ შორის იყო „მთავარი გაზეთი“, რომელიც რამოდენიმე თვის წინ დაიხურა ასევე ფინანსური მიზეზებით.

აღსანიშნავია, რომ ინტერპრესისა და „მთავარი გაზეთის“-ს დახურვასთან დაკავშირებით, ხელმძღვანელობა ერთიდაიმავე მიზეზს ასახელებს ანუ ფინანსურ პრობლემებს. თუმცა, ბაია ცანავა ამასთან დაკავშირებით აცხადებს, რომ ხელმძღვანელობას ინტერპრესის შენახვა არცთუ ისე ძვირი უჯდებოდა. ეს თითქმის ერთი სატელევიზიო გადაცემის მხატვრული გაფორმების თანხა იყო.

სააგენტოს ლიკვიდაციის შედეგად 44 ადამიანი უმუშევარი დარჩა.

* * *

**დაბნელდება თუ არა „მზის“ ეთერი?**

რამდენიმე დღის წინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ ტელეკომპანია „მზე“ დროებით შეწყვეტს მაუწყებლობას. ცნობილი ხდება, რომ ერთი კვირის შემდეგ არხზე დაიწყება რეორგანიზაციული სამუშაოები. ამ ფაქტს „მზის“ დამფუძნებლები ვანო ჩხარტიშვილი და დავით ბეჟაშვილი იმით ხსნიან, რომ მათ აღარ სურთ არსებულ ფორმატში მუშაობა. საუბრობენ ასევე „მზის“ ფინანსურ პრობლემებზე. თუმცა, არ არის გამორიცხული „მზის“ ეთერის „დაბნელება“ მისი ზედმეტი „კაშკაშით“ იყოს გამოწვეული. საგულისხმოა ასევე ის დამთხვევა, რომ საინფორმაციო გადაცემების შეწყვეტა ტელეკომპანიის ეთერში 30 ივნისის ღამის დარბევების გაშუქებას მოჰყვა.

დაუზუსტებელი ინფორმაციით, რეორგანიზების შედეგად, „მზის“ ეთერიდან მოიხსნება საინფორმაციო გამოშვებები. ფაქტი ერთია, რომ ეთერის დიდ ნაწილს გასართობი და საავტორო გადაცემები დაიკავებენ.

რამდენიმე საავტორო გადაცემა და წარმატებული გასართობი პროგრამა „მზის“ ეთერში დღესაც არის, მაგრამ მთლიანად ამ ფორმატზე გადასვლა მედიის წარმომადგენლებს წარმოუდგენლად მიაჩნიათ და აცხადებენ, რომ ეს პირდაპირ ტელევიზიის სიკვდილს ნიშნავს.

ჟურნალისტურ წრეებში ამბობენ, რომ შესაძლოა, ტელეკომპანია „მზე“ დაიხუროს კიდეც. არსებობს ინფორმაციაც, რომ უკვე რამდენიმე თვეა ტელევიზიას ფინანსური პრობლემები აქვს.

ტელევიზიის დახურვის შესახებ საუბრები მას შემდეგ გააქტიურდა, რაც 4 ივლისს დღის პირველ ნახევარში ტელეკომპანიის ეთერით გაჩნდა წარწერა: „არხზე მიმდინარეობს რეორგანიზაცია“. სავარაუდოდ, ტელეკომპანიის გარშემო ატეხილი ხმაური შესაძლოა უკავშირდებოდეს ტელეკომპანიის მიერ 30 ივნისს რუსთაველის გამზირზე მომხდარი ამბების პირდაპირ ეთერში გაშუქების ფაქტს. „მზის“ ჟურნალისტები ერიდებიან ამ თემაზე ლაპარაკს. თუმცა, ტელეკომპანიაში განგვიცხადეს, რომ გავრცელებული ხმები არხის დახურვასთან დაკავშირებით, სიმართლეს არ შეესაბამება და რომ მუშაობა ჩვეულ რეჟიმში მიმდინარეობს. რაც შეეხება ფორმატის შეცვლას, მათ დაგვიდასტურეს, რომ ამ თემაზე საუბრები მართლაც მიმდინარეობს და რომ სექტემბრიდან ტელევიზია ახალი პროექტებით წარსდგება მაყურებლის წინაშე.

გავრცელებული ინფორმაციით, ტელეკომპანია „მზე“ ეთერში თვის ბოლომდე გავა, თუმცა რა იქნება შემდეგ, ძნელი სათქმელია.

**სამხედრო პოლიცია ტელეკომპანია „მზის“ გადამღებ ჯგუფს ფიზიკურად გაუსწორდა**

ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, ერგნეთის საგუშაგოსთან, საქართველოს სამხედრო პოლიციის წარმომადგენლები 5 დეკემბერს ფიზიკურად გაუსწორდნენ ტელეკომპანია „მზის“ ჟურნალისტს ნოდარ მელაძეს და ოპერატორ ნოდარ პაპიძეს.

პოლიციელებმა ჟურნალისტებს ვიდეოკამერაც წაართვეს.

„მზის“ გადამღები ჯგუფი კონფლიქტის ზონაში მოვლენების ამსახველ რეპორტაჟს ამზადებდა, როდესაც სამხედრო სპეცოპერაციის თვითმხილველი გახდა. ჟურნალისტებმა გადაიღეს, თუ როგორ გარბოდნენ შემთხვევის ადგილიდან შეშინებული ადამიანები, ქართველებსა და ოსებს შორის მომხდარი შეიარაღებული შეტაკებისას.

სწორედ ეს კასეტა მოხვდა სამხედრო პოლიციის ხელში.

ჟურნალისტები ვარაუდობენ, რომ თავდაცვის სამინისტრო „მზის“ ამ ექსკლუზიურ მასალას უწყების გრიფით გაუშვებს ეთერში.

**პრეზიდენტის რწმუნებულმა ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს ცხვირი გაუტეხა**

ქუთაისის ტელეკომპანია „რიონის“ სტუდიაში ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილსა და იმერეთის გუბერნატორ აკაკი ბობოხიძეს შორის პირდაპირი ეთერში მიმდინარე დებატებისას წარმოშობილი სიტყვიერი ურთიერთშეურაცხყოფა, მოგვიანებით, ფიზიკურ დაპირისპირებაში გადაიზარდა.

ინცინდენტი 1 დეკემბერს მოხდა. თვითმხილველთა განცხადებით, ტელეკომპანიის შენობაშივე მომხდარი ჩხუბის დროს გუბერნატორმა ჟურნალისტს ცხვირი გაუტეხა. ტელეკომპანია „რიონის“ ხელმძღვანელის თამილა ღვინიანიძის ცნობით, დებატების თემა სიტყვის თავისუფლება იყო, თუმცა, გადაცემა ჩაიშალა რადგან, ჟურნალისტის განცხადებებით შეურაცხყოფილმა გუბერნატორმა სტუდია დატოვა. ტელედებატების დროს ირაკლი იმნაიშვილმა ხელისუფლება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვაში დაადანაშაულა.

მოგვიანებით, პრეზიდენტის რწმუნებულმა იმერეთის რეგიონში აკაკი ბობოხიძემ გადადგომის თაობაზე განცხადება დაწერა. ამის შესახებ ბობოხიძემ სახელმწიფო კანცელარიაში, 2 დეკემბერს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე განაცხადა.

აკაკი ბობოხიძის თქმით, მისი გადაწყვეტილება გამოწვეულია 1 დეკემბერს ქუთაისის ტელეკომპანია "რიონის" შენობაში მომხდარი ინციდენტით, როცა ტელეკომპანიის პირდაპირ ეთერში მწვავე დებატების შემდეგ, მასსა და ჟურნალისტ ირაკლი იმნაიშვილს შორის ჩხუბი მოხდა.

ბობოხიძის თქმით, მან „ორი სწორი გადაწყვეტილება მიიღო.პირველი, როცა დაიცვა საკუთარი და ოჯახის პატივი და მეორე, როცა დაკავებული თანამდებობიდან წასვლა გადაწყვიტა“.

საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, რწმუნებულებს ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს პრეზიდენტი.

ჯერ-ჯერობით ცნობილი არ არის, დააკმაყოფილა თუ არა პრეზიდენტმა ბობოხიძის გადადგომის თხოვნა. იმნაიშვილს თბილისის ტელეკომპანია „მზის“ არხზე თოქ-შოუ „არჩევანის ზღვარზე“ მიჰყავდა. რამდენიმე თვის წინ გადაცემა დახურეს, რაც, ზოგიერთი მიმოხილველის აზრით, ხელისუფლების ზეწოლით მოხდა.

* * *

**კიდევ ერთი გაძევებული ჟურნალისტი**

ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ყოფილი ჟურნალისტი ირაკლი მამალაძე ამტკიცებს, რომ შსს-ს მასმედიასთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის ხელმძღვანელი გურამ დონაძე იარაღით დაემუქრა. ამასთანავე, მისივე თქმით, შსს-დან მოსული წერილის საფუძველზე, სადაც საუბარია, რომ იგი თითქოსდა ნარკომანია, მამალაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. სამსახურიდან გაძევებული ჟურნალისტი ტელეკომპანიის წინააღმდეგ სარჩელის შეტანას აპირებს.

გურამ დონაძესა და ირაკლი მამალაძეს შორის დაპირისპირება მას შემდეგ დაიწყო, რაც ამ უკანასკნელმა 2005 წლის თებერვლიდან შსს-ზე და კრიმინალზე სიუჟეტების მომზადება დაიწყო. ამ სიუჟეტებში შსს ბევრ დანაშაულში იყო მხილებული. სწორედ აქედან დაიწყო დონაძის მხრიდან მუქარის განხორციელება. დაძაბულობამ პიკს მას შემდეგ მიაღწია, რაც მამალაძემ გააკეთა სიუჟეტი მეძავ ქალებზე, რომლებიც აღნიშნავდნენ, რომ პატრულის გამოჩენის შემდეგ მათ მუშაობა გაუიოლდათ და შემოსავალი გაეზარდათ. აღნიშნულმა სიუჟეტმა ძალიან გააღიზიანა მერაბიშვილი. ტელეკომპანიაში დარეკა დონაძემ და მოითხოვა აღნიშნული სიუჟეტის ამოღება ღამის კურიერიდან. მამალაძის მიმართ გაძლიერდა მუქარები, რის გამოც იგი გურამ დონაძის უწყებაში მისვლისგან თავს იკავებდა. თუმცა მაინც მოუწია მისვლა 13 მარტს, სადაც მას დონაძე იარაღით ხელში დახვდა.

„გურამ დონაძემ იარაღი დამადო და დამემუქრა. მეუბნებოდა, როგორ გავუბედე მის პატრულს მსგავსი სიუჟეტის გაკეთება და საბოლოოდ მომთხოვა, რომ დამეტოვებინა შსს-ს ტერიტორია და საერთოდ შემეწყვიტა ძალოვან უწყებებზე სიუჟეტების კეთება“, - განაცხადა ბ-მა ირაკლიმ ჩვენთან საუბარში.

მას შემდეგ, რაც გახმაურდა ეს ამბავი, დონაძის არც ერთი ზარი არ ყოფილა ჟურნალისტის ტელეფონზე შესული, თუმცა ბევრია გაურკვეველი ზარი, რომელიც მამალაძემ გენერალურ ინსპექციას გადასცა საქმის შესასწავლად.

ყოველივე ამას ისიც დაერთო, რომ მამალაძე სამსახურიდან გაათავისუფლეს. „ტელევიზიაში რომ მივედი, მითხრეს, რომ ეკა ხოფერიასთან ვიყავი დაბარებული. მან ერთი წლის შემდეგ „აღმოაჩინა“, რომ მე ვიყავი ნარკომანი. როგორც მითხრა, მსგავსი თანამშრომლების სია შსს-დან მიუღიათ.“ მიუხედავად მამალაძის დაჟინებული მოთხოვნისა, ეჩვენებინათ მისთვის ეს სია და მოეხდინათ მისი ოფიციალური შემოწმება ნარკოტიკებზე, არ დააკმაყოფილეს.

დონაძის მიერ მამალაძის იარაღით დაშინების ფაქტზე მასალები გადაგზავნილია სახალხო დამცველის აპარატში. როგორც ბექა მინდიაშვილი აცხადებს, მიმდინარეობს საქმის მასალების მოკვლევა და მოწმეების ინტერვიუირება, რის შემდეგაც სახალხო დამცველი აღნიშნულ ფაქტზე მოახდენს შესაბამის რეაგირებას.

* * *

**ხელისუფლება მედიის ტერორს აგრძელებს**

ხელისუფლების საცეცები დღითიდღე უფრო და უფრო ღრმად სწვდება თავისუფალ მედიას. ქართული მედიის ყველაზე დაუმორჩილებელი სახე, ტელეკომპანია „202“-ის გადაცემა „დებატების“ წამყვანი შალვა რამიშვილი საკუთარ დაბადების დღეს გისოსებს მიღმა აღმოჩნდა. უხილავ მარწუხებში მოქცევის ამაოდ მცდელობის შემდეგ, რამიშვილის ბედი ხილული ბორკილებით დაბოლოვდა. 29 აგვისტოს ტელეკომპანია „202“-ის დამფუძნებელთა წინააღმდეგ გამართულ პროცესზე მისული საზოგადოების ნაწილი თავისუფალი მედიის საბოლოო დასამარებას გლოვობდა, ზოგი კი ქართულ სასამართლო ხელისუფლებას ჭირისუფლობდა. სასამართლომ არც ამჯერად უღალატა რევოლუციის შემდეგ აპრობირებულ მეთოდს და ბრალმდებლის მოთხოვნა სამსაათიანი ფიქრის შემდეგ სრულიად დააკმაყოფილა.

ტელეკომპანია „202“-ის გენერალური დირექტორი დავით კოხრეიძე და ამავე ტელეკომპანიის ერთ-ერთი დამფუძნებელი, „დებატების“ წამყვანი შალვა რამიშვილი 29 აგვისტოს №1 საპყრობილეში გადაიყვანეს. საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის კოლეგიის გადაწყვეტილებით, მათ წინასწარი სამთვიანი პატიმრობა შეეფარდათ. ბრალდებულთა ბედი არც გასაჩივრების შემდეგ შეცვლილა.

ტელეკომპანია „202“-ის ხელმძღვანელები - შალვა რამიშვილი და დავით კოხრეიძე სამართალდამცავებმა პარლამენტარ კობა ბექაურისათვის ფულის გამოძალვის ბრალდებით 27 აგვისტოს დააკავეს. სამართალდამცავთა განცხადებით, შალვა რამიშვილი სტუდია „რეპორტიორის“ მიერ კობა ბექაურზე მომზადებული ფილმის არგაშვების სანაცვლოდ, პარლამენტარს 100 ათას დოლარს სძალავდა. თავად ფილმი კი, მისი ავტორების თქმით, კობა ბექაურის კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს შეეხება.

ყველაფერი იმით დაიწყო, რომ 23 აგვისტოს ქობულეთში მყოფ შალვა რამიშვილს მისმა ნაცნობმა ირმა სტეფნაძემ დაურეკა  და უთხრა, რომ ბექაურს მასთან შეხვედრა სურდა. თბილისში ჩამოსვლის შემდეგ, რამიშვილმა გაიგო, რომ ბექაური ფილმის არგაშვების სანაცვლოდ 100 ათას დოლარს იხდიდა. ჟურნალისტმა გადაწყვიტა ეს ფაქტი არგუმენტების გასამყარებლად გამოეყენებინა და რადგან ამის დასაფიქსირებლად ფარული კამერის გამოყენების შესაძლებლობა არ ჰქონდა, კობა ბექაურს მოსთხოვა თანხის ნაწილის ტრანსაქცია, ანუ მის ანგარიშზე ნაღდი ფულის ჩარიცხვა მომხდარიყო ოფიციალურად „ბაზის ბანკში“, რის შესახებაც ბანკის ხელმძღვანელობა წინასწარ იყო გაფრთხილებული და ფულის გადაცემაც ბანკის მიერ გამოყოფილ ოთახში მოხდებოდა. მაგრამ მოვლენები სხვაგვარად დატრიალდა. შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე რამიშვილს დაურეკა ირმა სტეფნაძემ და მოახსენა, რომ თანხის გადაცემა მასთან სახლში მოხდებოდა. ჟურნალისტის მტკიცებით, ბექაურის მიერ ფულის გადაცემის ადგილის შეცვლამ მას აფიქრებინა, რომ ბექაური შეშინდა და თანხის გადაცემას აღარ აპირებდა. ფულის აღებაზე უარის თქმა ბექაურს დააეჭვებდა და ამიტომ შემდეგი შეხვედრაც არ შედგებოდა, რამიშვილი კი, როგორც თავად ამბობს, მეორე შეხვედრაზე აპირებდა მაკომპრომიტირებელი მასალის ჩაწერას. სამწუხაროდ, ჟურნალისტის ჩანაფიქრი წარუმატებლობით დამთავრდა და იგი გისოსებს მიღმა აღმოჩნდა.

როგორც რამიშვილის ადვოკატი ბ-ნი გოჩა სვანიძე აღნიშნავს, სასამართლო ადგენს არა რამიშვილისა და კოხრეიძის დამნაშავეობას, არამედ იმას, უნდა იყვნენ თუ არა ისინი დაპატიმრებულნი. იურისტი ხელისუფლებას უდანაშაულობის პრეზუმპციის დარღვევაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ „მათ საზოგადოების ზომბირება მოახდინეს; ისინი აჩვენებენ ყველა იმ მასალას, რომლის მიხედვითაც, დაპატიმრებულნი დამნაშავეები გამოდიან. შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა „პიარ“ მონაწილე, ასეთი ზომბირების გამო სამართალში უნდა მიეცეს“.

**ტელეკომპანია “202”-ის დამფუძნებლის შალვა რამიშვილის წერილი**

გარემოებათა გამო მოკლებული ვარ ვრცელი წერილის დაწერის საშუალებას, ამიტომ ძალზედ მოკლედ მოგახსენებთ ჩემს პოზიციას 27 აგვისტოს მომხდარი პროვოკაციისადმი.

მე არასოდეს, არცერთი სიტყვით, უნებლიე ჟესტითაც კი არ შემითავაზებია ბექაურისათვის ფულის სანაცვლოდ მასზე შექმნილი საგამოძიებო ფილმის არ გაშვება. ეს შეუძლებელიც იყო. ფილმს ამზადებდა სტუდია “რეპორტიორი”, რომელთანაც 202-ს აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობა. ჩემს მიერ ფილმის დაბლოკვის მცდელობა გამოიწვევდა სკანდალს, ხოლო ფილმი კი მაინც იხილავდა ამა თუ იმ ფორმით დღის სინათლეს. ყველაფერი სულ საპირისპიროდ იყო. ბოლო 4 თვის მანძილზე თავად ბექაური ძალიან ბევრჯერ მთხოვდა, მეხვეწებოდა, მემუქრებოდა, რომ ფილმი არ გამეშვა. მისი ზარები (რომელიც დაფიქსირებულია ჩემს ტელეფონზე) იმდენად ხშირი და მომაბეზრებელი იყო, რომ მე უამრავ ადამიანს ვეუბნებოდი მომაშორეთ ეს აბეზარი ბექაური მეთქი. ამ ადამიანთა შორის არიან ლევან რამიშვილი თავისუფლების ინსტიტუტიდან, თინა ხიდაშელი და სტუდია “რეპორტიორი”-ს თანამშრომლებიც. ბექაურს მოთმინებით ვუხსნიდი რომ ფილმი მაქსიმალური ობიექტურობით შეიქმნებოდა, რომ ფილმის დაბლოკვა შეუძლებელი იყო. მას ორჯერ შევახვედრე “რეპორტიორი”-ს თანამშრომლები. ეს შეხვედრები ფარული გადაღებით არის აღბეჭდილი, ბექაური მუდმივად უარს იღებდა. ბექაური არ ცხრებოდა. იგი მხვდებოდა მე. ჩემს პარტნიორებს 202-ში ჟურნალისტებს და გაცხარებით ითხოვდა ფილმის შეჩერებას.

უეცრად, 23 თუ 24 აგვისტოს, როდესაც ქობულეთში ვიყავი და დამირეკა ირმა სტეფნაძემ ჩემმა კარგმა ნაცნობმა და მითხრა ბექაურს ჩემთან რაღაც კომერციული წინადადება აქვს. ამ წინადადების განხილვაზე უარი ვთქვი. თბილისში ჩამოსვლის შემდე შევხვდი სტეფნაძეს, რომელმაც მითხრა რომ ბექაური არნახულ თანხას 100 000 აშშ დოლარს იხდიდა ფილმის არ გაშვებაში. მე ჩავთვალე რომ ამ ფაქტის დაფიქსირება, ანუ დაფიქსირება იმისა, რომ ბექაური დიდ თანხას იხდიდა ფილმის არ გაშვებაში ამ ფილმის არგუმენტებს გაამყარებდა, რადგანაც სავსებით სავარაუდო იყო, რომ ფილმში წარმოჩენილ ფაქტებს ხელისუფლების მხრიდან ჩვეულად არანაირი რეაქცია არ მოყვებოდა. რაკიღა ვახო კომახიძე არ იყო თბილისში და მე ვერ ვისარგებლებდი ფარული კამერით (ეს უკანასკნელი ვახოს ჰქონდა) დაჟინებით მოვთხოვე ბექაურს ტრანსაქცია ანუ ჩემს ანგარიშზე ნაღდი თანხის ჩარიცხვა მომხდარიყო ოფიციალურად ბანკში პირადად ბექაურის მიერ მოწმეების თანდასწრებით ოფიციალური საბუთით. ამის თაობაზე იცის ბაზის ბანკის ხელმძღვანელობამაც, კონკრეტულად ზურა ციხისთავმაც. რომელსაც 26-ში ვთხოვე რომ 27-ში გამოეყოთ ჩემთვის და ბექაურისათვის (ეს გვარიც ვახსენე) ოთახი სადაც იქნებოდა კამერები, სადაც დაითვლებოდა ფული და მოხდებოდა  ეს ტრანსაქცია.27 დილით შეხვედრამდე ცოტა ხნით ადრე მოულოდნელად დამირეკა ირმამ და მითხრა, რომ გეგმები შეიცვალა და ამიტომ ფულის გადაცემა მასთან სახლში მოხდებოდა. მე დავურეკე დათო კოხრეიძეს ვთხოვე, რომ მივეყვანე ბარნოვზე ირმასთან, გზაში ავუხსენი რომ მივდიოდი ბექაურთან შეხვედრაზე ფულის გამოსართმევად. დანარჩენი საქმის პერიპეტიების ახსნის დრო არ იყო, რადგან კოხრეიძე მხოლოდ გვიან, იმ ღამეს ჩამოვიდა ქობულეთიდან. ბექაურის მიერ ფულის გადაცემის ადგილის შეცვლამ მაფიქრებინა, რომ ბექაური შეშინდა და ფულის მოცემას არ აპირებს. 27-ში შეხვედრაზე კონვერტით გამოცხადებული ბექაურმა  დამარწმუნა რომ ყველაფერი სერიოზულადაა და მე ავიღე ფული. რომ არ ამეღო იგი დაეჭვდებოდა და შემდეგი შეხვედრაც არ შედგებოდა. მე კი მეორე შეხვედრაზე ვაპირებდი ფარულად ფულის გადაცემის ჩაწერას. მანამდე ვახო კომახიძეც ჩამოვიდოდა და ყველაფერი წესრიგში იქნებოდა. სამწუხაროდ ჩემი პირველი მცდელობა გამოძიებისა პროვოკაციით დასრულდა. ჩემს წერილში მოყვანილი ფაქტების სისწორე შეიძლება და უნდა შემოწმდეს სატელეფონო ამონაწერებით თუ მოწმეთა დაკითხვით. მაგრამ

მინდა გითხრათ მთავარი, ჩემს წინააღმდეგ მათ აქვთ ფირი სადაც ჩანს თუ როგორ ვიღებ ფულს. ფალსიფიცირებული ნივთმტკიცებაა ამოღებული ფულის სახით და ბექაურის სიტყვა-მისი ჩვენებაა. აი თქვენ ახლა გაქვთ ჩემი სიტყვა. რომელი სიტყვა გადაწონის სიტყვა ბექაურისა თუ ჩემი. ეს უკვე ჩემი მაყურებლებისა და ჩემი ხალხის გადასაწყვეტია. მე მხოლოდ თქვენი იმედი მაქვს.

**ჟურნალისტებზე თავდასხმები გეომეტრიული პროგრესიით იზრდება**

6 სექტემბერს, გვიან ღამით, ტელეკომპანია „202“-ის გადაცემა „დებატების“ მორიგი წამყვანი ირაკლი კაკაბაძე ორმა დაუდგენელმა პირმა დააყაჩაღა და თავის არეში ჭრილობა მიაყენა. ეს ფაქტი ერთგვარი გაგრძელებაა გორში მომხდარი ვანდალური აქტისა, როდესაც ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილზე თავდასხმა განხორციელდა. ბოლო დროს განვითარებული მოვლენები ნათელყოფს, რომ ძალადობამ ქართული მედიის საქმიანობაში სერიოზულად შეაღწია.

თბილისის პროკურატურის მიერ ირაკლი კაკაბაძის საქმესთან დაკავშირებით გავრცელებული რამდენიმე ვერსია თავიდანვე ურთიერთგამომრიცხავი იყო. თავად დაზარალებული და მისი მეგობრები ერთხმად აღნიშნავენ, რომ ხელისუფლება შეგნებულ პროვოკაციას ეწევა. პროკურატურამ დაკითხა ამ საქმის ერთადერთი მოწმე ტელეკომპანია „202“-ის პროდიუსერი ზაალ ბაიდაშვილი, რომელმაც განაცხადა, რომ დაკითხვების დროს, მასზე მორალური ზეწოლა ხორციელდებოდა. ტელევიზიით გასული ვიდეომასალა, რომლის ჩაწერაც მოწმის ნებართვის გარეშე მოხდა, სადაც იგი თითქოს სხვადასხვა ვერსიებზე საუბრობს, დამონტაჟებულია. რამდენიმე საათიანი დაკითხვის შემდეგ, ზაალ ბაიდაშვილი ნარკოლოგიურ განყოფილებაში გადაიყვანეს და „ჰეროინის“ მოხმარების კვალიც „აღმოუჩინეს“.

პუბლიცისტი კაკაბაძე თვლის, რომ ხელისუფლებას მისთვის ისეთივე სიბინძურის დაბრალება სურს, როგორიც, თავის დროზე, პრემიერ-მინისტრ ზურაბ ჟვანიას დააბრალა: „ჩემი ჯიბიდან საფულე დაიკარგა. სამაგიეროდ, ჯიბეში ვიპოვე ორი ცალი პრეზერვატივი. გამომძიებლები აცხადებენ, რომ ჩემი მეგობრის, ზაალ ბაიდაშვილის სახლში სისხლიანი ზეწრები და დამტვრეული საწოლი იპოვეს. ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს, თუ რა სიბინძურეზე მიდის ხელისუფლება“.

ირაკლი კაკაბაძის ცემის ფაქტს საპარლამენტო ოპოზიცია ხელისუფლების დაკვეთას უწოდებს. როგორც „ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი დავით გამყრელიძე აცხადებს: კაკაბაძეს „დებატების“ აღდგენა არ აპატიეს: „ხელისუფლების მიზანი იყო, რომ დაეხურა ტელეკომპანია „202“ და გადაცემა „დებატები“. კაკაბაძემ მათ ამის საშუალება არ მისცა და შესაბამისი პასუხიც მიიღო. პირდაპირ ვაცხადებ, რომ ეს არის ტერორი და ხელისუფლების ასეთი ქმედებების თაობაზე ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ უნდა იზრუნოს“. „ყველა ეჭვი, რომელიც კაკაბაძის ცემის ფაქტთან დაკავშირებით ჩნდება, ხელისუფლებას უკავშირდება და მათ პასუხის გაცემა მოუწევთ. თუმცა დარწმუნებული ვარ, ხელისუფლების წარმომადგენლები ამ ეჭვების გაბათილებას შეეცდებიან“, - აცხადებს რესპუბლიკური პარტიის ლიდერი დავით უსუფაშვილი.

სახალხო დამცველი სოზარ სუბარი ირაკლი კაკაბაძის ცემის გამო შეშფოთებას გამოთქვამს. იგი მიიჩნევს, რომ ბოლო დროს ჟურნალისტებზე გახშირებული თავდასხმები იღებს ტენდენციის სახეს და ნამდვილად იძლევა შეშფოთების საფუძველს.

ბოლო დროს ჟურნალისტებზე თავდასხმის ფაქტები საგრძნობლად გახშირდა, რომლებიც, რატომღაც საეჭვოდ ემთხვევა ერთმანეთს. საქართველოს პრეზიდენტმა აღნიშნული საქმის პირად კონტროლზე აყვანა მოსთხოვა შს მინისტრის, ვანო მერაბიშვილს.

თბილისის პროკურორი და თავად საქართველოს პრეზიდენტი პირობას დებენ, რომ ირაკლი კაკაბაძის საქმეს მალე აეხდება ფარდა. მაგრამ დაპირებული „მალე“ რა პერიოდს მოიცავს, ძნელი სათქმელია, გამომდინარე იქიდან, რომ ზურაბ ჟვანიას მკვლელობიდან აგერ უკვე შვიდ თვეზე მეტია გასული, პარლამენტარ ვალერი გელაშვილის ცემის ფაქტიდან კი „სულ რაღაც“ ორი თვე და დანაშაულის შემკვეთებიცა და აღმსრულებლებიც დაუსჯელები დადიან, რომ არაფერი ვთქვათ გიორგი სანაიაზე, რომელიც მართალ სიტყვას შეეწირა. ამ დროს კი ვოვა არუთინიანი კოსმოსიდან გადაღებული სურათით ამოიცნეს.

* * *

**კახეთში ჟურნალისტების უფლებები ირღვევა**

***თბილისი.26.04.05.მედიანიუსი***. სახალხო დამცველი სოზარ სუბარი კახეთის რეგიონში მედიის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებს ეხმაურება და ადგილობრივ ხელისუფლებას სიტყვის თავისუფლებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას ურჩევს.

19 აპრილს თელავში გასაყიდი ქსელიდან ამოიღეს ადგილობრივი გაზეთ "სპექტრის," ხოლო 21 აპრილს გაზეთ "24 საათის" მთელი ტირაჟი. "სპექტრის" თანამშრომლებს თვითონ მოუწიათ გაზეთების ჩამორიგება ხელმომწერი ორგანიზაციებისა და პირებისათვის.

ადგილობრივი მედიის წარმომადგენელთა ინფორმაციით, გაზეთები თელავის გამგეობის განკარგულებით დაბლოკეს. როგორც ჩანს, გამგეობაში გაზეთებში გამოქვეყნებული სტატიები არ მოეწონათ, სადაც საბიუჯეტო სახსრებიდან თელავის რაიონისთვის გამოყოფილი სოცპაკეტის 132 ათასი ლარის არამიზნობრივ ხარჯვაზე იყო საუბარი.

გასული წლის განმავლობაში, სოციალურად დაუცველი ფენების ნაცვლად, თანხა გამგეობის თანამშრომლებზე ნაწილდებოდა. დარღვევის შესახებ კონტროლის პალატის დასკვნა უკვე ორი თვეა გენერალურ პროკურატურაშია გადაგზავნილი, თუმცა სტატიაში აღნიშნულია, რომ თელავში გენერალური პროკურატურიდან ჯერ არავინ ჩასულა.

სახალხო დამცველი მედიაზე კონტროლს დაუშვებელად მიიჩნევს და მიაჩნია, რომ მსგავს ფაქტებს დემოკრატიულ ქვეყანაში ადგილი არ უნდა ჰქონდეს.

გასულ კვირას ჟურნალისტისადმი უდიერ მოპყრობას ლაგოდეხის რაიონშიც ჰქონდა ადგილი. გაზეთ "იმედის" კორესპონდენტი მარინა გოგოლაძე ნაციონალური მოძრაობის წევრსა და ადგილობრივ აქტივისტს მიხეილ კაკალაშვილს ფიზიკური შეურაცხყოფის მიყენებაში ადანაშაულებს. როგორც ჟურნალისტი აცხადებს, კაკალაშვილი მის დახრჩობას ცდილობდა, შემდეგ დიქტოფონის კასეტა წაართვა და ჩაწერილი მასალა დაუზიანა. კაკალაშვილი ბრალდებას კატეგორიულად უარყოფს. მომხდარ ფაქტზე აძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

სოზარ სუბარის დავალებით, საქმის მიმდინარეობის ობიექტურობას სახალხო დამცველის რწმუნებული კახეთის რეგიონში ნოდარ სეფიაშვილი პირადად გააკონტროლებს.

**გურჯაანში გაზეთ „იმედის“ რედაქცია დაარბიეს**

***გურჯაანი.07.01.05.მედია-ნიუსი***. შობის ღამეს გურჯაანში გაზეთ „იმედის“ რედაქცია დაუდგენელმა პირებმა დაარბიეს. ჩამსხვრეულია შენობის ფანჯრები, გატეხილია კარები და კომპიუტერები.

გაზეთის მთავარი რედაქტორის გელა მთივლიშვილის განცხადებით, მოსალოდნელი დარბევის შესახებ რამდენიმე დღის წინათ ისინი ერთ-ერთმა ოფიციალურმა პირმა გააფრთხილა, რადგან მათი საქმიანობით კახეთის რაიონების გამგებლები უკმაყოფილონი არიან.

გაზეთის ოფისიდან წაღებულ დოკუმენტებს შორის არის რამდენიმე წლის წინათ დედოფლისწყაროში მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით შეგროვილი მასალები, რომელსაც ჟურნალისტები დარბევის ფაქტს უკავშირებენ.

„ყველაფერი ეს კახეთში თავისუფალი სიტყვის საბოლოოდ ჩასახშობადაა მოწყობილი,“- განაცხადა გელა მთივლიშვილმა.

**გურჯაანში რაიონული გაზეთის რედაქტორი სცემეს**

***თბილისი.23.06.05.მედიანიუსი***. გურჯაანში ადგილობრივი რაიონული გაზეთის, "იმედის" მთავარი რედაქტორი გელა მთივლიშვილი სცემეს.

დაზარალებულის განცხადებით, უცნობი პირი თავს მაშინ დაესხა, როცა ის სამსახურიდან სახლში ბრუნდებოდა. თავდამსხმელმა მას თავში ბლაგვი საგნით რამდენიმე დარტყმა მიაყენა.

დაზარალებულის თქმით, უცნობი მას ორი წუთის განმავლობაში სცემდა, რის შემდეგაც შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

დაშავებული დაუყოვნებლივ საავადმყოფოში გადაიყვანეს. მას დაჟეჟილობები და ჰემატომა აღენიშნება. მთივლიშვილი მომხდარს ბოლო დროს გაზეთში გამოქვეყნებულ მასალებს უკავშირებს, რომელთა კრიტიკის ობიექტი სამართალდამცველები არიან. მომხდარს გურჯაანის რაიონული პოლიციის საგამოძიებო ჯგუფი იძიებს. დაშავებული მკურნალობას სახლში განაგრძობს.

როგორც გურჯაანის რაიონის გამგებელმა აკაკი სიხარულიძემ "მედიანიუსს" განუცხადა, თუ რის გამო სცემეს მთივლიშვილი - როგორც მოქალაქე თუ როგორც ჟურნალისტი - გამოძიება დაადგენს. თუმცა, რადგანაც მთივლიშვილი ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა, საჭიროა, მთელმა ქართულმა ჟურნალისტურმა საზოგადოებამ სოლიდარობა გამოუცხადოს მას. ასევე, საჭიროა, ასეთ დროს ჟურნალისტთა საერთაშორისო ფედერაციასაც გავუგზავნოთ მიმართვა.

"მოქალაქის უფლების შელახვა დასაგმობია", - ამბობს სიხარულიძე და რაიონში ჟურნალისტის ფიზიკური ანგარიშსწორების მსგავს შემთხვევას ვერ იხსენებს.

**გურჯაანში რაიონული გაზეთის რედაქტორის ეზოში ხელყუმბარა აფეთქდა**

***გურჯაანი.15.07.05.მედიანიუსი.*** გურჯაანის რაიონული გაზეთის „იმედის“ რედაქტორის გელა მთივლიშვილის საცხოვრებელი სახლის ეზოში ხელყუმბარა აფეთქდა. აფეთქების შედეგად ჩაიმსხვრა სახლის მინები და დაზიანდა ჭერი.

როგორც გურჯაანის რაიონის გამგებელმა აკაკი სიხარულიძემ „მედიანიუსს“ განუცხადა, ხელყუმბარა გელა მთივლიშვილის სახლის ეზოში დაახლოებით ღამის 2 საათზე აფეთქდა. ამ დროისათვის ოჯახის წევრები სახლში იმყოფებოდნენ.

„მომხდარ ფაქტზე მიმდინარეობს მოკვლევა, შექმნილია ოპერატიული ჯგუფი და ველოდებით ექსპერტიზის დასკვნას, რათა დადგინდეს, რამ გამოიწვია აფეთქება.“ - განაცხადა „მედიანიუსთან“ საუბრისას გურჯაანის პოლიციის უფროსმა არჩილ ბოჟაძემ.

გელა მთივლიშვილზე თავდასხმის ფაქტი ერთი თვის წინაც დაფიქსირდა. „იმედის“ რედაქტორს დაუდგენელმა პირმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

გურჯაანის გამგებლის აკაკი სიხარულიძის განცხადებით, გაზეთი „იმედი“ საკმაოდ კრიტიკულად აშუქებს კახეთის რეგიონში მიმდინარე მოვლენებს, თავად დაზარალებულიც მასზე თავდასხმის ფაქტებს ჟურნალისტურ საქმიანობას უკავშირებს.

**ადგილობრივი ხელისუფლება რეგიონალური მედიის კლანჭებში მოქცევას ცდილობს**

2005 წლის 16 ნოემბერს, გურჯაანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი აკაკი სიხარულიძე ადგილობრივი ტელეკომპანიის ეთერით, დამოუკიდებელ ჟურნალისტებს კორუფციაში ადანაშაულებს და სპეცსამსახურებით ემუქრება. მოგვიანებით, ადგილობრივი ხელისუფალი კონკრეტდება და ხელს გაზეთ „იმედის“ მთავარ რედაქტორს გელა მთივლიშვილს ადებს. მთივლიშვილზე თავდასხმების არაერთი ფაქტი დღემდე გამოუძიებელი რჩება, რასაც ემატება რაიონის პირველი პირების მხრიდან მუქარა და უსაფუძვლო ბრალდებები.

კახეთის რეგიონული ყოველკვირეული გაზეთი “იმედი” დღეისათვის ყველაზე მაღალტირაჟიანი გამოცემაა აღნიშნულ რეგიონში. იგი ასევე ვრცელდება თბილისში, კახეთის და მცხეთა-მთიანეთის რეგიონებში. “იმედის” ჟურნალისტები არაერთხელ გამხდარან სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფის მსხვერპლნი, თუმცა, როგორც გაზეთის მთავარი რედაქტორი აცხადებს, ზეწოლა განსაკუთრებით “ვარდების რევოლუციის” შემდეგ გაძლიერდა.

გაზეთ „იმედზე“ და მის ჟურნალისტებზე განხორციელებული სერიული თავდასხმანი სათავეს წლის დასაწყისიდან იღებს. 2005 წლის 7 იანვარს დღემდე დაუდგენელმა პირებმა დაარბიეს გაზეთის რეგიონული ოფისი, რომელსაც მოგვიანებით გურჯაანის რაიონული პოლიცია პროვოცირების მიზნით არაოფიციალურად გაზეთის რედაქტორს, გელა მთივლიშვილს აბრალებდა.

2005 წლის 15 აპრილს, გაზეთ “იმედის” კორესპონდენტი ლაგოდეხის რაიონში მარინა გოგოლაძე, პარლამენტარ კაკალაშვილის ძმამ გურამ კაკალაშვილმა, დეპუტატის კაბინეტში სიტყვიერად და ფიზიკურად შეურაცხყო. მომხდარს ნაციონალური მოძრაობის ადგილობრივი ორგანიზაციის წევრები ესწრებოდნენ, თუმცა მათ თანამდებობების ბოძების სანაცვლოდ ჟურნალისტის შეურაცხყოფის ფაქტი არ დაადასტურეს.

22 ივნისს, 19 საათისთვის რედაქციიდან სახლში მიმავალ გაზეთის რედაქტორს თავს უცნობი, შეიარაღებული ახალგაზრდა მამაკაცი დაესხა და იარაღის თავში ჩარტყმით გონდაკარგულს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა, შეუჩერებლობის შემთხვევაში კი ფიზიკური ლიკვიდაციით დაემუქრა. ინციდენტის შედეგად ჟურნალისტმა მძიმე ტრავმა და თავის ტვინის შერყევა მიიღო.

15 ივლისს, 01 საათსა და 33 წუთზე ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის საცხოვრებელ სახლში დაუდგენელმა პირმა ხელყუმბარა ისროლა. აფეთქების შედეგად სახლის პირველ სართულზე ჩაიმსხვრა ფანჯრის მინები, დაზიანდა სამზარეულო, სახლის სახურავი და ეზო. აფეთქებით შოკირებულნი იყვნენ ჟურნალისტის მცირეწლოვანი დისშვილები.

ეკონომიკურ დანაშაულთან, კორუფციასთან და კონტრაბანდასთან ბრძოლის კავშირის თავმჯდომარეს ბორის მამისაშვილს, მის საქმიანობაზე კრიტიკული მასალის გამოქვეყნების შემდეგ, 2005 წლის 1 სექტემბერს გურჯაანის რაიონულ სასამართლოში შეაქვს სარჩელი გაზეთ "იმედის" რედაქტორის წინააღმდეგ მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით (50000 ლარი).

„ბორის მამისაშვილს სასამართლოში ბაჟის სახით უნდა გადაეხადა 1200 ლარი, ამის თავიდან ასაცილებლად, მან შეიტანა გამგებლის შუამდგომლობა, სადაც იგი მოსამართლეს სთხოვს გაათავისუფლოს სახელმწიფო ბაჟისაგან. მე ვაცხადებ ხმამაღლა, რომ გამგებელია უშუალოდ დაინტერესებული გაზეთის გაკოტრებით და სამუშაო პროცესის შეფერხებით, რაც გუშინდელ გამოსვალშიც ნათლად გამოჩნდა. ასევე არ გამოვრიცხავ, რომ ის ზეწოლები, რაც გაზეთზე ხორციელდებოდა აქამდეც იყო მისი შეკვეთით",- აცხადებს გელა მთივლიშვილი.

საქმე იმაშია, რომ 2005 წლის 16 ნოემბერს, გურჯაანის რაიონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი ადგილობრივი ტელეკომპანიის ეთერით, დამოუკიდებელ ჟურნალისტებს სპეცსამსახურებით ემუქრება. 17 ნოემბერს სიხარულიძე ჟურნალისტებს შეხვდა და გაზეთ "იმედის" რედაქტორს გელა მთივლიშვილს საჯაროდ შანტაჟიორი, თაღლითი, პროვოკატორი, გამომძალველი და დაბრმავებული უწოდა.

ჟურნალისტ გელა მთივლიშვილის წინააღმდეგ განხორციელებული ყველა კრიმინალური აქტი გაუხსნელია და უფრო მეტიც, არაფერი არ კეთდება იმისათვის, რათა დამნაშავეები გამოვლინდნენ, რის გამოც რეალურია საფრთხე იმისა, რომ დაუსჯელობის სინდრომით გათამამაბულებმა მედიის წარმომადგენელს სიცოცხლე მოუსწრაფონ, რაც თუ გურჯაანის პოლიციის ხელმძღვანელობის განცხადებით ვიმსჯელებთ, სულაც არ არის წარმოუდგენელი, რადგან, იმ ქვეყანაში, სადაც პრემიერ-მინიტრს კლავენ, არაფერია რიგითი ჟურნალისტის მკვლელობა.

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი** შეშფოთებას გამოთქვამს ბოლო დროს ჟურნალისტებზე გახშირებული თავდასხმებისა და სახელმწიფო მოხელის მიერ დამოუკიდებელი მედიის შევიწროების გამო, ასევე მის მიერ გამოთქმული განცხადების გამო საჯარო ინფორმაციის არ გაცემის თაობაზე. ცენტრი ასევე გმობს სახელმწიფო მოხელის მიერ დამოუკიდებელი მედიის წარმომადგენლის მიმართ მუქარას და მოითხოვს აღნიშნული პიროვნების პასუხიმგებლობის დაყენებას.

**გაზეთ „იმედის" რედაქტორი საკუთარი უფლებებისათვის იბრძვის**

დღეს ***ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრში*** გაიმართა პრესკონფერენცია თემაზე "ტერორი გაზეთ "იმედის" მთავარ რედაქტორზე გრძელდება". ამა წლის 22 ნოემბერს 22:35 სთ-ზე კახეთის რეგიონალური გაზეთ "იმედის" მთავარი რედაქტორის გელა მთივლიშვლის ბინაში დაუდგენემა პირებმა ხელყუმბარა შეაგდეს. აფეთქების შედეგად დაზიანდა მთივლიშვილის საცხოვრებელი სახლი. შენობაში შემთხვევით არ ყოფნის გამო უვნებლად გადარჩნენ მთივლიშვილი და მისი ოჯახის წევრები.

აღნიშული ფაქტი გაგრძელებაა მთივლიშვილზე და "იმედის" სხვა თანამშრომლებზე მომხდარი თავდასხმებისა და ტერორისა, რომელიც სათავეს წლის დასაწყისიდან იღებს. მიუხედავად ამისა, ეს ფაქტები დღემდე გამოუძიებელი რჩება. გელა მთივლიშვილი მის და მისი გაზეთის წინააღმდეგ განხორციელებულ თავდასხმებში რეგიონალური თვითმმართველობის ორგანოს ადანაშაულებს და აცხადებს, რომ ეს ფაქტები მისი გაზეთის დახურვისკენ არის მიმართული.

პრესკონფერენციას თავად დაზარალებული გელა მთივლიშვილი, ***ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის*** აღმასრულებელი დირექტორი უჩა ნანუაშვილი და ცენტრის ადვოკატი გიგა გიორგაძე უძღვებოდნენ. უჩა ნანუაშვილის სიტყვებით, ადგილობრივი და ცენტრალური მთავრობის წარმომადგენლების მხრიდან თავისუფალ ჟურნალისტებზე ზეწოლა „ვარდების რევოლუციის" შემდეგ განსაკუთრებით გააქტიურდა. ***ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი*** მომხდარი ფაქტების გამოძიებასა და ჭეშმარიტების დადგენას ითხოვს.

* * *

**მიხეილ ქარელს ჟურნალისტის ცემაში ადანაშაულებენ**

***თბილისი.04.05.05.მედიანიუსი.*** გაზეთ "ახალი ვერსიის" ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი შიდა ქართლის რეგიონში პრეზიდენტის რწმუნებულს მიხეილ ქარელს ძალადობაში ადანაშაულებს.

როგორც საბა წიწიკაშვილმა თავისუფლების ინსტიტუტში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, 26 აპრილს იგი სოფელ უფლისციხეში აპირებდა შესვლას, რომ სტიქიური უბედურების შედეგად დაზარალებული მოსახლეობისათვის სურათები გადაეღო და სტატია მოემზადებინა. თუმცა, მას ამის საშუალება მიხეილ ქარელმა არ მისცა.

წიწიკაშვილის თქმით, ქარელმა ის გამოათრია მანქანიდან, მიაყენა ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა და ნიშნისმოგებით უთხრა, "ახლა გააკეთე სტატიაო".

ჟურნალისტის თქმით, მომხდარს უამრავი თვითმხილველი ჰყავდა, იქ იყო ტელეკომპანიების "თრიალეთის" და "რუსთავი-2"-ის გადამღები ჯგუფები, თუმცა, ის დარწმუნებული არ არის, გადაიღეს თუ არა მომხდარი ამ ტელეკომპანიებმა. მისივე თქმით, შეურაცხყოფის ფაქტი გარემოს დაცვის მინისტრმა გიორგი პაპუაშვილმაც იხილა.

საბა წიწიკაშვილს პროკურატურაში შეაქვს განცხადება მომხდარი ფაქტის გამოძიების მოთხოვნით.

**შიდა ქართლის რწმუნებულის ზღვარგადასული ქმედებები**

შიდა ქართლი მედიისა და პრესის თავისუფლების მხრივ სერიოზული წნეხის ქვეშ იმყოფება. ყოველი მასალა, რომელსაც გორში ჟურნალისტები ამზადებენ პრესისა თუ ტელევიზიისათვის ცენზორის - მიხეილ ქარელის ხელში „იწმინდება“. ის ჟურნალისტები კი, რომლებიც ცდილობენ ობიექტურად გააშუქონ რეგიონში არსებული მდგომარეობა და საჭიროების შემთხვევაში არ ერიდებიან ადგილობრივი ხელისუფლების, მათ შორის მიხეილ ქარელის კრიტიკას, მუქარების, გაფრთხილებებისა და ზეწოლის მსხვერპლნი ხდებიან და ხშირად სამსახურს კარგავენ. შიდა ქართლის რწმუნებულის ქმედებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, როდესაც მან „ახალი ვერსიის“ ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილს სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა და საკუთარი პროფესიული მოვალეობის შესრულების საშუალება არ მისცა.

შიდა ქართლში თვითცენზურაა გამეფებული და ჟურნალისტების გარკვეული კატეგორია ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან სერიოზულ ზეწოლას განიცდის, რაც დაუმორჩილებლობის შემთხვევაში გამოიხატება სამსახურიდან დათხოვნით, მუქარებითა თუ სხვა ფორმით. რეგიონში აშკარად შეიმჩნევა ტენდენცია ადგილობრივი ხელისუფლების მიერ სასურველ და არასასურველი ჟურნალისტებად დაყოფისა. არასასურველ ჟურნალისტთა რიცხვს მიეკუთვნებიან „რუსთავის 2“-ის კორესპონდენტი გოგა აფციაური, მისი მეუღლე ტელეკომპანია მზის კორესპონდენტი, ნათია ომაძე, გაზეთ „ახალი ვერსიის“ ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი, ასევე „ხალხის გაზეთის“ ჟურნალისტები და სხვ.

„ახალი ვერსიის“ ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილსა და შიდა ქართლის რწმუნებულს შორის ურთიერთობა მას შემდეგ დაიძაბა, რაც ჟურნალისტის მიერ გამოქვეყნდა სერია სტატიებისა, რომელშიც ის შიდა ქართლის რწმუნებულს თანამდებობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებს. სტატიები ეხებოდა მიხეილ ქარელის ბიზნეს ინტერესებს კონტრაბანდული საქონლის ბიზნესში, სადაც ჟურნალისტმა გააშუქა ინფორმაცია, რომ სოფელ ტყვიავში მიხეილ ქარელისა და ირაკლი ოქრუაშვილის ნათესავები კონტრაბანდული საქონლის ბიზნესს ვერ იყოფენ, რამაც მათ შორის სერიოზული დაპირისპირება გამოიწვია.

ჟურნალისტმა გააშუქა მასალები რწმუნებულის ფონდში ჩარიცხული თანხების საეჭვო წარმომავლობის შესახებ, სადაც კოლოსალური თანხებია წარმოდგენილი, რომელსაც სხვადასხვა კერძო და იურიდიული პირი მიუხედავად მათი ფინანსურად არც თუ სახარბიელო მდგომარეობისა, რწმუნებულის ფონდში სოლიდურ თანხებს რიცხავდნენ. ჟურნალისტი სვავდა კითხვებს თუ რა იყო ამ ფირმების მოტივაცია თანხების შემოწირულობების სახით ჩარიცხვისას; ხომ არ აქვს ადგილი ზეწოლასა და დაშანტაჟებას?!

„მიხეილ ქარელი შიდა ქართლში მცირე მეწარმეებს არეკეტებს და მუქარისა და შანტაჟის გზით ავსებს საკუთარ ფონდს, წინააღმდეგ შემთხვევაში სხვადასხვა მეთოდების გამოყენების ანგარიშწორებით ემუქრება, მათ შორის დაპატიმრებითაც. ვინც გადაიხადა ფული ფონდში იმას შეუნარჩუნეს საწარმო, ხოლო ვინც უარი განაცხადა - მას აპატიმრებდნენ“, - განაცხადა საბა წიწიკაშვილმა და დაამატა, რომ ის პირადად იცნობს გორის ბაზრის დირექტორს ჯემალ წიკლაურს, რომელიც 4 თვე წინასწარ პატიმრობაში იმყოფებოდა, რადგან უარი განაცხადა რწმუნებულისთვის ბაზრის გადაცემაზე.

მიხეილ ქარელის შესახებ გამოქვეყნებული სტატიების შემდეგ რწმუნებული პირადად ურეკავდა ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილს და ემუქრებოდა, რომ შეეწყვიტა მასზე წერა. ადგილობრივი ტელეკომპანია „თრიალეთის“ რედაქტორის თანამდებობიდან საბა წიწიკაშვილის გათავისუფლების შემდეგ, რასაც ჟურნალისტი რწმუნებულს უკავშირებს, შიდა ქართლის რწმუნებული საერთოდ ტელეარხიდან მის გათავისუფლებას ითხოვდა და რედაქციაშიც რეკავდა ამის თაობაზე. „ახალი ვერსიის“ რედაქციაში იგივე მოთხოვნით დაუკავშირდა გაზეთის ხელმძღვანელობას, თუმცა მის წინააღმდეგ არსებული მაკომპრომეტირებელი დოკუმენტები ვერ გააბათილა და რედაქციამ უარი განაცხადა ჟურნალისტის გათავისუფლებაზე.

დაპირისპირებამ კულმინაციას მიაღწია სოფელ უფლისციხეში, როდესაც იქ მომხდარი წყალდიდობებისა და სოფელში არსებული მდგომარეობის გასაშუქებლად ჩასულ ჟურნალისტს რწმუნებულმა საბა წიწიკაშვილს არ მისცა სოფელში გადასვლის საშუალება და ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ხოლო დაცვამ მანქანიდან იძულებით გადმოიყვანა, რისი თვითმხილველები იქ მყოფი მოსახლეობა და ჟურნალისტები იყვნენ.

როგორც ჟურნალისტი საბა წიწიკაშვილი აცხადებს, არასასურველი ჟურნალისტების ჩამოცილება ხდება ადგილობრივ ტელეკომპანიებშიც, გაზეთებში, რასაც მიხეილ ქარელი უშუალოდ ახორციელებს სატელეფონო ზარების მეშვეობით. იგი აცხადებს, რომ ხელისუფლება ყველანაირად ცდილობს არასასურველი და კრიტიკულად განწყობილი ჟურნალისტები ჩამოსცილდნენ ჟურნალისტურ საქმიანობას. წიწიკაშვილის თქმით, ჟურნალისტებს დაბრკოლებები ექმნებათ ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენელთა მხრიდან საკუთარი ფუნქციების შესრულებისას - რთულდება საჯარო ინფორმაციის მიღება და არის მცდელობები ჟურნალისტების სრულ იზოლაციაში მოხვედრისა.

შიდა ქართლის რწმუნებული მიხეილ ქარელი არ მალავს აღშფოთებას და ფსიქოლოგიური ზეწოლისა და დაშინების მექანიზმებს იყენებს ჟურნალისტების მიმართ, თუ მათ მიერ გაშუქებული ინფორმაცია პირდაპირ ეთერში ან პრესაში განთავსებული სტატია მისთვის არასასურველია ან რწმუნებულის კრიტიკას ეხება.

„რუსთავი 2“-ის კორესპონდენტი გოგა აფციაური ტელეკომპანიაში მას შემდეგ აღარ მუშაობს, რაც მის მიერ პირდაპირ ეთერში გაშუქებულმა ინფორმაციამ შიდა ქართლის რწმუნებულის გაღიზიანება გამოიწვია. საქმე ეხება რამოდენიმე თვის წინ სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისთვის საჩუქრის სახით სასუქის გადაცემას, როდესაც ოსურმა მოსახლეობამ უარი თქვა საქართველოს ხელისუფლებისგან აღნიშნულ დახმარებაზე, რაც გაშუქდა „რუსთავის 2“-ის ეთერში აღნიშნული ჟურნალისტის მიერ. რწმუნებულმა უშუალოდ გააკრიტიკა ჟურნალისტის მიერ გაკეთებული რეპორტაჟი და პირადად განუცხადა თავისი უკმაყოფილება.

ზეწოლა განხორციელდა ასევე ტელეკომპანია „მზის“ კორესპონდენტ ნათია ომაძეზე, როდესაც მან პირდაპირ ეთერში ჩართო თავისი მეუღლე, გოგა აფციაური, რომელმაც შიდა ქართლში კონტრაბანდული საქონლის მოძრაობის შესახებ ისაუბრა. აღსანიშნავია, რომ „მზის“ შიდა ქართლის ბიუროს დახურვა მოხდა მასშემდეგ, რაც ჟურნალისტ საბა წიწიკაშვილის მიერ გადაღებულ იქნა მასალა, რომელიც ეხებოდა გორის ერთ-ერთ სუპერმარკეტში აღმოჩენილ კონტრაბანდულ საქონელს და რომელიც მიხეილ ქარელის ნათესავებს ეკუთვნოდათ. ვიდეომასალაში გამახვილებული იყო ყურადღება აღნიშნულ საკითხში შიდა ქართლის რწმუნებულის ბიზნეს ინტერესებზე, რამაც მიხეილ ქარელის გაღიზიანება და მოგვიანებით „მზის“ შიდა ქართლის ბიუროს დახურვა განაპირობა.

**გორში ჟურნალისტი სცემეს**

***თბილისი. 05.09.05. „ჯი-ეიჩ-ენი“.*** გორში, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე, საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენის“ რეგიონალურ კორესპონდენტს, საბა წიწიკაშვილს სამი დაუდგენელი პიროვნება თავს დაესხა.

თავდამსხმელებმა ჟურნალისტი სასტიკად სცემეს. წიწიკაშვილი თავის ტრამვითა და მრავლობითი დაჟეჟილობით გორის რაიონულ საავადმყოფოშია გადაყვანილი.

როგორც წიწიკაშვილი აცხადებს, თავდამსხმელებს მისგან არაფერი მოუთხოვიათ. მომხდარს ჟურნალისტი თავის საქმიანობას უკავშირებს.

შეგახსენებთ, რომ რამდენიმე დღის წინ წიწიკაშვილს გორის რაიონის გამგეობის იურიდიული სამსახურის უფროსი, რევაზ გოგიაშვილი დაემუქრა. მაშინ გოგიაშვილმა გამგეობის შენობაში მას სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა. ჟურნალისტის თქმით, ამ ფაქტს გამგეობის სხვა თანამშრომლებიც შეესწრნენ.

როგორც ირკვევა, გოგიაშვილის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ წიწიკაშვილი ამზადებს მასალას შპს „ძევერაზე“, რომლის მფლობელიც არის გოგიაშვილის დედის ძმა, ომარ ბუხრაძე. ეს შპს ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ბაზაზეა შექმნილი და რამდენიმე ერთეულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მიწის ნაკვეთებს ფლობს.

თავის დროზე ბუხრაძე ამ შპს-ის დირექტორი იყო და, როგორც ჟურნალისტი აცხადებს, ბუხრაძემ იგი ჯერ მიზანმიმართულად გააკოტრა და შემდეგ მიზერულ თანხად შეისყიდა.

თავად წიწიკაშვილი დღევანდელი თავდასხმის ფაქტს გოგიაშვილის მუქარას გადაჭრით ვერ უკავშირებს, თუმცა მისი გამორიცხვაც უჭირს.

მომხდარის შესახებ ინფორმირებულია ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები, დეტალები ზუსტდება.

**ჟურნალისტებზე ტერორი გრძელდება**

5 სექტემბერს, საღამოს 8 საათზე, "ახალი ვერსიისა" და "ხალხის გაზეთის" კორესპონდენტ საბა წიწიკაშვილს გორში, რკინიგზის მიმდებარე ტერიტორიაზე სამი დაუდგენელი პიროვნება თავს დაესხა და სასტიკად სცემა. სავარაუდოა, რომ ჟურნალისტი ანგარიშსწორების მიზნით სცემეს, რადგან არ დაუყაჩაღებიათ. ამ ინციდენტამდე 2 დღით ადრე, 3 სექტემბერს იგივე ტერიტორიაზე უცნობმა პიროვნებამ მას ქვების სროლა დაუწყო. მაშინ წიწიკაშვილმა გაქცევა მოახერხა. როგორც ჩანს, 5 სექტემბერს თავდამსხმელები უფრო მომზადებულები აღმოჩნდნენ. დაზარალებულს ტვინის შერყევა აქვს მიღებული და სხეულზე ბლაგვი საგნით მიყენებული მრავლობითი დაჟეჟილობა აღენიშნება.

საბა წიწიკაშვილი 2 წელია ჟურნალისტურ საქმიანობას ეწევა. იგი არ ეხება უწყინარ და ხელისუფლებისთვის სასიამოვნო წასაკითხ თემებს. წიწიკაშვილი ფლობს მასალებს, თუ როგორ ართმევდნენ შიდა ქართლის გუბერნატორის, მიხეილ ქარელის ბრძანებით, მოიჯარეებს მიწის ნაკვეთებს და როგორ ანიავებდნენ მოსავალს პირადი სარგებელისთავის. ამიტომ სავარაუდოა, რომ ცემის ფაქტი უკავშირდება მის ჟურნალისტურ საქმიანობას. დაზარალებულიც მომხდარში ადგილობრივ ხელისუფლებას ადანაშაულებს: „სრული საფუძველი მაქვს ვიფიქრო, რომ ეს იყო გუბერნატორის ან რაიონის გამგებელის დაკვეთით. მე ვმუშაობ ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის გასაშუქებლად საბიუჯეტო დარღვევებსა და კონტრაბანდის სფეროში. თითქმის ყველა სფეროში, რაც კი გამიშუქებია, მიმიგნია, რომ ქარელის რაღაც ინტერესი ყოფილა".

ადგილობრივი ხელისუფლების მაღალჩინოსნების დამოკიდებულება ჟურნალისტის მიმართ მუდამ ცინიკური იყო. დაახლოებით 2 თვის წინ გუბერნატორი ღიად დაუპირისპირდა წიწიკაშვილს სოფელ უფლისციხესთან. ქარელმა პირად დაცვას ჟურნალისტი მანქანიდან ჩამოაგდებინა და გორის სოფლებში გადასვლის საშუალება არ მისცა. თან ნიშნისმოგებით უთხრა, რომ თუ მაგარი ბიჭი იყო, თავად გადასულიყო. ამ ინციდენტს შეესწრო მოსახლეობა, რომელთაც ახსნა-განმარტებებიც კი აქვთ დაწერილი სახალხო დამცველის სახელზე.

მუქარა ქარელის თანამშრომლების მხრიდან მუდმივად ხორციელდებოდა ჟურნალისტის მისამართით. რასაც, ჟურნალისტის თქმით, ძირითადად, რევაზ გოგიაშვილი _ გორის რაიონის გამგეობის იურიდიული განყოფილების უფროსი აკეთებდა. საინფორმაციო სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენ"-ის ინფორმაციაზე დაყრდნობით, გოგიაშვილის გაღიზიანებას იწვევს ის ფაქტი, რომ წიწიკაშვილი ამზადებს მასალას შპს „ძევერაზე", რომლის მფლობელიც არის გოგიაშვილის დედის ძმა, ომარ ბუხრაძე. ეს შპს ყოფილი საბჭოთა მეურნეობის ბაზაზეა შექმნილი და რამდენიმე ერთეულ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკასა და მიწის ნაკვეთს ფლობს. თავის დროზე ბუხრაძე ამ შპს-ის დირექტორი იყო. როგორც ჟურნალისტი აცხადებს, ბუხრაძემ იგი ჯერ მიზანმიმართულად გააკოტრა და შემდეგ მიზერულ თანხად შეისყიდა.

საავადმყოფოდან პროკურატურაში მისული დაზარალებული ქარელმა მოინახულა. მან პოლიცია უმოქმედობაში დაადანაშაულა და ჟურნალისტის ცემის ფაქტი გორში გართულებულ კრიმინოგენულ სიტუაციას დაუკავშირა. ამის გამო, მას შელაპარაკებაც კი მოუხდა შიდა ქართლის ოლქის პროკურორთან, რომლის თქმით, სტატისტიკური მონაცემები საპირისპიროს მეტყველებს. მეორე დღეს ქარელმა წიწიკაშვილის დაურეკა და მკურნალობის ხარჯების ანაზღაურება შესთავაზა, რაზეც უარი მიიღო.

მიუხედავად შანტაჟისა და აღსრულებელი მუქარისა, წიწიკაშვილი გამოჯანმრთელებისთანავე ჩვეული რეჟიმით მუშაობის გაგრძელებას აპირებს: „არც ერთ ჟურნალისტს არ მივცემ იმის საფუძველს, რომ შეეშინდეს და თავის საქმიანობაზე უარი თქვას. ჩვეულებრივ, როგორც ვმუშაობდი, იგივე ტემპით გავაგრძელებ".

* * *

**აჭარის ტელევიზიაზე კვლავ ზეწოლაა**

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობიდან წამოსვლის გადაწყვეტილება, რაც მისი განცხადებით, ზეწოლით იქნა განპირობებული, ნათელი მაგალითია იმისა, რომ დამოუკიდებელი მედია ამ რეგიონში სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის თვალსაზრისით სერიოზული წნეხის ქვეშ იმყოფება.

ადგილობრივი მედიის წარმომადგენლები, მიიჩნევენ, რომ აჭარაში მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მიმართ მკაცრი ცენზურაა დაწესებული და ჟურნალისტების მუშაობა ხელმძღვანელობის მხრიდან მკაცრად კონტროლირდება. თუმცა, აჭარის ტელევიზიის ჟურნალისტები არაფერს ამბობენ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე და ცენზურის გატარებაში ტელევიზიის ყოფილ ხელმძღვანელს ზაზა ხალვაშს ადანაშაულებენ. მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ტელევიზიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს, არასამთავრობოები ტელევიზიაში კვლავ ცენზურის დაწესებასა და ზემოქმედების ფაქტებზე საუბრობენ. ახალმა ხელმძღვანელმა ნატა იმედაიშვილის საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაბრუნებაზე უარი განაცხადა ტელევიზიაში დაპირისპირების აღმოფხვრის მიზნით. თუმცა, ქალბატონი ნატა არ ადასტურებს ჟურნალისტებთან დაპირისპირების საფრთხეს.

აჭარის ტელევიზიაში ჟურნალისტებზე ზეწოლის ფაქტები მაშინ გამოაშკარავდა, როდესაც ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნატა იმედაიშვილმა პროტესტის ნიშნად თანამდებობა დატოვა და მოტივად ტელევიზიის ხალმძღვანელის, ზაზა ხალვაშის მხრიდან ზეწოლა დაასახელა. მისი თქმით, ტელევიზიაში გასულ ყველა სიუჟეტზე ცენზურა იყო დაწესებული.

ნატა იმედაიშვილის წასვლის შემდეგ ტელევიზიიდან 12-მა ჟურნალისტმა პროტესტის ნიშნად დატოვა სამსახური და ზაზა ხალვაშის გათავისუფლებისა და ცენზურის მოთხოვნით საპროტესტო მსვლელობა მოაწყვეს.

აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ლევან ვარშალომიძემ მთელი პასუხიმგებლობა ზაზა ხალვაშს დააკისრა და იგი თანამდებობიდან გადადგა, ხოლო მის ადგილზე რადიო თავისუფლების კორესპონდენტი ევგენი თავდგირიძე დაინიშნა.

მიუხედავად იმისა, რომ აჭარის ტელევიზიას ახალი ხელმძღვანელი ჰყავს არასამთავრობოები ტელევიზიაში კვლავ ცენზურის დაწესებასა და ზემოქმედების ფაქტებზე საუბრობენ. საქმე ეხება იმას, რომ ახალმა ხელმძღვანელმა ევგენი თავდგირიძემ ნატა იმედაიშვილის საინფორმაციო სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დაბრუნებაზე უარი განაცხადა და მიზეზად ტელევიზიაში დაპირისპირების აღმოფხვრისა და სიტუაციის დაბალანსება დაასახელა. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრთან საუბრისას ქალბატონმა ნატამ აღნიშნა, რომ ჟურნალისტებთან დაპირისპირების საფრთხეს იგი არ ეთანხმება, თუმცა, გადაწყვეტილება წასვლის შესახებ მაინც მიიღო.

ნატა იმედაიშვილის განცხადებით, იგი მოგვიანებით სხვა ამპლუაში წარმოდგება საზოგადოების წინაშე. კერძოდ, მას შესთავაზეს საავტორო გადაცემის გაკეთება, რომლის წამყვანიც თვითონვე იქნება. საავტორო გადაცემის პროექტი უკვე მომზადებულია და გადაცემა ეკრანებზე აპრილისათვის გამოჩნდება.

**ცენზურის მცდელობა აჭარის ტელევიზიაზე**

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსი აჭარის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს უმრავლესობას ზეწოლის მცდელობაში ადანაშაულებს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს დღევანდელ სხდომაზე უმრავლესობის რამდენიმე წევრმა აჭარის ტელევიზია გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ არხი მათ სათანადო საეთერო დროს არ უთმობს.

აჭარის უმაღლესი საბჭოს ფრაქცია "გამარჯვებული აჭარის" წევრ ავთანდილ ბეჟანიძის თქმით: "ტელევიზიას თავისი პოზიციები შეიძლება ჰქონდეს, მაგრამ როცა ეს ტელევიზია ჩვენს მიერ ფინანსდება, მთავრობა ჰყოფს თანხას და ჩვენ ვამტკიცებთ, ის ჩვენს წინააღმდეგ არ უნდა გამოდიოდეს და პირველ რიგში არ უნდა აჩვენებდეს ოპოზიციას. ყოველ შემთხვევაში, ოპოზიციაც უნდა იყოს და უმრავლესობაც აკეთებდეს კომენტარებს".

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარე პეტრე ზამბახიძემ კი განაცხადა, რომ აუცილებლად უნდა დაისვას კითხვა იმის შესახებ, რომ ტელევიზიის დირექტორი რესპუბლიკური პარტიის წევრია.

„დეპუტატებს თუ გონიათ, რომ ხალხს აინტერესებს ამა თუ იმ კანონის ა და ბ პუნქტში შეტანილი ცვლილებები, ძალიან ცდება. ხალხს აინტერესებს ეს ცვლილებები მაშინ, როცა თუ ეს უშუალოდ მას ეხება. დეპუტატები არ უნდა ერეოდნენ ჟურნალისტის ფუნქციაში. ეს არის ზეწოლის მცდელობა და ჩვენ ამ შენიშვნების გათვალისწინებას არ ვაპირებთ", - ამბობს აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსი ნათია ზოიძე. ტელევიზიის დირექტორმა ევგენი თავდგირიძემ კი აღნიშნა, რომ ის ტელევიზიაში პარტიული ნიშნით არ მისულა, ამ ნიშნით არ მუშაობს და არც მომავალში აპირებს.

აჭარაში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებმა ამ ფაქტს დღესვე მწვავე შეფასება მისცეს.

„როგორც ჩანს აჭარის უმაღლეს საბჭოს დეპუტატებს უნდა ჩაუტარო სემინარი, რა არის სიტყვის თავისუფლება და როგორ ყალიბდება ბიუჯეტი“, - განაცხადა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის აჭარის ფილიალის თავმჯდომარე ასლან ჭანიძემ

აჭარის ტელევიზიის საინფორმაციო სამსახურის უფროსის თქმით, უკმაყოფილებას აქამდე დეპუტატები სატელეფონო ზარებით გამოხატავდნენ. ნათია ზოიძე ამბობს, რომ აჭარის მთავრობის მხრიდან ზეწოლის მცდელობა არ ყოფილა.

აჭარის ტელევიზიაში არსებული ცენზურის გამო პროტესტი რამდენიმე თვის წინ საინფორმაციო სამსახურის უფროსმა ნატა იმედაიშვილმა გამოთქვა. ამ ფაქტის შემდეგ აჭარის მთავრობამ ტელევიზიის დირექტორი ზაზა ხალვაში თანამდებობიდან გაათავისუფლა. ტელევიზიის ახალმა ხელმძღვანელმა ევგენი თავდგირიძემ კი თანამდებობა ნატა იმედაიშვილს დაატოვებინა.

ხვალ, 12 საათზე ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ბათუმის ფილიალი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით მრგვალ მაგიდას იწვევს.

* * *

**რატომ გარბიან ჟურნალისტები ქვეყნიდან?**

უკვე წელიწადზე მეტია აღარ გამოდის ქართულ-აზერბაიჯანული გაზეთი - „ენი დუშუნდჯა“ („ახალი აზროვნება“). მიზეზი არც ფინანსური კრიზისია და მით უმეტეს არც გაზეთის აქტუალურობის დაკარგვა, არამედ საქართველოს ხელისუფლების პოლიტიკური ნება. ქართული სპეცსამსახურების მიერ დევნილი გაზეთის რედაქტორი ნიაზ ჰუსეინოვი კი ბაქოდან ცდილობს აღიდგინოს საქართველოში დარღვეული უფლებები და საერთაშორისო საზოგადოებას დახმარებისათვის მიმართავს. იგი აცხადებს, რომ მისი ძმა - გაჩარ ჰუსეინოვი გასული წლის 3 აპრილს დააკავეს და ამჟამად ციხის საავადმყოფოში იმყოფება. გაჩარის განცხადებით, ციხეში მასზე მიმდინარეობს მძიმე ფსიქოლოგიური ზეწოლა. ჰუსეინოვის ნათესავები აცხადებდნენ, რომ გაჩარი ფაქტიურად ტყვედ არის აყვანილი, რათა მისი ძმა დაბრუნდეს საქართველოში. თავად ნიაზ ჰუსეინოვი, რომელსაც ბრალი თაღლითობაში ედება, ქართულ სპეცსამსახურებს მისი ლიკვიდაციის მცდელობაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ საქართველოში მას სდევნიან საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო. 2004 წლის 21 იანვარს ღამით შეიარაღებულმა პირებმა დაარბიეს ჰუსეინოვების ოჯახი, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს ოჯახის წევრებს, გაიტაცეს გაზეთის დოკუმენტაცია, ხოლო თავად ნიაზ ჰუსეინოვმა, რომლის უკანონოდ დაჭერაც იყო ნაბრძანები, ბაქოში მოახერხა გაქცევა.

გაზეთ „ენი დუშუნდჯას“ („ახალი აზროვნება“) ფოტორეპორტიორმა, გაჩარ ჰუსეინოვმა, რომელიც თბილისის ცენტრალურ ციხეში იხდის სასჯელს, აზერბაიჯანის ხელისუფლებას წერილით მიმართა, სადაც საქართველოში აზერბაიჯანელების შევიწროვებაზე საუბრობდა. ჰუსეინოვის თქმით, ის და რამოდენიმე აზერბაიჯანელი შეთითხნილი ბრალდებებით არიან დაკავებულნი. იგი ასევე აღნიშნავს, რომ ციხეში საშინელი პირობებში იმყოფებიან და რომ მასზე მიმდინარეობს ფსიქოლოგიური ზეწოლა. ძმისადმი მიწერილ წერილში იგი ამბობს: „ჩემი მოთმინება კიდევ ერთ თვეს გასტანს და თუ არაფერი შეიცვლება უკეთესობისაკენ, სიცოცხლეს თვითმკვლელობით დავასრულებ“. ჰუსეინოვი ამტკიცებს, რომ ბოლო პერიოდში თბილისის ცენტრალურ ციხეში ორი აზერბაიჯანელი გარდაიცვალა. საქართველოს ხელისუფლება უარს ეუბნება მას ნათესავებთან და ჟურნალისტებთან შეხვედრაზე.

საქართველოს საელჩო ბაქოში ინფორმირებულია აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და გააგზავნა წერილი თბილისში, ხოლო საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საპასუხო წერილში აღნიშნა, რომ ჰუსეინოვის პატიმრობაში ყოფნა „კანონის ფარგლებში“ ხორციელდება.

ჰუსეინოვის ნათესავები აცხადებდნენ, რომ გაჩარი ფაქტიურად ტყვედ არის აყვანილი, რათა მისი ძმა, ზემოაღნიშნული გაზეთის მთავარი რედაქტორი, ნიაზ ჰუსეინოვი დაბრუნდეს საქართველოში. ამ უკანასკნელმა კი განაცხადა, რომ მას დევნიან საქართველოს სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე უარის თქმის გამო.

თავად ნიაზ ჰუსეინოვი, რომელიც ამჟამად ბაქოში იმყოფება, აცხადებს, რომ საქართველოში დევნიან არამარტო მას, არამედ მთელ მის ოჯახს. მისივე განცხადებით, 2004 წლის 21 იანვარს ღამით შეიარაღებული პირები თავს დაესხნენ ჰუსეინოვების ოჯახს და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს როგორც ნიაზის დედას, ასევე მის ძმებს და მოითხოვდნენ, რომ მათ დაუყოვნებლად დაეტოვებინათ საქართველო.

ჰუსეინოვმა დახმარებისათვის მიმართა როგორც არაერთ ადამიანის უფლებათა საერთაშორისო თუ ადგილობრივ ორგანიზაციას ბაქოსა თუ საქართველოში, ასევე გაეროსა და საელჩოებს, თუმცა მათგან დღემდე არ არსებობს არავითარი რეაგირება.

ცნობისთვის: გაზეთი „ენი დუშუნდჯა“ გარკვეული პერიოდის განმავლობაში იბეჭდებოდა ბათუმში, როდესაც აჭარაში ხელისუფლებას სათავეში ასლან აბაშიძე ედგა.

**რატომ იდევნება აზერბაიჯანელი ჟურნალისტი საქართველოში?**

ქართულ-აზერბაიჯანული გაზეთის „იენი დუშენჯას“ („ახალი აზროვნება“) მთავარი რედაქტორი, არასამთავრობო ორგანიზაციის „ქართველი და აზერბაიჯანელი ჟურნალისტები“-ს ადამიანის უფლებათა კოორდინატორი, ამჟამად კი საქართველოდან პოლიტ-დევნილი ნიაზ ჰუსეინოვი საქართველოს სამართალდამცავთა მხრიდან დევნაზე კვლავ საუბრობს და ქართველ სპეცსამსახურებს ზეწოლის საბჭოური მეთოდების გამოყენებაში ადანაშაულებს. ის აცხადებს, რომ ხელისუფლება მასზე ზეწოლას მისი ოჯახის მეშვეობით ახორციელებს.

ქართულ-აზერბაიჯანული გაზეთის „ახალი აზროვნების“ დახურვის შემდეგ გაზეთის მთავარი რედაქტორი ნიაზ ჰუსეინოვი სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან დევნისა და ზეწოლის მსხვერპლი გახდა, რამაც აიძულა ჰუსეინოვი აზერბაიჯანში გადახვეწილიყო. ჰუსეინოვი მის შევიწროვებას სტალინის დროის რეპრესიებს ადარებს და აცხადებს, რომ საქართველოს სამართალდამცავმა ორგანოებმა საბჭოთა მეთოდების გამოყენებით დაიწყეს მისი ოჯახის წევრებზე დევნა და შედეგად მისი ძმა, ჰაჯარ ჰუსეინოვი დააპატიმრეს. როგორც თავად ნიაზი აცხადებს, მისი ძმა ფაქტიურად მძევლად აიყვანეს, რათა ნიაზ ჰუსეინოვი საკუთარი ნებით ჩაბარებოდა ქართველ სამართალდამცავებს.

ადამიანის უფელებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა ჯერ კიდევ რამოდენიმე თვის წინ გააშუქა გაზეთ „ენი დუშენჯას“, რბილად რომ ვთქვათ, დახურვის ფაქტი და ჰუსეინოვების ოჯახის დევნის ისტორია. მოგვიანებით, მდგომარეობა მხოლოდ ისე „გაუმჯობესდა“, რომ ჰაჯარ ჰუსეინოვს თაღლითობის ბრალდებით 5 წლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. ამასთან, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა გაუარესებულია და მთელი წლის განმავლობაში პატიმრობაში ყოფნისას ჰაჯარ ჰუსეინოვის ფსიქიკური მდგომარეობა საგრძნობლად შეირყა. როგორც მისი ყოფილი ადვოკატი გიორგი თედიაშვილი აცხადებს, ბოლო ვიზიტის დროს ჰაჯარ ჰუსეინოვს პირი ჰქონდა ამოკერილი და მასთან გასაუბრება ვერ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ პატიმრის ჯანმრთელობის მდგომარეობა არც თუ ისე სახარბიელო იყო მას სათანადო მკურნალობა არ ჩასტარებია.

ჰაჯარ ჰუსეინოვის ყოფილი ადვოკატი გიორგი თედიაშვილი აცხადებს, რომ ნიაზ და ჰაჯარ ჰუსეინოვების მიმართ წაყენებული ბრალდებები, მათ შორის თაღლითობა, საფუძველს მოკლებულია და მათ ბრალი ცრუ მოწმეთა მეშვეობით წაუყენეს, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც თაღლითები და აქამდეც ბევრ საქმეში ფიგურირებდენ.

ნიაზ ჰუსეინოვი თვლის, რომ ქართული სპეცსამსახურების მხრიდან მასსა და მის ძმაზე ზეწოლა პოლიტიკურ სარჩულს ატარებს და აცხადებს, რომ სწორედ სპეცსამსახურებმა აიძულეს მას დაეტოვებინა საქართველო. ჰუსეინოვებისთვის გამაოგნებელი აღმოჩნდა ასევე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ფოტოკორესპონდენტ ჰაჯარ ჰუსეინოვისთვის 5 წლით თავისუფლების აღკვეთის შესახებ. „იენი დუშენჯას“ („ახალი აზროვნება“) მთავარ რედაქტორს უჩნდება კითხვა თუ რატომ იდევნება ის და მისი ოჯახი ქართული სპეცსამსახურების მხრიდან. თუმცა, სავარაუდო პასუხი აღნიშნულ კითხვაზე რამოდენიმე აქვს: იმისათვის, რომ ჩემი ძმა ეხმარებოდა ლეიბორისტებს? იმისათვის, რომ უარი ვთქვი სპეცსამსახურებთან თანამშრომლობაზე? იმისათვის, რომ მე ერთ-ერთი იმ აზერბაიჯანელთაგანი ვარ, რომელმაც შეძლო ინტეგრირება ქართულ საზოგადოებაში? იმისათვის, რომ ვიბრძოდი სიტყვისა და პრესის თავისუფლებისთვის?

სიტყვის თავისუფლებისათვის დევნილი ჟურნალისტი ბაქოდან ცდილობს თავისი სიმართლის დამტკიცებას და ადამიანის უფლებათა დამცველ ორგანიზაციებს დახმარებისათვის მიმართავს.

## - შეკრების თავისუფლება -

შეკრების თავისუფლება წარმოადგენს ერთ-ერთ პირველ და ყველაზე ძირეულ უფლებას საყოველთაოდ აღიარებულ კლასიკურ უფლებათა შორის. ეს ტყუილად არ არის ასე, რადგან ხალხის გაერთიანების თავისუფლება და მისი უფლება უკმაყოფილება გამოთქვას იმ საკითხზე, რომელიც მას აწუხებს, წარმოადგენს დემოკრატიული და ერთიანი საზოგადოების ფუძემდებლურ პრინციპს, ვინაიდან იგი ძალზედ ელემენტარული და გულახდილი იარაღია მთავრობის ან სხვა საზოგადოებრივი მოღვაწეების მიერ განხორციელებული ღონისძიებების გარკვეული ასპექტების მიმართ უკმაყოფილების გამოსახატავად. პასუხისმგებელი სახელმწიფო მოხელეები ყურადღებით უნდა მოეკიდონ ამ სახის გამოხატულებებს, რადგანაც ეს გამოხატულებები განსაზღვრავენ ხალხში გავრცელებულ იდეებსა და გრძნობებს.

ამჟამინდელმა მთავრობამ დემონსტრაციიების თავისუფლების იარაღი წარსულში ხელისუფლებაში მოსვლის მიზნით ეფექტურად გამოიყენა, მაგრამ მას შემდეგ ამ თავისუფლების აღიარება აღარ სურს და მას საშიშროებადაც კი აღიქვამს. საპროტესტო აქციები არცთუ იშვიათად ფორმალური საბაბის საფუძველზე ძალის გამოყენებით დაშლილა. ადგილი ქონდა სრული აგრესიის შემთხვევებს იმ ადამიანთა მიმართ, რომელთა დემონსტრაციებში მონაწილეობაც ცნობილი გახდა. ასეთი ღონისძიებები მოსახლეობაში შიშის დანერგვის პოლიტიკას წააგავს. ამით ადამიანებს საკუთარ გულისტკივილზე ლაპარაკის გამბედაობას უკარგავენ, რაც, საბოლოოდ, აქტიური სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობას აფერხებს.

* * *

**აქციებით მოსული ხელისუფლება აქციების წინააღმდეგ**

სამედიცინო უნივერსიტეტის კოლეჯის სტუდენტთა აქცია, რომელიც პარლამენტთან აგერ უკვე რამოდენიმე დღეა მიმდინარეობს, საქართველოში საყოველთაო განსჯის საგნადაა ქცეული. ხელისუფლება, რომელიც სწორედ აქციების შედეგადაა მოსული, არამც თუ არ ეთანხმება და აკმაყოფილებს გაფიცულთა მოთხოვნებს უფრო მეტიც, აქციას ძალისმიერი მეთოდებით არბევს. განათლების მინისტრი კი კომპრომისზე წასვლას მაინც არ აპირებს და სტუდენტებს ქუჩაში დგომის ნაცვლად გამოცდებისთვის მომზადებას ურჩევს. სტუდენტები დათმობას არ აპირებენ და უვადო შიმშილობას აცხადებენ. ისინი კოლეჯის შენობაში შიმშილობენ და ამჯერად პრეზიდენტ სააშვილთან შეხვედრას ითხოვენ.

საერთაშორისო ნორმების თანახმად, ნებისმიერ ადამიანს, მათ შორის სტუდენტებსაც, აქვთ მინიჭებული მანიფესტაციებისა და შეკრების უფლება. ხელისუფლება კი, რომელიც სათავეში სწორედ მსგავსი აქციებით მოვიდა და რომლისთვისაც თავის დროზე ამის უფლება არავის შეუზღუდავს, დღეს თავად ახდენს ძალისმიერი მეთოდების დემონსტრირებას პრობლემის გადასაჭრელად. მშვიდობიანი დემონსტრაციების ვანდალური დარბევა, რასაც არაერთხელ ჰქონდა ადგილი ბოლო ერთი წლის განმავლობაში, მიუთითებს ხელისუფლების სურვილზე, მოახდინოს ადამიანის უფლებათა ტოტალური უგულებელყოფა და საზოგადოებაში შექმნას ძალადობისა და ტერორის ატმოსფერო. ხელისუფლების წარმომადგენელნი კი სიამაყით აცხადებენ, რომ საპატრულო პოლიცია კვლავაც გააგრძელებს თავისი მოვალეობის შესრულებას და არ დაუშვებს ქალაქში კარვების გაშლას. აღნიშნული განცხადება გააკეთა შს მინისტრის მოადგილემ ბიძინა ბრეგაძემ 15 მარტს გამართულ ბრიფინგზე. ხოლო სახალხო დამცველი სოზარ სუბარი აღნიშნულ ქმედებას საკმაოდ რბილ შეფასებას აძლევს და მასში საგანგაშოს ვერაფერს ხედავს.

რაც შეეხება თავად სტუდენტთა მოთხოვნებს, ისინი ითხოვენ ხელშეკრულების შესრულებას. ხელშეკრულებაში კი გარკვევით წერია, რომ **„...უნივერსიტეტი უმაღლესი სამედიცინო განათლების 1 ეტაპის სასწავლო გეგმის, პროგრამის შესრულების შემდეგ, გამოცდებზე დადებითი შეფასებების მიხედვით სურვილისამებრ, ჩარიცხავს ..... ფაკულტეტის ფასიანი სექტორის მესამე კურსზე - სწავლების მე-2 ეტაპზე“.**

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის იურისტი ნუცა ჩოხელი მიიჩნევს, რომ აქციის მონაწილეებს აბსოლუტურად სამართლიანი მოთხოვნები აქვთ, რომელთა დამტკიცება საუბედუროდ პარლამენტთან, აქციის სახით უწევთ. ხელშეკრულებაში გარკვევითაა ნათქვამი, რომ კოლეჯის სტუდენტებმა უნდა ჩააბარონ მხოლოდ სპეციალობის შესაბამისად გამოცდები და არა ეროვნული გამოცდები.

არის კიდევ ერთი საინტერესო დეტალი. 2004 წლის დეკემბერში განათლების მინისტრის თსსუ-ში სტუმრობისას, სადაც მოხდა ერთიანი ეროვნული გამოცდების მოდელის პრეზენტაცია და შედგა მსჯელობა უმაღლესი განათლების კანონპროექტის შესახებ, პროფესორ დ. ქოჩიაშვილის შეკითხვაზე, თუ როგორ წარიმართება **საუნივერსიტეტო კოლეჯში** მოსწავლე-სტუდენტების შემდგომი სწავლის პროცესი, მინისტრმა ა. ლომაიამ უპასუხა, რომ **სახელმწიფო ნაკისრ ვალდებულებებს შეასრულებს.** დღესდღეობით კი მინისტრს აბსოლუტურად განსხვავებული პოზიცია გააჩნია. მისი ნათქვამიდან გამომდინარე, მხოლოდ ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის შემდეგ შეეძლებათ კოლეჯის მოსწავლეებს სწავლის გაგრძელება, ისიც მესამე კი არა მეორე კურსზე.

ერთადერთი შეღავათი რომელიც სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებს აქვთ ის არის, რომ მათ შეუძლიათ გამოცდები ოქტომბერში ჩააბარონ. თუმცა, სტუდენტები ამითი კმაყოფილნი არ არიან და დაშლას მანამ არ აპირებენ, სანამ არ ცნობენ მათ კანონიერ უფლებებს. მათ ერთიანი ეროვნული გამოცდების წინააღმდეგ საჩივარი შეიტანეს იუსტიციის სამინისტროში და შიმშილობენ კიდეც მაგრამ ამას მარტო აქციის მონაწილეთა დარბევა მოჰყვა, სხვა შედეგი კი ჯერ-ჯერობით არ ჩანს.

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი გამოთქვამს შეშფოთებას**

ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი გამოთქვამს შეშფოთებას ქვეყანაში ძალადობის ესკალაციისა და სამართალდამცავი ორგანოების მხრიდან ძალის გადამეტებული გამოყენების ფაქტების გახშირების გამო. ამა წლის 30 ივლისს, ღამით მომხდარი დარბევა რუსთაველის გამზირზე ამის კიდევ ერთი თვალსაჩინო გამოხატულებაა.

გამოძალვის ბრალდებით დაკავებული მოჭიდავეების მხარდამჭერების მიერ ძალადობის გამოყენებას სასამართლო დაბაზში, უნდა მოჰყოლოდა ხელისუფლების მხრიდან რეაგირება და მოძალადეთა დაკავება, თუმცა, სამწუხაროდ, ეს არ მოხდა და რამდენიმე საათის შემდეგ მშვიდობიანი აქცია რუსთაველის გამზირზე დარბეულ იქნა სპეცდანიშნულების რაზმის მიერ. გამოყენებულ იქნა განსაკუთრებული სისატიკე და გადამეტებული ძალა, დააკავეს მრავალი უდანაშაულო ადამიანი, რომლებიც კვლავ წინასწარი დაკავების საკნებში რჩებიან. აქციის დარბევაში მონაწილობა მიიღეს საპატრულო პოლიციის წარმომადგენლებმა, სამოქალაქო ფორმიანმა უშიშროების თანამშრომლებმა და ნიღბიანმა სპეცრაზმელებმა. დარბევისას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლებს, რომელნიც საკუთარ პროფესიულ მოვალეობას ასრულებდნენ. სცემეს გაზეთ "ალიას" ფოტოკორესპონდენტი ირაკლი გედენიძე, საინფორმაციო სააგენტო "ინტერპრესის" ფოტოკორესპონდენტი ზვიად ნიკოლეიშვილი, ტელეკომპანია "მზის" ჟურნალისტი ნატო მახვილაძე და სხვები.

სპეცრაზმი ჟურნალისტებს არ აძლევდა ნებას გადაეღოთ დარბევის კადრები და შეესრულებინათ თავიანთი პროფესიული მოვალეობა.

**ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი** შეშფოთებას გამოთქვამს დარბევის ფაქტების გახშირებისა და პოლიციის მხრიდან ძალის დემონსტრირების, ძალადობის გადამეტებული გამოყენების გამო და მიიჩნევს, რომ ხელისუფლება ცდილობს მსგავსი მეთოდებით მოსახლეობაში უკმაყოფილების მზარდი ტალღის შეჩერებასა და საზოგადოების დაშინებას. ცენტრი მოითხოვს დაკავებულთა გათავისუფლებას და ჟურნალისტებზე ძალადობის განმხორციელიელებელ პოლიციელთა დასჯას.

**ხელისუფლება მოსახლეობის პროტესტს სპეცრაზმის მეშვეობით ახშობს**

ხელისუფლება ისევ ძველ აპრობირებულ მეთოდებს იყენებს უკმაყოფილო მოქალაქეთა გასაჩუმებლად და ელექტროენერგიის მოთხოვნით გამოსული ხალხის ხმას სპეცრაზმის მეშვეობით ახშობს მაშინ, როდესაც ოპოზიციაში მყოფი თვითონ იყო წინააღმდეგი საპროტესტო აქციების დარბევისა და მწვავედ აკრიტიკებდა ძველი მთავრობას ამის გამო.

19 მაისს ქუთაისში გუმათჰესის დასახლების მცხოვრებლებმა დენის მოთხოვნით საპროტესტო აქცია გამართეს. მოსახლეობამ პროტესტის ნიშნად ქუთაისი-ამბროლაურის საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტეს და პერმანენტული აქციებით იმუქრებიან მანამ, სანამ ელექტროენერგიის მიწოდება არ აღუდგებათ.

როგორც გუმათჰესის მცხოვრებლები აცხადებენ, მათ უკვე ორი დღეა ელექტროენერგია არ მიუღიათ და შესაბამისად არც წყალი აქვთ, რის გამოც მძიმე პირობებში იმყოფებიან. ისინი ინდივიდუალური მრიცხველების დაყენებას ითხოვენ.

მოქალქეთა მიერ მოწყობილი საპროტესტო აქცია სპეცრაზმმა იძულებით დაშალა და საავტომობილო გზაზე მოძრაობა აღდგა. თუმცა, მოგვიანებით სპეცრაზმის წასვლის შემდეგ გუმათჰესის მოსახლეობამ გზა მეორედ გადაკეტა.

როგორც საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უფროსმა ავთო დვალიშვილმა განაცხადა, ტრანსფორმატორი, საიდანაც გუმათჰესის მოსახლეობას დენი მიეწოდებოდა, კომპანიამ დავალიანების გამო გამორთო და სანამ დავალიანება სრულად არ დაიფარება ენერგოკომპანია აქციის მონაწილეთა მოთხოვნის დაკმაყოფილებას არ აპირებს.

დემოკრატიული სახელმწიფოს მშენებლობლობის ლოზუნგით მოსული ხელისუფლება უგულვებელყოფს საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებულ მოქალაქეთა უფლებას პროტესტის გამოხატვის მიზნით გამართონ აქცია და ძალისმიერი მეთოდებით ცდილობს რეგიონში არსებული პრობლემების გადაჭრას, რაც მნიშვნელოვნად გაამძაფრებს მოსახლეობასა და ადგილობრივ მთავრობას შორის ურთიერთობას და გააქარწყლებს ისედაც მძიმე სოცილაურ პირობებში მყოფი მოსახლეობის იმედებს. და როგორც უკვე არსებული გამოცდილება გვიჩვენებს, საზოგადოების ინტერესების უგულვებელყოფა, შესაძლოა, მეტად სავალალო აღმოჩნდეს, პირველ რიგში, ხელისუფლებისთვის.

**ბაღდათში საპროტესტო აქციის ორგანიზატორები დააპატიმრეს**

***ქუთაისი.24.05.05.მედიანიუსი.*** ბაღდათში ელექტროენერგიის მოთხოვნით გამართული აქციის ორგანიზატორები დააპატიმრეს.

სამართალდამცავები ამტკიცებენ, რომ მათი დაკავება სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ბაღდათის ფილიალის მომსახურების ცენტრის მენეჯერზე დავით მურადაშვილზე თავდასხმის გამო მოხდა. მოსახლეობა კი მურადაშვილის ფაქტის პროვოცირებაში ადანაშაულებს და აცხადებს, რომ მენეჯერი არაკორექტულად იქცეოდა.

სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის იმერეთის ფილიალის ინფორმაციით, მოსახლეობას ელექტროენერგიის მიწოდება დავალიანების გამო შეუწყდა და დენის მიწოდება მხოლოდ ამ თანხის დაფარვის შემდეგ აღუდგებათ.

**ახალციხეში სტუდენტთა აქციის ლიდერები დააკავეს**

***ახალციხე.18.02.05. მედია ნიუსი.*** პოლიციამ ახალციხეში მიმდინარე საპროტესტო აქციის ორგანიზატორები, რამდენიმე სტუდენტი დააკავა.

როგორც სამართალდამცავები აცხადებენ, მათ კანონი დაარღვიეს, რადგან საავტომობილო მაგისტრალი გადაკეტეს, რის გამოც თბილისის, ახალციხისა და თურქეთის მიმართულებით მოძრაობა, ფაქტობრივად, შეწყვეტილი იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, ახალციხეში შეყვანილია სპეცრაზმი.

აქციები სტუდენტებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც სამხარეო პროკურატურამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალციხის ფილიალის რექტორი მერაბ ბერაძე დააკავა. მას სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში ადანაშაულებენ.

სტუდენტები ამ ფაქტს აპროტესტებენ და რექტორის დაუყოვნებლივ გათავისუფლებას მოითხოვენ.

**სპეცრაზმმა დევნილთა აქცია დაშალა**

ბაგების საერთო საცხოვრებელში მცხოვრებმა დევნილებმა 20 თებერვალს, საღამოს ელექტროენერგიის მოთხოვნის მიზნით საპროტესტო აქცია გამართეს და წყნეთისკენ მიმავალი გზა გადაკეტეს. სტუდენტები და დევნილები ელექტროენერგიის მიწოდებას რამოდენიმე დღეა შესაბამის ინსტანციაში ითხოვენ, მაგრამ უშედეგოდ. გუშინ ღამით კი, აქციის მონაწილეები სპეცრაზმმა დაარბია.

აქციის ათამდე მონაწილე, რომელთა შორის ქალები და სტუდენტები არიან, დაპატიმრებულია. ნაცემია რამოდენიმე სტუდენტი, ხოლო ერთ-ერთ მათგანს, გავრცელებული ინფორმაციით, მძიმე დაზიანებები აქვს მიყენებული.

**ხობში მოსახლეობის აქცია სპეცრაზმმა დაშალა**

***თბილისი.14.03.05.მედია-ნიუსი***. სპეცრაზმმა 14 მარტს ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის მოსახლეობის საპროტესტო აქცია ძალის გამოყენებით დაშალა. მოსახლეობას დილიდან საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალები გადაკეტილი ჰქონდა.

აქციის მონაწილეები გიორგი ჩაჩიბაიას მკვლელობაში დამნაშავე პირის სასწრაფოდ დაკავებას მოითხოვენ.

ჩაჩიბაია 2004 წლის ნოემბერში ავტოავარიის შედეგად დაიღუპა. როგორც მისი ოჯახის წევრები აცხადებენ, სამართალდამცავებისთვის დამნაშავის ვინაობა ცნობილია, თუმცა მისი დაკავებისაგან თავს იკავებენ.

ანალოგიური მოთხოვნით აქცია რამდენიმე თვის წინათაც გაიმართა, თუმცა უშედეგოდ. მათივე თქმით, დამნაშავემ, თავისუფლების სანაცვლოდ, სოლიდური თანხა გადაიხადა.

როგორც სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო ადმინისტრაციაში აცხადებენ, გიორგი ჩაჩიბაიას მკვლელობის საქმეზე შესაბამისი უწყება მუშაობს, ხოლო „სახელმწიფო მაგისტრალებზე საპროტესტო აქციების გამართვას არ დაუშვებს.“

**ჭიათურელები საპატრულო პოლიციას აქციის დაშლაში ადანაშაულებენ**

***თბილისი.09.08.05.მედიანიუსი.*** ჭიათურელები საპატრულო პოლიციას თბილისში, სახელმწიფო კანცელარიასთან გამართული საპროტესტო აქციის ძალისმიერი მეთოდით დაშლაში ადანაშაულებენ.

როგორც „მედიანიუსს“ ჭიათურის მცხოვრებმა, საპროტესტო აქციების ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნორა გოგოლაძემ განუცხადა, მათი მცირემასშტაბიანი აქციის დასაშლელად ხელისუფლებამ საპატრულო პოლიცია გამოიყენა.

ჭიათურაში მანგანუმის მოპოვებისას მიმდინარე სამუშაოების დროს მოსახლეობის საცხოვრებელი სახლები დაზიანდა. 500-მდე ოჯახი სახელმწიფოსგან სახლების აღდგენისათვის საჭირო 2.300 000 დოლარს ითხოვს. რამდენიმე დაზარალებული ოჯახის წარმომადგენელი 10 დღე თბილისში სახელმწიფო კანცელარიასთან შიმშილობდა და მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრას ითხოვდა, თუმცა საპროტესტო აქციის მონაწილეებს მხოლოდ შიდა პოლიტიკისა და ინსტიტუციური მოწყობის სამსახურის უფროსი კობა ხაბაზი შეხვდა.

„კობა ხაბაზმა ერთი თვით მაინც აქციების შეწყვეტა გვირჩია, რადგან, მისი თქმით, ამ პერიოდში აღნიშნულ საკითხზე მოლაპარაკება გაიმართება’, _ განუცხადა „მედიანიუსს“ აქციის ერთ-ერთმა ორგანიზატორმა ნორა გოგოლაძემ.

* * *

**ზუგდიდის ბაზარი პოლიციამ დაიკავა**

***ზუგდიდი.23.03.05.მედია-ნიუსი***. ზუგდიდის ცენტრალური ბაზრის ტერიტორია ამჟამად სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის თანამშრომლებს აქვთ დაკავებული.

სამართალდამცავებმა მოვაჭრეების აქცია დაშალეს, მათი წინააღმდეგობის მიუხედავად, აყარეს დახლები და ბაზარში შესასვლელი კარი ჩაკეტეს.

ზუგდიდში აქციები მას შემდეგ დაიწყო, რაც 22 მარტს მოვაჭრეების ბაზრამდე მისასვლელი ტერიტორია გადათხრილი, ბაზრის კარი კი ჩაკეტილი დახვდათ.

როგორც ქალაქის გამგეობაში აცხადებენ, ასეთი ღონისძიებები ბაზარში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე სარემონტო სამუშაოების ჩატარებას უკავშირდება.

**ზუგდიდში გარემოვაჭრეთა აქცია სპეცრაზმმა დაშალა**

***ზუგდიდი.27.03.05.მედია-ნიუსი***. ზუგდიდში გვიან ღამით შინაგანი ჯარის სპეცრაზმმა და სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო პოლიციის ქვედანაყოფებმა გარემოვაჭრეთა საპროტესტო აქცია დაშალეს.

დაშავდა რამდენიმე ადამიანი. საჭირო გახდა სასწრაფო დახმარების მანქანის გამოძახებაც.

აქციის დაშლა მას შემდეგ მოხდა, რაც სპეცტექნიკით სანაპირო ზოლზე განთავსებული ჯიხურებისა და მაღაზიების დანგრევა დაიწყო, მეპატრონეებმა კი მათ გარშემო ცოცხალი ჯაჭვი გააკეთეს და მაღაზიებისა და ჯიხურების დაცვას ამ გზით შეეცადნენ.

ქალაქის ხელმძღვანელობამ მცირე სავაჭრო ობიექტების აღების გადაწყვეტილება რამდენიმე დღის წინ მიიღო. როგორც ისინი აცხადებენ, ამ ტერიტორიაზე სავაჭრო ობიექტების განლაგება დაუშვებელია და წინა ხელისუფლებამ ისინი უკანონოდ გაასხვისა.

თავად მოვაჭრეების თქმით კი, მათ თითოეულ ჯიხურსა და მაღაზიაში ხუთი ათას დოლარამდე გადაიხადეს. ისინი ქალაქის ხელმძღვანელობისგან ამ თანხის დაბრუნებას მოითხოვენ.

**ზუგდიდის ბაზარში მოვაჭრეთა აქცია ცემა-ტყეპით დასრულდა**

***ზუგდიდი.19.04.05.მედიანიუსი.*** ზუგდიდის ბაზარი ისევ ყურადღების ცენტრშია. 19 აპრილს დილით ბაზრის ტერიტორიაზე სპეცრაზმისა და შინაგანი ჯარის გამოძახება გახდა საჭირო, რადგან მოვაჭრეები ცენტრალური

კარის გახსნას ითხოვენ და პროტესტის ნიშნად მათ ეს კარი ჩამოხსნეს. მოვაჭრეები აცხადებენ, რომ ბაზრის ცენტრალური კარის ჩარაზვის გამო რამდენიმე განყოფილება უმოქმედოა. ამასთან, ბაზარში ვაჭრობა გარევაჭრობასთან კონკურენციას ვერ უძლებს.

კარის ჩამოხსნას ძალოვანებსა და ხალხს შორის დაპირისპირება მოჰყვა. შეხლა-შემოხლაში ორივე მხარე იყო ჩართული.

სპეცრაზმმა აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს და პოლიციაში გადაიყვანეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს.

„მანქანაში ცემა-ტყეპით მტენიდნენ, მაგრამ შიგ მანქანაში ნამდვილად არავის ვუცემივარ. როგორც კი სამხარეო პოლიციაში მიმიყვანეს, მაშინვე გამათავისუფლეს“, _ აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

**ზუგდიდში აქციის მონაწილე გაუჩინარდა**

პრეზიდენტის სამეგრელოში ჩასვლის წინ, რეგიონში მასობრივ გამოსვლებს ერთ-ერთი დემონსტრანტის გაუჩინარება მოჰყვა. ზუგდიდის რაიონის მკვიდრი ლუიზა ფიფია 19 ნოემბერს, გვიან ღამით სამთავრობო დაცვის წევრებმა სახლიდან გაიყვანეს, რის შემდეგაც იგი აღარავის უნახავს და მისი ადგილსამყოფელი ამ დრომდე უცნობია.

ლუიზა ფიფიას ოჯახის წევრებმა და ახლობლებმა ზუგდიდში, მხარის ადმინისტრაციასთან აქცია გამართეს. მათი განცხადებით, 19 ნოემბერს, გვიან ღამით, ფიფია სამთავრობო დაცვის წევრებმა სახლიდან გაიყვანეს და უთხრეს, რომ მასთან შეხვედრა პრეზიდენტის თანაშემწეს სურდა. ამის შემდეგ ლუიზა ფიფია აღარავის უნახავს. აქციის მონაწილეთა ვარაუდით, ფიფია გატაცებულია. მათ ადგილობრივ ხელისუფლებას ფიფიას დაბრუნება მოსთხოვეს.
სამეგრელო-ზემო სვანეთში პრეზიდენტის რწმუნებულის მოადგილე ალექსანდრე ახვლედიანი კი მიიჩნევს, რომ მომხდარი პროვოკაციაა, რომელიც ლუიზა ფიფიამ თავად მოაწყო.

"ლუიზა ფიფია ზუგდიდის ბაზრის მოვაჭრეა. ის არის ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარი დეპუტატის - გოჩა ფიფას მოგვარე და რუპორი. გოჩა ფიფია კი დიდი პროვოკაციების ოსტატია. ვის რაში სჭირდებოდა ლუიზა ფიფიას მოტაცება, რომელი ნელსონ მანდელა ეგ არის", - განუცხადა "მედიანიუსს" ალექსანდრე ახვლედიანმა.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბოლო პერიოდში ზუგდიდში მოვაჭრეები სერიოზულად გააქტიურდნენ. მათ რამდენჯერმე გამართეს საპროტესტო აქცია. მოვაჭრეთა შორის ერთ-ერთი ყველაზე აქტიური სწორედ ლუიზა ფიფია იყო, რომელიც პრეზიდენტის ზუგდიდში ჩასვლამდე რამოდენიმე საათით ადრე გაუჩინარდა.

დეპუტატი კახა კუკავას განცხადებით კი, პრეზიდენტის რეგიონში ჩასვლის წინ პოლიციამ ასეულობით ზუგდიდელი დააკავა. ხოლო როგორც 21 ნოემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე ზუგდიდის რაიონის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოჩა ფიფიამ განაცხადა, ზუგდიდში მიხეილ საკაშვილის ჩასვლის გამო დაუდგენელმა პირებმა ბაზრის წინ გამართული საპროტესტო აქციის აქტიური მონაწილეები სახლებიდან გაიყვანეს, თავზე ტომრები მოაცვეს და იმერეთის რეგიონში უკაცრიელ ადგილზე გადაიყვანეს.

მოვაჭრეები სახლებში გვიან ღამით დაბრუნდნენ.

ასე, რომ რევოლუციური ვარდის ეკლიანი მხარის პრეზიდენტისთვის დასანახებლად გამოსული ზუგდიდელების მცდელობა ძალოვნების ძლიერმა ხელმა დაფარა. გაუჩინარებულ ფიფიას ასობით დაკავებული ზუგდიდელი ემატება. რეგიონში ჩასულ პრეზიდენტს კი შენიღბული სიმშვიდე და თბილი სიტყვები ხვდება, რაც ადგილობრივი ადმინისტრაციისა და სამართალდამცავების დაუშურებელი ენთუზიაზმის წყალობით განხორციელდა.

**ზუგდიდში აქციის მონაწილის შვილი გაიტაცეს**

***ზუგდიდი.24.11.05.მედიანიუსი.*** ზუგდიდის ბაზრის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციის ერთ-ერთი აქტივისტის ჯინა კარტოზიას მცირეწლოვანი შვილი, როგორც მისი ახლობლები აცხადებენ, უცნობმა პირებმა გაიტაცეს და გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს. გატაცებიდან რამდენიმე საათის შემდეგ ბავშვი ქალაქ ზუგდიდის ცენტრიდან მოშორებით ჩამოსვეს.

გამტაცებლებმა ბავშვს კატეგორიულად მოთხოვეს, რომ დედამისს საპროტესტო აქცია მიეტოვებინა. წინააღმდეგ შემთხვევაში ბავშვს ხელახლა გატაცებით დაემუქრნენ.

აქციის მონაწილეები მომხდარზე ხელისუფლებისგან რეაგირებას ითხოვენ.

## - სამოქალაქო საზოგადოება და ოპოზიცია -

ძალიან ცოტა ადამიანს თუ მოწონს როცა აკრიტიკებენ. უფრო ზუსტად მთავრობებს და არა ცალკეულ პირებს ახასიათებთ ეს თვისება. მაშინ, როდესაც თეორიულად კონსტრუქციული კრიტიკა სასარგებლოა ორივესათვის, როგორც მმართველთათვის, ისე მართულთათვის, როგორც წესი, პრაქტიკაში სხვანაირი მოსაზრებებია დამკვიდრებული. საზოგადოების დამოუკიდებელი და კრიტიკულად განწყობილი ნაწილი უნდობლობით სარგებლობს და ზოგჯერ იდევნება კიდეც. რაც შეეხება არასამთავრობო ორგანიზაციებს, მათი გავლენის შემცირების მიზნით, ისინი ხელისუფლების მიერ უფრო მეტად კრიტიკულ და ნაკლებად კრიტიკულ ორგანიზაციებად არიან დაყოფილი. ხელი ეშლება მათი ღონისძიებების განხორციელებას და არ ეძლევათ იმ ოფიციალურ პროგრამებში მონაწილეობის საშუალება რომლებიც სამოქალაქო საზოგადოებისათვისაა გათვალისწინებული, მაგალითად მონიტორინგის საბჭოების წევრობა.

სჩანს, კანონმდებლობა ისეა შედგენილი, რომ მას "საგანგაშო" სიტუაციებში სამოქალაქო ორგანიზაციების წინააღმდეგ სამართლებრივი საშაუალებები გააჩნია. იმ შემთხვევაში, თუ ეს უკანასკნელი საკმარისი არ იქნება, შესაძლებელია რეიდის მოწყობაც. დაშინების ფაქტებიც ხშირია. დაახლოებით იგივე, ან კიდევ უფრო გამოკვეთილი, სიტუაციაა ოპოზიციურ პარტიებთან და პიროვნებებთან მიმართებაში. ასევე, ცნობილია ფიზიკური შეურაცხყოფისა და საჯარო დისკრედიტირების შემთხვევებიც.

* * *

**ხელისუფლება საკანონმდებლო ცვლილებებით არასამთავრობოებზე კონტროლს აძლიერებს**

ხელისუფლება მართული არასამთავრობოთა ბირთვის შესაქმნელად ძალებს არ ზოგავს და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში, რომელიც ეხება სახელმწიფო კონტროლს კავშირისა და ფონდის საქმიანობაზე, 2004 წლის 26 ნოემბერს ცვლილებები შეაქვს, რომლის თანახმადაც, ჩნდება დაინტერესებული პირი და მისი უფლებები კავშირისა და ფონდის ლიკვიდაციასთან დაკავშირებით. თუმცა, დაინტერესებული პირის ცნების შესახებ საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა არსებობს მესამე სექტორის წარმომადგენლებს შორის, რადგან კანონი მის განმარტებას არ მოიცავს.

სანამ თავად ცვლილებებს შევეხებოდეთ, გვინდა მოკლე ექსკურსი გავაკეთოთ თვით კავშირისა და ფონდის საქმიანობაზე, მათ რეგისტრაციაზე, რეორგანიზაციასა და ლიკვიდაციაზე.

სამოქალაქო ნორმებით ხდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობის მოწესრიგება, რომელთა სუბიექტებად გამოდიან არა მარტო ფიზიკური პირი ინდივიდუალურად, არამედ არაკომერციული იურიდიული პირებიც (იურიდიული პირი არის განსაზღვრული მიზნის მისაღწევად შექნილი საკუთარი ქონების მქონე ორგანიზებული წარმონაქმნი, რომელიც თავისი ქონებით დამოუკიდებლად აგებს პასუხს და საკუთარი სახელით იძენს უფლებებს და მოვალეობებს, დებს გარიგებებს და შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ (სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლი). საკუთრების ფორმის მიხედვით არსებობს საჯარო და კერძო იურიდიული პირები.

სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში შესული ცვლილებებიდან გამომდინარე, დღეს ყურადღებას შევაჩერებთ კერძო სამართლის არაკომერციულ იურიდიულ პირებზე, რომელთაც განეკუთვნება: კავშირი, ფონდი.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 30-ე მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირები, რომელთა მიზანს არ შეადგენს სამეწარმეო საქმიანობა, შეიძლება არსებობდნენ როგორც კავშირები (ასოციაციები) და ფონდები. ამასთან, კავშირები ფონდები შეიძლება ეწეოდნენ სამეწარმეო საქმიანობას, რომელსაც დამხმარე ხასიათი აქვს და ემსახურება არა მოგების მიზანს, არამედ იურიდიული პირის საერთო მიზანს.

კავშირს, როგორც იურიდიულ პირს, რეგისტრაციაში ატარებს სასამართლო, ხოლო რაც შეეხება ფონდის რეგისტრაციას, მას ახორციელებს საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში ცვლილებების შეტანამდე, ჩამოყალიბებულია, რომ სასამართლომ/იუსტიციის სამინისტრომ უნდა გააუქმოს რეგისტრაცია, თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან თუ წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება.

სამოქალაქო კოდექსის 35-ე მუხლში 2004 წლის 24 ივნისს შესული ცვლილების მიხედვით, იუსტიციის სამინისტროს ენიჭება უფლება გააუქმოს რეგისტრაცია. ანუ სასამართლოს ჩამოერთვა რეგისტრაციის უფლება და გადაეცა იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელ ტერიტორიულ ორგანოს. ექსპერტ ლალი ბაქრაძის განცხადებით, ეს ცვლილება ანტიკონსტიტუციური იყო და ამიტომაც რეკომენდაციების შემდეგ, 2004 წლის 26 ნოემბერს კვლავ იქნა შეტანილი ცვლილება აღნიშნულ მუხლში შემდეგი რედაქციით:

„1. კავშირის ან ფონდის საქმიანობის შეჩერების ან აკრძალვის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს სასამართლო ორგანული კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით.
2. თუ კავშირი ან ფონდი არსებითად გადავიდა სამეწარმეო საქმიანობაზე, ან თუ მისი წესდებით გათვალისწინებული მიზნების განხორციელება შეუძლებელი ხდება, სასამართლო საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე განიხილავს და წყვეტს კავშირის ან ფონდის საქმიანობის აკრძალვის საკითხს.
3.სასამართლოს მიერ კავშირის ან ფონდის საქმიანობის აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სახელმწიფო რეესტრის მწარმოებელმა ტერიტორიულმა ორგანომ უნდა გააუქმოს რეგისტრაცია“.

აქედან გამოიკვეთა ტენდენცია, რომ 2004 წლის 26 ნოემბერს შეტანილი ცვლილებით, რომლის ამოქმედებაც მოხდება 2005 წლის 2 მარტიდან ისევ სასამართლოს მიენიჭა კავშირის ან ფონდის საქმინობის შეჩერების ან აკრძალვის შესახებ გადაწყვეტილების მიღების უფლება. ამ საკითხს სასამართლო იხილავს იუსტიციის სამინისტროს ან/და დაინტერესებული პირის სარჩელის საფუძველზე, ე.ი. გაიზარდა დაინტერესებული პირის უფლებები კავშირისა და ფონდის საქმიანობასთან დაკავშირებით. თუმცა, დაინტერესებული პირის ვინაობაზე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს.

აღნიშნულ ცვლილებასთან დაკავშირებით, კითხვით მივმართეთ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ აღმასრულებელ დირექტორს უჩა ნანუაშვილს, რომელიც რევოლუციის შემდეგ ამ ცვლილების მიღების აუცილებლობას არგუმენტირებულად ვერ მიიჩნევს. „თავად ამ ცვლილების შეტანის დრო, გვავარაუდებინებს, რომ ხელისუფლება ცდილობს, კონტროლის ქვეშ მოაქციოს არასამთავრობო ორგანიზაციები ანუ ხელისუფლებას ჰქონდეს მეტი ბერკეტები, ჩაერიოს არასამთავრობოების საშინაო საქმეებში რათა მოახდინოს ერთგვარი კონტროლი“.

ჩვენს კითხვაზე თუ ვინ შეიძლება იყოს კანონში მითითებული „დაინტერესებული პირი“, იურისტმა ლია მუხაშავრიამ, განმარტა, რომ ეს შეიძლება იყოს ამ ორგანიზაციის წარმომადგენელი, დამფუძნებელი და ასევე პირი, რომელსაც რაიმე კავშირი აქვს ამ ორგანიზაციის გადაწყვეტილებასთან და არა ნებისმიერი პირი. თუმცა უჩა ნანუაშვილი მიიჩნევს, რომ გაუგებარია ვინ შეიძლება იყოს დაინტერესებული პირი, რადგან კანონში არ ჩანს განმარტება და საკმაოდ ბუნდოვანია.

**- შეიძლება ეს იყოს ხელისუფლების წარმომადგენელიც?**

- რა თქმა უნდა, რადგან კანონში განმარტება არაა მოცემული, თუ ვინ შეიძლება იყოს ეს ადამიანი. ის პუნქტიც საკმაოდ გაუგებარი და საეჭვოა თუ რა იგულისხმება ორგანიზაციის მიზნების შეუსრულებლობაში. რადგან ეს ძალზედ სუბიექტური საკითხია. ვინ უნდა განსაზღვროს ესა თუ ის ორგანიზაცია ასრულებს თუ არა თავის მიზნებს? ეს საკმაოდ პირობითია. ორგანიზაციას შესაძლოა ჰქონდეს აქტიური და პასიური პერიოდი იქიდან გამომდინარე თუ რა რესურსები აქვს და ეს არ გულისხმობს იმას, რომ ორგანიზაცია უნდა გაუქმდეს. ის არის ჩველებრივ სამოქალაქო საზოგადოების ნაწილი, რომელშიც სახელმწიფო არ უნდა ჩაერიოს. ხელისუფლებაში მოსვლის დღიდან მსგავსი შეზღუდვების დაწესება, მიუთითებს იმას, რომ ხელისუფლება დაინტერესებულია არა სამოქალაქო სექტორის განვითარებით, არამედ შეზღუდვით, შემდეგ უკვე კამპანიების აგორებით ცალკეული ორგანიზაციების მიმართ, რომლებიც იქნებიან კრიტიკულები ხელისუფლების მიმართ და არ დახუჭავენ თვალს მათ დარღვევებზე. ხელისუფლება ცდილობს, რომ ჰყავდეს მართული არასამთავრობოთა ბირთვი, როლებიც სამწუხაროდ დიდ ნაწილს იკავებს უკვე საქართველოში.

აქვე უჩა ნანუაშვილმა აღნიშნა, რომ შესაძლოა საქმე არც კი მივიდეს რეგისტრაციის გაუქმებამდე, მაგრამ ამის გამო, ორგანიზაციამ თავისი ენერგია და რესურსები უნდა დახარჯოს უაზროდ და ასევე ამან შესაძლოა იმოქმედოს საზოგადოებაში მის იმიჯზე ან/და მოერიდოს ხელისუფლებისგან ზეწოლას და შეცვალოს პოზიცია. ხოლო, იმ შემთხვევაში, თუ ორგანიზაცია ჩადის დანაშაულს, ამისათვის არსებობდა და არსებობს შესაბამისი კანონმდებლობა და ორგანოები, რომლებიც აღნიშნულ საკითხს არეგულირებენ.

**Human Right Watch - ის მიმართვა საქართველოს პრეზიდენტს**

*ბატონო პრეზიდენტო,*

ჩვენ გწერთ დღეს, რათა გამოვხატოთ ჩვენი აღშფოთება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისათვის“ (FPPHR) წევრების შეურაცხყოფისა და შევიწროების გამო. 1996 წლიდან ამ ორგანიზაციამ დიდი წვლილი შეიტანა საქართველოს მთავრობის პასუხისმგებლობის გაზრდაში ადამიანთა უფლებების დარღვევის ფაქტებს მიმართ. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რომელზეც ეს ორგანიზაცია მუშაობს, არის ადამიანთა წამების აღკვეთა საქართველოში, თუმცა ჩვენთვის ცნობილია, რომ მთავრობა ყველანაირად ცდილობს ხელი შეუშალოს ამ კუთხით მუშაობას. ჩვენ შეწუხებული ვართ იმით, რომ ამ ორგანიზაციის წევრებს არ უშვებენ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში და ცდილობენ აღკვეთონ მათ მიერ მომზადებული ადამიანთა წამების ამსახველი სარეკლამო რგოლების ტელევიზიით ჩვენება.

მიუხედავად იმისა, რომ 2001 წლის ბოლოდან მოყოლებული ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისათვის“ ზეწოლას განიცდიდა მთავრობის მხრიდან, მისმა წევრებმა მაინც შეძლეს იზოლატორების მონახულებით სამართალდამცავთა მხრიდან ადამიანთა ფიზიკური თუ მორალური შეურაცყოფის ფაქტების ასახვა. FPPHR („ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისათვის“) იუსტიციის სამინისტროს სახალხო კონტროლის დამოუკიდებელი საბჭოს წევრი იყო და ამიტომ მის წევრებს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ნებისმიერი დაწესებულების მონახულების უფლება ჰქონდათ. 2004 წლის აპრილში ზემოთხსენებული საბჭო დაიშალა და სხვა ორგანო არ შექმნილა. თუმცა, როგორც ნანა კაკაბაძე, FPPHR-ს ხელმძღვანელი, აცხადებს მისი ორგანიზაციის წევრებს იზოლატორებში მისვლის უფლება 2004 წლის ივნისამდე ეძლეოდათ. შეზღუდვები მას შემდეგ დაიწყო, რაც კაკაბაძე ციხის საავადმყოფოში მყოფ სულხან მოლაშვილს შეხვდა და ღიად განაცხადა მისი შინაგან საქმეთა სამინისტროს შტაბში წამების შესახებ. როდესაც კაკაბაძე და მისი კოლეგები შეეცადნენ იუსტიციის სამინისტროს საპატიმროებში შესულიყვნენ, ოფიციალურმა პირებმა მათ ამის უფლება არ მისცეს.

ჩვენ მოხარული ვართ, რომ საქართველოს მთავრობამ განაახლა საპატიმროების მონიტორინგის სისტემა, რომლის წევრები სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციები არიან, რომლებიც დამკვირებლის ფუნქციას ასრულებენ, თუმცა, ძალზე გაკვირვებულნი და იმედგაცრუებულნი დავრჩით, როდესაც შევიტყვეთ, რომ FPPHR, ამ სფეროში ერთ-ერთი ყველაზე აქტიურად მომუშავე ორგანიზაცია არ არის მისი წევრი.

მთავრობის კიდევ ერთი მცდელობა, ხელი შეეშალა FPPHR-ის მუშაობისთვის წამების აღკვეთასთან დაკავშირებით დეკემბერში დაფიქსირდა, როდესაც საქართველოს სახელმწიფო ანტი-მონოპოლიურმა სამსახურმა სატელევიზიო არხებს, იმედსა და კავკასიას, მოსთხოვა შეეწყვიტათ საზოგადოებრივი სარეკლამო რგოლების ეთერში გაშვება, რომლებიც პოლიციის მიერ დაკავებულთა წამების წინააღმდეგ იყო მიმართული და რომელსაც ევროპული კომისია და FPPHR აფინანსებდა. კაკაბაძეს განცხადებით, ამ სახის საზოგადოებრივი რეკლამა 2004 წლის თებერვლიდან რამდენიმე კერძო სატელევიზიო არხზე გადიოდა.

ამ სარეკლამო რგოლების ჩვენების აკრძალვა შინაგან საქმეთა სამინისტრომ მოითხოვა, რომელიც სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურში გაგზავნილ წერილში აცხადებდა, რომ ასეთი სახის რგოლები „პოლიციისადმი საზოგადოებრივი ნდობის დაკარგვას იწვევდა და ხელს უშლიდა სისტემაში რეფორმის განხორციელებაში, რომელიც ცდილობს ქვეყანაში სამართლიანობისა და წესრიგის დამყარებას“. წერილში ასევე ნათქვამია, რომ ასეთი კლიპების ჩვენება შესაძლოა კანონდარღვევად ჩაითვალოს და შესაბამისი სასჯელიც მოყვეს, რადგან ისინი არ ექვემდებარება კანონს რეკლამის შესახებ და მათი გაშუქება არ შეიძლება. სახელმწიფო ანტიმონოპოლიურ სამსახურის მოთხოვნის შემდეგ ორივე არხმა შეწყვიტა ამ რგოლების ეთერში გაშვება.

ერთი კვირის შემდეგ სახელმწიფო ანტიმონოპოლიური სამსახურისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლები ევროკომისიისა და FPPHR-ის წევრებს შეხვდნენ. კაკაბაძეს განცხადებით, მთავრობის წარმომადგენლებმა მათ კლიპებიდან პოლიციის ფორმის, შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობისა და ელექტრო შოკის აპარატის ამსახველი კადრების ამოღება მოსთხოვეს. მას შემდეგ, რაც კაკაბაძემ და მისმა კოლეგებმა ამ კლიპების ჩვენების აკრძალვის წერილობით დადასტურება მოსთხოვეს, FPPHR-მა 2005 წლის იანვრის ბოლოს ანტიმონოპოლიურ სამსახურისგან მიიღო წერილი, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ ისინი კლიპების აკრძალვას არ მოითხოვდნენ, არამედ უბრალოდ ურჩევდნენ არხებს არ ეჩვენებინათ ისინი. კაკაბაძემ Human Rights Watch-ს განუცხადა, რომ მას შემდეგ რაც ეს წერილი მათ სატელევიზიო არხებს აჩვენეს თებერვლის დასაწყისში, მათ განაახლეს წამების წინააღმდეგ მიმართული საზოგადოებრივი რგოლების ჩვენება. მიუხედავად იმისა, რომ ამ საკითხთან დაკავშირებით დადებითი შედეგის მიღწევა მოხერხდა, მთავრობისგან ჩარევის საფრთხე კვლავ არსებობს.

იყო რამდენიმე შემთხვევაც, როდესაც FPPHR-ის წევრები უცხო პირთაგან დაშინებას განიცდიდნენ. ეს 2003 წლის ბოლოს დაიწყო, როდესაც უცნობი პირები ნანა კაკაბაძეს ტელეფონით დაუკავშირდნენ და დაემუქრნენ, რომ მის

შვილს საფრთხე ელოდა. კაკაბაძის თქმით, მუქარის ზარები 2004 წლის მარტში შეწყდა, მას შემდეგ, რაც მან ამის შესახებ საჯაროდ განაცხადა.

4 მაისს პოლიციის ოფიცრებმა FPPHR-ის რუსთავის ფილიალის ხელმძღვანელი, ლევან სახვაძე პირდაპირ რუსთავის ქუჩაში სცემეს. სამართალდამცავები მისგან პოლიციის მიერ ადამიანთა უფლებების დარღვევებზე მუშაობის შეწყვეტას მოითხოვდნენ. ლევან სახვაძემ ამ ფაქტზე ოფიციალური საჩივარი შეიტანა პოლიციის განყოფილებაში, თუმცა მუქარის განმეორების შემდეგ საჩივარი უკან გამოიტანა.

დეკემბრის შუა რიცხვებში უცნობ პირთა მუქარის ზარების სერია კვლავ განმეორდა FPPHR-ს ოფისში, რაც დაახლოებით 10 დღის განმავლობაში გრძელდებოდა.

როგორც თქვენთვის ცნობილია, ყველა ხელისუფლების მოვალეობაა დაიცვას ადამიანთა უფლებების დამცველები, როგორც ნათქვამია ინდივიდთა, ჯგუფთა და საზოგადოებრივ ორგანოთა უფლებებისა და პასუხისმგებლობის დეკლარაციაში, რომელიც ითვალისწინებს საყოველთაოდ აღიარებული ადამიანის უფლებებისა და ფუნდამენტალური თავისუფლების დაცვას. მოგვიანებით, საქართველოს მთავრობამ ნათლად გამოხატა, რომ მას საქართველოში ძლიერი დემოკრატიის განვითარება სურს, ხოლო ამისთვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს არასამთავრობო ორგანიზაციების, ისეთის როგორიცაა „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანთა უფლებებისთვის“, კონსტრუქციულ კრიტიკას.

ამიტომ ჩვენ გთხოვთ, რომ მთავრობამ უზრუნველყოს აღნიშნული არასამთავრობო ორგანიზაციის დაბრკოლების გარეშე მუშაობა, ისევე, როგორც საპატიმროებში მათი თავისუფლად შესვლა. ჩვენ ასევე გთხოვთ, რომ მკაცრად განაცხადოთ, რომ საქართველოს მთავრობა არ მოითმენს ადამიანთა უფლებების დაცვაზე მუშაობისთვის ხელის შეშლას.

მადლობას გიხდით ამ წერილის მიმართ გამოჩენილი ყურადღებისთვის და მოუთმენლად ველით კონსტრუქციული დიალოგის გაგრძელებას,

*პატივისცემით, რაკელ დენბერი*
*მოქმედი აღმასრულებელი დირექტორი, ევროპისა და შუა აზიის განყოფილება*

**ყაჩაღობა თუ პოლიტიკური ანგარიშსწორება?!**

მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რესტორან “თეთრი სახლის” სიახლოვეს ავტომობილით მიმავალ ხაშურის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატზე, ვალერი გელაშვილზე შეიარაღებული თავდასხმა 8 ნიღბოსანმა განახორციელა. აღნიშნული ფაქტის გამო მწვავე განცხადებებს აკეთებენ ოპოზიციური პარტიის ლიდერები და პასუხისმგებლობას ხელისუფლებას აკისრებენ. „ჩემთვის ცნობილია, რომ ვალერი გელაშვილს დაახლოებით ორი კვირის წინ ტელეფონით დაემუქრნენ. მისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ. მართალია, გელაშვილმა ბოდიში მოიხადა, მაგარამ მუქარა მაინც აღასრულეს”.- განაცხადა რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთმა წარმოამდგენელმა თინა ხიდაშელმა. დაზარალებულის ორივე ყბა მოტეხილი აქვს და აღენიშნება სახის მძიმე დაზიანება.

14 ივლისს, დღის 2 საათზე, მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, რესტორან “თეთრი სახლის” სიახლოვეს ავტომობილით მიმავალ ხაშურის რაიონის მაჟორიტარ დეპუტატზე, ვალერი გელაშვილზე შეიარაღებული თავდასხმა განხორციელდა. მას თავს დაახლოებით 8 ნიღბიანი დაესხა. მასთან ერთად ავტომობილში იმყოფებოდნენ დაცვის წევრი მალხაზ ცხაკაია და გელაშვილის მამიდაშვილი, სამშენებლო ფირმა “ევრას” დირექტორი მეგი ლომიძე. მძიმედ დაშავდა თავად გელაშვილი, შედარებით მსუბუქ მდგომარეობაშია დაცვის წევრი. ქალბატონისთვის თავდამსხმელებს შეურაცხყოფა არ მიუყენებიათ. მას იარაღის მუქარით ერთ ადგილზე გაჩერება მოსთხოვეს, როდესაც გაქცევა დააპირა. ოფიციალურად მხოლოდ ის არის ცნობილი, რომ 2 “ოპელ-ომეგას” მარკის ავტომობილი პარლამენტარის მანქანას წინ გადაუდგა. თავდამსხმელებმა თან წაიღეს მეგი ლომიძის ხელჩანთა და გელაშვილის პირადი საბუთები.

მიუხედავად იმისა, რომ თავად დაზარალებული და მისი თანაპარტიელები გამორიცხავენ დაყაჩაღების ფაქტს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონის პოლიციის განყოფილების გამომძიებელმა ლევან ბერომემ მომხდარი ფაქტიდან ერთ საათში, რამდენიმე მოწმის დაკითხვის შემდეგ, განაცხადა, რომ ადგილი ჰქონდა ფულის გამოძალვას. გამოძიება სწორედ ამ ვერსიაზე აგრძელებს მუშაობას. თუმცა, ალბათ ბევრმა ნახა ის კადრები, სადაც დაფიქსირებულია, რომ საავადმყოფოში მყოფ ვალერი გელაშვილს მსხვილი ოქროს ჯაჭვი ეკეთა. თუ ეს ყაჩაღობა იყო, საინტერესოა, ქურდებს ჯაჭვის ბზინვარებამ თვალი არ მოსჭრა?

გელაშვილი 14 ივნისს, მეუღლის მანქანით მოძრაობდა, რადგან მისი დაჯავშნული ავტომობილი დილით არ დაიქოქა. ოპოზიციის წარმომადგენლების თქმით, 13 ივნისს გელაშვილი პატრულმა გააჩერა და შეამოწმა,

რამდენი კაცი იყო მის პირად დაცვაში და რა იარაღი ჰქონდათ დაცვის თანამშრომლებს. დაზარალებულმა ერთ-ერთ ტელეკომპანიასთან ინტერვიუში განაცხადა, რომ ყველაფერი სპეცსამსახურის ნამუშევარი იყო. იგი მომხდარს თავის სატელევიზიო და საგაზეთო ინტერვიუებს უკავშირებს. მან თავდამსხმელებში შსს მეშვიდე განყოფილების ოპერი ამოიცნო.

ვალერი გელაშვილს სამ სართულიანი ფეშენებელური სახლი გააჩნია ავლაბარში, ალვანის 5 ნომერში, პრეზიდენტის მშენებარე რეზიდენციასთან. როგორც გაირკვა, აღნიშნული სახლი მან ხელისუფლებას გადასცა და სანაცვლოდ 4 მილიონი აშშ დოლარი მოითხოვა. სახელმწიფო დაკისრებულ ვალდებულებას თავს არიდებს. თუ სააკაშვილი დეპუტატის მოთხოვნას არ გაითვალიწინებს, გელაშვილი სახლის აუქციონის წესით გაყიდვას აპირებს. აღნიშნულ დავასთან დაკავშირებით, გელაშვილი ერთ-ერთი გაზეთის ინტერვიუში შეურაცმყოფელი ფრაზებით ამკობდა პრეზიდენტ სააკაშვილის პირად ცხოვრებას.

აღნიშნულ ფაქტს ოპოზიციური პარტიების მწვავე რეაქცია მოჰყვა. ეს განსაკუთრებით რესპუბლიკურ პარტიას შეეხება, რომლის წევრიც 2 თვის წინ გახდა ბიზნესმენი გელაშვილი. "მომხდარზე პასუხი ხელისუფლებამ უნდა გასცეს" - სატალევიზიო ინტერვიუში განაცხადა რესპუბლიკელმა დავით ბერძენიშვილმა. ერთ-ერთი ტელეკომპანიისთვის მიცემულ ინტერვიუში ახალი მემარჯვენეების ლიდერი დავით გამყრელიძე უფრო ღიად ადანაშაულებს მთავრობას: "ეს იყო ხელისუფლების მიერ ორგანიზებული და წინასწარ დაგეგმილი ტერორისტული აქტი".

ნიშანდობლივია რესპუბლიკური პარტიის წარმომადგენლის თინა ხიდაშელის კომენტარი, რომელიც მან "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრს" მისცა: "ჩემთვის ცნობილია, რომ ვალერი გელაშვილს დაახლოებით ორი კვირის წინ ტელეფონით დაემუქრნენ. მისგან საჯაროდ ბოდიშის მოხდას მოითხოვდნენ. მართალია, გელაშვილმა ბოდიში მოიხადა, მაგარამ მუქარა მაინც აღასრულეს".

საგანგებო ბრიფირგი გამართეს ნაციონალური მოძრაობის წარმომადგენლებმა: გიგა ბოკერიამ და გიორგი არველაძემ. "ჩვენთვის ამ საქმის გამოძიება და დამნაშავეების დასჯა მეტად პრინციპულია. სამართალდამცავი ორგანოებისგან ამ საქმის ბოლომდე გამოძიებას მოვითხოვთ, მითუმეტეს ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ხელისუფლებისკენ ავტომატურად გამოიშვირეს ხელი", – „მედიანიუსს" განუცხადა საპარლამენტო უმრავლესობის წევრმა გიგა ბოკერიამ. პარლამენტარი გიორგი არველაძე ხელისუფლების კრიმინალიზაციის შესახებ ოპოზიციის ბრალდებებს "ბინძურ განცხადებებს" უწოდებს: "ოპოზიცია მიზნად ისახავს, რომ ნებისმიერ საკითხზე ხელისუფლებას ჩირქი მოსცხოს. ეს მათი არჩევანია. ოპოზიციას შეუძლია ყველაფერზე ილაპარაკოს და ასეთი უსინდისო განცხადებები გააკეთოს, რასაც ჩვენ შევეჩვიეთ. ვიმედოვნებთ, რომ გამოძიება ყველაფერს გაარკვევს." (მედიანიუსი)

საავადმყოფოში დაზარალებული მმართველი პარტიიდან მხოლოდ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ნინო ბურჯანაძემ მოინახულა. "როგორც კი გავიგე ეს ამბავი, მაშინვე დავუკავშირდი შინაგან საქმეთა მინისტრს ვანო მერაბიშვილს. შემიძლია გითხრათ, რომ პოლიცია ყველაფერს გააკეთებს, რათა ეს დანაშაული უმოკლეს დროში გაიხსნას. მართლაც, აღმაშფოთებელია, როდესაც დეპუტატს შუადღისას ქუჩაში სცემენ. უფრო უარესი შეიძლება დაემართოს უბრალო მოქალაქეს", - განაცხადა „მედიანიუსთან" საუბრისას ნინო ბურჯანაძემ.

კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი გელაშვილი თავდაპირველად წმინდა მიქაელის საავადმყოფოში მოათავსეს. მას ორივე ყბა მოტეხილი აქვს, აღენიშნება სახის მძიმე დაზიანებაც. ამჟამად დაზარალებულის მდგომარეობა სტაბილურია. ნაცემი დეპუტატი სპეციალური ავიარეისით ვილნიუსში გადაიყვანეს. ის გამოჯანმრთელების შემდეგ აქტიურ პოლიტიკაში დაბრუნებას აპირებს.

**ხელისუფლება ოპოზიციის ძალებს ზღუდავს**

ცოტა ხნის წინ საქართველოს მთავრობამ წარმოადგინა კანონპროექტი თბილისის საკრებულოსა და მერის არჩევითობის წესის შესახებ, რასაც ოპოზიციის მხრიდან მკაცრი გამოხმაურება მოჰყვა. ახალი კანონპროექტი ითვალისწინებს არსებული პროპორციული საარჩევნო სისტემის შეცვლას „გამარჯვებული იღებს ყველაფერს" პროცედურით. 22 ივნისს დეპუტატებმა ოპოზიციური პარტიებიდან პროტესტის ნიშნად დატოვეს რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის საპარლამენტო სხდომა. ისინი მიიჩნევენ, რომ მას არ გააჩნია ადმინისტრაციული დატვირთვა და არის წმინდა პოლიტიკური დოკუმენტი, რომელსაც არანაირი საერთო არ აქვს ქალაქის მართვასთან. ეს ფაქტი კიდევ ერთხელ დადასტურდა, როდესაც პრეზიდენტმა ქალაქის მერად თავისი ადმინისტრაციის ყოფილი უფროსი გიგი უგულავა დანიშნა.

ხელისუფლების მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის თანახმად, თითოეულ პოლიტიკურ პარტიას შეუძლია საკრებულოს წევრობისთვის თბილისის თითოეულ საარჩევნო ოლქში დაასახელოს სამი ან ორი კანდიდატი. კანდიდატურების საკრებულოში გაყვანას მხოლოდ ის პარტია შეძლებს, რომელიც არჩევნებში ყველაზე მეტ ხმას

დააგროვებს. ამ წესით დაკომპლექტებული საკრებულო კი ირჩევს თბილისის მერს. როგორც ნაციონალური მოძრაობის წევრები ამბობენ, საკრებულოს არჩევის ამგვარი მოდელი რეკომენდირებულია ევროპის საბჭოს მიერ. ეს წესი პოლიტიკური პარტიების კონსოლიდაციის საშუალებას იძლევა, რადგან პატარა პარტიებს გაერთიანება მოუწევთ საკრებულოში გავლენის მოსაპოვებლად.

ოპოზიცია კი მერის პირდაპირი წესით არჩევას მოითხოვს. 16 ივნისს ოპოზიციურმა პარტიებმა ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში რეფერენდუმის ჩასატარებლად საჭირო 200 ათასი ხელმოწერის შეგროვებაზე თანხმობის მისაღებად განაცხადი წარადგინა. თუმცა, ოპოზიცია შიშობს, რომ რეფერენდუმის ჩატარების შემთხვევაშიც კი ხელისუფლება შეეცდება გაწელოს პროცედურები.

შემოთავაზებული ვარიანტი - საკრებულო ირჩევდეს მერს, დემოკრატიულ  პრინციპებში  ბევრად უფრო წინ გადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ვინაიდან ხელისუფლებას საკრებულოს სათავეში ოპოზიციური ძალის მოსვლის ეშინია, საკრებულოში უმრავლესობას მმართველი პარტიის წარმომადგენლები შეადგენენ. აქედან გამომდინარე ისინი გვთავაზობენ სრულიად გაუმართლებელ და უმსგავსო მაჟორიტარულ სისტემას. მთავრობა აკეთებს იმას, რაც ყოვლად მიუღებელია და რომელიც არღვევს დემოკრატიის მთავარ მახასიათებლებს - ურთიერთშეკავებისა და გაწონასწორების პრინციპებს, რაც საზოგადოებაში, ავტორიტარული რეჟიმის დამკვიდრების შთაბეჭდილებას ტოვებს.

როგორც ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი აღნიშნავს - „ეს არის შევიწროვებისა და ხელისუფლებაში ოპოზიციის არ დაშვების პოლიტიკის გაგრძელება. პოლიტიკის მთავარი გამწონასწორებელი არის ის, რომ ოპოზიციურ ძალებს სუნთქვის საშუალება ჰქონდეთ, რათა საზოგადოებას დაუმტკიცონ, რომ ისინი რაღაც ძალას წარმოადგენენ. ამიტომ, როცა საკაშვილმა თბილისის საკრებულოში გაიმარჯვა ეს იყო სრულიად ნორმალური მოვლენა და ამით დაუმტკიცა საზოგადოებას, რომ მას შეუძლია გახდეს ხელისუფლების მმართველი.“ რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების საქციელს ბ-ნი პაატა აღვირახსნილს და გაუმართლებელს უწოდებს - „ამგვარი ქცევა არანაირ სამართალში და არანაირ პოლიტიკაში არ ჯდება. ერთი შეხედვით ჩვენთან საზოგადოება აქტიური და მოქნილია, მაგრამ სამწუხაროდ არჩევნებზე არ რეაგირებს, მას სახელმწიფო არ ადარდებს. ხელისუფლებამ კარგად იცის საზოგადოების პოზიცია, რასაც შევარდნაძის მსგავსად თავის სასარგებლოდ იყენებს“. პოლიტოლოგი ზაქარეიშვილი დემოკრატიული პრინციპების უარყოფის „მშვენიერ“ მაგალითად მიიჩნევს გიგი უგულავას ქალაქის მერად დანიშვნას: „ეს არის წმინდა პოლიტიკური თანამდებობა. უგულავას დანიშვნით სააკაშვილმა დაადასტურა რომ მისთვის მნიშვნელობა არ აქვს ვინ იქნება მერის თანამდებობაზე, მთავარია იყოს პოლიტიკური ფიგურა, რათა ადგილი ვინმე სხვამ არ დაიკავოს. აქედან გამომდინარე, ეს დოკუმენტი არის პოლიტიკური და არანაირი კავშირი არ აქვს ხალხთან.“

**პოლიტიკური ანგარიშწორება თუ მორიგი ყაჩაღობა?**

ხელისუფლების პოლიტიკის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი კონსერვატიული პარტიის წარმომადგენლებზე განხორციელებული თავდასხმების გამოძიება გაურკვეველი მიზეზების გამო ჭიანურდება. მათ შორის არის ერთი კვირის წინ პარლამენტარ კახა კუკავაზე განხორციელებული თავდასხმა, რაც გარკვეულ ეჭვებს ბადებს ოპოზიციურ რიგებში; ისინი პოლიტიკურ ანგარიშწორებაზე საუბრობენ.

16 მაისს საღამოს 11 საათზე საქართველოს პარლამენტის წევრს, კახა კუკავას ორი უცნობი პირი თავს დაესხა და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. თავდამსხმელებმა ცემის შემდეგ პარლამენტარს ტელეფონი და საფულე წაართვეს და გაიქცნენ. ბოროტმოქმედები პარლამენტარს მისი საცხოვრებელი სახლის მეოთხე სართულზე ელოდებოდნენ.

აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის პოლიციის სამმართველოს საგამოძიებო ნაწილში სისხლის სამართლის საქმე ძარცვის მუხლით აღიძრა, რამაც კახა კუკავასა და მის თანაპარტიელებში დიდი გაკვირვება გამოიწვია, რადგან მათი აზრით, სულ ცოტა, ყაჩაღობის ფაქტი სახეზე იყო.

პარლამენტარი პოლიცის მუშაობას საქმის გამოძიების თვალსაზრისით, პასიურს უწოდებს. თუმცა, გამომდინარე იქედან, თუ რა რესურსებს ფლობს პოლიციის ქვეგანყოფილება, ოპოზიციური პარტიის წევრ კახა კუკავას ეჭვი ეპარება იმაში, რომ რაიონის პოლიციის დონეზე მოხდეს აღნიშნული საქმის გახსნა. ამასთან, მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტმა მისცა დავალება შინაგან საქმეთა მინისტრს,  დაზარალებულს არამც თუ სამინისტროდან, ქალაქის სამმართველოდანაც კი არავინ არ დაკავშირებია. აღნიშნული საქმის გახსნა პოლიციისათვის არცთუ ისე რთული უნდა ყოფილიყო, რადგან როგორც თავად კახა კუკავამ განაცხადა, დამნაშავეთა ჯგუფი მათ ტერიტორიაზე ინტენსიურად მოძრაობს და ორგანიზებული რეიდის პირობებში ასეთი ჯგუფების დაკავება პოლიციისთვის დიდ სირთულეს არ წარმოადგენს.

„მე ვთვლი რომ შინაგან საქმეთა სამინისტრო უბრალოდ არ არის დაინტერესებული ამ საქმის გახსნაში, ჩვენ ეხლა ვამოწმებთ ვერსიებს საკუთარი ძალებით და გარკვეული ინფორმაციები გვაქვს, რომ ზოგიერთი ასეთი სახის

ჯგუფებს მთავრობა უმაგრებს ზურგს. რაც შეეხება პოლიტიკურ ანგარიშწორებას ან დაშინების მცდელობას - ასეთი ეჭვი არ მაქვს, თუმცა არაფერს გამოვრიცხავ. მაგრამ რაც დრო გადის ამგვარი ეჭვები უფრო ძლიერდება, რადგან ხელისუფლება ძალინ ინტენსიურად ცდილობს ამ თავდასხმას მისცეს ჩვეულებრივი კრიმინალის კვალიფიკაცია და პარალელურად არ ცდილობენ საქმის ობიექტურად გამოძიებას", - განაცხადა ოპოზიციური პარტიის წევრმა კახა კუკავამ და დაამატა, რომ პარლამენტის თავჯდომარის მხრიდან ოფიციალური დავალების მიუხედავად შინაგან საქმეთა სამინისტრო ამ საკითხში ჩართული არ არის.

ოპოზიციური პარტიის წარმომადგენელთა განცხადების თანახმად, მათ იმედი არ აქვთ, რომ ეს თავდასხმა გამოძიებულ იქნება და დამნაშავეები დაისჯებიან, რადგან აქამდე განხორციელებული თავდასხმები კონსერვატიულ პარტიაზე დღემდე არ არის გამოძიებული, მათ შორის პარტიის თბილისის ოფისის დარბევა და ასევე ზუგდიდში მომხდარი თავდასხმა ოპოზიციური პარტიის ერთ-ერთ წევრ გუგა ცანავაზე კვლავ გაუხსნელია.

**ზესტაფონში კონსერვატიული პარტიის ოფისი დაარბიეს**

***თბილისი.13.06.05.მედიანიუსი.*** 13 ივნისს ზესტაფონში კონსერვატიული პარტიის რაიონული ორგანიზაციის ოფისი დაარბიეს. დარბევაში 30-მდე პირი მონაწილეობდა. ნაცემია პარტიის ორი აქტივისტი - გიორგი ბერაძე და ბადრი გუგუსიანი.

როგორც პარტიის ხელმძღვანელობა აცხადებს, დაზარალებულებმა თავდამსხმელებში ზესტაფონის გამგეობის თანამშრომელი ზაზა დავლაძე ამოიცნეს.

ამ ფაქტთან დაკავშირებით კონსერვატიული პარტიის წევრის ბიძინა გუჯაბიძისა და ამავე პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარის კახა ბერაძის მიერ პარლამენტში გამართულ პრესკონფერენცია ითქვა, რომ დარბევის მიზეზი კონსერვატორების მიერ ადგილობრივი ხელისუფლების კორუფციაში მხილება გახდა.

8 ივნისს ქრთამის აღების ფაქტზე ზესტაფონის გამგებლის მოვალეობის შემსრულებელი მირიან ბერუაშვილი დააკავეს. იგი ქრთამის გამოძალვაში კონსერვატიული პარტიის ზესტაფონის რაიონული ორგანიზაციის თავმჯდომარემ კახა ბერაძემ ამხილა.

საქმე ის არის, რომ 2003 წელს ინდ მეწარმე კახა ბერაძესა და ზესტაფონის რაიონის გამგეობას შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, ბერაძის ფირმას კეთილმოწყობის სამუშაოები უნდა ჩაეტარებინა. ხელშეკრულება სამუშაოების დაწყებისას გაუგებარი მიზეზით გაუქმდა, რის გამოც ბერაძემ სასამართლოს მიმართა და გაიმარჯვა კიდეც. გამგეობას კი დაკისრებული თანხა არ გადაუხდია, ამის შემდეგ ზესტაფონის გამგეობამ ბერაძეს 40 000-ლარიანი პროექტი შესთავაზა, მისი 10 პროცენტი ქრთამის სახით ბერაძეს ბერუაშვილისთვის უნდა მიეტანა.

როგორც ბერუაშვილმა ბერაძეს განუმარტა, ეს თანხა (1500 ლარი) მას ზესტაფონის საკრებულოს თავმჯდომარე გია კობახიძისთვის უნდა გაენაწილებინა.

როგორც ბერაძე აღნიშნავს, პარტიის ოფისის დარბევა მიზნად მის ლიკვიდაციას ისახავდა. თუმცა, ის დარბევისას ოფისში არ იმყოფებოდა. მისივე თქმით, ზესტაფონის რაიონში ბერუაშვილი კორუფციაში გარეული ყველაზე მცირე რგოლია.

როგორც ბიძინა გუჯაბიძე აცხადებს, ეს არ არის კონსერვატორთა დარბევის პირველი ფაქტი და იგი მოუწოდებს ხელისუფლებას, შეწყვიტოს ოპოზიციური პარტიების შევიწროება.

ამ საკითხთან დაკავშირებით ხუთშაბათს სამთავრობო საათზე კონსერვატორები პასუხს შს მინისტრს ვანო მერაბიშვილსა და გენერალურ პროკურორს ზურაბ ადეიშვილს მოსთხოვენ.

**პარტია "სამართლიანობის" ოფისი გაძარცვეს**

***თბილისი.27.10.05.მედიანიუსი.*** პოლიტიკური პარტია "სამართლიანობის" მიერ დღეს გავრცელებული ინფორმაციით, 27 ოქტომბერს, დილით, პარტიის საბურთალოს რაიონული ოფისი გაიძარცვა. წაღებულია პარტიის დოკუმენტები, ტელევიზიორი, ფაქსის აპარატი და ბინის მეპატრონის პირადი ნივთები.

ეს პარტია „სამართლიანობაზე" განხორციელებული პირველი თავდასხმა არაა. პარტიის რამდენიმე წევრი, სხვადასხვა დროს, სასტიკად სცემეს. „სამართლიანობის" წარმომადგენლების განცხადებით, 28 სექტემბერს მომხდარი თავდასხმების უკან პოლიციის მუშაკები იდგნენ.

"სამართლიანობის" პარტიის წინააღმდეგ მიმართული დევნა

პოლიტიკური პარტია "სამართლიანობა" გამოხატავს თავის უკიდურეს აღშფოთებას იმ მრავალრიცხოვანი კრიმინალური შემთხვევების გამო, რასაც უკანასკნელ დღეებში ადგილი ჰქონდა ჩვენი პარტიის სხვადასხვა რაიონული ორგანიზაციების წევრების მიმართ. კერძოდ:

მიმდინარე წლის 28 სექტემბერს ქ. თბილისში, ფიროსმანის ქუჩაზე ხუთმა უცნობმა პირმა, რომელიც მოძრაობდა "ოპელის" მარკის ავტომანქანით, სახელმწიფო ნომრით ACZ 164, ყოველგვარი საფუძვლისა და ახსნა-განმარტების გარეშე გააჩერა და ქუჩაში სცემა სამტრედიის რეგიონალური ორგანიზაციის ხელმძღვანელი ილია ქარჩილაძე და ამავე ორგანიზაციის წევრი გელა გიორგაია. უფრო მეტიც, თავდასხმელებმა ილია ქარჩილაძე მანქანაში ჩატენეს, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, და წაიყვანეს აღმაშენებლის გამზირის მიმართულებით. ილია ქარჩილაძემ თავის დაღწევა შემთხვევით მოახერხა მას შემდეგ, რაც თავდამსხმელთა ავტომანქანა საცობში გაიჭედა. მან შეძლო მანქანიდან გადმოსვლა და საშველად უხმო გამვლელებსა და იქვე მყოფ პატრულს. ყველაზე აღმაშფოთებელი კი ის არის, რომ პატრულმა დააკავა შეიარაღებული თავდამსხელები, თუმცა შემდგომ ისინი ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე გაუშვა იმ მოტივით, რომ ისინი პოლიციის თანამშრომლები იყვნენ.

იმავე დღეს ქ. ქუთაისიდან გაიტაცეს, სცემეს გაძარცვეს და თერჯოლის ტყეში დააგდეს ქ. ქუთაისის საქალაქო ორგანიზაციის თავმჯდომარე რომან გაჩეჩილაძე, თან გააფრთხილეს რომ არ გაებედა დასწრება და მხარდამჭერთა წაყვანა პარტია "სამართლიანობის" ყრილობაზე (გაიმართა 3 ოქტომბერს).
იმავე საღამოს ქ. ქუთაისში პოლიციის შენობიდან 50 მეტრში ნიღბიანმა თავდამსხმელებმა ე.წ. "დუბინკებით" სასტიკად სცემეს პარტიის ახალგაზრდული ორგანიზაციის ხელმძღვანელი რომან კვიკვინია და მისი ორი მეგობარი (მათ შორის ერთი II ჯგუფის ინვალიდი) თან გააფრთხილეს, რომ თავი დაენებებინა პარტიული საქმიანობისათვის და ყრილობაზე არ გამოცხადებულიყო.

ამავე 28 სექტემბრის ღამეს რამდენიმე პირმა სახლიდან გამოიყვანა და უმოწყალოდ სცემა გორის რაიონის, სოფ. კარალეთის პირველადი პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი ანზორ მეზვრიშვილი. დაზარალებულმა თავდამსხმელთა შორის ამოიცნო იმავე რაიონის პოლიციის თანამშრომელი.

29 სექტემბერს დღისით რამოდენიმე შეიარაღებულმა და ნიღბიანმა პირმა ალყაში მოაქცია და სასტიკად სცემა ქ. ბათუმის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი რამაზ სამნიძე, რის შემდეგაც იგი ძალის გამოყენებით გაიტაცეს და ოზურგეთის გზაზე დააგდეს, თან დაემუქრნენ მისი ფიზიკური ლიკვიდაციით, თუკი პარტიულ საქმიანობას კვლავ გააგრძელებდა.
2 ოქტომბერს დაარბიეს და აბსოლუტურად გაანადგურეს პარტია "სამართლიანობის" ქ. თელავის ოფისი. იმავე დღეს პოლიციის მხრიდან იყო მცდელობა უსაფუძვლოდ დაეკავებინათ ქ. ზესტაფონის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი დათო ვარდუკაძე და მისი ორი თანხმლები პირი.
ძალადობა ჩვენი პარტიის წევრების მიმართ განსაკუთრებული სისასტიკით გაგრძელდა და ფაქტიურად მასობრივი ხასიათი მიიღო 3 ოქტომბერს, პარტია "სამართლიანობის" ყრილობის დღეს. კერძოდ:

3 ოქტომბერს გაიტაცეს ქ. ზუგდიდის პარტიული ორგანიზაციის ხელმძღვანელი პაპუნა შონია და დაემუქრენ ოჯახის განადგურებით, თუკი არ შეწყვეტდა პარტიულ მოღვაწეობას, ხოლო სამარშუტო მანქანები, რომლითაც პარტიის წევრები ყრილობაზე ჩამოსვლას გეგმავდნენ დააკავეს, ჩამოართვეს საბუთები და გასაღები და პოლიციის ეზოში დააყენეს.
 იმავე დღეს ქ. ბათუმიდან გამოსულ სამარშრუტო ავტომობილებს, რომლითაც პარტიის წევრები ყრილობაზე მოდიოდნენ დახვდნენ კბილებამდე შეიარაღებული ნიღბიანი პირები, რომლებმაც ძალის გამოყენებით გააჩერეს და შემდეგ ავტომატების ჯერით დაცხრილეს ავტობუსები, "დუბინკებით", იარაღის კონდახებით, ქვებით დაამსხვრიეს და დალეწეს ავტომანქანები, დაჭრეს საბურავები და დაარბიეს და სცემეს ხალხი. იგივე ბედი ეწიათ ქ. ხობიდან, სამტრედიიდან, თერჯოლიდან, ოზურგეთიდან, ქუთაისიდან, კახეთის რეგიონიდან და სამცხე-ჯავახეთიდან ყრილობაზე მომავალ ავტომანქანებს, ავტობუსებსა და მათ მგზავრებს. ძალადობის იგივე აქტები განმეორდა ქ. თბილისის შემოსასვლელში და ე.წ. "იგოეთის საგუშაგოზე".

პარტია "სამართლიანობის" ყრილობის დასრულების შემდეგ რამდენიმე უცნობი პირი, რომელიც შეაიარაღებული იყო ცეცხლასროლი იარაღით და აღჭურვილი იყო რაციებით, თავს დაესხა ჩვენი პარტიის აღმასრულებელ მდივანს – ბ-ნ გიორგი მეტრეველს. იგი წააცილეს და უმოწყალოდ სცემეს, თან ეუბნებოდნენ "ხომ გაგაფრთხილეთ ეს ყრილობა არ ჩატარდესო". ცემის შედეგად ბ-ნ გ. მეტრეველმა მიიღო ტვინის შერყევა და საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი.
მთელი ამ პერიოდის განმავლობაში ჩვენი პარტიის ხელმძღვანელ პირებსა და აქტიურ წევრებს ურეკავდნენ, აფრთხილებდნენ, აშინებდნენ და ემუქრებოდნენ ტელეფონითაც. განსაკუთრებით ხშირი იყო ასეთი ზარები ტელეფონის ნომრიდან 899 58 23 42.

აშკარაა, რომ ყველა ამ ძალადობასა და უკანონობას უშუალოდ  ახორციელებდნენ შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული მუშაკები, პოლიციელები და სპეცდანიშნულების რაზმის წევრები და ეს მაშინ, როდესაც საქართველოს კონსტიტუცია, ნებისმიერი სხვა საკანონმდებლო თუ კანონქვემდებარე აქტი, სამინისტროს

დებულება თუ ინსტრუქცია, რომელიც ძალოვანთა საქმიანობას შეეხება, მათ ("წესრიგის დამცველთა") უპირველეს მოვალეობად ადამიანის უფლებათა და თავისუფლებათა, მათი უსაფრთხოების, ჯანმრთელობის, სიცოცხლისა და ქონების დაცვას მიიჩნევს. [8]

## - ლტოლვილები და იძულებით გადაადგილებული პირები -

ეს თავი ეძღვნება როგორც ლტოლვილებს ომგამოვლილი ჩეჩნეთიდან, ასევე, ძითითადად, საქართველოს კონფლიქტური რეგიონებიდან დევნილებს.

*ჩეჩენი ლტოლვილები*

როგორც ჩანს, ჩეჩნები სიმშვიდეს ვერც თავის სამშობლოში და ვერც მის გარეთ პოულობენ. მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წარმოადგენს თავშესაფარს ლტოლვილთათვის, რომლებიც ბინძურ კონფლიქტებს გამოექცნენ, აქაც კი ჩეჩნები თავს დაცულად ვერ გრძნობენ. გარდა იმისა, რომ ისინი უმძიმეს ეკონომიკურ პირობებში იმყოფებიან, ჩეჩნები ეჭვობენ, რომ ქართველ საჯარო მოხელეებს მათ მიმართ პრო-რუსულული პოლიტიკა და სტერეოტიპები აქვთ. არსებობს ანგარიშები მათი რუსეთისთვის უსამართლო ექსტრადირებისა და საეჭვო გარემოებებში გაქრობის ფაქტების თაობაზე. თითქმის დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ის პიროვნება, რომლის ჩეჩნეთის კონფლიქტის ზონაში გაქრობის თაობაზედაც არსებობს ცნობა, ვეღარ იქნება ნაპოვნი. სჩანს, ქართული მხარეც თანახმაა მიიღოს ცალკეულ პიროვნებებზე მიკრული"ტერორისტის" რუსული მარკა. სჩანს, ეს თითქმის ერთადერთი პოლიტიკური სფეროა, სადაც ქართველი და რუსი ხელისუფალნი კარგად თანამშრომლობენ. ამას გარდა, ჩეჩნებს ხშირად ქვეყანაში შემოშვებაზე უარით ისტუმრებენ, მაშინაც კი, როდესაც ამ უკანასკნელებს ყველა საბუთი წესრიგში აქვთ. საქმე იქამდეც მივიდა, რომ ლტოლვილების საკითხში გაეროს უფროს კომისრებს  კორუფციასა და ისეთი დაპირებების მიცემაში ადანაშაულებენ, რომელთა შესრულებაც შეუძლებელია.

*იძულებით გადაადგილებული პირები*

ათასობით ქართულმა ოჯახმა, მიმდინარე სომარი მოქმედებების გამო, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საკუთარი საცხოვრისები დატოვეს. მათი უმრავლესობა, საკუთრებისა და ქონების მიტოვების გამო, ურთულეს სოციალურ-ეკონომიკურ პირობებში აღმოჩნდნენ. ხშირად სახელმწიფოს მიერ აღმოჩენილი დახმარება არ არის საკმარისი მათი დანაკარგის ასანაზღაურებლად და ნორმალური ცხოვრების შესაქმნელად. სიტუაციას ართულებს ისიც, რომ მათი სტატუსი ბოლომდე განსაზღვრული არ არის. რადგანაც, ამ ორი რეგიონის განცალკევებული სტატუსი არ არის ოფიციალურად აღიარებული, იგულისხმება, რომ ეს ლტოლვილები საკუთარი მიწა-წყლიდან დროებით არიან გამოძევებულნი და უკან დაბრუნებას ელიან. რადგანაც, ახლო მომავალში ამას ასრულება არ უწერია, საქართველოს ხელისუფლების ასეთი დაუფიქრებელი პოლიტიკა მხოლოდ უფრო დიდი ხნით აგრძელებს ამ ხალხის გაჭირვებულ მდგომარეობას და ხელს უშლის მათ საბოლოო დაფუძნებას.

* * *

**ევროსასამართლოს მეორე გადაწყვეტილება საქართველოს წინააღმდეგ**

ევროპის ადამიანთა უფლებების დაცვის სასამართლომ 12 აპრილს გადაწყვეტილება გამოიტანა საქმეზე "შამაევი და 12 სხვა ჩეჩენი პატიმარი საქართველოსა და რუსეთის მთავრობების წინააღმდეგ". ჩეჩენი ეროვნების პატიმრების ინტერესებს ევროსასამართლოში იცავდნენ ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატები ლია მუხაშავრია და ნანა კინწურაშვილი. ევროსასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა განმცხადებელთა მოთხოვნა - უკანონოდ ცნო ჩეჩნების დაკავებისა და რუსეთში ექსტრადირების ფაქტი და მიიჩნია, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დარღვეული იყო ევროკონვენციის მე-3, მე-5 მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტები, მე-13 და  34-ე მუხლები. რუსეთის მთავრობის მიერ კი დაირღვა 38-ე მუხლის პირველი პუნქტის ა ქვეპუნქტი და 34-ე მუხლი.

---

[8] ამონაწერი პოლიტიკური პარტია "სამართლიანობის" თანათავმჯდომარის, ქალბატონ მაია თოფურიას განცხადებიდან "ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის" აღმასრულებელი დირექტორის უჩა ნანუაშვილის მიმართ.

ევროსასამართლოს გადაწყვეტილების თანახმად, საქართველოს მთავრობამ 80.500 ევრო უნდა გადაუხადოს ჩეჩენ პატიმრებს და ამასთან, უნდა აანაზღაუროს სასამართლო ხარჯები 4 ათასი ევროს ოდენობით. რუსეთის მთავრობამ კი პატიმრებს უნდა გადაუხადოს 42 ათასი ევრო და 12 ათასი ევრო სასამართლო ხარჯებისათვის. ამასთან, თუ მთავრობები კანონით დადგენილ სამთვიან ვადაში არ დაფარავენ ზემოღნიშნულ თანხებს, მაშინ მათ ვადაგადაცილებულ ყოველ თვეზე საჯარიმო სანქციები დაეკისრებათ.

13 ჩეჩენი ეროვნების მოქალაქე 2002 წლის 4 აგვისტოს გირევის საგუშაგოზე დააკავეს. მათგან 5 რუსეთის ფედერაციას გადაეცა.

ადვოკატ ლია მუხაშავრიას განცხადებით, ევროსასამართლოს ამ გადაწყვეტილების შემდეგ, ფრანგმა მოსამართლემ ჟან პოლ კოსტამ ჩეჩნების საქმე იმ დროისათვის ევროსასამართლოში შესულ საქმეთა შორის ყველაზე მძიმედ დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ ქართული სამართალწარმოების ისტორიაში, ეს არის მეორე პრეცენდენტი, როდესაც ევროსასამართლოს გადაწყვეტილება გამოაქვს საქართველოდან შესულ განაცხადზე. პირველი იყო "ასანიძე საქართველოს წინააღმდეგ". ასანიძის ინტერესებსაც ევროპის სასამართლოში ადვოკატი ლია მუხაშავრია იცავდა.

**ჩეჩენი ლტოლვილები მესამე ქვეყანაში წასვლას ითხოვენ**

პანკისში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილები უკმაყოფილონი არიან საქართველოში გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მუშაობით და მისი საქმიანობის გამოძიებას ითხოვენ. მათი განცხადებით, ისინი აუტანელ საცხოვრებელ პირობებში იმყოფებიან და იმ შემთხვევაში თუ საქართველო ვერ უზრუნველყოფს მათ ნორმალურ საცხოვრებელ პირობებს, ისინი მესამე სახელმწიფოში გადასვლას ითხოვენ.

28 აპრილს საქართველოში მცხოვრები ჩეჩენი ლტოლვილების საკოორდინაციო საბჭომ ბრიფინგი გამართა, სადაც მათ განაცხადეს, რომ საქართველოში მათი ცხოვრება უპერსპექტივოა. ოფიციალური მონაცემებით, საქართველოში მცხოვრები ჩეჩნეთიდან ლტოლვილი მოსახლეობის რაოდენობა შეადგენს 2,5 ათას ადამიანს, მაგრამ ეს ეხება ყველა ეროვნების ადამიანს, რომელიც ჩეჩნეთში არის ჩაწერილი, ხოლო ჩეჩენი ეროვნების მქონე მხოლოდ 486 ადამიანია, რაც 142 ოჯახს შეადგენს.

ჩეჩენმა ლტოლვილებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად ქართული მხარის კეთილგანწყობისა, მათი მდგომარეობა სულ უფრო უარესდება. ისინი უკმაყოფილონი არიან გაეროს ლტოლვილთა კომისარიატის მუშაობით საქართველოში და ითხოვენ მისი საქმიანობის გამოძიებას საერთაშორისო საზოგადოების მიერ. მათი განცხადებით, გაეროს ლტოლვილთა კომისარიატი არაფერს არ აკეთებს ლტოლვილთა მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. როგორც ისინი აცხადებენ, მათი საცხოვრებელი პირობები აუტანელია - არ არსებობს ერთიანი პოლიტიკა საცხოვრებელი ადგილის შესახებ; კვების პრობლემაც მწვავედ დგას, რადგანაც შეზღუდული და მწირი კვების რაციონი აქვთ. ამას ადასტურებს ისიც, რომ 64-ე სკოლის მოსწავლე ჩეჩენ გოგონას, ხედი ბორჩაშვილს, უჭმელობის გამო სკოლაში გული წაუვიდა (კომაში ჩავარდა); ამ ფაქტს მასწავლებლებიც ადასტურებენ. საბჭოს წევრები ამტკიცებენ, რომ ლტოლვილებს დროულად და ორგანიზებულად არ მიეწოდებათ ჰუმანიტარული დახმარება. ხოლო ის, რაც მიეწოდებათ ვადაგასული და საკვებად ყოვლად გამოუსადეგარია. სათანადო დონეზე არ ფუნქციონირებს სამედიცინო დახმარება, რის გამოც არც თუ იშვიათია პაციენტების სიკვდილი. არ არსებობს ბავშვთა პროგრამა, რის გამოც მოზარდი ახალგაზრდობა პრაქტიკულად ვერ იღებს განათლებას.

ამ მწვავე პრობლემების ფონზე, ჩეჩნები ითხოვენ საემიგრაციო პოლიტიკის შეცვლას და პრიორიტეტის მინიჭებას ზემოაღნიშნული 500 ადამიანისთვის, რადგანაც, მათი განცხადებით, საემიგრაციო პრიორიტეტებით სარგებლობენ არა დაზარალებულები, არამედ სხვა ადამიანები, რომელნიც გაუგებარია, თუ როგორ მოხვდნენ სიაში. ლტოლვილები ასევე ითხოვენ პანკისის ტერიტორიიდან მათ გადაყვანას, რასაც ისინი სხვადასხვა მოსაზრებით ხსნიან - პანკისის სიახლოვე რუსეთის საზღვართან მათ დიდი შეშფოთებას იწვევს. გარდა ამისა, პანკისში მცხოვრებ ჩეჩნებს ხელი არ მიუწვდებათ არანაირ ინფორმაციაზე და სრულ საინფორმაციო ვაკუუმში იმყოფებიან.

ჩეჩენი ლტოლვილები ითხოვენ, რომ თუ ვერ მოხერხდება აღნიშნული 500 კაცის გადაყვანა მესამე სახელმწიფოში, მაშინ მათ უნდა მიეცეთ საქართველოში ნორმალურ პირობებში ცხოვრების საშუალება. გარდა საცხოვრებელი პირობების მოწესრიგებისა, ლტოლვილები მოითხოვენ საქართველოს მთავრობისაგან, უარი თქვას რუსეთისთვის ჩეჩნების ექსტრადირებაზე და მოწესრიგდეს ქვეყანაში მათი შესვლისა და გასვლის საკითხი. ლტოლვილების ერთ-ერთი მოთხოვნაა ასევე, რომ მიეცეთ საქართველოს ტერიტორიაზე დასაქმების საშუალება. საკოორდინაციო საბჭოს წევრები საჭიროდ თვლიან, რომ გაიმართოს მრგვალი მაგიდა თემაზე „ჩეჩენი ლტოლვილების პრობლემები და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის როლი ამ პრობლემების მოგვარებაში“.

მოთხოვნების დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში საკოორდინაციო საბჭოს წევრები, რომლებშიც შედიან მაკა ხანჩუნკაევა (ჩეჩენი ქალების ძალადობის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის თავმჯდომარე), აბდულა ტესაევი (ჩეჩენ ლტოლვილთა საერთაშორისო კომიტეტის თავმჯდომარე), სეიფუდი ელენბაევი (ჩეჩენ ლტოლვილთა კომიტეტის თამვჯდომარე) და საიდ მადაევი (არასამთავრობო ორგანიზაცია „ბარტის“ ხელმძღვანელი) შიმშილობის დაწყებით იმუქრებიან.

**საქართველოში ლტოლვილთა უფლებები დაუცველია**

17 მაისი, 2005 - უკვე სამი კვირაა, რაც პანკისის ხეობის სოფელ დუისში ორი ჩეჩენი ქალბატონი შიმშილობს. რამდენიმე დღის წინ ერთ-ერთი მათგანის ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა, რის გამოც ახმეტის რაიონის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. მოშიმშილეები გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისაგან მესამე ქვეყანაში გადაყვანის დაპირების შესრულებას მოითხოვენ, თუმცა, მიუხედავად მათი პროტესტისა, გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი ჩეჩენთა მოთხოვნებზე რეაგირებას არ ახდენს და არც ოფიციალური უარის დამადასტურებელ დოკუმენტს აძლევს მათ.

პანკისის ხეობაში უკვე სამი კვირაა ორი ქალბატონი შიმშილობს. მათი მოთხოვნაა, რომ გაეროს უმაღლესმა კომისარიატმა მესამე ქვეყანაში გადასვლის ნება დართოს. სახალხო დამცველის აპარატის თავისუფლებისა და თანასწორობის სამმართველოს უფროსმა ბექა მინდიაშვილმა, რომელმაც პირადად მოინახულა მოშიმშილე ჩეჩნები, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრთან საუბარში განაცხადა, რომ „ერთ-ერთი მოშიმშილე ქალბატონი ზოლა ოზუევა ოფიციალურ დოკუმენტს მოითხოვს, რომლის თანახმად, მას მესამე ქვეყანაში გადასვლის უფლება არ აქვს. როგორც თავად ქ-ნი ოზუევა აცხადებს, მას ორი თვის განმავლობაში მესამე ქვეყანაში უპრობლემო გადასვლას ჰპირდებოდნენ. თუმცა, ბოლო პერიოდში გაირკვა, რომ მის მიღებაზე უარს ამბობდა სამი ქვეყანა (ჰოლანდია, ირლანდია და კანადა). შესაბამისად, იგი ოფიციალურად მოითხოვს ამ უარის დამადასტურებელ დოკუმენტაციას. ქ-ნი ოზუევა აცხადებს, რომ ოფიციალური წერილის მიღების შემთხვევაში შეწყვეტს შიმშილობას. რაც შეეხება მეორე მოშიმშილეს, ქ-ნ ხალიფად ოკუევას, მან რამდენიმე ხნის წინ გაიკეთა ოპერაცია და ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ახმეტის საავადმყოფოში იქნა გადაყვანილი. ის საყოფაცხოვრებო პირობები, რომელიც დუისშია, მას არ აკმაყოფილებს და რადგანაც მესამე ქვეყანაში გადასვლაზე უარი განუცხადეს, თბილისში გადმოსვლა სურს.“

აღსანიშნავია, რომ ჩეჩენი ლტოლვილები უნდობლობას უცხადებენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატს და მას კორუფციაში ადანაშაულებენ. მათი გადმოცემით, ძალიან ბევრი შემთხვევა დაფიქსირდა, როდესაც მესამე ქვეყანაში გადაჰყავდათ არა ჩეჩენი ლტოლვილები, არამედ ქართველები, როგორც ჩეჩნები.

რამდენიმე დღის წინ სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლები შეხვდნენ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის იურიდიული სამსახურის უფროსს ქ-ნ ურარა ფურუკავას, რომელმაც განაცხადა, რომ მოშიმშილეთათვის წერილობითი დოკუმენტაციის გაგზავნა შეუძლებელია, რადგან მათ ამის რესურსები არ გააჩნიათ. ვინაიდან აღნიშნული თავის გასამართლებლად საკმარისი არ აღმოჩნდა, მან განაცხადა, რომ მესამე ქვეყნის სახელით ვერ ილაპარაკებდა, რაც ჩეჩენ ლტოლვილებში კიდევ უფრო აღრმავებს ეჭვს იმის თაობაზე, რომ არანაირი დოკუმენტაცია არ გადაგზავნილა ზემოაღნიშნულ ქვეყნებში.

ვითარების გასარკვევად ქ-ნი ურარა ფურუკავა ჩასული იყო პანკისში. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი დაუკავშირდა ქ-ნ ფურუკავას, რომელმაც კონკრეტულ კითხვებზე პასუხს თავი აარიდა და ზოგადად გაგვცა პასუხი: „ისეთ შემთხვევაში თუ ლტოლვილები იმყოფებიან ნორმალურ გარემოში განსაზღვრულ ქვეყანაში გადასვლა არ შეუძლიათ, მაგრამ თუ ეს მათ გაერთიანებაზე მოახდენს გავლენას, ლტოლვილს შეუძლია მოითხოვოს იმ ქვეყანაში გადასახლება სადაც მისი ოჯახის წევრები ცხოვრობენ.“

მიუხედავად ქ-ნი ფურუკავას პანკისში ვიზიტისა, ლტოლვილთა მოთხოვნები ჯერ-ჯერობით დაკმაყოფილებული არ არის და ისინი კვლავ განაგრძობენ შიმშილს, რის გამოც, გამორიცხული არაა, რომ მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა კიდევ უფრო გაუარესდეს.

**ჩეჩენი ლტოლვილები სახალხო დამცველს დახმარებას სთხოვენ**

***თბილისი.25.02.05.მედია ნიუსი.*** საქართველოს სახალხო დამცველს ჩეჩნეთიდან ლტოლვილმა 80-მა ადამიანმა სტატუსის მიღების საქმეში დახმარება სთხოვა.

ლტოლვილები მიიჩნევენ, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ ყოველწლიური აღწერის შედეგად მათ უსამართლოდ შეუწყვიტა ლტოლვილის სტატუსი და შესაბამისად, სტატუსიდან გამომდინარე, შეღავათების გარეშე დარჩნენ.

ლტოლვილები საქართველოს მთავრობიდან 14-ლარიან შემწეობას და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან ჰუმანიტარულ დახმარებებს იღებენ. გარდა ამისა, პანკისში ჩასახლებული ლტოლვილი ჩეჩნებისათვის სპეციალური რუსულენოვანი სკოლაა გახსნილი.

ვითარების გასარკვევად 26 თებერვალს საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი პანკისის ხეობაში გაემგზავრება. დაგეგმილია შეხვედრები ჩეჩნეთიდან ლტოლვილ მოსახლეობასთან. გარდა ამისა, სოზარ სუბარი მათ ზოგად პრობლემებსაც გაეცნობა.

სახალხო დამცველთან ერთად, პანკისში ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წარმომადგენლები და სამხარეო ადმინისტრაციის თანამშრომლებიც გაემგზავრებიან.

**ეროვნება - ქვეყანაში შემოსვლის საშვი**

საქართველოდან ჩეჩენი და ქისტი ეროვნების ადამიანების უკანონო დეპორტაციის ფაქტი არაერთხელ დაფიქსირებულა. გასული წლების მაგალითს საქართველოს შს სამინისტრომ კიდევ ერთხელ მიბაძა, როდესაც ამ რამოდენიმე დღის წინ ქისტი წარმოშობის ძმების ცითიაშვილების უკანონო დეპორტაცია განახორციელა.

მათ საზღვარი უკანონოდ გადმოკვეთეს, რასაც ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე შს სამინისტროს მიერ მათი ქვეყნიდან დეპორტაცია მოჰყვა. თუმცა, სახალხო დამცველის, სოზარ სუბარის აზრით, შს სამინისტროს თანამშრომლებს შესაბამისი პროცესუალური ნორმების გვერდის ავლით მათი ქვეყნიდან გაძევების უფლება არ ჰქონდათ.

ძმებმა, რომლებიც რუსეთის მოქალაქეები არიან და აქამდე გროზნოში ცხოვრობდნენ, 7 მარტს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ლტოლვილის სტატუსის მისაღებად მიმართეს. სამინისტროში მათ შს სამინისტროს თანამშრომლები დახვდნენ, რომლებმაც ისინი ჯერ დაკითხვაზე წაიყვანეს, შემდეგ კი აზერბაიჯანი-საქართველოს საზღვრის ნეიტრალურ ზონაში გადაიყვანეს. უფროს ძმას, შენგელი ცითიაშვილს 2004 წლის 18 დეკემბერს მიღებული აქვს სტატუსის მაძიებლის ცნობა, რაც მისი დეპორტაციის უკანონობას კიდევ უფრო თვალსაჩინოს ხდის. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის ხელმძღვანელის უჩა ნანუაშვილის განცხადებით, საქართველო ჟენევის ლტოლვილთა დაცვის კონვენციის წევრია, რითაც მას აღებული აქვს ვალდებულება მიიღოს ლტოლვილები და არავითარ შემთხვევაში არ აქვს უფლება მსგავსად, საპროცესო ნორმების დარღვევით მოახდინოს მათი დეპორტი. აღნიშნული ფაქტი კი, რომელიც არ არის ერთადერთი, წარმოადგენს საერთაშორისო ხელშეკრულებისა და აღებული ვალდებულებების უხეშ დარღვევას“.

რაც შეეხება თავად ოპერაციას, იგი ფარულად და შესაბამისი რეგისტრაციის გარეშე ჩატარდა, ძმების მიერ საქართველოს საზღვრის გადაკვეთის ფაქტი კი დოკუმენტურად არსად არის დაფიქსირებული.

ხიზრი ალდამოვის, ჩეჩენთა დიასპორის წარმომადგენელის განცხადებით, ასეთი ფაქტები ხშირად ხდება. იგი აცხადებს, რომ საკმარისია დადგინდეს, რომ ადამიანი, რომელსაც საქართველოს საზღვრის გადმოლახვა სურს, ეროვნებით ჩეჩენი ან ქისტია, მაშინვე მისი დეპორტაცია ხდება, მიუხედავად იმისა მას საბუთები წესრიგში აქვს თუ არა. ამას ადასტურებს კიდევ ერთი შემთხვევა, როდესაც ჩეჩენი ეროვნების ექიმი, მაგამედ გაზიმიევი, რომელიც მეგობრის ქორწილისთვის ჩამოფრინდა რუსეთიდან საქართველოში, აეროპორტიდანვე უკან გააბრუნეს მხოლოდ იმ მიზეზით, რომ ის ეროვნებით ჩეჩენია. მსახიობ სოსო ჯაჭვლიანის განცხადებით (რომელიც გაზიმიევს აეროპორტში დახვდა), მას ყველა საბუთი წესრიგში ჰქონდა და მესაზღვრეებს მისი დეპორტაციის არანაირი საფუძველი არ გააჩნდათ.

აღსანიშნავია ისიც, რომ არსებობს შინაგან საქმეთა მინისტრის ზეპირი ბრძანებულება, რომელიც ჩეჩნებისა და არაბი ეროვნების დეპორტაციას ითვალისწინებს. ბუნდოვანია ის ფაქტიც, რომ იგეგმება პანკისის ხეობაში ჩასახლებული ლტოლვილების ხელახალი რეგისტრაცია, თუმცა, ლტოლვლთა და განსახლების სამინისტრომ ისინი სულ რამოდენიმე თვის წინ აღრიცხა. ჩეჩენ ლტოლვილებს ამჯერად უფრო დაწვრილებით აღრიცხვენ. კერძოდ, მითითებული იქნება ლტოლვილთა ეთნიკური წარმომავლობა, ასაკი და სხვა დეტალები.

პანკისის ხეობაში ლტოლვილები რამდენიმე თვის წინათ აღირიცხა. ამ მონაცემებით, პანკისის ხეობაში 2 000-მდე ლტოლვილი ცხოვრობს, აქედან რუსეთის მოქალაქეობის მქონე 1 200 ქისტია, ხოლო 800 ჩეჩენი.

**ციხიდან გათავისუფლებულ ჩეჩნებს ექსტრადიციის კვლავ ეშინიათ**

2002 წლის ზაფხულში ქართველი სამართალდამცავების მიერ საზღვრის უკანონო გადაკვეთისა და იარაღის შემოტანის ბრალდებით დაკავებულმა 5 ჩეჩენმა საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დაკისრებული სასჯელი მოიხადა და ამჟამად ოთხი მათგანი გათავისუფლებულია, ხოლო მეხუთე პატიმარი ქისტი გიორგი

კუშტანაშვილი უახლოეს დღეებში დაუბრუნდება თავის ოჯახს. გათავისუფლებული ჩეჩნები საქართველოში უსაფრთხოდ არ გრძნობენ თავს და დახმარებას საქართველოს ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს სთხოვენ. ერთ-ერთი გათავისუფლებული ჩეჩენის, ასლანბეგ ხანჩუკაევის დედის განცხადებით, მისი შვილი მუდმივი თვალთვალისა და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშაა უშიშროების სამსახურის თანამშრომელთა მხრიდან, რადგან სამართალდამცავები მისი გათავისუფლების დღიდან თვალყურს ადევნებენ. ხოლო რუსეთის ოფიციალური ხელისუფლება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გამოტანილ განაჩენს ჩეჩენი პატიმრების მიმართ ლოიალურს უწოდებს და გათავისუფლებულ ჩეჩენთა ექსტრადიციას ითხოვს.

2002 წლის ზაფხულში ქართველმა სამართალდამცავებმა 5 ჩეჩენი, ასლანბეგ ხანჩუკაევი, ახმედ მაგამედოვი, ხაზმაგ ისაევი, ალიევი და გიორგი კუშტანაშვილი საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვრის უკანონო გადმოკვეთისა და ქვეყანაში იარაღის შემოტანის ბრალდებით დააკავეს. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ დაკავებულ ჩეჩენთა საქმეზე საბოლოო განჩინება შარშან, 25 ნოემბერს გამოიტანა. სასამართლომ ოთხ-ოთხ წლიანი პატიმრობა ხანჩუკაევს, მაგამედოვს, ისაევსა და კუშტანაშვილს 2 წლით და 5 თვით შეუცვალა, ხოლო ალიევს კი იმის გამო, რომ ის ნასამართლევი იყო, 2 წელი და 8 თვე მიუსაჯა.

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებული ხუთი ჩეჩენი პატიმრიდან ოთხი უკვე თავისუფალია. ერთ-ერთი ჩეჩენი - ალიევი პატიმრობიდან 2004 წლის 31 დეკემბერს გაათავისუფლეს, ხოლო ასლანბეგ ხანჩუკაევმა ციხე 5 იანვარს დატოვა, ხაზმად ისაევი და ახმედ მაგამედოვი კი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №1 საპყრობილიდან 6 იანვარს გაათავისუფლეს. უახლოეს დღეებში დარჩენილი ჩეჩენი (ქისტი) პატიმრის გიორგი კუშტანაშვილის გათავისუფლება იგეგმება.

ჩეჩენი ასლანბეკ ხანჩუკაევის დედა მაქარ ხანჩუკაევა აცხადებს, რომ მის შვილს საქართველოს უშიშროების სამსახურის თანამშრომლები უთვალთვალებენ. 5 იანვარს ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, მისი შვილი საქართველოში ჩეჩნური დიასპორის წარმომადგენლის მექა ხანგოშვილის სახლში იმყოფებოდა, სადაც თეთრი ფერის მსუბუქი ავტომანქანა შენიშნა, რომელიც უშიშროების თანამშრომლებს ეკუთვნოდა. მაქარ ხანჩუკაევა დარწმუნებულია, რომ უშიშროების თანამშრომლების სამი ავტომანქანა ასლანბეკ ხანჩუკაევს ციხიდან გამოსვლისთანავე აედევნა.

ხანჩუკაევი მისმა ახლობლებმა, როგორც ისინი აცხადებენ, შედარებით უსაფრთხო ადგილას გადაიყვანეს. ამასთან, დედამისი საქართველოს ხელისუფლებასა და არასამთავრობო ორგანიზაციებს მათი უსაფრთხოების დაცვას სთხოვს.

რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტრო საქართველოს ხელისუფლების მიერ საზღვრის უკანონოდ გადმოკვეთის ბრალდებით დაკავებული ჩეჩნების გათავისუფლებას უარყოფითად აფასებს და მიაჩნია, რომ ეს ფაქტი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესებას ხელს არ შეუწყობს. „რუსეთის მხარემ თბილისის წინაშე არა ერთხელ დასვა დამნაშავეთა ჯგუფის წევრების ექსტრადიციის საკითხი. ხუთი პირის ექსტრადიცია მოხერხდა, თუმცა საქმე ამით შემოიფარგლა და დანარჩენების გადმოცემაზე, რომლებმაც საზღვარი იარაღით ხელში გადაკვეთეს, საქართველომ უარი განაცხადა,“- აღნიშნულია საგარეო უწყების განცხადებაში.

**ჩეჩენი ლტოლვილი საიდ სალახ კადიევი კვლავ პატიმრობაში იმყოფება**

2005 წლის 30 მაისს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის საერთაშორისო ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლების მიერ, ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე ქ. თბილისში დაკავებულ იქნა რუსეთის ფედერაციის, ჩეჩენ-ინგუშეთის რესპუბლიკაში, შატოის რაიონში მცხოვრები 31 წლის საიდ-სალახ კადიევი. დაკავების საფუძველს წარმოადგენდა საზღვრის უკანონო გადაკვეთა. კადიევის პირად პასპორტში არ აღმოჩნდა საქართველოში შემოსვლისა და ტერიტორიაზე ყოფნისათვის განკუთვნილი ვიზა, რის გამოც კადიევი დააპატიმრეს. 2005 წლის 1 სექტემბერს მარნეულის რაიონული სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენით, საიდ სალახ კადიევს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

2003 წლის სექტემბერში საიდ სალახ კადიევმა აზერბაიჯანის რესპუბლიკის მხრიდან უკანონოდ გადმოკვეთა საქართველოს სახელმწიფო საზღვარი (წითელი ხიდი) და არალეგალურად იმყოფებოდა საქართველოს ტერიტორიაზე. როგორც დაკავებულმა კადიევმა თავის ადვოკატს ბ-ნ დავით მანაგაძეს განუცხადა, სამშობლოში მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა და ამიტომ იძულებული გახდა საქართველოში გადმოსულიყო.

2005 წლის 4 აგვისტოს ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრს მიმართეს ჩეჩენი ეროვნების მოქალაქეებმა და მათი მემამულისათვის დახმარების გაწევა ითხოვეს. არაერთხელ გადადებული სასამართლო პროცესი საბოლოოდ 1 სექტემბერს შედგა.

მიუხედავად ჟენევის 1951 წლის კონვენციისა ლტოლვილის სტატუსის შესახებ, რომლის წევრიც საქართველო 1999 წლიდანაა და საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს მიერ გაცემული ცნობისა, საიდ სალახ კადიევის ლტოლვილის სტატუსის მაძიებლად რეგისტრაციის შესახებ, სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა საიდ სალახ კადიევის სასჯელისაგან გათავისუფლების შესახებ.

2005 წლის 1 სექტემბერს მარნეულის რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლის, მაყვალა ფეიქრიშვილის მიერ გამოტანილი განაჩენით, საიდ სალახ კადიევს შეეფარდა თავისუფლების აღკვეთა 6 თვით.

სასამართლო გადაწყვეტილებით უკმაყოფილო ბრალდების მხარემ საქმე მეორე ინსტანციაში გაასაჩივრა. პროკურატურა საიდ სალახ კადიევისათვის საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 344-ე მუხლის მეორე პუნქტით გათვალისწინებული დანაშაულისათვის სასჯელის სახით 2 წლით თავისუფლების აღკვეთის შეფარდებას ითხოვს.

**„იმედის“ გარეშე დარჩენილი ჩეჩენი ლტოლვილები**

ამა წლის 6 სექტემბერს ჩეჩენი მოქალაქის მუჰამედ მახაევის ბინაში გენერალური პროკურატურის თანამშრომლები შეიჭრნენ. პროკურატურამ წაიღო კომპიუტერი და ის საბუთები, რომელიც ეხებოდა აღნიშნული მოქალაქის ჰუმანიტარულ საქმიანობას. ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ამა წლის 20 ივლისიდან მახაევის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება.

ბრალდება მახაევისათვის ჯერაც არ წაუყენებიათ, თუმცა არსებობს რამოდენიმე ვერსია, რაზედაც საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახური მუშაობს. ერთ-ერთი ვერსიით, გამოძიება მიმდინარეობს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტზე და რომ იმ ორგანიზაციებს, რომლებთანაც ის თანამშრომლობს, კავშირი აქვთ „ალ-ქაედასთან“ და „თალიბანთან“.

2003 წლის აპრილში ჩეჩენმა მოქალაქემ მუჰამედ მახაევმა შექმნა და დაარეგისტრირა საქართველოს ჰუმანიტარული ასოციაცია „იმედი“, რომელიც სამი წლის განმავლობაში უწევდა ჰუმანიტარულ დახმარებას ჩეჩნეთიდან დევნილ ლტოლვილებს საქართველოში. გაიცემოდა სურსათი, ზამთარში უზრუნველყოფდა შეშით, ფულად დახმარებას უწევდა ობოლ ბავშვებს, ფუნქციონირებდა კომპიუტერული კლასი, სადაც ლტოლვილებს შესაძლებლობა ჰქონდათ შეესწავლათ კომპიუტერი, ფარავდა სამედიცინო ხარჯებს და ა.შ.

ამ ორგანიზაციასთან თანამშრომლობდნენ სოლიდური ევროპული საერთაშორისო ჰუმანიტარული ორგანიზაციები „მუსლიმ-ჰელფენი“ გერმანიიდან და „მუსლიმ-ჰენდსი“ ინგლისიდან. აღნიშნული ორგანიზაციები ასევე არიან „საერთაშორისო წითელი ჯვრისა და წითელი ნახევარმთვარის“ პარტნიორები.

ამა წლის 6 სექტემბერს მუჰამედ მახაევის ბინაში შეიჭრნენ გენერალური პროკურატურის თანამშრომლები. განუცხადეს, რომ 20 ივლისიდან აღძრულია სისიხლის სამართლის საქმე და მიმდინარეობს გამოძიება ჩეჩენი მოქალაქის საქმიანობასთან დაკავშირებით. ბინიდან ამოღებულ იქნა ასოციაცია „იმედის“ საბუღალტრო საქმიანობის ყველა დოკუმენტი, კომპიუტერის პროცესორი და დისკები.

საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურის მიერ აღნიშნული დოკუმენტაციის ამოღებამ გამოიწვია ორგანიზაციის საქმიანობის შეჩერება. დაახლოებით თვენახევრის შუალედის შემდეგ ამოღებული ყველა დოკუმენტი დაუბრუნდა ორგანიზაციას, თუმცა გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს და ოფიციალური ბრალი „იმედის“ ხელმძღვანელისადმი ჯერაც არ წაუყენებიათ.

***ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი*** დაუკავშირდა საქართველოს გენერალური პროკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლის სამართლებრივი დევნის სპეციალური სამსახურს. თუმცა, გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე, გამომძიებელმა ხვიჩა ბეგიაშვილმა უარი განაცხადა არნიშნულ საქმესთან დაკავშირებით რაიმე კომენტარის გაკეთებაზე.

**ჩეჩენი ლტოლვილების უკანასკნელი „იმედი“ გისოსებს მიღმა აღმოჩნდა**

პანკისის ხეობაში ერთადერთი ჰუმანიტარული ორგანიზაციის დამაარსებელ მაგომედ მახაევს თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილებით, წინასწარი სამთვიანი პატიმრობა მიესაჯა. მას ბრალი ტერორისტულ ორგანიზაცია ალ ქაიდასთან თანამშრომლობაში ედება.

28 დეკემბერს თბილისის საქალაქო სასამართლომ ჩეჩნეთიდან დევნილ მახაევს სამ თვიანი წინასწარი პატიმრობა შეუფარდა. გამოძიება მას ასევე დოკუმენტაციის გაყალბებას, სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებას და 24 000 ლარის მითვისებას ედავება.

მახაევის მიერ დაარსებული ჰუმანიტარული ორგანიზაცია „იმედი“ 2003 წლიდან ფუნქციონირებს და იგი პანკისის ხეობაში ჩასახლებულ ჩეჩენ ლტოლვილებს სურსათ-სანოვაგითა და საყოფაცხოვრებო ნივთებით უზრუნველყოფდა. გამოძიების თანახმად, ის დონორი ორგანიზაციები, რომლებიც მას ფინანსურ დახმარებას უწევდნენ აფინანსებენ ასევე იმ ორგანიზაციებსაც, რომლების “ალ ქაიდასთან” შესაძლოა იყვნენ კავშირში. „ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის“ აღმასრულებელი დირექტორის უჩა ნანუაშვილის თქმით, “ბრალდება აბსურდულია, ერთ-ერთი დონორი ორგანიზაცია Muslim Hands-ისა (მასლიმ ჰენდზი) და წითელი ჯვარისა და წითელი ნახევარმთვარის პარტნიორი ორგანიზაციაა. გამოდის, რომ გამოძიება ფაქტიურად ამ ორგანიზაციებს (მათ შორის წითელ ჯვარს) დებს ბრალს ალ ქაიდასთან კავშირში.”

„იმედის“ დონორი ირგანიზაციები „წითელი ჯვარი“, Muslim Helfen და Muslim Hands მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეწევა ჰუმანიტარულ საქმიანობას, მათ შორის საქართველოშიც.

„ადამიანის უფლებათა ცენტრი“ მახაევის მიმართ აღმკვეთი ღონისძიების სახით არასაპატიმრო ღონისძიების გამოყენებას მოითხოვს და აცხადებს, რომ არავითარი საშიშროება არ არსებობს იმისა, რომ მახაევი გამოძიებას დაემალოს. ადვოკატ დავით მანაგაძის თქმით, “გამოძიება ტენდენციურად მიმდინარეობს, არ ითვალისწინებს არსებულ მტკიცებულებებებს. მახაევისათვის აღმკვეთი ღონისძიების სახით წინასწარი პატიმრობის შეფარდების არავითარი საფუძველი არ არსებობს. უსაფუძვლოა გამოძიების განცხადება, რომ მახაევმა შესაძლოა ქვეყანა დატოვოს, რადგან მას ჩამორთმეული აქვს პასპორტი”.
აღსანიშნავია, რომ საქმეს გენერალური პროკურატურა 2005 წლის ივლისიდან იძიებს. ამ ხნის მანძილზე მაგაევი არც ართხელ არ დამალვია გამოძიებას.

დაკავებულ მოგამედ მახაევს თავდებად ჩეჩენ ტოლვილთა უფლებების დამცველი საკოორდინაციო საბჭო დაუდგა, თუმცა სასამართლომ არც ეს გარემოება გაითვალისწინა. ”ჩვენ შეშფოთებულნი ვართ იმით, რაც პროცესზე მოხდა. ასე შესაძლებელია ტერორისტებთან კავშირში ყველა ჩეჩენის დადანაშაულება. რამდენიმე თვე დასჭირდა გამოძიებას იმისათვის, რომ რაღაც ხელჩასაჭიდი ეპოვა მის დასაკავებლად, თუმცა მათი არგუმენტები სასაცილო იყო”,- აცხადებს საკოორდინაციო საბჭოს წარმომადგენელი.

ყველა ის ჰუმანიტარული ღონისძიება, რომელიც პანკისის ხეობაში ამ ორგანიზაციის ეგიდით მიმდინარეობდა, შეწყვეტილია.

**მერია „ბულდოზერებით“ ამსხვრევს დევნილების იმედებს**

აფხაზეთის დაცემის შემდეგ, იძულებით გადაადგილებული პირების საცხოვრებელი ბინით დაკმაყოფილების პრობლემა დღემდე გადაუჭრელი რჩება. ისედაც არსებულ პრობლემას ემატება ისიც, რომ ქალაქის მერის ინიციატივით, აფხაზეთიდან დევნილი კიდევ 120-მდე ოჯახი რჩება უსახლკაროდ. მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ სააკაშვილმა „მეგობრობის პარკისა“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე მცხოვრებ დევნილებს ხელშეუხებლობა აღუთქვა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენამდე, ქალაქის მერი იქ მრავალბინიანი სახლების პრეზენტაციას აწყობს და დევნილების საცხოვრებელი ბინების „ბულდოზერებით დანგრევით“ იმუქრება.

1993 წელს დევნილთა გარკვეულმა ნაწილმა დაიკავა მტკვრის მარცხენა სანაპირო ზოლის სამრეწველო ნარჩენებით მიწისნაყარი ფართობი „მეგობრობის პარკსა“ და მის მიმდებარე ტერიტორიაზე. დევნილებმა ეს ტერიტორია გაასუფთავეს, გააკულტურეს, დარგეს სხვადასხვა მცენარეები, ააშენეს საცხოვრებელი ბინები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციით არჩენდნენ ოჯახებს.

წლების მანძილზე მათ ადგილობრივი ხელისუფლებისა თუ პოლიციისგან პრობლემები არ ჰქონიათ. მაგრამ 2004 წლის დეკემბერში **ქ.თბილისის მერი ბ-ნი ზ. ჭიაბერაშვილი შპს „ევრასთან“** ერთად აწყობს ერთობლივი პროექტის - მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების პრეზენტაციას და ემუქრება დევნილებს, რომ „ბულდოზერებით დაანგრევს მათ საცხოვრებელ ბინებს!“

საქმე იმაშია, რომ 1999-2001 წლებში მოხდა მიწის ნაკვეთის ნაწილის - 35000 კვ.მ. ფართობის პრივატიზაცია „საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის ფონდის“ მიერ, რომელთა მესვეურებს განზრახული ჰქონდათ დიდი ბიზნეს-პროექტის განხორციელება. 2002 წლის ოქტომბერში მიწის ნაკვეთის ეს ნაწილი საკუთრებაში გადაეცა „ ინტელექტ“ ბანკს, ხოლო 2003 წლის მარტში შპს „ ხაშურს“ ( შემდგომში **„ევრას“** ).

დევნილებმა ჩვენთან საუბრისას აღნიშნეს: „წლების მანძილზე ჩვენთან არაერთხელ იყვნენ მოსულნი ხელისუფლების სხვადასხვა ორგანოების წარმომადგენლები, რომლებმაც ნათლად გვითხრეს რომ, ჩვენს მიმართ არავის არ ექნებოდა პრეტენზია, ვინაიდან ხელისუფლებას ისედაც ევალება ჩვენთვის მიწის ნაკვეთის გამოყოფა."

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ მათთან 2003 წელს მისული იყო მიხეილ სააკაშვილი, რომელმაც აღუთქვა ხელშეუხებლობა მანამ სანამ არ აღდგებოდა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა.

მიუხედავად ზემოთხსენებულისა, 2004 წლის 10 დეკემბერს აღძრულია სარჩელი სასამართლოში 6 ოჯახის წინააღმდეგ სახლების დანგრევისა და მიწის ნაკვეთებიდან გამოსახლების შესახებ. ასეთი სააღსრულებო გაფრთხილება იგივე მოთხოვნით მოუვიდათ კიდევ 6 ოჯახს.

საქართველოს 1996 წლის 28 ივნისის კანონის „იძულებით გადაადგილებულ პირთა-დევნილთა შესახებ" მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამის ორგანოებთან ერთად უნდა გამოეყო მიწის ნაკვეთები დროებითი სარგებლობის უფლებით.

აქვე უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი ფაქტი, რომ დევნილების 120-მა ოჯახმა, რომლებიც სახელმწიფოს კუთვნილ მიწაზე ცხოვრობენ და რომელთა მიმართაც არ არის დაწყებული სასამართლო წარმოება, მიმართეს ქ. თბილისის მერს ზ. ჭიაბერაშვილს, რათა გადაეცათ მათთვის ეს მიწა დროებით სარგებლობაში. ქალაქის მერმა დევნილები გააგზავნა ისან-სამგორის რაიონის გამგეობაში, ამ უკანასკნელმა ორგანომ კი განუცხადა, რომ აღნიშნული საკითხის დარეგულირება მათ კომპეტენციაში არ შედიოდა.

დევნილებს კარგად ესმით, რომ საკუთრება სამოქალაქო საზოგადოების უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტია, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციითა და საერთაშორისო კანონმდებლობით. უფრო მეტიც, მათ განაცხადეს, რომ „საქართველოს კანონმდებლობა აღიარებს კერძო საკუთრებას, როგორც სამოქალაქო საზოგადოებისა და საზოგადოებრივი ეკონომიკური სისტემის საფუძველს. საკუთრება პიროვნული თავისუფლებაა, სხვა სიტყვებით, საკუთრება წმინდათაწმინდა და ხელშეუხებელი აუცილებლობაა, წართმევა იმისა რაც გვაბადია არა მარტო ჩვენი უფლების დარღვევაა, არამედ უსამართლობასაც წარმოადგენს. სხვა რომ არა იყოს რა, მტკვრის მარჯვენა სანაპიროს მოპირდაპირე ზოლი დიდი ხანია ასეთივე გზითაა დასახლებული თუმცა, კომუნისტებმაც კი არ აყარეს ისინი ადგილიდან, ჩვენ კი დემოკრატიულ საქართველოს ვაშენებთ ჩვენი საცხოვრებელი ადგილიდან გასახლებით!"

აღნიშნულმა 120-მა ოჯახმა მიმართა დახმარებისთვის პრეზიდენტს, რათა გადაეცეთ მათ ეს საცხოვრებელი ბინები დროებით სარგებლობაში აფხაზეთში დაბრუნებამდე, ან მიიღონ სათანადო კომპენსაცია.

ფაქტიურად, თუ ეს საკითხი არ გადაწყდება დევნილების სასარგებლოდ, ისინი კვლავ დარჩებიან უსახლკაროდ და გახდებიან ქ.თბილისის მერის მუქარის „ბულდოზერებით განადგურების მსხვერპლნი".

## - რელიგიის თავისუფლება -

რელიგიის თავისუფლების სფეროში, 2005 წლის განმავლობაში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ძვრა აღინიშნებოდა. აპრილის თვეში საქართველოს პარლამენტმა საქართველოს სამოქალაქო კოდექსში რამდენიმე ცვლილება მიიღო, რომლებიც, საქართველოს ისტორიაში პირველად, რელიგიური ორგანიზაციების რეგისტრაციის ნებას იძლევა. ახლა, რელიგიურ გაერთიანებებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ კერძო სამართლის არაკომერციული იურიდიული პირების სახით. იმავე თვეს მიღებულ იქნა ახალი კანონი "ზოგადი განათლების შესახებ", რომლის საფუძველზეც აიკრძალა ამა თუ იმ სარწმუნოებაზე მოქცევა, რელიგიური ქადაგებანი და სასწავლო დანიშნულების გარეშე რელიგიური სიმბოლოების დემონსტრირება.

და მაინც, ამ უკანასკნელი კანონის მიღება წინააღმდეგობაშია, საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის სამი თვით ადრე მიღებული შეთანხმების საფუძველზე, სამთავრობო მემორანდუმის მოწყობასთან. ეს შეთანხმება ითვალისწინებს მართლმადიდებლური ქრისტიანული სასკოლო მასალებისა და სასკოლო პროგრამების შექმნას, მასწავლებლების შერჩევისა და სამსახურიდან დათხოვნის პროცედურებს, განათლების პროგრამების შემუშავებაში საქართველოს საპატრიარქოს წარმომადგენელთა აქტიურ მონაწილეობასა და განათლების პროგრამების დაფინანსებას მართლმადიდებლური ეკლესიის ლოცვა-კურთხევით. ეს

მემორანდუმი აშკარად არღვევს ეკლესიისა და სახელმწიფოს განცალკევების კონსტიტუციურ პრინციპს.

მიუხედავად იმისა, რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ახლა ყველა რელიგიურ გაერთიანებას შესაძლებლობა აქვს ოფიციალურად დარეგისტრირდეს, ზოგი პიროვნება ამ ცვლილებებით უკმაყოფილოა და ეს უკანასკნელნი დისკრიმინაციულადაც კი მიაჩნია. ისინი ამტკიცებენ, რომ ამ და სხვა სფეროებში საქართველოს მართლმადიდებლურ ეკლესიას განსაკუთრებული, მეტად უპირატესი სტატუსი აქვს. უპირველეს ყოვლისა, ერთადერთი კონფესიაა, რომელიც საჯარო სამართლის იურიდიული პირის სტატუსით სარგებლობს, რაც ყველა სხვა რელიგიური დაჯგუფებებისათვის მიუწვდომელია. ასევე მხოლოდ იგი იღებს სახელმწიფოსაგან უამრავ პრივილეგიებს, როგორიცაა, მაგალითად, პრივილეგირებული საგადასახადო რეჟიმი, სასულიერო პირთა სამხედრო ვალდებულებისაგან განთავისუფლება, აღსარების საიდუმლოების შენახვა, ქორწინების საეკლესიო წესის აღიარება, დაპირება მე-19 და მე-20 საუკუნეებში მიყენებული ზარალის ანაზღაურების თაობაზე და სხვა. ასეთი პრაქტიკა ეწინააღმდეგება თანასწორობის კონსტიტუციურ და საერთაშორისო პრინციპს.

რაც შეეხება რელიგიური უმცირესობების მიმართ ძალადობას, მან ძლიერ იკლო ასეთი ქმედებების დიდი წამქეზებლის,- ბასილ მკალავლიშვილის  დაპატიმრების შემდეგ. 2004 წლის აპრილიდან მოყოლებული, 2005 წლის აპრილამდე სახალხო დამცველის ოფისამდე მხოლოდ ერთმა საჩივარმა მიაღწია. მიუხედავად ამისა, აპრილის თვის შემდეგ სიტუაცია საგრძნობლად გაუარესდა, ვინაიდან 2005 წლის ივნისამდე ძალადობის შესახებ თორმეტი საჩივარი მიიღეს. აქედან რამდენიმე დასკვნის გამოტანა შეიძლება. სახალხო დამცველის ცნობით, ადგილობრივი მმართველობის ორგანოების მიერ რელიგიური უმცირესობების მიმართ დისკრიმინაცია კვლავაც გრძელდება და სამართალდამცავები ამას ეფექტურ წინააღმდეგობას არ უწევენ, რადგან უბრალოდ ამ პროცესებში ნაკლებად მონაწილეობენ.

## - ტრეფიკინგი -

მიუხედავად იმისა, რომ პრაქტიკაში ტრეფიკინგის პრობლემა არსებობდა, შევარდნაძის ერაში ამ ფაქტს უარყოფდნენ. ამჟამად ეს საკითხი ყურადღების ცენტრში იმყოფება და მთავრობა მის ირგვლივ სხვადასხვა პროგრამების შემუშავებაზე მუშაობს. დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ ამ სფეროში ჯერ კიდევ უამრავი რამ გასაკეთებელია. მიუხედავად იმისა, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის ეჭვით რეგულარულად ხდება პირთა დაკავება, პრობლემის სიდიდესთან შედარებით, ეს არაფერია. რადგანაც, ამ საკითხის კვლევა ახლახანს დაიწყო, ჯერჯერობით, მასთან დაკავშირებული არანაირი მონაცემები არ მოიპოვება. მიახლოებითი შეფასებების მიხედვით ასობით და შეიძლება კიდევ უფრო მეტი ადამიანიც კი, ებმება ამ მახეში საქართველოს გარეთ. ქართველ მსხვერპლთათვის ტრეფიკინგის საბოლოო დანიშნულების ყველაზე მეტად გავრცელებულ ქვეყნებს წარმოადგენს საბერძნეთი და თურქეთი, ასევე ზოგიერთი ევროპული ქვეყანა და არაბეთის გაერთიანებული ემირატები.

ვინაიდან და რადგანაც პროგრამები ჯერ კიდევ შემუშავების პროცესშია, ამ სფეროში დღემდე ცოტა რამ არის გაკეთებული. საჯარო გაფრთხილების კამპანიები არ ჩატარებულა. ასევე, არ ტარდება ღონისძიებები იმ ადამიანების დასახმარებლად, რომლებიც მონობისაგან თავის დაღწევას ახერხებენ და სახლში გაძარცვულნი, უქონელნი ბრუნდებიან. ამას განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქალებთან მიმართებაში, რამეთუ, როგორც წესი, ტრეფიკინგი დაკავშირებულია სექს-ინდუსტრიასთან, ხოლო მეძავის რეპუტაცია საქართველოში სოციალური ოსტრაკიზმის ტოლია. ტრეფიკინგის პრობლემა, რაღა თქმა უნდა, მჭიდროდაა დაკავშირებული საქართველოში არსებულ ეკონომიკურ მდგომარეობასთან. შეიძლება თამამად ითქვას, რომ ტრეფიკინგის აღმოფხვრის მცირე შანსები არსებობს  მანამ, სანამ სიღარიბისა და უმუშევრობის საკითხები არ მოგვარდება. კიდევ ერთ დასაძლევ ბარიერს წარმოადგენს,- ამ, მეტად სარფიან, ბიზნესში კონკრეტული საჯარო მოხელეების მონაწილეობის ალბათობა. ამას კი შეეძლო ადამიანით მოვაჭრე კრიმინალური დაჯგუფებებისათვის ძლიერი დარტყმის მიყენების საშიშროება შეექმნა.

* * *

**უშიშროების საბჭოსთან ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის დროებითი კომისია შეიქმნა**

***თბილისი.14.02.05.მედია ნიუსი.*** საქართველოს ხელისუფლება ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას ორწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცებით იწყებს. სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ 14 თებერვალს არასამთავრობო ორგანიზაცია „აირის საქართველოს“ და აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით ამ გეგმის პრეზენტაცია გაიმართა.

სამოქმედო გეგმა პრეზიდენტის ბრძანებულებით 2004 წლის დეკემბერში დამტკიცდა, რომლის ეფექტური განხორციელების მიზნით საქართველოს ეროვნულ უშიშროების საბჭოსთან ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის დროებით უწყებათშორისი კომისია შეიქმნა.

უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილის კონსტანტინე კორკელიას განცხადებით, ტრეფიკინგის თემა მეტად აქტუალურია და ეს არ არის მხოლოდ საქართველოს პრობლემა. უშიშროების საბჭო კოორდინაციას გაუწევს უწყებებს ამ პრობლემის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პრეზენტაციის ორგანიზატორის „აირის საქართველოს“ წარმომადგენლის დავით უსუფაშვილის განცხადებით, ტრეფიკინგის გავრცელების მხრივ საქართველო საშიშ დონეზე, კერძოდ ე.წ. მე-2 და მე-3 კატეგორიის ქვეყნებს შორის იმყოფება. თუ ხელისუფლება ამ კუთხით მდგომარეობას არ გააუმჯობესებს, მისი თქმით, შესაძლოა ამერიკის მხრიდან სერიოზული ფინანსური დახმარებაც დაკარგოს, რადგან კონგრესი მთავრობას ასეთი ტიპის ქვეყნების ფინანსურ მხარდაჭერას უკრძალავს. უსუფაშვილის განცხადებით, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ინფორმაციულ უზრუნველყოფას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. 2005-2006 წლებზე გაწერილ სამოქმედო გეგმის პირველ ამოცანას შრომითი მიგრაციის საკითხების სამართლებრივი მოწესრიგება წარმოადგენს. საამისოდ კი პარლამენტმა შრომითი მიგრაციის შესახებ კანონი 2005 წლის პირველ კვარტალში უნდა მიიღოს.

**საქართველოს პარლამენტი ტრეფიკინგის წინააღმდეგ კანონს მიიღებს**

***თბილისი.12.04.05.მედია ნიუსი.*** საპარლამენტო კომიტეტები ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ კანონპროექტზე მსჯელობას იწყებენ. პირველი მოსმენა ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის კომიტეტის სხდომაზე გაიმართება.

კანონპროექტი იურიდიულ საკითხთა კომიტეტის ინიციტივით მომზადდა. კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილის ნინო კალანდაძის განცხადებით, პროექტზე მუშაობა ერთი წელია მიმდინარეობს. მისი მიღების აუცილებლობა კი ქვეყანაში ტრეფიკინგის პრობლემის რეალურად არსებობამ განაპირობა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 2003 წლის 6 ივნისს სისხლის სამართლის კოდექსში მიღებული ცვლილებების მიხედვით, ადამიანით ვაჭრობა სისხლის სამართლებრივ დასჯად ქმედებად გამოცხადდა; ამასთან, განისაზღვრა ვალდებულება, რომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში მომზადებულიყო კომპლექსური ხასიათის საკანონმდებლო აქტი, რომლითაც განისაზღვრებოდა ტრეფიკინგის თავიდან აცილების გზები.

კანონპროექტი ადამიანით ვაჭრობის თავიდან აცილების, მის წინააღმდეგ ბრძოლისა და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვის, დახმარებისა და რეაბილიტაციის შესახებ განსაზღვრავს ამ დანაშაულის თავიდან აცილების და მის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საფუძვლებს. კანონპროექტის მიხედვით, გათვალისწინებულია ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მუდმივმოქმედი ჯგუფის შექმნა, რომელშიც გაერთიანდებიან შსს, პროკურატურის და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის წარმომადგნელები.

კანონპროექტის მიხედვით, ტრეფიკინგით მოპოვებული შემოსავალი და ქონება ჩამორთმევას ექვემდებარება, ეს ქონება აკუმულირდება ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების სპეციალურ სახელმწიფო ფონდში, საიდანაც ამ დანაშაულის მსხვერპლთა რეაბილიტაციისთვის კომპენსაციები გაიცემა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს იმედი აქვს, რომ კანონპროექტს საპარლამენტო კომიტეტების მხრიდან მხარდაჭერა ექნება.

**ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის მუხლს რატიფიკაცია გაუკეთეს**

***თბილისი.16.06.05.მედიანიუსი.*** "ტერორიზმთან, ორგანიზებულ და სხვა მნიშვნელოვან დანაშაულებთან ბრძოლის" შეთანხმების მე-9 მუხლის შესრულების შესახებ ოქმს საქართველოს პარლამენტმა 16 ივნისის სხდომაზე რატიფიკაცია გაუკეთა.

აღნიშნული მუხლი ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლას გულისხმობს. ოქმს 2005 წლის 10 აპრილს მოეწერა ხელი. იგი შეეხება ღონისძიებებს, რომელიც აღნიშნული შეთანხმების მე-9 მუხლით არის გათვალისწინებული. "ტერორიზმთან, ორგანიზებულ და სხვა მნიშვნელოვან დანაშაულებთან ბრძოლის" შეთანხმებას საქართველოს, თურქეთსა და აზერბაიჯანს შორის 2002 წლის 30 აპრილს მოეწერა ხელი.

**ევროპის საბჭოს ხელმოწერებისა და რატიფიკაციის სერიიდან**

***სტრასბურგი, 26.10.2005*** – 2005 წლის 19 ოქტომბერს საქართველომ ხელი მოაწერა ევროპის საბჭოს ევროპულ კონვენციას ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (CETS No. 197)

**საქართველოში ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის რეალური ინსტიტუტი არ არსებობს**

***თბილისი.19.05.05.მედიანიუსი***. ტრეფიკინგის, ანუ ადამიანებით ვაჭრობის შესახებ, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციამ, შს და იუსტიციის სამინისტროებმა ეუთოს მისიის მხარდაჭერით შეიმუშავეს კანონპროექტი, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის მექანიზმების შექმნას ითვალისწინებს.

ამ კანონპროექტის მომზადება სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა განაპირობა.

ახალაგაზრდა იურისტთა ასოციაციის კანონის უზენაესობის პროექტის ხელმძღვანელის მარინა მესხის თქმით, დღემდე საქართველოში არ არსებეობს ტრეფიკინგის მსხვერპლთა დაცვის რეალური ინსტიტუტი. არ არსებობს აგრეთვე მსხვერპლთა რეალური სტატისტიკური მონაცემები.

მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაციის ხელმძღვანელის მარკ ჰულსტის თქმით, საქართველოში, პოლიციის მონაცემებით, 2003-2004 წლებში ტრეფიკინგის 53 შემთხვევა დაფიქსირდა, 2005 წელს - 11.

**9 წლის წინათ გამქრალი გოგონას კვალი "ბორდელისაკენ" მიდის?**

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მცხოვრები 15 წლის ია ქიტიაშვილი 1996 წლის 29 აპრილს, ღამის 4 საათზე გაუჩინარდა. სამართალდამცავების უსუსური მუშაობის გამო გოგონას ადგილი დღემდე უცნობია, მაგრამ დედა შვილის კვალმა თბილისში ერთ-ერთ ბორდელამდე მიიყვანა. "დამიბრუნეთ ჩემი შვილი, თუნდაც მკვდარი",- სთხოვს ლოგინად ჩავარდნილი მამა პრეზიდენტს.

ტრეფიკინგის პრობლემა, განსაკუთრებით კი სექს-ტრეფიკინგი საქართველოში 90-იანი წლებიდან დგას, თუმცა მას ექსპერტთა თქმით, სახელმწიფო, პრობლემად მხოლოდ იმიტომ არ აღიარებდა, რომ იმ ადამიანებისა და ჯგუფების უკან, ვინც ხალხს ყიდდნენ, ხელისუფლების მაღალჩინოსნები იდგნენ. სტატისტიკური მონაცემებით, 1996-97 წლებში უგზო-უკვლოდ დაკარგული 302 ადამიანიდან 19 არასრულწლოვანია. აქედან 18 საქმე გახსნილია, ერთით კი რამდენჯერმე დაინტერესდნენ...

გურჯაანის რაიონის სოფელ კარდენახში მცხოვრები 15 წლის ია ქიტიაშვილი 1996 წლის 29 აპრილს ღამის 4 საათზე გაუჩინარდა, რაც ოჯახის წევრებმა გამთენიისას შეიტყვეს. ბავშვის ძებნა მაშინვე დაიწყეს და იას დაკარგვა მეზობლად მცხოვრები ახალგაზრდა ქალის, მთვარისა ილაშვილს დაუკავშირეს. "მთვარისა ჩემს შვილს კოლგოტკის მოპარვას აბრალებდა. ია ძალიან შეურაცხყოფილი და დათრგუნული იყო. რომ დაიკარგა, თითქმის მთელი სოფელი ვეძებდით. ვიფიქრეთ, თავის თავს რამე ხომ არ აუტეხა-თქო, რადგან ძალიან შრომისმოყვარე და პატიოსანი ბავშვი იყო, მაგრამ მალევე მივხვდით, რომ კოლგოტკა მიზეზი იყო. ბავშვი სახლიდან გაიყვანეს",- ამბობს იას დედა თინა ქიტიაშვილი.

იას გაუჩინარების დღესვე, ოჯახს ერთ-ერთმა მეზობელმა, ქიტიაშვილების მეზობლად მცხოვრები მთვარისას ნათქვამი გაუმხილა. მთვარისა იკვეხნიდა, იას ადგილსამყოფელი ვიცი, მაგრამ არავის ვეტყვიო. რამდენიმე დღიანი უშედეგო ძებნის შემდეგ ოჯახმა განცხადებით რაიონულ პოლიციას მიმართა, სადაც საქმე იმავე დღეს აღიძრა. იმ დროისათვის შს გურჯაანის სამმართველოს უფროსი ლექსო გილიგაშვილი გახლდათ. გაუჩინარებული ია ქიტიაშვილის საქმის გამოძიება გამომძიებლებს დავით გიგაურსა და ყაჭიურს დაევალათ. თინა ქიტიაშვილის თქმით, გამომძიებლებმა ზერელედ დაკითხეს ამ საქმეში ეჭვმიტანილი დები და ამით, რაიონის პოლიციამ და საგამოძიებო განყოფილებამ ფაქტობრივად მუშაობა ამოწურეს. "ყოველგვარ ხარჯს ვიღებდით, ოჯახიდან ყველაფერი გავყიდეთ, რათა სამართალდამცავებს ხარჯებით დავხმარებოდით, მათ კი არაფერი გააკეთეს",- აღნიშნავს თინა ქიტიაშვილი. შვილის ძიებაში კი მშობლებს არაერთი დამცირება და გულგრილი დამოკიდებულება შეხვდათ სამართალდამცავების მხრიდან. როგორც ქალბატონი თინა გვიყვება, "პოლიციის უფროსის ძმას, იმდროინდელ გენერალურ პროკურორს როლანდ გილიგაშვილსაც შევხვდი. მან კაბინეტიდან გამომაგდო, მითხრა, ამ საქმეზე არაფერი ვიცი და მეორედ აქ მოსული

აღარ გნახოო. ამის შემდეგ რაიონის პროკურორთანაც მივედით, მან კი მე და ჩემს მეუღლეს დაგვცინა: "პაპაჩემი რამდენიმე წელი დაკარგული იყო და როცა დაბრუნდა 300 სული ცხვარი მოიყვანაო". ამდენი ჩივილის შემდეგ გიჟადაც შემრაცხეს".

### *იას წერილი და კვალი ბორდელამდე*

შვილის დაკარგვიდან ერთი წლის შემდეგ ქიტიაშვილების ეზოში წერილი გადააგდეს. "ია იწერებოდა, რომ თბილისში იყო, ძალიან ცუდ დღეში, ეშინოდა, ოღონდ არ იცოდა რა ადგილას. წერილში გვწერდა, რომ მისი სახლიდან დაკარგვის შესახებ ყველაფერი, დებმა ხათუნა ტ-მ და მთვარისა ი-მ იცოდნენ. თუ რამე გახმაურდებოდა მას მოკვლით ემუქრებოდნენ",- აცხადებს იას დედა, რომელმაც წერილი მიღებისთანავე რაიონის პოლიციაში წარადგინა. წერილი გამომძიებლებს საქმეში დამატებით მტკიცებულებად შეაქვთ, მაგრამ დებს კვლავაც არ აკავებენ, არასაკმარისი მტკიცებულებების მოტივით. ჩვენი ინფორმაციით, ამჟამად ია ქიტიაშვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვის საქმეში, რომელსაც გრიფით საიდუმლო ადევს, წერილის მხოლოდ ასლი დევს, ორიგინალი კი სად დაიკარგა, არავინ იცის (?!)

იმედგაცრუებული ქალბატონი შვილის ადგილსამყოფელის დადგენას დამოუკიდებლად ცდილობს და თბილისში ვაგზლის მოედანზე, სადაც მის ხელთ არსებული ინფორმაციით, მთვარისა ხშირად ჩნდება ხოლმე, ამ უკანასკნელის თვალთვალს შეცვლილი გარეგნობით იწყებს. "ვაგზლის მოედანზე დაღამებამდე ვიყავი და მთვარისას ვდარაჯობდი. დიდხანს არ დამიყოვნებია. ტელეფონის ჯიხურში საუბრის დამთავრების შემდეგ გარეთ გამოსული მთვარისა ტაქსში ჩაჯდა და გაურკვეველი მიმართულებით წავიდა. იქვე მდგომი ტაქსით გამოვედევნე და ოპერის თეატრის ქვემოთ, ზემელზე აღმოვჩნდი. მთვარისამ ბინა 2/7-ში ვინმე თემურის დაუძახა. სახლიდან დაბალი მამაკაცი გამოვიდა და ორივენი შიგნით შევიდნენ",- ამბობს თინა ქიტიაშვილი. მან ცხემის ქუჩაზე მცხოვრები ქალბატონისგან საეჭვო სახლის მეპატრონის ვინაობა გაიგო და ისიც დაადგინა, რომ თემურ კ-ს საცხოვრებელ სახლში "ბორდელია" გახსნილი. ტაქსის მძღოლი შეშფოთებულ დედას მისივე უსაფრთხოებისათვის კვინტრაძეების ბინაში პოლიციის თანხლებით დაბრუნებას ურჩევს. თინა ქიტიაშვილი დახმარებას ვაგზლის კომენდატურის თანამშრომლებს, ზურაბ ჩიხლაძესა და გიორგი გაჩეჩილაძეს სთხოვს, რომლებიც მთვარისას თვალთვალისას გაიცნო. მცირე ხნის შემდეგ კომენდატები კვინტრაძეების სახლში თემურ კვინტრაძის ვაჟს, იური კვინტრაძეს აკავებენ, რომელმაც სურათზე ია ამოიცნო და გაამხილა, რომ გოგონებით მართლაც ვაჭრობენ, ოღონდ ია მათთან აღარ იმყოფება.

### *"ბორდელის" მეპატრონის ვაჟის აღიარება*

"გოგონებით ნამდვილად ვვაჭრობთ. 15 წლის ია ქიტიაშვილი ჩვენთან კახეთიდან მთვარისამ და მისმა დამ, მამაჩემის საყვარელმა ლელა ლეკბორაშვილმა ჩამოიყვანეს და მამაჩემს 700 დოლარად მიყიდეს (ლელა ავადმყოფობით რამდენიმე თვის წინ გარდაიცვალა. მას კახეთში "მამაშად" იცნობდნენ). როცა მოიყვანეს, ია გამოშტერებული ჩანდა. თავდაპირველად მთვრალი მეგონა. მთვარისა და მამაჩემი მას აწვალებდნენ, რის შემდეგაც მამაჩემმა ია ოთახში გამოამწყვდია და გააუპატიურა. მართლა საშინელება იყო. მინდოდა იას დავხმარებოდი, მაგრამ ოთახში მთვარისა და დედაჩემი არ მიშვებდნენ. ია რამდენიმე დღე ჩაკეტილი ჰყავდათ. მერე უთხრეს, თუ წესიერად არ მოიქცეოდა, მოკლავდნენ, მაგრამ მამაჩემმა ის, სანამ თქვენ დაგვეცემოდით, სხვაგან წაიყვანა, მეორე კარებიდან",- ნათქვამია იური კვინტრაძის ჩვენებაში. დაკითხვის შემდეგ მას ათავისუფლებენ.

ვაგზლის კომენდატურიდან იური კვინტრაძის გაშვების შემდეგ, თინა ქიტიაშვილს, ზურაბ ჩიხლაძესა და გიორგი გაჩეჩილაძეს, მოულოდნელად თავს შს სამინისტროს თანამშრომლები ადგებიან და ისინი სამინისტროში გადაჰყავთ. იას დედის დაკითხვის შემდეგ საქმის გამოძიებას შსს გამომძიებლები ანზორ შიოშვილი, გელა ქავთარაძე და გოდერძი ქუთათელაძე იწყებენ. შს სამინისტროს თანამშრომელი ანზორ შიოშვილი დაზარალებულს დახმარებას ჰპირდება და ერთ კვირაში, საქმის გახსნის საფასურად 5000 აშშ დოლარს სთხოვს. "თუ ამ თანხას მოიტან, საქმეს გავხსნით, თუ არა და არაო. აქეთ-იქით სიარულში ყველაფერი გავყიდე, თუ კი რამ ღირებული მებადა, მეუღლეც დამიავადმყოფდა და პოლიციის მაღალჩინოსნებისთვის 5000 დოლარი საიდან უნდა მიმეტანა, არადა ქავთარაძე მეუბნებოდა, რომ იას სიცოცხლე საფრთხეში იყო, შიოშვილი კი, როგორც ქავთარაძემ მითხრა, მას თანხის გადაუხდელობის გამო საქმის გახსნის უფლებას არ აძლევდა",- აღნიშნავს თინა ქიტიაშვილი.

ოჯახის გადახდისუნარიანობაში დასარწმუნებლად ქავთარაძე ქიტიაშვილებს კარდენახში, სახლშიც სტუმრობდა. მას შემდეგ, რაც ოჯახის მძიმე ფინანსურ მდგომარეობაში დარწმუნდნენ, ქალბატონი შსს-დანაც გამოაგდეს.

შსს-ს კადრების სამმართველოს ინფორმაციით, გელა ქავთარაძე დღესაც სამინისტროში მუშაობს, გოდერძი ქუთათელაძე კი შს ბათუმის რაიონული განყოფილების თანამშრომელია. ანზორ შიოშვილზე ინფორმაცია არ იძებნება. თინა ქიტიაშვილი არ გამორიცხავს, რომ შიოშვილად მას პოლიციის ერთ-ერთი ტრეფიკიორი მაღალჩინოსანი გაეცნო.

ქალბატონი თინა ირწმუნება, რომ მისი შვილი სახლიდან მთვარისა ილაშვილმა გაიყვანა. მისი თქმით, ეს უკანასკნელი და ლელა ლეკბორაშვილი პოლიციის უფროსთან, ლექსო გილიგაშვილთან იყვნენ შეკრულნი. ქიტიაშვილები ეჭვობენ, რომ "ბორდელს" პოლიციის მაღალჩინოსნები მფარველობდნენ. ამის შესახებ იას მშობლიურ სოფელში, კარდენახშიც საუბრობენ, თუმცა ხმამაღლა საუბარს ყველა ერიდება. ქიტიაშვილების ოჯახის ინფორმაციით, მათი შვილისა და იმავე დღეებში, გურჯაანის პოლიციიდან დაკარგული მერაბ ჯაჯანაშვილის გაუჩინარება ერთი და იგივე ადამიანების მიერაა ორგანიზებული. პოლიციის სტაჟიორის ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევას, ჩვენთან საუბარში თავად მერაბ ჯაჯანაშვილის მშობლებიც არ გამორიცხავენ.

საროსკიპოში იას მიყვანის დროისათვის მყოფ ერთ-ერთ "ლამაზმანთან" საუბარში, რომელმაც ამბის თხრობის ნაცვლად მისი ვინაობის გასაიდუმლოება მოგვთხოვა, გავარკვიეთ, "კვინტრაძეების ბორდელში იას მოსვლამდე ნახევარი წლით ადრე ერთმა თბილისელმა მამაშამ დიდუბიდან მიმიყვანა. მაშინ 25 წლის ვიყავი და თემურ კვინტრაძემ, რომელმაც ისედაც არეული ცხოვრება საბოლოოდ ამირია, ჩემში 500 დოლარი გადაიხადა. გურჯაანელი ია ბორდელში გამთენიისას ქალებმა მოიყვანეს. ის უკვე მეექვსე იყო. საწყალი, სიცოცხლე გაუმწარეს. თავიდან გაბითურებული იყო. მერე ეგონა, რომ ოთახები უნდა დაელაგებინა, მაგრამ იმ დამპალმა ღორმა გააუპატიურა. მომდევნო დღეებში კი ტელეფონმა დარეკა და მას მომსახურება უბრძანეს, თუ არა და დაამწყვდევდნენ, ან ისევ გაყიდიდნენ, ან მოკლავდნენ. თემო აყვედრიდა, შენში 700 დოლარი გადავიხადე და მალე უნდა ამოვიღოო. თუ კლიენტებს ან მათ არ დავემორჩილებოდით, გვცემდნენ ხოლმე. იას, კვინტრაძეების ბიძაშვილმა ოთარ კვინტრაძემ, რომელიც ბორდელის სარდაფში გინეკოლოგობდა და ბავშვებს ყიდდა, საჭმელში რაღაც ჩაუყარა და ისე გამოაშტერა, რასაც ეტყოდნენ, იმას აკეთებდა. თავიდან პატარებს ასე იმორჩილებენ ხოლმე. თემოს ია თბილისში ცოტა ხანს ჰყავდა. მე კლიენტს ვყავდი წაყვანილი. როცა ბორდელში ჩამოვედი იქაურობა არეული იყო. ია და თემო არ ჩანდნენ. გოგოებმა მითხრეს, ვიღაცეები მოვიდნენ და იური წაიყვანესო. როგორც მახსოვს, გოგოებმა თქვეს, მგონი თემომ ია ბათუმში წაიყვანაო. იქიდან კი პატარა და ლამაზ გოგოებს თურქეთში აგზავნიდნენ".

ჩვენ როლანდ და ლექსო გილიგაშვილებთან დაკავშირებას შევეცადეთ. როლანდ გილიგაშვილის ტელეფონზე მამაკაცი გვპასუხობს და ამბობს, რომ როლანდი არ არის. ლექსო გილიგაშვილს კი მობილური ტელეფონი გამორთული ჰქონდა. რაც შეეხება მთვარისა ილაშვილს, მისი ადგილსამყოფელის დადგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

ია ქიტიაშვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვის საქმეს შს კახეთის მთავარი სამმართველოს უფროსის თემურ ანჯაფარიძის ინფორმაციით, გურჯაანის საგამოძიებო განყოფილება იძიებს და მასზე ზედამხედველობას გურჯაანის პროკურატურა ახორციელებს. "იმედი" გურჯაანის რაიონულ პროკურორს ალექსანდრე ფერიაშვილსაც დაუკავშირდა, რომელმაც განაცხადა, რომ აღნიშნული საქმის ძიებასთან დაკავშირებით ინფორმაციას არ ფლობს და ამით აუცილებლად დაინტერესდება.

ქიტიაშვილებს პრეზიდენტის იმედი აქვთ, თუმცა მასთან შეხვედრის საშუალება არა ეძლევა. იას ბებია მოხუცებულია, დედა კი იას დაკარგვის შემდეგ, ძლიერი ნერვიულობის ნიადაგზე დაავადმყოფებულ და საწოლს მიჯაჭვულ მეუღლეს, ტრისტან ტურაშვილს უვლის. და - მაია დაოჯახებულია და ბავშვები ჰყავს. ძმას კი, რომელიც ოჯახის ერთადერთი მარჩენალია, წლების მანძილზე გაჭიანურებული საქმის ობიექტურად გამოძიების იმედი აღარ აქვს.

ოჯახს, რომელიც უკვე 9 წელი და 7 თვეა იას ამბის გაგებას ელოდება, უთვლიან, რომ მასმედიასთან ურთიერთობა აკრძალონ. რატომ? ამ კითხვაზე შვილის დაბრუნების იმედად ცოცხალი ტრისტან ქიტიაშვილი ასე პასუხობს: იას გატაცების უკან გავლენიანი პირები დგანან, რომლებიც შესაძლო პასუხისგებაზე ფიქრობენ. მიუხედავად ამისა, ქიტიაშვილები არაფერს უშინდებიან. იას ავადმყოფი მამა პრეზიდენტს ერთ რამეს სთხოვს: აპოვნინონ შვილი, თუნდაც მკვდარი.

**ტრეფიკინგის მსხვერპლმა გაქცევა მოახერხა**

17.01.05 - თელავის პროკურატურამ ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი თელავის რაიონის სოფელ აკურაში მცხოვრები, დაღესტანში დაბადებული, ეროვნებით კუმიკი უ.ბ. დააკავა.

ტრეფიკინგის მსხვერპლი 30 წლის თელაველი ქვრივი აღმოჩნდა, რომელიც სამსახურში მოწყობის დაპირებით აღნიშნულმა პიროვნებამ თურქეთში გადაიყვანა და მეძავად გაყიდა. ქალს ფსიქოლოგიური ზეწოლით სექსუალური მომსახურების გაწევას აიძულებდნენ.

გაყიდულმა ქალბატონმა თურქ სამართალდამცავებთან დაკავშირება მოახერხა და მათი დახმარებით სამშობლოში დაბრუნება შეძლო. ქალის გატაცებაში ეჭვნიტანილი უ.ბ. ამჟამად თელავის პოლიციის სამმართველოს წინასწარი დაკავების საკანში იმყოფება.

ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი უ.ბ. თავს დამნაშავედ არ სცნობს.

**სპეცოპერაციის შედეგად მონობაში მყოფი ადამიანი გაათავისუფლეს**

***თბილისი.17.01.05.მედია-ნიუსი***. შს სამინსტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა ადამიანის უკანონო ყიდვა-გაყიდვის ფაქტზე 16 იანვარს დააკავეს მესტიის რაიონის მკვიდრი, ამჟამად თეთრიწყაროს რაიონის სოფელ წინწყაროში მცხოვრები, ნუგზარ კლიმენტის ძე ჭკადუა. ამასთან სპეცოპერაციის შედეგად გათავისუფლებულ იქნა ერთი წლისა და რვა თვის განმავლობაში მონობაში მყოფი ჭიათურის მკვიდრი, გიორგი ბრეგაძე.

საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურა.

**ადამიანებით ვაჭრობდნენ**

***თბილისი.03.02.05.მედია-ნიუსი.*** სპეციალური დეპარტამენტის ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად ტრეფიკინგთან ბრძოლის სამმართველოს თანამშრომლებმა დააკავეს თბილისში მცხოვრები, მრავალჯერ ნასამართლევი, 44 წლის ოთარ ზვიადაური და იუსტიციის სამინისტროს გლდანი-ნაძალადევის რაიონის საპასპორტო განყოფილების თანამშრომელი, 34 წლის ირმა პეტრიაშვილი, რომლებიც თურქეთის მოქალაქეებთან ერთობლივად ეწეოდნენ ადამიანებით ვაჭრობას, რისთვისაც გარკვეული თანხის საფასურად უმზადებდნენ საზღვარგარეთ გადასაყვან ადამიანებს ყალბ პირადობის მოწმობებსა და პასპორტებს. აღძრულია სისხლის სასამართლის საქმე.

საქმეს იძიებს გენერალური პროკურატურა.

**ადამიანებით ვაჭრობის ფაქტზე დააკავეს**

***თბილისი.20.02.05.მედია-ნიუსი***. ადამიანებით ვაჭრობის ფაქტზე შს სამინისტროს ტრეფიკინგთან ბრძოლის სამმათველოს თანამშრომლებმა დააკავეს აჭარაში მცხოვრები ნანა ვერძაძე-ფაღავა. იგი თურქეთის მოქალაქეებთან ერთად, თურქეთის ქალაქ ანტალიაში, პროსტიტუციაში ჩაბმის მიზნით, 14-17 წლის გოგონებს ყიდდა.

ადამიანებით ვაჭრობის ფაქტზე აღძრულია სისხლის სამართლის საქმე.

**რუსი სამშვიდობოები კონფლიქტის ზონაში ქართველი ქალების არჩევანის უფლებას ყიდიან**

12 წელია ქართულ-აფხაზურ ადმინისტრაციულ საზღვართან განლაგებული რუსი სამშვიდობო ძალების წარმომადგენლებმა „დამატებითი შემოსავლის“ წყაროდ საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის მსურველების მიერ გადახდილი საზღაურიც გაიხადეს. საზღვარს კი აფხაზები ქართველი გოგონების დასატყვევებლად კვეთენ, რაშიც ისინი რუს სამშვიდობოებს 300-500 რუბლამდე უხდიან. ცოლად მოყვანის მიზნით გატაცებულ გოგნათა რაოდენობამ თვეში 10-12-ს მიაღწია, რაზეც ქართველი სამართალდამცავები შესაშური სიმშვიდით რეაგირებენ.

საზღვრის გადაკვეთას წლების მანძილზე ახერხებენ ის პირები, რომლებიც ოჯახის შესაქმნელად ძალადობას იყენებენ (აქვე შევნიშნავთ, რომ ამ გზით აფხაზეთს თავს ძებნილები და დეზერტირებიც აფარებენ); კერძოდ, ახალგაზრდა მამაკაცები (უმეტეს შემთხვევაში ზუგდიდისა და წალენჯიხის რაიონებიდან) ახალგაზრდა ქალებს იტაცებენ და რუსი სამშვიდობოებისათვის გადახდილი ფულის სანაცვლოდ თანამოაზრეებთან ერთად დაუბრკოლებლად კვეთენ საზღვარს, რის შემდეგაც თავს დე ფაქტო აფხაზეთის ტერიტორიას აფარებენ.

რუსები მოძალადე „სიძეებისაგან“ ასეთი სამსახურის გაწევისათვის 300-დან 500 რუბლამდე იღებენ, რაც 30-50 ლარის ეკვივალენტია.

მიმდინარე წლის 17 დეკემბერს ოთხმა პირმა ზუგდიდის ცენტრში იძულებითი გზით მანქანაში ჩააგდო 22 წლის ნანა ჯ., რომელსაც გამტაცებლებმა ჯერ პირი აუკრეს, შემდეგ კი თავზე ტომარა წამოაცვეს და წიხლების კვრით აიძულეს მანქანაში ჩაწოლილიყო. ამ გზით მათ საზღვართან განლაგებულ რუსული სამშვიდობო ძალების პოსტამდე (საბერიოს 203-პოსტი) მიაღწიეს,სადაც გატაცებულმა მათგან თავის დაღწევა მოახერხა და საშველად რუს სამშვიდობოებს მიმართა, რაზეც პასუხად მხოლოდ ღიმილი მიიღო. საბერიოში გადაყვანილმა ნანა ჯ. -მ მოახერხა მშობლებთან ტელეფონით დაკავშირება, რის შემდეგაც საქმეში ოჯახის წევრებმა აფხაზური, კერძოდ, გალის მილიციის ჩართვა მოახერხეს, თავად კი შემოვლითი გზებით შეაღწიეს გალის რაიონში, აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. გატაცებულის კვალის მიგნება მხოლოდ მეორე დღეს მოხერხდა და

გამტაცებლებმა იგი მხოლოდ სისხლის სამართლის საქმის არაღძვრის შესახებ მშობლებისგან მიღებული გარანტიების შემდეგ გაათავისუფლეს.

გატაცებულის განცხადებით, ორი დღის მანძილზე გამტაცებელი „სასიძო“ და მისი ახლობლები დაშინების, ფსიქოლოგიური ტერორის და ზეწოლის გზით ცდილობდნენ მისგან თანხმობა მიეღოთ გამტაცებელ დათო ქ-სთან შეუღლების შესახებ.

წალენჯიხის რაიონის პოლიციის ქვეგანყოფილების უფროსის მოადგილე ჯ. გულორდავა შენიშნავს, რომ ძალიან ხშირია ასეთი შემთხვევები: „სამწუხაროა, რომ ჩვენ ვერ ვახერხებთ აფხაზების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ჩვენი ფუნქციის შესრულებას. ჩვენი სამსახური უძლურია ამ შემთხვევაში“.

საგულისხმოა, რომ ამგვარი ფაქტები დაუსჯელი რჩება; მეტიც, ჭუბურხინჯის არც ერთ ტრადიციულ შეხვედრებზე, რომელშიც ქართული, აფხაზური მხარეები, რუსი სამშვიდობოები და გაეროს მისიის წარმომადგენლები მონაწილეობენ, ამგვარი ფაქტები არ განხილულა. სტატისტიკა კი შეშფოთების საბაბს ნამდვილად იძლევა - გატაცებული და შემდეგ აფხაზეთის ტერიტორიაზე იძულებით გადაყვანილი ქალების რაოდენობამ თვეში საშუალოდ 10-12-ს მიაღწია. 10 ასეთი გატაცებიდან სისხლის სამართლის საქმე მხოლოდ 3 შემთხვევაშია აღძრული.

სამწუხაროა, რომ ამგვარი ფაქტები დღემდე მეორდება და უმეტესად დაუსჯელი რჩება.

**ქართველი ქალებით სავსე ავტობუსი საზღვართან გააჩერეს**

18.03.05 - რამოდენიმე დღის წინ ფინეთის საზღვარზე ავტობუსი გააჩერეს, რომელსაც 48 ქართველი ქალი სავარაუდოდ ტრეფიკინგის მიზნით დასავლეთ ევროპაში გადაჰყავდა. ქალები ამჟამად ლტოლვილთა მიმღებ ცენტრში არიან გადაყვანილები. საპასპორტო კონტროლის პერსონალს ეჭვი აღუძრა იმ ფაქტმა, რომ ყველა მგზავრს შვედეთის შენგენის ვიზა ჰქონდა და ყველა მათგანი ქალი იყო. ფინელი მესაზღვრეები იუწყებიან, რომ 2002-2004 წლებში 1 500-ზე მეტი ქართველია გადასული დასავლეთ ევროპაში ფინეთის გავლით. თუმცა, ევროპისაკენ მგზავრებით დატვირთული ავტობუსები საქართველოში თითქმის ცარიელი ბრუნდებიან.

სამშაბათს ადამიანებით ვაჭრობის ეჭვის საფუძველზე საქართველოს ტურისტული ავტობუსი ფინეთის საზღვარზე, ვაალიმას სადგურში გააჩერეს.

მგზავრები - 48 ქართველი ქალი - გადაყვანილია ჯუტსენოს დევნილთა მიმღებ ცენტრში, სანამ ხელისუფლება გაარკვევდეს მათი მგზავრობის მიზანს.

ქალები არანაირ დანაშაულებაში არ არიან ეჭვმიტანილნი: ისინი ფინეთში რუსეთიდან ლეგალური საბუთებით ჩავიდნენ. თუმცა, დაკავებულია ოთხი კაცი - ორი მძღოლი, თარჯიმანი და მგზავრობის ხელმძღვანელი. ზოგიერთი მათგანი ადრეც არის შემჩნეული მსგავს საქმეში. ისინი იყვნენ ეჭვმიტანილი კოტკაში (Kotka) ადამიანებით ვაჭრობაში და აქვთ კავშირი ორგანიზებულ დანაშაულებთან.

საპასპორტო კონტროლის პერსონალს ეჭვი აღუძრა იმ ფაქტმა, რომ ყველა მგზავრს შვედეთის შენგენის ვიზა ჰქონდა და ყველა მათგანი ქალი იყო.

ქალბატონებს, რომელთა ასაკიც მერყეობდა 26-დან 60 წლამდე, არ ჰქონდათ მგზავრობისთვის საკმარისი თანხა, რომლის საშუალებითაც ისინი უნდა წასულიყვნენ ჰელსინკიდან კოპენჰაგენამდე, შემდეგ ავსტრიის, იტალიის და საბერძნეთის გავლით თურქეთში და ბოლოს უკან დაბრუნებულიყვნენ საქართველოში.

სავარაუდოდ, ქალბატონები რამოდენიმე დღეს გაატარებენ დევნილთა მიმღებ ცენტრში, სანამ მათ უკან რუსეთში არ გააგზავნიან. საზღვრის დამცველთა განცხადებით, შესაძლებელია მათი ლეგალურად დაბრუნება საზღვართან, თუმცა, ადამიანური მიზეზების გამო ისინი წაიყვანეს ჯუტსენოში.

სავარაუდოდ, გასულ რამდენიმე წელიწადში 1.500-მდე ქალი გადმოვიდა რუსეთიდან ფინეთში იგივე გზით ტურისტული ავტობუსებით. ეს ფაქტი ევროკავშირის ხელმძღვანელობას საბერძნეთმა აცნობა. მათმა წარმომადგენლებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ ბევრი ავტობუსი საქართველოში საბერძნეთის გავლით ცარიელი ბრუნდება.

ხელმძღვანელი პირების განცხადებით, ქალები, რომლებიც ასეთი სახის მოგზაურობაში მონაწილეობას იღებენ, ხშირად მოხიბლულნი არიან დაპირებებით სამუშაოს შესახებ, როგორიცაა: მიმტანი, მოცეკვავე ან

საყოფაცხოვრებო მომსახურების სერვისში მომუშავე. თუმცა, ძირითადად ისინი საკუთარი ნების წინააღმდეგ სექს-ბიზნესით ამთავრებენ „კარიერას“.

ფინეთის შინაგან საქმეთა მინისტრის კარი რაჯამაკი (SDP) დირექტივებს სთავაზობს ევროკავშირს, ასევე ეროვნულ კანონმდებლობას, რომელიც ტრეფიკინგის მსხვერპლებს, რომლებიც გამოძიებას დაეხმარებიან, მისცემს ქვეყანაში ცხოვრების უფლებას.

*ფინეთი სატრანზიტო ქვეყანაა აღმოსავლეთიდან დასავლეთში ქალთა ტრეფიკინგის საკითხში*

როგორც **HELSINGIN SANOMAT** იუწყება, ბოლო წლებში საქართველოდან 1000 ქართველი ქალი გადავიდა დასავლეთ ევროპაში ფინეთის გავლით მხოლოდ იმისათვის, რომ გზაში გაუჩინარებულიყვნენ. საბერძნეთიდან დაბრუნებული ავტობუსები საქართველოში თითქმის ცარიელი ბრუნდებოდა.

ფინელი მესაზღვრეები ირწმუნებიან, რომ ქალები უკანონო პროსტიტუციით კავდებოდნენ დასავლეთ ევროპაში.

ფინელი მესაზღვრეების განცხადებით, 2002-2004 წლებში 1500-ზე მეტმა ქართველმა მოქალაქემ ავტობუსით გადაკვეთა ფინეთის საზღვარი. მათი დოკუმენტები წესრიგში იყო და არ არსებობდა საფუძველი მათი მიგრაციის შეჩერებისა. მგზავრების 90%-ზე მეტი ახალგაზრდა ქალები იყვნენ. ყველა მათგანს ჰქონდათ პასპორტები ან შვედეთის ან იტალიის ვიზები.

მოგვიანებით, საბერძნეთის ხელიფუფლებამ გააკეთა განცხადება, რომ ბევრი საქართველოსკენ მიმავალი ავტობუსი, რომელმაც გადაკვეთა საბერძნეთის საზღვარი, მცირე რაოდენობით მგზავრები გადაჰყავდა. თუმცა, იგივე ავტობუსები სავსე იყო მგზავრებით, როდესაც ისინი შევიდნენ ევროკავშირის ტერიტორიაზე. არცერთი ამ ავტობუსებიდან არ დაბრუნებულა საქართველოში ფინეთის გავლით.

**საკუთარი ხელისუფლების მიერ მიტოვებული ადამიანები**

ტრეფიკინგში ეჭვმიტანილი ფინეთში დაკავებული ქალბატონები სრულიად დაუცველნი აღმოჩნდნენ საკუთარი ხელისუფლების მხრიდან სამშობლოში დაბრუნების შემდეგაც. ქალბატონებმა განაცხადეს, რომ მათი რეპუტაცია შეილახა და მრავალი დამცირებისა და შეურაცხყოფის მიუხედავად, ისევე როგორც ფინანსური ზარალისა, ჯერ-ჯერობით არანაირი ღონისძიებები არ იქნა გატარებული მათი შელახული უფლებების აღსადგენად.

საქართველოს სახელმწიფოს ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა სახელმწიფოს, ერთ-ერთი მთავარი ფუნქციას საკუთარი მოქალაქეების დაცვა წარმოადგენს როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. თუმცა, ხელისუფლებამ მისი პირადი მოვალეობა არა მხოლოდ არ შეასრულა, არამედ პირიქით, ფინეთში მყოფი საკუთარი მოქალაქეების მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესა.

საქმე ეხება ამა წლის მარტში ფინეთის საზღვარზე დაკავებულ საქართველოს მოქალაქეებს, რომლებიც ტრეფიკინგში დაადანაშაულეს. ადამიანებით ვაჭრობის ეჭვის საფუძველზე საქართველოს ტურისტული ავტობუსი, რომლითაც 48 ქალი და ოთხი მამაკაცი - ჯგუფის ხელმძღვანელი, თარჯიმანი და ორი მძღოლი მგზავრობდნენ, ფინეთის საზღვარზე, ვაალიმას სადგურში გააჩერეს. ჯგუფის ოთხივე მამაკაცი დაიკითხნენ გამოძიების ეროვნულ ბიუროში, რადგან ისინი ეჭვმიტანილნი იყვნენ ტრეფიკინგსა და ქვეყანაში არალეგალურად შესვლის ორგანიზებაში. რაც შეეხება ქალბატობებს, ისინი არანაირ დანაშაულებრივ ქმედებაში არ იყვნენ ეჭვმიტანილნი და მათი მოგზაურობის მიზეზის დადგენამდე გადაყვანილ იქნენ ჯოუთსენოს ლტოლვილთა ბანაკში. ჯგუფის ხელმძღვანელის განაცხადების თანახმად, ისინი ცენტრალური ევროპიდან იტალიასა და საბერძნეთში გადასვლასა და შემდგომ თურქეთის გავლით საქართველოში დაბრუნებას გეგმავდნენ.

ქართული ტურისტული ჯგუფის დაკავებიდან რამდენიმე საათის შემდეგ საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ გაკეთებულმა ოფიციალურმა განცხადებამ დაადასტურა ფინეთის ოფიციალურ წარმომადგენელთა მიერ გამოთქმული ეჭვები და ამით კიდევ უფრო უარეს მდგომარეობაში ჩააყენა აღნიშნული ადამიანები.

როგორც საქართველოს სახალხო დამცველი ბატონი სოზარ სუბარი ამბობს, ქალბატონები საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდნენ, ვინაიდან რამოდენიმე საათის განმავლობაში ხდებოდა მათთვის ახსნა-განმარტებების ჩამორთმევა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლების მიერ. გასაუბრების პერიოდში ქალბატონები მოკლებულ იყვნენ ელემენტარულ პირობებს - მათ დაჯდომის საშუალებაც კი არ ჰქონდათ და დახურულ სივრცეში, რომელშიც იმყოფებოდნენ, უჰაერობის გამო ცუდად ხდებოდნენ. ასევე დაზარალებულთა ადვოკატის თქმით, ქალბატონებს დაკითხვისას შეურაცხმყოფელ კითხვებს უსვამდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელსა და დანარჩენ ადამიანებს მოეხსნათ წაყენებული ბრალდებები და გამოირიცხა ტრეფიკინგის შემთხვევა, რადგან ქალბატონების ფინეთის სახელმწიფოში შესასვლელად ყველა საჭირო დოკუმენტაცია ლეგალური იყო, ქართველები მაინც სამშობლოში დააბრუნეს და მორალურ შეურაცხყოფასთან ერთად მნიშვნელოვანი ფინანსური ზარალიც მიიღეს.

აქვე მნიშვნელოვანია აღინიშნოს ქართული ცნობიერებისა და საზოგადოებაში არსებული სტერეოტიპების არსებობა, იმ თვალსაზრისით, რომ საქართველოში პროსტიტუციის თემას ტაბუ აქვს დადებული და ქართული მენტალიტეტიდან გამომდინარე ოდნავი ეჭვიც კი მძიმე დაღს ასვამს ოჯახის წევრებსა და ოჯახის რეპუტაციაზე. შედეგად, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ ქალბატონებს არანაკლები პრობლემები შეექმნათ ოჯახის წევრების მხრიდანაც. ფინეთის ერთ-ერთი ელექტრონული გაზეთის „Helsinginsanomat"-ის ინფორმაციის თანახმად, როდესაც ჯგუფის ერთ-ერთი წევრი, ნატო ფორჩხიძე თბილისის აეროპორტიდან დაუკავშირდა მეუღლეს, ამ უკანასკნელმა ტელეფონით განუცხადა, რომ არ დაბრუნებულიყო სახლში, რადგან მას არ სჭირდებოდა ცოლი, რომელიც ფინეთში პროსტიტუციით იყო დაკავებული. შედეგად, ნატო ფორჩიძემ იმდენად დიდი სტრესი მიიღი, რომ ფსიქიატრის დახმარება დასჭირდა.

ასევე გაზეთისადმი მიცემულ ინტერიუში ჯგუფის წევრებმა განაცხადეს, რომ ფინეთის თანამდებობის პირები დაკითხვის ოქმზე ხელის მოწერას აიძულებდნენ და ასევე დაამატეს, რომ დაკითხვა ადვოკატისა და ქართველი თარჯიმანის გარეშე მიმდინარეობდა, ხოლო თვითონ ინტერვიუირება რუსულ ენაზე ხორციელდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთმა ქალბატონმა არ იცოდა რუსული.

ინფორმაციის მისაღებად თუ რა ღონისძიებები გაატარა საქართველოს მთავრობამ აღნიშნული ქალების დარღვეული უფლებების აღსადგენად, ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრმა არაერთხელ მიმართა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს როგორც პრეს-სამსახურის უფროსს, ასევე სხვა კომპეტენტურ პირებს. თუმცა, ჩვენი მცდელობა მიგვეღო რაიმე კომენტარი ამაო აღმოჩნდა საგარეო სამსახურის უწყების თანამშრომელთა მოუცლელობისა თუ არაკომპეტენტურობის გამო.

ადამიანის უფლებათა საპარლამენტო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ლალი ფაფიაშვილმა კი განგვიცხადა, რომ „ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკებები ფინეთის ომბუდსმენთან და მისი მეშვეობით ჩვენ ვცდილობთ ადექვატური ზომების გატარებას. იგულისხმება, რომ მოხდეს საჯაროდ ბოდიშის მოხდა, რაც პრაქტიკულად ფინეთმა უკვე გააკეთა. ასევე მოხდეს დაზარალებულებისთვის რაიმე სახის კომპენსაციების გაცემა, მაგრამ ეს არ არის მარტივი პროცედურა და შესამისად მისი განხორციელება გარკვეულ დროს საჭიროებს".

**ფინეთში ტრეფიკინგის ბრალდებით დაკავებული ქართველების საქმე დაიხურა**

***თბილისი.27.09.05.მედიანიუსი.*** პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე აცხადებს, რომ ცოტა ხნის წინათ ფინეთში ტრეფიკინგის ბრალდებით რამდენიმე ქართველი ქალის დაკავების საქმე ფინეთის პრეზიდენტთან ტარია ჰალონენთან მისი შეხვედრის შემდეგ დახურულია.

"სამწუხაროა, რომ ეს ქალბატონები ამ დღეში კონკრეტული თანამდებობის პირებისა და იმ ფირმების გამო აღმოჩნდნენ, რომლებმაც საქმის კურსში ისინი ბოლომდე არ ჩააყენეს. ეს ინციდენტი ამოწურულია და ვიმედოვნებ, რომ ქალბატონებს სწორ ინფორმაციას მიაწვდიან. ისინი შეცდომაში შეიყვანეს, რადგან ფინეთში ისინი ადგილობრივი და ევროკავშირის კანონმდებლობის დარღვევით გაამგზავრეს", _ აცხადებს ნინო ბურჯანაძე.

ფინეთის პრეზიდენტი ტარია ჰალონენი საქართველოს დღეს ეწვია. მან უკვე გამართა შეხვედრები პრეზიდენტ სააკაშვილთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან ნინო ბურჯანაძესთან.

**-ქალები და ბავშვები -**

*ქალები*

საქართველოში ერთადერთ უმძიმეს პრობლემას, რომელიც საკმარისად არ არის გაშუქებული, წარმოადგენს ქალების წინააღმდეგ მიმართული ოჯახური ძალადობა. სერიოზულია არა მხოლოდ პრობლემის სიდიდე, არამედ ის, რომ იგი "არ წარმოადგენს საკითხს განხილვისათვის", ანუ ტაბუა. ყველასთვის ცნობილია, მაგრამ მასზე არავინ საუბრობს. გამეფებული მენტალიტეტის თანახმად, ოჯახში არსებული პრობლემების მის გარეთ განხილვა დაუშვებელია. ქალებს, რომლებიც ოჯახური ძალადობის მსხვერპლნი არიან, მიყენებული ზიანის ანაზღაურების არანაირი შესაძლებლობა არ

გააჩნიათ; პოლიცია (მოგეხსენებათ, პოლიციელთა უმრავლესობა მამაკაცებია) არ ჩაერევა საქმეში და არანაირი ინსტიტუციური ღონისძიებანი არ ტარდება მათთვის დახმარების აღმოსაჩენად.

* * *

**პარლამენტარის ყოფილი მეუღლის უფლებებს არასამთავრობოები დაიცავენ**

***თბილისი.06.10.05.მედიანიუსი.*** პარლამენტარ გიორგი ჩახვაძის ყოფილი მეუღლე ოჯახური ძალადობის მსხვერპლია, - აცხადებენ ძალადობის საკითხებზე მომუშავე და ქალთა უფლებების დამცველი არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

როგორც დღევანდელ პრესკონფერენციაზე მათ აღნიშნეს, ეთერ ჭუმბურიძეს ყოფილი მეუღლე სისტემატიურად ფიზიკურ შეურაცხყოფას აყენებდა. იგი მეუღლისაგან იდევნებოდა, ჩამორთმეული ჰქონდა შვილების ნახვის უფლება, თუმცა საზოგადოება მხოლოდ მისი პარლამენტარი მეუღლის საუბარს ისმენს, ჭუმბურიძის აზრი კი იგნორირებულია. მის წარსულს არც გამოძიება ითვალისწინებს.

“იგი იმისათვის დაასამარეს ცოცხლად, რომ ჩამორთმეული აქვს ყველანაირი უფლება, არ აქვს ქონება და არ იცავს დეპუტატის იმუნიტეტი”, - ამბობს “კავკასიის ქალთა ქსელის” თავმჯდომარე ნინო ციხისთავი.

როგორც არასამთავრობოები აცხადებენ, დღეს საქართველოში ქალების 94 პროცენტი ოჯახური ძალადობის მსხვერპლია. ეს კერძო ხასიათის პრობლემა არ არის, იგი სოციალური პრობლემაა. თუმცა ამ საკითხს საზოგადოებაში სათანადო ყურადღება არ ექცევა. ეთერ ჭუმბურიძით კი საზოგადოება და მასმედია იმიტომ დაინტერესდნენ, რომ იგი პარლამენტარის ყოფილი მეუღლეა.

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები აპირებენ ეთერ ჭუმბურიძის გამოძიების პროცესზე მონიტორინგი განახორციელონ, რათა იგი ობიექტურად წარიმართოს, მათი სურვილია ასევე საზოგადოების დიდ ნაწილს მიაწოდონ სრული ინფორმაცია ამ გახმაურებულ შემთხვევაზე და მას ოჯახური ძალადობის პრობლემის გაცნობიერებაში დაეხმარონ.

ეთერ ჭუმბურიძე 1 ოქტომბერს დააკავეს. მას ბრალი ყოფილი მეუღლის მკვლელობის მცდელობასა და იარაღის უკანონო შეძენა-ტარებაში ედება. მას სასამართლომ უკვე შეუფარდა სამთვიანი პატიმრობა.

**პარლამენტარის ყოფილი მეუღლე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს**

***თბილისი.10.10.05.მედიანიუსი.*** თბილისის საოლქო სასამართლომ საქალაქო სასამართლოს 3 ოქტომბერს მიღებული გადაწყვეტილება შეცვალა და დეპუტატ გოჩა ჩახვაძის ყოფილ მეუღლისთვის ეთერ ჭუმბურიძისთვის შეფარდებული სამთვიანი პატიმრობა გააუქმა. ეთერ ჭუმბურიძე სასამართლო დარბაზიდან გაათავისუფლეს.

დაცვის მხარის მოთხოვნით დაინიშნა ბალისტიკური ექსპერტიზა, რომელმაც დაადგინა, რომ შემთხვევის ადგილიდან ამოღებულ "მაკაროვის" ტიპის ცეცხლსასროლი იარაღზე ჭუმბურიძის თითის ანაბეჭდები არ იყო.

გავრცელებული ინფორმაციით, ეთერ ჭუმბურიძემ გოჩა ჩახვაძეს 1 ოქტომბერს საკუთარ სახლში "მაკაროვის" პისტოლეტიდან 4 ტყვია ესროლა. მას მკვლელობის მცდელობა და იარაღის უკანონო ტარება ბრალდება.

ეთერ ჭუმბურიძე გამოძიებასთან აქტიურ თანამშრომლობას აპირებს.

*ბავშვები*

ბავშვთა უფლებათა პრინციპი, სჩანს, ზოგად ცნობიერებაში ჯერ კიდევ არ არის გამჯდარი. სხვათაშორის, მათი მდგომარეობის სპეციფიურობა და მათი მოთხოვნები არ არის საკმარისად აღიარებული და დაცული. ეს კიდევ უფრო მეტად ეხება განსაკუთრებით დაუცველ,- უპატრონო და უკიდურეს სიღარიბეში აღზრდილ ბავშვებს. მათ დასახმარებლად დღემდე გატარებული ღონისძიებანი არაეფექტურია. ბავშვები ხშირად კრიმინალურ გარემოში ხვდებიან ან მათი სექს-ინდუსტრიაში ექსპლუატირება ხდება. ასევე, ისინი ხშირ შემთხვევაში ნარკოტიკებზე ან ალკოჰოლზე დამოკიდებულნი ხდებიან.

* * *

**საქართველოში არასრულწლოვანთა ნაწილი შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლია**

***თბილისი.12.07.05.მედიანიუსი***. თბილისის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის გაფართოებულ სხდომაზე საქართველოში მცხოვრები განსაკუთრებული რისკის ქვეშ მყოფი ბავშვების პრობლემებზე იმსჯელეს.

საუბარი შეეხო კანონთან კონფლიქტში მყოფ ბავშვებს, ნარკომანიით, ტოქსიკომანიითა და ალკოჰოლიზმით დაავადებულ ბავშვებს, შრომითი და სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლ ბავშვებს.

საკითხი განსახილველად თბილისის მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრმა მოამზადა. როგორც ცენტრის ხელმძღვანელმა ბელა სარიამ აღნიშნა, ამგვარი ბავშვების პრობლემა ქვეყანაში სამმა ძირითადმა ფაქტორმა წარმოშვა: ქვეყანაში ბავშვებთან დაკავშირებული სოციალური პოლიტიკის არარსებობამ; სახელმწიფო მოხელეთა უსულგულობამ და მავანის მხრიდან მშობლის მოვალეობის თავიდან აცილებამ.

მერიის ბავშვთა უფლებების დაცვის საქალაქო ცენტრის აზრით, სათანადო უწყებებში უნდა ამოქმედდეს საკოორდინაციო სტრუქტურა, ასევე, შეიქმნას ბავშვთა დახმარების ერთიანი სადედაქალაქო პროგრამა.

ბელა სარიას თქმით, 2004 წ. ამ პროგრამის ძირითადი მიმართულებები თბილისის საკრებულომ განსახილველად მთავრობას გადასცა, მაგრამ ამ უკანასკნელმა არაფერი გააკეთა მის სარეალიზაციოდ.

"თუ ამგვარი პროგრამის შექმნით მთავრობა წელსაც არ დაინტერესდება, გაისად ქვეყანაში გაცილებით მძიმე მდგომარეობა შეიქმნება. არასრულწლოვანთა მიერ წელს ჩადენილი დანაშაულების რაოდენობა 40-ით აღემატება შარშან ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას. მთავრობის მხრიდან ამ საკითხის უგულებელყოფის შემთხვევაში ეს რიცხვი გაისად კიდევ უფრო გაიზრდება", - ამბობს სარია.

**ბავშვებს საქართველოში გააჩნიათ უფლებები?**

საქართველში ბავშვებს საერთოდ გააჩნიათ უფლებები?“ - ეს კითხვა ებადება რუმინელ ბებიას, რომელმაც თავისი შვილიშვილები ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე ბარაკებში მცხოვრებნი აღმოაჩინა ალკოჰოლით გაჟღენთილი ე.წ. „აღმზრდელის“ - ვალეასა და მამის - ალეარ მუსაევის ხელში.

ქ-ნი კლაუდია ბრიგიდინი რუმინეთიდან თბილისში 2005 წლის აგვისტოში ჩამოვიდა, რათა შვილის ოჯახი მოენახულებინა და უფროსი ბიჭი სკოლაში მისასვლელად გაემზადებინა. მან ორი მცირეწლოვანი შვილიშვილი „აფრიკის“ დასახლებაში არსებული ნაგავსაყრელის ტერიტორიაზე ე.წ. ბარაკებში აღმოაჩინა.

როგორც კლაუდია ბრიგიდინი და მისი დაცვის მხარე მოგვითხრობს, მამა უფროს ვაჟს აიძულებდა ემათხოვრა და ნაგვის ყუთებიდან რკინის ნაჭრების შეგროვებაში დახმარებოდა. ბებიისგან გამოგზავნილ ტანსაცმელს კი მუსაევი ჰყიდდა და ალკოჰოლის შესაძენად ხარჯავდა. შიმშილობასა და ჩაუცმელობას ისიც ემატებოდა, რომ მუსაევის საყვარელი, ე.წ. „აღმზრდელი“ ბავშვებს გამუდმებით სცემდა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო: კლაუდიას ქალიშვილი იულიანა სტეპანოვა ალეარ მუსაევზე უკრაინაში, ოდესაში დაქორწინდა. ისინი მუსაევის მშობლების მიწვევით საქართველოში გაემგზავრნენ, სადაც მათ ისინი ბინას და სამსახურს პირდებოდნენ.

საქართველოში დაბრუნებული წყვილი უკიდურეს სიღატაკეში აღმოჩნდა, სადაც მათ ორი ბავშვი შეეძინათ. ქმარი იულიას სცემდა და აიძულებდა სექსუალური ურთიერთობა ჰქონოდა ალეარის ძმასთან, ემუშავა და ნებისმიერი ხერხით შემოეტანა ოჯახში ფული. მსგავს გაუსაძლის პირობებში, სადაც მას მუდმივად სცემდნენ, ამცირებდნენ და შეურაცხყოფას აყენებდნენ იულია ვეღარ გაჩერდა და სახლიდან გაიქცა იმ იმედით, რომ ნორმალური პირობების შექმნის შემდეგ ბავშვებსაც წამოიყვანდა იმ არაადამიანური გარემოდან. გარკვეული დროს შემდეგ, იულიამ მართლაც წაიყვანა შვილები, მაგრამ ალეარმა, თავის ძმასთან ერთად, მოახერხა ბავშვების უკან დაბრუნება, სადაც მცირეწლოვნები კვლავ საშინელ პირობებში აღმოჩნდნენ. მამა მათ შემოსავლის წყაროდ იყენებდა. მშიერ-მწყურვალ და ჩაუცმელ ბავშვებამდე კი რუმინელი ბებიის გამოგზავნილი ფული და ტანსაცმელი ვერ აღწევდა.

თბილისში ჩამოსულმა კლაუდიამ ქალიშვილისა და მისი ნაცნობის - მამედ ლატარიას თანხლებით, შვილიშვილები მოინახულა. ზემოთმონათხრობი პირობების ნახვით შოკირებულმა ბებიამ გადაწყვიტა ბავშვების პატრონობა ეკისრა. მოგვიანებით ყოფილ სიძესაც შეუთანხმდა და ბავშვები აღნიშნული ნაგავსაყრელის ტერიტორიიდან წამოიყვანა, თუმცა ორი დღის შემდეგ მუსაევმა აზრი შეიცვალა და კლაუდიას ბავშვების მოტაცებაში დასდო ბრალი.

„ერთ დღეს, ჩემს შვილიშვილებთან ერთად ზოოპარკში ვსეირნობდი, როცა პოლიციამ (მე-7 განყოფილება) დამირეკა მობილურზე. პოლიციელმა მითხრა, რომ ჩემი შვილიშვილების მამამ საჩივარი შეიტანა პოლიციაში, თითქოსდა მე ბავშვები მომეტაცოს. მათ მთხოვეს მივსულიყავი განყოფილებაში და მიმეყვანა ბავშვებიც. რა თქმა უნდა, მე მივედი მათთან რაკი არანაირი განზრახვა ბავშვების მოტაცების არ მქონდა. მე მათი წაყვანა ლეგალურად მინდოდა, ყოველგვარი საჭირო დოკუმენტის გაკეთებითა და მშობლების თანხმობით. რათა დამემტკიცებინა, რომ არ ვმალავდი ბავშვებს და ისინი ჩემთან მშობლების თანხმობით იყვნენ და რომ ამ დღეების განმავლობაში მე მათ ყველაფერი მივეცი, რაც სჭირდებოდათ, წავედი პოლიციის განყოფილებაში“,- მოგვითხრობს კლაუდია წერილში, რომელიც მან ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრს დახმარების თხოვნით გამოუგზავნა.

რაკი კლაუდიამ თავისი ქალიშვილი ტელეფონთან ვერ დაიჭირა იმ მომენტისათვის, იგი იძულებული იყო ბავშვები მამისთვის გადაეცა, რომელიც შვილებთან ერთად იმავე დღეს გაუჩინარდა. ხანგრძლივი უშედეგო ძებნის შემდეგ, რომელშიც კლაუდიამ თითქმის ყველა სათანადო უწყება ჩარია განათლების სამინისტროს სოცმუშაკების ჩათვლით, მან ბავშვები ვერც იმ მისამართზე აღმოაჩინა, რომელიც მუსაევმა პოლიციაში დატოვა.

დაახლოებით ერთი თვის მანძილზე დედას და ბებიას არ ქონდათ არანაირი ინფორმაცია ბავშვების შესახებ. მოგვიანებით, მუსაევმა ბავშვები აფრიკის დასახლებაში დააბრუნა, თუმცა დროებით. დღესდღეობით ბავშვების ადგილსამყოფელი კვლავაც უცნობია. არავინ უწყის სად აფარებენ ზამთრის სუსხს თავს უსუსური მცირეწლოვანები. პოლიციის უმოქმედობა კი კიდევ უფრო უწყობს ხელს, რომ უფლებები, რომელიც ამ ორ ბავშვს გააჩნია, მუდმივად ირღვეოდეს - არ ჰქონდეთ უსაფრთხო თავშესაფარი, ნორმალური კვება, სამედიცინო მომსახურება, განათლების უფლება და ა.შ. შვილიშვილების ბედით გამწარებული ბებია კი კვლავაც სვამს კითხვას: „ნუთუ საქართველოში ბავშვებს უფლებები არ გააჩნიათ?!“

## - კონფლიქტური რეგიონები -

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფაქტიური დამოუკიდებლობის შედეგად, კონფლიქტში მონაწილე სხვადასხვა მხარეებს შორის თვალშისაცემი დაძაბულობა არსებობს. ეს არა მხოლოდ აბსტრაქტულ, პოლიტიკურ დონეზე აისახება, არამედ საზღვრისპირა და თვითგამოცხადებულ რესპუბლიკათა ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანთა რეალურ ცხოვრებაზედაც. არსებული მღელვარება ხანდახან ნამდვილი ინციდენტების სახეს იღებს. თუმცა, ფრთხილად უნდა ვიყოთ, რათა არ გადავაჭარბოთ ამ გამოხატულებათა წმინდა ეთნიკური განზომილებების განსაზღვრისას. მაგალითად, არსებობს მტკიცებულებები ამ რეგიონებში რამდენიმე მრავალეროვანი კრიმინალური დაჯგუფების მოქმედების თაობაზე, რომლებიც შექმნილი არასტაბილური მდგომარეობით სარგებლობენ. ამას, კიდევ რუსი სამშვიდობო ძალების ყოფნა მეტ დაძაბულობას მატებს, რადგანაც მათი ნამდვილი დანიშნულება საკმაოდ ნათელია.

რუსეთთან გვერდით, რომელსაც რეგიონების დაცვის ნიღაბქვეშ საკუთარი ინტერესები ამოძრავებს, საქართველოს ხელში ამ ტერიტორიების დაბრუნების საკითხის ძალისმიერი გზით გადაწყვეტა, როგორც სააკაშვილმა 2004 წელს სამხრეთ ოსეთში სცადა, ნაკლებად მოიტანს მოგებას,პირიქით გაზრდის დაძაბულობას, თანამდევი შედეგებით. ქვეყნის დანარჩენი ნაწილების განვითარებისათვის ხელშეწყობა და კარგი ურთიერთობის პოლიტიკის გატარება უფრო ნაყოფიერი და მშვიდობიანი იქნება. საბოლოოდ, ცივი ომის განმავლობაში, დასავლეთ გერმანიას აღმოსავლეთ გერმანიის მიმართ გატარებული"ოსტპოლიტიკა" ქვეყნის გაერთიანებაში დაეხმარა. როგორც კი საქართველოს ექნება რაიმე რეგიონებისათვის შესათავაზებლად, ამ უკანასკნელთა საქართველოს მხარეს რეორიენტირების შანსი დიდად გაიზრდება. ამ ეტაპზე ხელახალი გაერთიანებისაკენ ბიძგი მხოლოდ შიშის ატმოსფეროს გაზრდის, რომელმაც ძალზედ არასასურველ შედეგებამდე შეიძლება მიგვიყვანოს.

* * *

**აფხაზეთში რუსმა სამშვიდობოებმა 25 წლის ლაშა ბიგვავა წამებით მოკლეს**

***თბილისი.21.04.05.მედიანიუსი***. ჭუბურხინჯში გამართულ მორიგ ოთხმხრივ შეხვედრაზე მხარეებმა ტრადიციულად განვლილი კვირა შეაფასეს და აღნიშნეს, რომ კონფლიქტის ზონაში ვითარება მშვიდი იყო .

სხდომაზე კოლექტიური სამშვიდობო ძალების ახალი სარდალი სერგეი ჩაბანი წარადგინეს. შეხვედრაზე ქართულმა მხარემ გალის რაიონის სოფელ ღომურიში სოფლის გამგებლის შვილის, 25 წლის ლაშა ბიგვავას მკვლელობის ფაქტის დაუყოვნებლივ გამოძიება მოითხოვა.

ლაშა ბიგვავა რუსმა "ცისფერჩაფხუტიანებმა" სახლიდან გაიყვანეს და წამებით მოკლეს. მკვლელობამდე გამგებლის ვაჟს რამდენიმე ახალგაზრდასთან ერთად "მშვიდობის მყოფელებთან" შელაპარკება მოუვიდა, რის შემდეგაც რუსმა სამხედროებმა მათ სახლში მიაკითხეს.

კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ "მედიანიუსს" განუცხადა, რომ აღნიშნული მკვლელობის ფაქტს ოთხმხრივი საგამოძიებო ჯგუფი გამოიძიებს.

ოთხმხრივი შეხვედრა ჭუბურხინჯში ტრადიციულად ერთ კვირაში გაიმართება.

**აფხაზებმა სამი ქართველი გაიტაცეს**

***თბილისი.19.05.05.მედიანიუსი***. გალის რაიონის სოფელ ნაბაკევთან აფხაზებმა სამი ადამიანი გაიტაცეს. ხურჩელები სპარტაკ ჟღერია, ზვიად ფარცვანია და არკადი ტაბაღუა აფხაზებს მძევლად ჰყავთ აყვანილი და გათავისულების სანაცვლოდ ორასი ათას დოლარს ითხოვენ. ამის შესახებ აფხაზებმა ერთ-ერთი გატაცებულის ოჯახის წევრს აცნობეს.

ჭუბურხინჯის ტრადიციულ ოთხმხრივ შეხვედრაზე სამეგრელო-ზემო სვანეთის რწმუნებულმა კახა არდიამ აფხაზური მხარისაგან დღეს გამთენიისას გალის რაიონის სოფელ ნაბაკევიდან გატაცებული სამი ქართველის უპირობო გათავისუფლება მოითხოვა.

გატაცების ფაქტს ქართველი სამართალდამცველები ჯართის ბიზნესს უკავშირებენ. ჭუბურხინჯის სხდომაზე აფხაზურმა მხარემ განაცხადა, რომ გატაცების ფაქტი ჯართის ბიზნესთან დაკავშირებული კრიმინალური გარჩევების შედეგია.

ზვიად ფარცვანია კომანდოს ბატალიონის წევრია და როგორც ამბობენ, მძევლების შორის შემთხვევით მოხვდა. ის კოსოვოში ქართულ სამშვიდობო კონტინგენტში მსახურობდა, საიდანაც საქართველოში ერთი კვირის წინათ დაბრუნდა.

**აფხაზურ ჯარზე უარის გამო ქართველი ახალგაზრდა ცემით მოკლეს**

***თბილისი.06.11.05.მედიანიუსი.*** აფხაზეთში ცემის შედეგად 21 წლის ქართველი, დანიელ წურწუმია დაიღუპა.

დანიელ წურწუმია სოფელ გაგიდას მკვიდრი იყო, საიდანაც ის აფხაზურმა 60-კაციანმა შეიარაღებულმა ჯგუფმა სოხუმში გაიტაცა. წურწუმია იქ ე.წ. აფხაზურ ჯარში იძულებით გაიწვიეს. ფიცის მიღებაზე უარის თქმის გამო, იგი სასტიკად სცემეს, რის შედეგადაც გარდაიცვალა.

ამასთან დაკავშირებით, საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა სპეციალური განცხადება, რომელშიც ნათქვამია, რომ აფხაზეთში და განსაკუთრებით გალის რაიონში დსთ-ს სამშვიდობო ძალების მიერ კონტროლირებად ზონაში მასობრივი ხასიათი მიიღო ეთნიკური ქართველების უფლებების დარღვევამ.

“აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ დსთ-ს სამშვიდობო ძალები ვერ ან არ ასრულებენ მათზე მანდატით დაკისრებულ ვალდებულებებს ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და სრულ უმოქმედობას იჩენენ მათ თვალწინ მომხდარ ადამიანის უფლებების უხეში დარღვევების ფაქტებზე”, _ ნათქვამია განცხადებაში.

**გალში ორი ქართველი ცემით მოკლეს**

***გალი.18.11.05.მედიანიუსი.*** გალის რაიონის სოფელ ციდასთან აფხაზური შეიარაღებული დაჯგუფების წევრები ტყეში შეშის მოსაგროვებლად შესულ ორ ქართველს თავს დაესხნენ. აფხაზები გალის მილიციის გაუჩინარებული თანამშრომლის ოთარ ჯგერენაიას ადგილსამყოფელის დადგენას მოითხოვდნენ. მათ ქართველები სასტიკად სცემეს და მოკლეს.

"მედიანიუსთან" საუბრისას კონფლიქტის ზონაში ქართული მხარის სამხედრო დამკვირვებელმა ვალერი ჯაფარიძემ განაცხადა, რომ მოკლული ქართველებისა და თავდამსხმელების ვინაობა დგინდება.

"ჯერ მხოლოდ ის ვიცით, რომ ისინი ცემით არიან მოკლული. საქმეს გალის აფხაზური მილიცია და გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის წარმომადგენლები იძიებენ," - აცხადებს ვალერი ჯაფარიძე.

**რუსმა სამშვიდობოებმა საქართველოს მოქალაქე დაჭრეს**

***თბილისი.15.11.05.მედიანიუსი.*** გორი-ცხინვალის საავტომობილო მაგისტრალზე შერეული სამშვიდობო ძალების რუსული ბატალიონის წევრებმა მეღვრეკისის საგუშაგოდან მიმავალი ავტომობილის მგზავრებს ცეცხლი გაუხსნეს.

გარდაბნელი ვადალ მამედოვი, რომელიც ავტომანქანას მართავდა, თავის არეში დაიჭრა. მისი მდგომარეობა ამჟამად არცთუ მძიმეა. რუსი სამშვიდობოების ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ ცეცხლი მაშინ გაიხსნა, როცა მძღოლი მათ არ დაემორჩილა, თუმცა საპირისპიროს ამტკიცებს ვადალ მამედოვი. მისი თქმით, რუს მშვიდობისმყოფელებს ავტომანქანის გაჩერება არ მოუთხოვიათ.

"სასტვენით და ხელის აწევით ჩემთვის ავტომანქანის გაჩერება არავის უნიშნებია. როგორც კი საგუშაგოს გავცდი, უკნიდან მესროლეს", - აცხადებს ვადალ მამედოვი.

მეღვრეკისის საგუშაგოზე სამშვიდობო ძალების სარდალი, გენერალი მარად კულახმეტოვი მივიდა, რომელმაც ინციდენტი უკომენტაროდ დატოვა. როგორც "მედიანიუსს" შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის სარდალმა პაატა ბედიანიშვილმა განუცხადა, რუსებმა ავტომანქანას უმიზეზოდ გაუხსნეს ცეცხლი.

"ამჟამად მიმდინარეობს მოკვლევა და თუ დანაშაული გამოიკვეთება, მის მიმართ ზომები გატარდება, თუმცა ეს ქართული მხარის კომპეტენციაში არ შედის და რუსულმა მხარემ უნდა გააკეთოს", _ აცხადებს პაატა ბედიანაშვილი.

დაჭრილ ვადალ მამედოვს სამედიცინო დახმარება საველე პოსტის სამხედრო ექიმებმა აღმოუჩინეს.

**ცხინვალში სამი ქართველი გაიტაცეს**

***თბილისი.07.06.05.მედიანიუსი.*** დაუდგენელმა პირებმა ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში სოფელ ქურთას მკვიდრი სამი ქართველი - დავით, მამუკა და ჰამლეტ ხაჭაპურიძეები გაიტაცეს. გავრცელებული ინფორმაციით, ისინი ცხინვალში სატვირთო ავტომანქანის შესაძენად იმყოფებოდნენ, სადაც მოგვიანებით გაიტაცეს.

გატაცების ფაქტს კონფლიქტების მოგვარების საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატიც ადასტურებს.

შიდა ქართლის სამხარეო პოლიციის უფროსის ვლადიმერ ჯუღელის ინფორმაციით, ამ დროისთვის გატაცებულთა ადგილსამყოფელი და გატაცების მოტივი უცნობია. მათ ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები და კონფლიქტის ზონაში მყოფი სამშვიდობო ძალები ეძებენ.
ერთ-ერთი ვერსიით, ქართველები მძევლად ოსმა შეიარაღებულმა პირებმა აიყვანეს.

**დაკავებულ ოსებს ფიზიკური დაზიანებები აღმოაჩნდათ**

***თბილისი.03.10.05.მედიანიუსი.*** ქართულ-ოსური კონფლიქტის ზონაში, კერძოდ სოფელ ბერულაში მომხდარი ინციდენტის დროს დაკავებულ ოსი ეროვნების ეჭვმიტანილებს ფიზიკური დაზიანებები აღმოაჩნდათ. ამასთან დაკავშირებით გენერალურ პროკურატურაში სისხლის სამართლის საქმე აღიძრა.

შინაგან საქმეთა სამინისტროს ადამიანის უფლებათა დაცვის სამსახურის უფროსი შოთა ხიზანიშვილი აცხადებს, რომ ის პოლიციელები, რომლებიც დაკავებული ოსების მიმართ ფიზიკური დაზიანებების მიყენებაში იქნებიან მხილებულნი, კანონის მთელი სიმკაცრით დაისჯებიან.

ანალოგიური განცხადება კეთდება გენერალურ პროკურატურაშიც. გენპროკურატურის ადმინისტრაციული უფლებათა დაცვის მონიტორინგის სამსახურის უფროსი თამარ თომაშვილი აცხადებს, რომ აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით წინასწარი გამოძიება დაიწყო, რომელსაც გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილი ხელმძღვანელობს.

თამარ თომაშვილი ჯერჯერობით ვერ ასახელებს იმ პოლიციელების ვინაობას, რომლებიც ოსი ეჭვმიტანილებისთვის მიყენებული ფიზიკური დაზიანებების გამო პასუხისგებაში მიეცემიან. "წინასწარი გამოძიების საფუძველზე აღინიშნება, რომ იკაევს და ზასაევს სხეულზე დაზიანებები აქვთ", _ აცხადებს თამარ თომაშვილი.

როგორც ცნობილია, სეპარატისტული ცხინვალის მილიციის თანამშრომლები მაშინ დააკავეს, როცა მათ ავტომანქანიდან სოფელ ბერულას მოსახლეობას ცეცხლი გაუხსნეს, რის შედეგადაც ორი ქართველი დაიჭრა.

**სამართალდამცავებმა ოსი ჟურნალისტი სასტიკად სცემეს**

***თბილისი.04.01.05.მედია-ნიუსი.*** სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის ე.წ. სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებმა 30 დეკემბერს სასტიკად სცემეს ცხინვალში მოქმედი არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰუმანიტარული კვლევების ცენტრის“ დირექტორი, ჟურნალისტი ალან ფარასტაევი.

იგი ცხინვალის საავადმყოფოში ტვინის შერყევის დიაგნოზით მოათავსეს და ამ დროისთვის ცხინვალის საავადმყოფოს რეანიმაციის განყოფილებაში უგონო მდგომარეობაში იმყოფება.

როგორც ფარასტაევის კოლეგები აცხადებენ, იგი ოსი სამართალდამცავებისგან ქართული სოფლების მიმართულებით ჰუმანიტარული ტვირთის გატარებას მოითხოვდა.

როგორც ფარასტაევის მეუღლე ანა ჩოჩიევა აცხადებს, მას ტვინი აქვს დაზიანებული, თუმცა საავადმყოფოში არ აქვთ შესაბამისი აპარატურა, რომლითაც ტომოგრაფიის გადაღება და ზუსტი დიაგნოზის დასმა გახდება შესაძლებელი. ვერ ხერხდება მისი ვლადიკავკაზში გადაყვანაც, რადგან ექიმები ტრანსპორტირების ნებართვას არ იძლევიან.

ოსური არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ცემის ფაქტის სასწრაფო გამოძიებასა და დამნაშავის დასჯას მოითხოვენ.

სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრმა რობერტ გულიევმა უკვე გასცა ბრძანება ცემის ფაქტზე სამსახურებრივი მოკვლევის დაწყების შესახებ.

## - სოციალურ-ეკონომიკური საკითხები -

ეჭვგარეშეა, რომ  საზოგადოების უამრავი სენი პირდაპირ კავშირშია მის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ეტაპთან. ასევე, თავისუფლად შეგვიძლია ვამტკიცთ, რომ ადამიანის უფლებებთან დაკავშირებული სხვადასხვა სახის პრობლემების გადაჭრის მცდელობები ბოლომდე წარმატებული ვერ იქნება მანამ, სანამ მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტები და სამომავლო პერსპექტივები არ გაუმჯობესდება. როგორც ჩანს, ამჟამინდელმა მთავრობამ დღემდე ზოგადად ეკონომიკური ჩაურევლობის პოლიტიკა აირჩია. "Laissez faire" (ჩაურევლობის) არგუმენტებს რა თქმა უნდა თავისი გამართლება აქვს, მაგრამ ასევე, ინდიფერენტულობის, საკუთარი ბიზნეს ინტერესების დაცვისა და გონებრივი მოუქნელობის სუნიც ასდის.

საკმაოდ უცნაური არ არის ის, ფაქტი, რომ ქვეყანაში, სადაც უმუშევრობის არასახარბიელო მაჩვენებლებია და სადაც, დაახლოებით, მოსახლეობის ნახევარი ნამდვილ სიღარიბეში ცხოვრობს, ამერიკის შეერთებული შტატების თეთრი სახლით შთაგონებული, პრეზიდენტის გრანდიოზული რეზიდენცია შენდება და ასევე, გასაკვირი არ არის, ის, რომ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებული შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტი გაუქმებულია? მსგავსი რამეები და ფულის არა ხალხის ცხოვრების კონსტრუქციული გაუმჯობესების, არამედ, "კოსმეტიკურ" პროექტებზე დახარჯვის მაგალითები, მოქალაქეებს ანიჭებს იმის შეგრძნებას, რომ ეს უკნასკნელნი დავიწყებულნი არიან, მათზე არ ზრუნავენ და პატივს არ სცემენ. სამთავრობო სტრუქტურებში მიმდინარე რეორგანიზაციების საფუძველზე მასობრივად განთავისუფლებულ საჯარო მოსამსახურეთა დასახმარებლად ნორმალური ღონისძიებების არ არსებობა, ცეცხლზე ნავთს ასხამს.

* * *

**ადამიანური განვითარების ინდექსით საქართველო მე-100 ადგილზეა**

***თბილისი. 8 სექტემბერი. „ჯი-ეიჩ-ენი“.*** ადამიანური განვითარების ინდექსით, საქართველო მე-100 ადგილზეა. ამის შესახებ გაეროს ადამიანური განვითარების პროგრამის ყოველწლიურ მოხსენებაშია აღნიშნული.

მოხსენებით, გამოკვლეული  177 ქვეყნიდან რუსეთს 62-ე ადგილი, ბელორუსს - 67-ე, უკრაინას - 78-ე, ყაზახეთს - მე-80-ე სომხეთს - 83-ე, თურქმენეთს - 97-ე, აზერბაიჯანს - 101-ე, ყირგიზეთს - 109-ე, უზბეკეთს - 111-ე, მოლდავეთს -115-ე, ტაჯიკეთს - 122-ე ადგილი უკავია.

გამოკვლევის კრიტერიუმებად ექსპერტებს ერის ფიზიკური ჯანმრთელობა, სოციალური დაცულობა, თითოეულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობა, განათლებისა და კულტურის დონე, ეკოლოგიური სიტუაცია ჰქონდათ აღებული.

აღნიშნული პარამეტრების მიხედვით, უმაღლესი შეაფასება ნორვეგიამ, ისლანდიამ, ავსტრიამ, ლუქსენბურგმა და კანადამ აიღო. აშშ-მ და იაპონიამ, გასულ წლებთან შედარებით, თითო საფეხურით დაიწიეს უკან და, შესაბამისად, მე-10 და მე-11 ადგილები დაიკავეს.

მაღალი განვითარების ქვეყნების სიაში შევიდა ბალტიისპირეთის ყველა ქვეყანა, კერძოდ, ესტონეთმა -38-ე, ლიტვამ -39-ე, ლატვიამ -48-ე ადგილი დაიკავა.

32 ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში შედის: მალი, ბურკინა-ფასო, სიერა-ლეონე და ნიგერია.

**საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს**

***თბილისი.27.09.05.მედიანიუსი***. მსოფლიო ბანკის ახალ ანგარიშში, სახელწოდებით "ათასწლეულის განვითარების მიზნები: ევროპისა და ცენტრალური აზიის პროგრესი და პერსპექტივები" ნათქვამია, რომ საქართველოს მოსახლეობის თითქმის ნახევარი სიღარიბის ზღვარს მიღმა ცხოვრობს.

ასეთია რუსეთში მოსახლეობის 20 პროცენტი, ყაზახეთში კი _ 10 პროცენტი. მსოფლიო ბანკის ანგარიშის მიხედვით, აზერბაიჯანის გარდა, ამ სივრცეში ვერცერთი სახელმწიფო ვერ შეძლებს 2015 წლამდე სიღარიბის დონის ორჯერ შემცირებას.

მსოფლიო ბანკი ეკონომიკური განვითარების სექტორის უფროსი არუპ ბანერჯი აცხადებს, რომ აღმოსავლეთ ევროპისა და ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებში შიდსის და ტუბერკულიოზის ეპიდემია ინტენსიურად ვრცელდება. მისი თქმით, უხარისხო სასმელი წყალი, რომელსაც ამ ქვეყნებში იყენებენ, ჯანმრთელობისთვის მეტად საშიშია. სომხეთის, მოლდოვას, სერბიისა და ჩერნოგორიის უმრავლეს ოჯახს წყალი დღეში 2-4 საათი მიეწოდება.

მსოფლიო ბანკის ანგარიშში ასევე წერია, რომ დამაიმედებელი მდგომარეობაა მოსახლეობის განათლებისა და სქესთა თანასწორობის საკითხებთან დაკავშირებით. მსოფლიო ბანკი ამას საბჭოთა ეპოქის დადებით მემკვიდრეობად აფასებს.

**სოციალურად დაუცველ ოჯახებს სახელმწიფო დაეხმარება**

***თბილისი.09.10.05.მედიანიუსი.*** სიღატაკის დასაძლევად 2006 წლიდან საქართველოში ახალი პროგრამა ამოქმედდება. ეს არის სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების სახელმწიფო პროგრამა. მისი პრეზენტაცია დღეს ფილარმონიაში შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ და დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ გამართეს.

როგორც ჯანდაცვის მინისტრმა ლადო ჭიპაშვილმა განაცხადა, პროგრამის უმთავრესი მიზანი საზოგადოების უღატაკესი ფენის გამოვლენა და მისთვის შესაბამისი დახმარების აღმოჩენაა.

პროგრამა იძლევა სახელმწიფო რესურსების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას. სოციალურად დაუცველი ოჯახების სოციალური მდგომარეობის შესწავლას ქვეყნის მასშტაბით ხვალიდან 300-ზე მეტი სოციალური აგენტი შეუდგება. ისინი დასაქმების სახელმწიფო სააგენტომ ღია კონკურსის წესით შეარჩია.

სოციალური აგენტები შევლენ ყველა იმ ღარიბ ოჯახში, რომლებმაც განაცხადი თავიანთ მძიმე სოციალურ მდგომარეობაზე მონაცემთა ერთიან ბაზაში შეიტანეს. ამ დროისათვის აღრიცხულია 153 ათასი ასეთი ოჯახი.

ლადო ჭიპაშვილი ვარაუდობს, რომ 2006 წლის მარტისთვის სოციალურ აგენტებს სოციალურად დაუცველი ოჯახების მდგომარეობის შესახებ ძირითადი მონაცემები უკვე მოპოვებული ექნებათ.

მონაცემთა ბაზის ფორმირების შემდეგ კი შესაძლებელი გახდება სხვადასხვა სოციალური და ჯანდაცვის პროგრამის განხორციელება. მათ შორის უმთავრესი სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი მოსახლეობის დახმარება იქნება. ასეთები კი დღეს ქვეყნის მოსახლეობის 10 პროცენტს აღემატებიან.

პრეზენტაციაზე მყოფმა პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა ამ პროგრამას პირველი მიზნობრივი სოციალური პროგრამა უწოდა. მისი თქმით, ამ და სოციალურად დაუცველთა ჯანდაცვის პროგრამებისთვის 2006

წლის სახელმწიფო ბიუჯეტში 75 მლნ. ლარი გამოიყოფა. ახალი პროგრამა 10 წლის განმავლობაში განხორციელდება. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ პერიოდში ძირეულად შეიცვლება ქვეყნის სოციალური ვითარება, ანუ სიღატაკის ზღვარს მიღმა მყოფი ოჯახები საქართველოში აღარ იარსებებენ, _ აღინიშნა პრეზენტაციაზე.

**სახელმწიფო მოსახლეობის შრომისა და დასაქმების ვალდებულებებზე უარს ამბობს**

ადამიანის უფლებათა ცენტრში გამართულ პრესკონფერენციას შრომის ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს 15 თანამშრომელის თანამდებობა შეეწირა. შრომისა და დასაქმების პოლიტიკის დეპარტამენტის თანამშრომლები კანონპროექტის მოსალოდნელ ცვლილებებს აკრიტიკებდნენ, რომელიც სოციალური დაცვის დასაქმების სახელმწიფო სამსახურის გაუქმებას, უმუშევართა შემწეობებისა და უმუშევართა ხელშეწყობის ყველა ღონისძიების შეწყვეტას, დასაქმების პროგრამებისა და შრომის ინსპექციის გაუქმებას ითვალისწინებს.

აღნიშნულ ცვლილებებთან დაკავშირებით დეპარტამენტის თანამშრომლებმა საქართველოს პრეზიდენტს, პარლამენტის თავმჯდომარეს და პრემიერ მინისტრს წერილით მიმართეს, სადაც ახლადშექმნილი შრომის კოდექსის და კანონმდებლობაში ცვლილებების პროექტისადმი საკუთარ უარყოფით დამოკიდებულებას გამოხატავენ.

აღნიშნული ცვლილებების მიღება გამოიწვევს "დასაქმების სახელმწიფო სამსახურის" გაუქმებას, რომლის საქმიანობაც ფაქტობრივად სიღატაკის დაძლევის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებების რეალიზაციით არის შემოფარგლული; უმუშევართა შემწეობებისა და უმუშევართა ხელშეწყობის ყველა ღონისძიების შეწყვეტას; უმუშევართა სოციალური დაცვისა და დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამების გაუქმებას; შრომის ინსპექციის გაუქმებას, რომლის დანიშნულებაა ქვეყანაში შრომის კანონმდებლობის დაცვაზე სახელმწიფო კონტროლი.

დეპარტამენტის თანამშრომლების განცხადებით, საქართველოში სიღარიბის განმაპირობებელი მთავარი მიზეზი უმუშევრობაა და აუცილებელია დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის შემუშავება.

სამინისტროში დაბრუნების შემდეგ წინასწარი გაფრთხილების გარეშე დისციპლინარული გადაცდომის მოტივით თანამდებობა ოთხივე თანამშრომელს დაატოვებინეს. ისინი სამინისტროს პოლიტიკის კრიტიკისათვის დაისაჯნენ.

"ეს არის ყოვლად გაუმართლებელი ფაქტი, მათ კანონმდებლობის ყოველგვარი მოთხოვნის უგულვებელყოფით დასაჯეს ის თანამშრომლები რომლებმაც თავიანთი მოსაზრება გაავრცელეს კონკრეტულ ფაქტთან დაკავშირებით. ამ ფაქტით ილახება საჯარო მოსამსახურის უფლება, ეს არის ერთ დღეში დაწერილი ბრძანება პრესკონფერენციაზე რეაგირების სახით რაც გაუქმებას ექვემდებარება და სასამართლო აღადგენს ამ ხალხს",- აცხადებს ადამიანის უფლებათა ცენტრის იურისტი გიგა გიორგაძე.

შრომისა და დასაქმების დეპარტამენტში სამინისტროს მიერ ჩატარებული კონკურსგამოვლილი თანამშრომლები მუშაობენ. კანონმდებლობის თანახმად, ისინი 3-4 წლის განმავლობაში არ ექვემდებარებიან ატესტაციას, მიუხედავად ამისა, 29 ნოემბრიდან ისინი ისევ გააფრთხილეს მოსალოდნელი შემცირების შესახებ.

"ხდება ფსიქოლოგიური ზეწოლა, ამ სტრესული მდგომარეობის ფონზე ვმუშაობდით, 2 წლის განმავლობაში ყოველთვის გვაფრთხილებდნენ, რომ იქნება შემცირება ჩვენ მრავალჯერ დავწერეთ განცხადება, შემდეგ ჩატარდა კონკურსი და კონკურსის შემდეგაც იგივე პრობლემის წინაშე ვდგებით",- განაცხადა პრესკონფერენციაზე სოციალური ეკონომიკური ნორმატივების სამმართველოს უფროსმა თემურ ჩავლეიშვილმა. მოსალოდნელ ცვლილებებს ადამიანის უფლებათა ცენტრიც აკრიტიკებს. იურისტი გიგა გიორგაძის განცხადებით, "სახელმწიფოს მიერ ამ გადაწყვეტილების მიღება მასობრივი უმუშევრობის ფონზე ხდება. ნაცვლად იმისა რომ გაძლიერდეს შრომისა და დასაქმების სამსახური, ხდება მისი როლის დაკნინება, რაც გვაფიქრებინებს რომ სახელმწიფო უარს აცხადებს დასაქმების ვალდებულების შესრულებაზე, ასევე იმ ვალდებულებებზე, რომელიც საქართველოს კონსტიტუციის 30-ე და 32-ე მუხლებით, ასევე შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის მოთხოვნებით და სხვა მრავალი საერთაშორისო დოკუმენტებით ნაკისრი აქვს."

კანონპროექტში ცვლილებების პროექტის ავტორი მინისტრის მოადგილე ვახტანგ მეგრელიშვილია. იგი დეპარტამენტის გაუქმებას არაეფექტური მუშაობით ხსნის, მისი განცხადებით "ეს იყო ბიუროკრატიული გადმონაშთი და ხდებოდა კადრების ხელოვნურად გაბერვა."

დასაქმების პოლიტიკის სამმართველოს უფროსი ციური ანთიძე აცხადებს, რომ "სახელმწიფოს პოლიტიკა მიმართულია იქეთკენ რომ გაუქმდეს მუშა სტრუქტურა რომელიც პოლიტიკას იმუშავებს დასაქმების სფეროში. ის რომ ეს სფერო აქამდეც არაეფექტურად მუშაობდა არა სპეციალისტების, არამედ სამინისტროს მიერ ამ სფეროს იგნორირებით არის გამოწვეული."

სწორედ ეს კრიტიკული კომენტარები გახდა მიზეზი იმისა, რომ დეპარტამენტის თანამშრომლები სამსახურიდან დაეთხოვათ.

ადამიანის უფლებათა ცენტრი მიიჩნევს, რომ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ მიღებული ეს გადაწყვეტილება სიტყვის თავისუფლების შეზღუდვის პირდაპირი გამოხატულებაა. წინასწარი გაფრთხილების გარეშე სამსახურიდან დათხოვა კი საჯარო სამსახურის შესახებ კანონის უხეში დარღვევაა. ადამიანის უფლებათა ცენტრი შეშფოთებას გამოთქვამს მომხდარი ფაქტის გამო და შესაბამისი სტრუქტურებისგან რეაგირებას მოითხოვს.

**საქართველოში უმუშევრობის დონე ერთი ორად გაიზარდა**

სახელმწიფო უწყებებში განხორციელებული სტრუქტურული ცვლილებები მასობრივი საკადრო შემცირებით მიმდინარეობს. რეორგანიზაციის დროს უხეშად შეილახა სამსახურიდან გათავისუფლებული არაერთი მოქალაქის შრომითი და სოციალური უფლებები. საჯარო სამსახურში მომუშავე ადამიანებს სამსახურიდან ისე ათავისუფლებენ, რომ მათ ამის შესახებ წარმოდგენაც არ აქვთ. შედეგად, საქართველოში უმუშევრობის დონე კატასტროფულად გაიზარდა და სოციალურად დაუცველი ადამიანების რიცხვმა კიდევ უფრო მოიმატა.

საქართველოში რევოლუციის შედეგად მოსული ხელისუფლების მიერ გატარებულმა რეფორმებმა და სახელმწიფოს თითქმის ყველა უწყებაში განხორციელებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა ათი ათასობით ადამიანი უმუშევარი დატოვა. ხელისუფლება ამ პროცესს ბუნებრივად მიიჩნევს და მას ბიუროკრატიული აპარატის შემცირებით ხსნის. შესაძლოა, ეს პროცესი გარდაუვალი და აუცილებელიც კი არის, მაგრამ სავალალოა ის ფაქტი, რომ საჯარო ხელისუფლებიდან მოქალაქეთა დათხოვნა მნიშვნელოვანი დარღვევებით განხორციელდა და გათავისუფლებული მოქალაქეების შრომითი უფლებების უხეში ხელყოფა გამოიწვია. გავრცელებული ინფორმაციით, მოქალაქეებს წინასწარი გაფრთხილების გარეშე ათავისუფლებდნენ სამსახურიდან და საჯარო მოსამსახურეები სამსახურიდან დათხოვნის შესახებ თვის ბოლოს, გასამრჯელოს მიღების დროს გებულობდნენ. გარდა ამისა, შემცირებაში მოყოლილ ადამიანებს დასაქმების თაობაზე არავითარი დაპირება არ მიუღიათ.

საქართველოს პროფკავშირების გაერთიანების თავმჯდომარე ირაკლი ტუღუში სამსახურებიდან მოქალაქეთა უკანონოდ გათავისუფლებას აპროტესტებს და მოითხოვს სამთავრობო კომისიის შექმნას, რომელიც შეისწავლის სხვადასხვა უწყებიდან თანამშრომელთა გათავისუფლებისას დაშვებულ კანონდარღვევებს და დაიცავს დაზარალებულთა შრომით და სოციალურ უფლებებს. „მიუხედავად ქვეყანაში მიმდინარე დადებითი ძვრებისა, რაც აისახა ხელფასების გაცემაში, ძველი დავალიანებების გასტუმრებასა და პენსიების ზრდაში, მიმდინარე სტრუქტურული ცვლილებების დროს უხეშად ირღვევა ადამიანის შრომითი უფლებები,“- აცხადებს ირაკლი ტუღუში.

პროფკაშირების წარმომადგენლები ხელისუფლებას აღნიშნული პრობლემის დიალოგის გზით მოგვარებისკენ მოუწოდებენ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 1 თებერვლიდან საპროტესტო აქციების ჩატარებას აპირებენ.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თავის მოსაზრებებს გამოთქვამენ დამოუკიდებელი ექსპერტები და მიიჩნევენ, რომ შემცირების პარალელულად ახალი სამუშაო ადგილების შექმნა უნდა განხორციელებულიყო და მათი აზრით, სამუშაო ადგილების შემცირების ტემპმა ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ტემპს მნიშვნელოვნად გაუსწრო.

ეკონომიკური ექსპერტის, სოსო ცისკარიშვილის განცხადებით, სახელმწიფო სტრუქტურებში მიმდინარე რეორგანიზაციის დროს სამუშაო ადგილების შემცირება თვითმიზანი არ უნდა იყოს. „სამინისტროების რეორგანიზაცია ერთობლივად დაიწყო, რაც იწვევს კომპეტენტური კადრების გადინებას. ეს პროცესი მექანიკურად მიმდინარეობს და თვითმიზანის ხასიათს ატარებს. ხელისუფლება ვალდებული იყო სამსახურიდან დათხოვნილი ადამიანებისთვის დასაქმების პროგრამა შეეთავაზებინა“,- განაცხადა ცისკარიშვილმა.

პარლამენტის წევრი ზურაბ ტყემალაძე მიიჩნევს, რომ სახელმწიფო ვალდებული იყო სამსახურებიდან დათხოვილი ხალხისათვის შრომითი უზრუნველყოფის საკითხი მოეგვარებინა და მათთვის კომპენსაცია მაინც გაეცა. ტყემალაძე შეშფოთებას ვერ მალავს მასობრივი გათავისუფლების გამო და მიაჩნია, რომ საკანონმდებლო ცვლილებები სახელმწიფომ წინასწარგანზრახულად განახორციელა, რათა კომპენსაციების გაცემისაგან თავი აერიდებინა.

**უმუშევრად დარჩენილი უნივერსიტეტის 800 თანამშრომელი სამართლიანობის აღდგენას მოითხოვს**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი დაპირისპირების დიდ კერად იქცა. მასობრივი შემცირებები, რომელიც უნივერსიტეტში ახალმა რეფორმამ მოიტანა ხელმძღვანელობასა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის დაპირისპირების მიზეზი გახდა. სამსახურის გარეშე ერთდროულად რვაასი თანამშრომელი დარჩა, რამაც მათი

მხრიდან გულისწყრომა გამოიწვია. უნივერსიტეტის რექტორთან, ქ-ნ რუსუდან ლორთქიფანიძესთან შეხვედრამ კი ყვირილისა და უარყოფითი ემოციების ფონზე ჩაიარა, რის შემდეგაც პროფესორ-მასწავლებლებმა უნივერსიტეტის შენობიდან ქუჩაში გადაინაცვლეს და იქ დაიწყეს საპროტესტო აქციების მოწყობა. ამის საპასუხოდ მინისტრმა კახა ლომაიამ განაცხადა, რომ უნივერსიტეტში რეფორმები კვლავ გაგრძელდება. რაც შეეხება უმუშევრად დარჩენილ თანამშრომლებს, მათ სტიპენდიების სახით თვეში 50-60 ლარი დაენიშნებათ.

აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით, ჩვენ გავესაუბრეთ ქ-ნ ნესტან კირთაძეს, რომელმაც დაწვრილებით გვიამბო უნივერსიტეტში მიმდინარე პროცესების შესახებ. მისი თქმით, „კანონმა უმაღლესი განათლების შესახებ, თავიდანვე გამოიწვია კამათი. სახელმწიფო უნივერსიტეტში უნდა ყოფილიყო არჩეული მისი მმართველობითი ორგანოები, კერძოდ წარმომადგენლობითი საბჭო და აკადემიური საბჭო. ორივე საბჭო ირჩევდა რექტორს და ეს სამკუთხედი, რომელიც გამჭვირვალე არჩევითი გზით ხდებოდა უნივერსიტეტის მართვის ორგანოები, უკვე განსაზღვრავდა უნივერსიტეტის მართვის წესებს. აქვე აღინიშნა, რომ ღია კონკურსის წესით ყველა მეცნიერს ჰქონდა საშუალება დაეკავებინა აკადემიური თანამდებობა. ეს ყველაფერი დარჩა მიღმა და მოულოდნელად მიმდინარე წლის 8 ივნისს სააკაშვილმა ხელი მოაწერა სრულიად უკანონო ბრძანებულებას, სადაც იგი აღმოჩნდა კანონზე მაღლა არა როგორც საქართველოს პრეზიდენტი, არამედ როგორც კანონქვემდებარე აქტის ავტორი, რომელშიც მან განსაზღვრა, რომ ამიერიდან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს გაუუქმდეს წესდება. პრაქტიკულად სააკაშვილმა გააკეთა ის რისი გაკეთებაც ვერ გაბედეს ბოლშევიკებმა, მან გააუქმა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი. ამის საწინააღმდეგოდ არსებული უნივერსიტეტი რექტორის მოვალეობის შემსრულებელს ანიჭებს ერთპიროვნული მმართველობის მანდატს და აძლევს უფლებას უნივერსიტეტის მთელი რეორგანიზაცია განახორციელოს მხოლოდ მან და დეკანის მოვალეობის შემსრულებლებმა. რაც უკვე კანონგარეშე ქმედებაა. მაშასადამე ხორციელდება არა რეფორმა, არამედ რაღაც პოლიტიკური დაკვეთა, რომლის შინაარსიც არის არც მეტი არც ნაკლები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაუქმება, უკეთეს შემთხვევაში მისი ერთ-ერთ რიგით სასწავლო დაწესებულებად ქცევა. ამავდროულად, როგორი პარადოქსულიც არ უნდა იყოს ფარულად მიმდინარეობს უნივერსიტეტის კორპუსების ფარული პრივატიზაცია და გაყიდვა“.

-იყო თუ არა თქვენთვის წინასწარ ცნობილი, რომ მოხდებოდა უნივერსიტეტის თანამშრომელთა შემცირება?

- პირველი რამაც უნივერსიტეტის თანამშრომლების მოთმინების ფიალა აავსო იყო ის, რომ შაბათს, თითქმის არასამუშაო დღეს უნივერსიტეტის თანამშრომლები გებულობენ უნივერსიტეტის ფოიეში გამოკრული სიებიდან, რომ ისინი აღარ არიან უნივერსიტეტის თანამშრომლები. პროფესორთა უკანონო გათავისუფლებამ შეიწირა სრულიად ახალგაზრდა, არქეოლოგიის კათედრის მეცნიერის თამარ კეკელიძის სიცოცხლე, რომელიც სალაროსთან გებულობს, რომ ის უკვე აღარ მუშაობს. განათლების მინისტრი ლომაია კი აცხადებს, რომ ლექტორთა გაფრთხილება ერთი თვით ადრე მოხდა და თუ ეს ასეა, ალბათ ეს გაფრთხილებაც შერჩევითი იყო. რაც შეეხება საკითხის უფლებრივ მხარეს, უნივერსიტეტის თითოეულ თანამშრომელს, დაწყებული დამლაგებლიდან, დამთავრებული პროფესორით უფლება აქვს იცოდეს რა არის ეს რეფორმა, როგორია მისი კონცეფცია. ამის საწინააღმდეგოდ კი უნივერსიტეტის რექტორი ქ-ნი რუსუდან ლორთქიფანიძე ხმამაღლა აცხადებს, რომ მას ეს კონცეფცია არ გააჩნია და არ იცის თუ ვინ გაათავისუფლა ეს პროფესორ-მასწავლებლები.

პროფესორ-მასწავლებლები, კვლავაც, განაგრძობენ ბრძოლას. საკითხს მიეცა სამართლებრივი მიმართულება. კერძოდ, საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში შეტანილია სარჩელი, 3 აგვისტოს დანიშნულია სასამართლოს პირველი სხდომა, სადაც მოპასუხედ გამოდის პრეზიდენტი სააკაშვილი. პარალელურად, 13 ივლისს დაიწყება განმწესრიგებელი სხდომა საკონსტიტუციო სასამართლოში, სადაც იურიდიული კათედრის ერთ-ერთმა გამგემ პროფესორმა ლორიამ შეიტანა სარჩელი სწორედ ამ ანტიკონსტიტუციური ქმედების წინააღმდეგ. თუ ხელისუფლება მათ სურვილსა და მოთხოვნებს არ დააკმაყოფილებს, მაშინ პროფესორ-მასწავლებლები დავას სტრასბურგში, ევროპის ადამიანის უფლებათა სასამართლოში განაგრძობენ. პროფესორ-მასწავლებლები ვარაუდობენ, რომ ხელისუფლება ეცდება გააჭიანუროს გადაწყვეტილების მიღება სასამართლოს მიერ.

**ახალი შრომის კოდექსი საქართველოს დემოგრაფიული საფრთხის წინაშე აყენებს**

ვარდების რევოლუციის ორი წლის თავს ჯანდაცვის მინისტრის პირველმა მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა ადამიანის უფლებათა უხეშად დამრღვევი კიდევ ერთი კანონპროექტი მიუძღვნა. ახალმა შრომის კოდექსმა, რომელიც არღვევს საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ შრომის უფლებას, ოპოზიციისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მკაცრი კრიტიკა დაიმსახურა.

18 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის კომიტეტმა ახალი შრომის კოდექსი განიხილა. მთავრობის მიერ შემუშავებული კანონპროექტი დეპუტატებს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილემ ვახტანგ მეგრელიშვილმა წარუდგინა.

ახალი კანონპროექტის მიხედვით, სამუშაო კვირა 41-დან 48 საათამდე გაიზრდება, მუშაკი კი წელიწადში მხოლოდ 15 დღიან ხელფასიან შვებულებას მიიღებს. ჯარში გამოძახებისთანავე, შრომითი ხელშეკრულება ავტომატურად ანულირდება. დაქირავებულის ორსულობისა ან ავადმყოფობის შემთხვევაში, ადმინისტრაციას ეძლევა უფლება წინასწარი გაფრთხილების გარეშე თანამშრომელი სამსახურიდან გაათავისუფლოს.

ახალ კანონპროექტს „ფაშისტურს“ უწოდებს ***ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის*** იურისტი გიგა გიორგაძე. ამ საკითხთან დაკავშირებით დღეს ცენტრში პრესკონფერენცია გაიმართა.

„აღნიშნული კანონპროექტი უხეშად არღვევს საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო სამართლით აღიარებულ შრომის უფლებას, რაც ასევე მოიცავს შეღავათების არსებობას ზემოთმოყვანილი პირობების შემთხვევაში. აღნიშნული კანონპროექტის მიღება ქვეყანას აყენებს დემოგრაფიული პრობლემების წინაშე. ადვილად წარმოსადგენია ახალგაზრდა ქალი მუშაკების დამოკიდებულება ბავშვის გაჩენასთან მიმართებაში, როცა მათ ეცოდინებათ, რომ ფეხმძიმობის შემთხვეაში მათ არ შეენეხებათ სამუშაო ადგილი. ეს პირდაპირი დარტყმაა პატარა ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების წინააღმდეგ,“ - აცხადებს გიგა გიორგაძე.

კანონპროექტმა „მემარჯვენე ოპოზიციის“ ერთ ერთი ლიდერის დავით საგანელიძის მკაცრი კრიტიკაც დაიმსახურა. „ახალ კანონპროექტში იმ დაპირებების მისხალიც კი არ არის, რაც ამჟამინდელმა მთავრობამ „ვარდების რევოლუციის“ დროს ხალხს მისცა. ეს პროექტი დამქირავებელსა და მუშაკს შორის მონურ დამოკიდებულებას აკანონებს,“ - აცხადებს საგანელიძე. მისი სიტყვებით, ასეთი კანონპროექტი საქართველოს პარლამენტში განხილვასაც კი არ იმსახურებს.

მაშინ როდესაც, ევროპის ქვეყნებისათვის სამუშაო საათების შემცირება და შვებულების გაზრდა პრიორიტეტს წარმოადგენს, საქართველოში დაქირავებული მუშაკის მიმართ დისკრიმინაციული დამოკიდებულების ლეგალიზება ხდება. უფრო მეტიც, შრომის ახალი კოდექსი საერთაშორისო სამართლის ნორმებს ეწინააღმდეგება და ქალთა უფლებებს არღვევს. და ეს ყველაფერი ხდება მაშინ, როდესაც საქართველო ევროკავშირში ინტეგრაციისათვის იბრძვის.

ეს მეგრელიშვილის უკვე მეორე “საავტორო” კანონპროექტია (შეგახსენებთ მეგრელიშვილი ავტორია საპენსიო კანონპროექტისა, რომელიც არ ითვალისწინებს პენსიას შრომისა და ნამსახურობის - სტაჟის გათვალისწინებით), რომელიც უხეშად არღვევს მოქალაქეთა სოციალურ უფლებებს.

***ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი*** მიმართავს საქართველოს პრეზიდენტს, საქართველოს პარლამენტს და ჯანდაცვის მინიტრს მხარი არ დაუჭირონ აღნიშნულ კანონპროექტს და უარი თქვან მის მიღებაზე. ცენტრს მიაჩნია, რომ მეგრელიშვილი არ შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას; მეტიც ის არ უნდა იყოს სახელმწიფო სამსახურში ადამიანის უფლებათა განზრახ თუ შეუგნებლად უვიცობის გამო. ***ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი*** მოითხოვს ჯანდაცვის მინისტრის პირველი მოადგილის პასუხიმგებლობის საკითხის დაყენებას.

**სოზარ სუბარს ყოფილი თანამშრომელი სასამართლოში უჩივის**

***თბილისი.01.06.05.მედიანიუსი.*** საქართველოს სახალხო დამცველის მოქალაქეთა მომართვების განხილვის დეპარტამენტის ყოფილმა უფროსმა მარიამ ბაღდავაძემ სახალხო დამცველის სოზარ სუბარის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ კოლეგიაში სარჩელი შეიტანა. ბაღდავაძე მის თანამდებობიდან გათავისუფლებას აპროტესტებს.

მარიამ ბაღდავაძის ინფორმაციით, ის სარჩელში მოითხოვს მისი გათავისუფლების შესახებ სოზარ სუბარის ბრძანების გაუქმებას.

გარდა ამისა, მოსარჩელე სახალხო დამცველისაგან ბოდიშის მოხდას მოითხოვს, იმის გამო, რომ სოზარ სუბარმა, საქართველოს პარლამენტში ანგარიშის წარდგენისას, იგი მწოლიარე ავადმყოფად მოიხსენია და ეს ფაქტი თანამდებობიდან გათავისუფლების მიზეზად დაასახელა.

„მიუხედავად იმისა, რომ გაფანტული სკლეროზით ვარ დაავადებული, სამსახური არ გამიცდენია და მივლინებებშიც დავდიოდი. 2004 წლის ოქტომბრიდან ბიულეტენზე ვიმყოფებოდი, ხოლო 2005 წლის თებერვლიდან კუთვნილი შვებულება მოვითხოვე, თუმცა სახალხო დამცველმა თებერვალში თანამდებობიდან გამათავისუფლა“, - განაცხადა მარიამ ბაღდავაძემ.

„ჩემი ოთხი შვილისათვის დედის ჯანრთელობის თაობაზე არასწორი ინფორმაცია მოსმენა მძიმე იყო. სუბარის ამ განცხადების შემდეგ ჩემი მდგომარეობა მართლაც დამძიმდა“, - აცხადებს მოსარჩელე.

მარიამ ბაღდავაძე სახალხო დამცველის აპარატში მისი შექმნის დღიდან, 1998 წლის იანვრიდან მუშაობდა.

**პენსიონერები შეღავათების გაუქმებას აპროტესტებენ**

***თბილისი. 13 სექტემბერი. "ჯი-ეიჩ-ენი".*** ძალოვანი უწყებების პენსიონერებმა საკანონმდებლო ორგანოსთან დღეს აქცია გამართეს. ისინი საპენსიო უზრუნველყოფის შესახებ  იმ კანონპროექტს აპროტესტებენ, რომელიც, მათი თქმით, შრომისა და ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროში მუშავდება და რომლითაც მათ დღემდე არსებული შეღავათები უუქმდებათ.

"1996 წლის კანონით, ჩვენ ელექტროენერგიის გადასახადზე, ტელეფონისა და სხვა კომუნალურ გადასახადებზე შეღავათები გვქონდა. ამასთან, საპენსიო თანხებსაც წელთა ნამსახურის მიხედვით ვიღებდით. ახალი კანონის მიხედვით კი აღნიშნული შეღავათები უქმდება",- აცხადებენ აქციის მონაწილეები.

მათი თქმით, ასეთ მიდგომას ძალოვანი უწყებების პენსიონერთა მიმართ არასამართლიანად მიიჩნევენ და აცხადებენ, რომ თუ მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ისინი პერმანენტულ აქციებს გამართავენ.

"ჩვენს მოყვანილ მთავრობას ჩვენვე გავყრით. ისინი იმას მოიმკიან, რაც დათესეს",- აცხადებენ აქციის 40-მდე მონაწილე.

**ინვალიდებმა სახალხო დამცველის ოფისში შიმშილობა დაიწყეს**

***თბილისი.11.04.05.მედიანიუსი***. ინვალიდთა და ვეტერანთა არასამთავრობო ორგანიზაციების კოალიციის წარმომადგენლებმა სახალხო დამცველის ოფისში შიმშილობა დაიწყეს. ისინი საქართველოს ხელისუფლებასა და ფინანსთა სამინისტროსგან მოითხოვენ, აღასრულონ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილება და დაუბრუნონ ინვალიდებს ის 691 ათასი ლარის დავალიანება, რომელიც 1999 წელს "ძველმა მთავრობამ მიითვისა".

მოშიმშილეები ასევე ითხოვენ საქართველოს მთავრობამ შეიმუშავოს ერთიანი ეროვნული გეგმა, რომლის მიხედვითაც მოხდება ამ კატეგორიის ადამიანების საზოგადოებაში ინტეგრირება. ინვალიდების ერთ-ერთი მოთხოვნაა, ნუ მოიხსენიებენ მათ "უნარშეზღუდულ პირებად" და ეწოდოთ "შეზღუდული შესაძლებლობების პირები", როგორც ეს საერთაშორისო სტანდარტებით და ნორმებით არის აღიარებული.

მოშიმშილეები საქართველოს ხელისუფლებას უყურადღებობაში ადანაშაულებენ და აცხადებენ, რომ ინვალიდებისთვის გათვალისწინებულ პროგრამებზე წელს ბიუჯეტში მხოლოდ 580 ათასი ლარია გათვალისწინებული, მაშინ როდესაც ძველი მთავრობის პირობებშიც კი ეს თანხა 800 ათას ლარს შეადგენდა.

შიმშილობის დაწყებამდე მათ სახალხო დამცველ სოზარ სუბართან ერთად პრესკონფერენცია გამართეს. როგორც სუბარმა განაცხადა, ხელისუფლებამ მართლაც უნდა შეიმუშავოს გეგმა, რომელიც ინვალიდების პრობლემებს გადაწყვეტს. ამასთან უნდა აღსრულდეს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებაც, თუმცა არის მთელი რიგი საკითხები, რომელთა ერთი ხელის მოსმით მოგვარება შეუძლებელია.

**პრემიერ-მინისტრი ინვალიდთა შიმშილობის აქციას ისტერიკად მიიჩნევს**

***თბილისი.21.04.05.მედია-ნიუსი***. საქართველოს პრემიერ-მინისტრი ინვალიდთა ლიგის წარმომადგენლების მიერ კუთვნილი თანხების მოთხოვნით გამართულ საპროტესტო აქციებს "ისტერიკად" მიიჩნევს და აცხადებს, რომ აქციების ფონზე ხელისუფლება რაიმე გადაწყვეტილებას არ მიიღებს.

"რამდენად მოხმარდა სახელმწიფოსაგან უკვე გადარიცხული თანხები ინვალიდებს, ამას პროკურატურა გამოიძიებს. რაც შეეხება დავალიანებას, მას ხელისუფლება ისტუმრებს და ამისი მოგვარება ისტერიკების გარეშე შეიძლება,"- განაცხადა ზურაბ ნოღაიდელმა.

ცნობისთვის: ინვალიდთა ლიგის წევრები სახელმწიფოსგან უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულების და ხელისუფლებისგან კუთვნილი თანხის 600 ათასი ლარის გადაცემის მოთხოვნით ათი დღეა შიმშილობენ.

**ინვალიდი ბავშვები რესტორანში არ შეუშვეს**

22 ივნისს, 14 საათზე საქართველოს სახალხო დამცველის აპარატმა, არასამთავრობო ორგანიზაცია „ინვალიდთა კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის", ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ, მერიის ჯანმრთელობისა

და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურმა ასოციაცია „ანიკასთან“ ერთად გამართა კონფერენცია 19 ივნისს მცხეთაში მდებარე რესტორან „ხიდაშლებში“ მომხდარ ყოვლად გაუგონარ და ამაზრზენ ფაქტთან დაკავშირებით.

მიმდინარე წლის 19 ივნისს, ასოციაცია „ანიკამ“ №10-ე საშუალო სკოლის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 8 მოსწავლე ექსკურსიაზე წილკანში წაიყვანა. თბილისში დაბრუნებისას ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს ბავშვების შეყვანა რესტორანში, სადაც მუდამ ხალხმრავლობაა. ეს ხელს შეუწყობდა ამ ბავშვების სრულ ინტეგრაციას საზოგადოებასთან. რესტორანი „ხიდაშლები“ იმიტომ შეარჩიეს, რომ მცირე კიბეების გამო ადვილი იყო ეტლიანი ბავშვების შეყვანა. სამწუხაროდ, „ხიდაშლების“ ადმინისტრატორმა ნანა გიგაურმა ბავშვების მიღებაზე უარი განაცხადა და ეს ფაქტი იმით ახსნა, რომ ადგილები არ ჰქონდათ. თუმცა, როგორც აღმოჩნდა, ადგილების პრობლემა ნამდვილად არ ყოფილა. საქმეში ჩაერია პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, ბატონი ვასილ მაღლაფერიძე,რომელთანაც საუბრის შემდეგ რესტორნის ადმინისტრაციამ თანხმობა განაცხადა ბავშვების შეშვებაზე. ამჯერად, ექსკურსიის ორგანიზატორებმა აღარ ისურვეს ბავშვების ამ რესტორანში შეყვანა.

„ეს არის დაუფარავი დისკრიმინაცია, საქართველოს კონსტიტუციის 14-ე მუხლის ხელყოფა, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, დასჯადი ქმედებაა,“- განაცხადა ბექა მინდიაშვილმა - „თანასწორობისა და თავისუფლების სამმართველოს“ უფროსმა.

„აღნიშნილ ფაქტთან დაკავშირებით, ინფორმირებულია პროკურატურა და შსს და თუ გამოხატავენ ნებას, მათ შეუძლიათ დაიწყონ გამოძიება“, - განაცხადა ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ხელმძღვანელმა ანა დოლიძემ.

**საქართველოში ეკონომიკური თავისუფლების ხარისხი შეზღუდულია**

***თბილისი. 11 სექტემბერი. "ჯი-ეიჩ-ენი."*** საერთაშორისო სოციოლოგიური ცენტრის "კატო ინსიტუტის" მიერ ჩატარებული გამოკვლევებით საქართველოს ეკონომიკური თავისუფლების ხარისხით მსოფლიოში 66-ე ადგილი უკავია.

რეიტინგში, რომლის მიხედვითაც ქვეყნები 10 ბალიანი სისტემით შეფასდა, საქართველომ 6,4 ქულა მიიღო. ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებიდან რეიტინგში, ასევე, მონაწილეობდნენ რუსეთი, უკრაინა და ბალტიისპირეთის რესპუბლიკები. რუსეთი გამოკვლევებით 115-ე ადგილზეა, უკრაინა 103-ზე, ლატვიასა და ლიტვას ერთნაირი შედეგი აქვთ - 44 ადგილი. რაც შეეხება ესტონეთს. ის ლიდერთა ათეულშია.

პირველი ადგილები ჰონკონგმა, სინგაპურმა, ახალმა ზელანდიამ, შვეიცარიამ და აშშ-მ დაიკავეს.

**ზუგდიდის ბაზარში მოვაჭრეთა აქცია ცემა-ტყეპით დასრულდა**

***ზუგდიდი.19.04.05.მედიანიუსი.*** ზუგდიდის ბაზარი ისევ ყურადღების ცენტრშია. 19 აპრილს დილით ბაზრის ტერიტორიაზე სპეცრაზმისა და შინაგანი ჯარის გამოძახება გახდა საჭირო, რადგან მოვაჭრეები ცენტრალური კარის გახსნას ითხოვენ და პროტესტის ნიშნად მათ ეს კარი ჩამოხსნეს.
მოვაჭრეები აცხადებენ, რომ ბაზრის ცენტრალური კარის ჩარაზვის გამო რამდენიმე განყოფილება უმოქმედოა. ამასთან, ბაზარში ვაჭრობა გარევაჭრობასთან კონკურენციას ვერ უძლებს.

კარის ჩამოხსნას ძალოვანებსა და ხალხს შორის დაპირისპირება მოჰყვა. შეხლა-შემოხლაში ორივე მხარე იყო ჩართული. სპეცრაზმმა აქციის რამდენიმე მონაწილე დააკავეს და პოლიციაში გადაიყვანეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს.

„მანქანაში ცემა-ტყეპით მტენიდნენ, მაგრამ შიგ მანქანაში ნამდვილად არავის ვუცემივარ. როგორც კი სამხარეო პოლიციაში მიმიყვანეს, მაშინვე გამათავისუფლეს“, _ აცხადებს აქციის ერთ-ერთი მონაწილე.

**ურჩ გარემოვაჭრეებს პატიმრობა ელით**

***თბილისი.13.05.05.მედია-ნიუსი.*** დაუმორჩილებელი გარემოვაჭრეები ფულად ჯარიმასთან ერთად პატიმრობითაც დაისჯებიან.

საქართველოს პარლამენტმა მესამე მოსმენით ცვლილებები შეიტანა ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში, რომლის მიხედვითაც, უკანონო გარევაჭრობა პირველ შემთხვევაში 20-დან 50 ლარამდე ჯარიმას ითვალისწინებს, განმეორებისა და ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ დაუმორჩილებლობის შემთხვევაში კი ჯარიმა 50-დან 100 ლარამდე იზრდება. ასევე შესაძლებელი ხდება შვიდდღიანი პატიმრობაც.

**ერთი წლის წინ მომხდარი ეკოლოგიური კატასტროფის კვალი ყოველდღიურად ღრმავდება**

საგარეჯოს რაიონის მოსახლეობა კვლავ განიცდის 2004 წლის 10 სექტემბერს ნინოწმინდის №100-ე ჭაბურღილზე მომხდარი კატასტროფის სავალალო შედეგებს. გაზისა და ნავთობის ერთდროულად ამოფრქვევის შედეგად, რაც სამი დღის განმავლობაში გრძელდებოდა, განადგურდა დიდი რაოდენობით ტყის მასივი, დაბინძურდა წყალი, ნიადაგი, ამოფრქვეული გაზის შესუნთქვის შედეგად კი მოიწამლა მოსახლეობა, რომელთა შორის განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ბავშვები აღმოჩნდნენ. მათ სისხლში მომწამლავი ჩხირები აღმოაჩნდათ.

საზოგადოებისათვის დღემდე უცნობია თუ რა ტიპის მხუთავი გაზები ამოიფრქვა ნიადაგიდან და რა მომწამვლელ ნივთიერებებს სუნთქავდა მოსახლეობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში.

2004 წლის 10 სექტემბერს საგარეჯოს რაიონის მოსახლეობას ნავთის წვიმა თავს მოულოდნელად დაატყდა. ნინოწმინდის №100-ე ჭაბურღილიდან, რომელიც კატასტროფამდე ბოლო რამოდენიმე თვე დალუქული იყო და მხოლოდ სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობდა, მოხდა გაზისა და ნავთის ამოფრქვევა, რაც, ნავთობკომპანიის მენეჯერის თემურ გოგილაშვილის თქმით, მიწის ქერქში მიმდინარე ბუნებრივმა პროცესმა გამოიწვია. ამოფრქვეული ნავთობის რაოდენობა კი დაზუსტებული არ არის.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა სოფელ ნინოწმინდის მოსახლეობა, რომელნიც სამი დღის განმავლობაში გაოგნებულნი შესცქეროდნენ ქარისგან ღვარად მოტანილ ნავთობის წვიმას. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი კატასტროფის პირველივე თვეებში ეწვია სოფელ ნინოწმინდას და ადგილზე გაეცნო სიტუაციას (დაწვრილებითი ინფორმაცია კატასტროფის შედეგების მაშინდელი მდგომარეობის შესახებ შეგიძლიათ იხილოთ შემდეგ მისამართზე: http://www.humanrights.ge/eng/stat50.shtml). კატასტროფიდან 11 თვის თავზე სიტუაცია დიდად არ გაუმჯობესებულა.

გარდა იმისა, რომ მოსახლეობამ სერიოზული მოწამვლა მიიღო, რაც განსაკუთრებით ბავშვებსა და ქალებში გამოვლინდა, ამოფრქვევის შედეგად დაბინძურდა სასმელი წყალიც. ნავთობკომპანიის მიერ რამდენჯერმე ჩატარებულმა წყლის ანალიზებმა არცერთხელ არ დაადასტურა წყლის მოწამვლა და ამოტომ მოსახლეობას ნება დართეს წყალი სასმელად გამოეყენებინათ. მხოლოდ ცხრა თვის შემდეგ, აკადემიკოს ფაღავას მიერ გამოკვლევის საფუძველზე დადგინდა, რომ წყალი მოწამლულია. მის მერ აღწერილ ანალიზში აღნიშნულია, რომ დასალევ ნორმასთან შედარებით წყლის დაბინძურება ორმოცდახუთჯერ მეტია. შედეგად დასნეულდა უამრავი ადამიანი. ამჯერად სოფელს წყალით სპეციალური მანქანებით ამარაგებენ.

სოფ. ნინოწმინდისა და წყაროსთავის საკრებულოს თავჯდომარის შიო შიოშვილის განცხადებით, მთელი მოსახლეობა ექიმთა ყურადღების ქვეშ იყო. თუმცა, ადგილობრივი მაცხოვრებლების თქმით, დახმარების სახით დარიგებული პრეპარატები მხოლოდ იაფასიანი დამამშვიდებელი და ანტი-ალერგიული საშუალებებს წარმოადგენდა. ეს მაშინ, როდესაც მოწამვლის ტიპისა და ხარისხის დასადგენად სერიოზული სამედიცინო გამოკვლევა იყო საჭირო და შემდგომში შესაბამისი მკურნალობის გაწევა. მოსახლეობის უმეტესობამ ვერ შეძლო გამოკვლევებისა და მკურნალობის საკუთარი ხარჯებით წარმოება. აქვე უნდა აღინიშნოს მოსახლეობის აღშფოთება იმასთან დაკავშირებით, რომ ბლოკირებული იყო ყველა ლაბორატორია, რათა არ მომხდარიყო სწორი დიაგნოზის დასმა. მხოლოდ მცირე ნაწილმა მოახერხა მცირეწლოვნების დედაქალაქში წაყვანა სამკურნალოდ, რომლებიც დღემდე მკურნალობის ქვეშ არიან. თუმცა, აღსანიშნავია ასევე, რომ ნავთობკომპანიის წარმომადგენლები უარყოფენ მოსახლეობის მოწამლის ფაქტს და აცხადებენ, რომ ტოქსიკურად მოწამლული არავინ ყოფილა. ნინოწმინდაში ჩასული იყო ჯანდაცვის მინისტრი ლადო ჭიპაშვილი, რომელმაც დახმარება აღუთქვა მოსახლეობას, თუმცა ეს დაპირება მხოლოდ სიტყვებად დარჩა.

მიუხედავად ნავთობ კომპანიის მიერ აღმოჩენილი პატარ-პატარა დახმარებებისა (კერძოდ ზარალის ასანაზღაურებლად გამოყოფილი 845 ათასი ლარისა, რომლისგანაც მხოლოდ 200 ათასი დარიგდა ხალხში), მოსახლეობის გულისტკივილი დღმდე არ ცხრება. ხალხი გულისტკივილს ვერ ფარავს, რომ მთავრობა ხალხის ინტერესებზე მაღლა კომპანიის ინტერესებს აყენებს და საზოგადოებისაგან ამ ფაქტის მიჩუმათებას ცდილობს. ის, რომ აღნიშნული ტრაგედიით დიდად არც მასმედია ინტერესდება, ადგილობრივ მოსახლეობაში ქმნის სერიოზული ეჭვისა და შეშფოთების საფუძველს. ფაქტი ერთია - მთავრობა ყველა ღონეს ხმარობს, რათა აღნიშნული ფაქტი ჩამოაშოროს საერთაშორისო საზოგადოების ინტერესს.

კომპანია „კანარგო ჯორჯიას“ ხელმძღვანელობამ სოფლის მოსახლეობას სადაზღვევო კომპანია „ალდაგის“ ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისები დაურიგა. თუმცა, აღნიშნული პოლისები მხოლოდ ლაბორატორიულ კვლევას ითვალისწინებს და მოსახლეობა პოლისების ფუნქციების გაზრდას მოითხოვენ. ამ მოთხოვნების დაკმაყოფილებაზე კომპანიამ უარი განაცხადა, რის გამოც ნინოწმიდელებმა თბილისის საოლქო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და „კანარგო ჯორჯიას“ ხელმძღვანელობისაგან კომპენსაციის სახით 28 მილიონ ლარს ითხოვენ.

სასამართლოში ეს სარჩელი 2004 წლის ნოემბერში იქნა შეტანილი, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ხელისუფლებას ყველანაირი საბუთი ხელთ აქვს, სასამართლომ განხილვა უკვე რამდენჯერმე გადადო. როგორც გავარკვიეთ, საქმე კვლავ ძიებაში დაბრუნდა. ჩვენთან საუბარში მოსახლეობამ გამოთქვა ეჭვი, რომ სასამართლოსა და "კანარგო ჯორჯიას" პრეზიდენტს შორის გარიგებები მიმდინარეობს.

ნინოწმინდაში მომხდარ ფაქტს ადამიანის **უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრი** უკვე მეორედ ეხმაურება და ღრმა შეშფოთებას გამოთქვამს აღნიშნული ეკოლოგიური კატასტროფის გამო. ცენტრი მოითხოვს ფაქტის მიუკერძოებელ გამოძიებას, ალტერნატიული ექსპერტიზის ჩატარებას და მოსახლეობისათვის კომპენსაციის გადახდას.

**ლილოს პოლიგონი მოსახლეობას კვლავ საფრთხეს უქმნის**

"ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრისთვის" სანდო წყაროზე დაყრდნობით ცნობილი გახდა, რომ 2004 წლის 29 დეკემბერს, ლილოს სამხედრო ბაზის ტერიტორიაზე, ნაღმზე აფეთქდა 2 მცირეწლოვანი ბავშვი. ამას მოჰყვა შესაბამისი უწყებიდან გამნაღმველების გაგზავნა, მაგრამ მათი 30 წლის თანამშრომელიც ნაღმზე აფეთქდა. მან ცალი თვალი და ქვედა კიდური დაკარგა. ეს ინფორმაცია შესაბამის უწყებებს არ გაუხმაურებია. ამავე წყაროდან ჩვენთვის ცნობილია, რომ ლილოში 1000 ჰექტარი მიწა დანაღმული და რადიაციულად დაბინძურებულია, რაც დიდი საფრთხის წინაშე აყენებს არამარტო გარემოს, არამედ მოსახლეობასა და მათ შთამომავლობას. ასევე დანაღმულია მცხეთაში ჯვრის მონასტრის მიმდებარე ტერიტორია (16 ჰექტარი). ამ მხრივ დამამშვიდებელი სიტუაცია არც კახეთშია - საგარეჯოში ალინჯას ბაზის მიმდებარე ტერიტორია (102 ჰექტარიც) მსგავს მდგომარეობაშია.

საქართველოში არ ყოფილა რუსების მიერ მიტოვებული თითქმის არც ერთი სამხედრო ბაზა, სადაც არ ყოფილა აღმოჩენილი რადიაქტიური ნარჩენები. ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების კანონის თანახმად, ყველა რადიაციული ნარჩენი თუ ნივთიერება მკაცრად აღრიცხვის საგანი უნდა იყოს. ის ობიექტები, სადაც მათი შენახვა ხდება, უშიშროებისა და შს სამინისტროების დაცვას უნდა ექვემდებარებოდეს, რაც საქრთველოში, სამწუხაროდ, არ ხორციელდება.

ზემოთქმულის ნათელი დადასტურებაა ლილოს სიახლოვეს (სოფელ სააკაძესა და მარტყოფს შორის)მდებარე რადიაქტიური საცავი, რომელიც 1989 წლიდან 2004 წლის 16 ივნისამდე ფუნქციონირებდა. იგი დღესდღეობით დაკონსერვებულ საცავად ითვლება. აბსოლუტურად უყურადღებოდ მიტოვებულ საცავში კატასტროფული მდგომარეობაა. არსებობს მისი მთლიანობის დარღვევის საშიშროება, რაც სავალალო შედეგებით შეიძლება დასრულდეს. საუბარი იყო ამ პოლიგონის კონსერვაციისთვის მომზადების პროექტზე, თუმცა ეს წარსულში დარჩა.

შემაშფოთებელია გარემოსა და ცხოველთა უფლებების დამცველი კავშირის -"ლობოს" პრეზიდენტის ლაშა ჩხარტიშვილის განცხადება: "ლილოს საცავი ცოცხალი მაგალითია იმისა, თუ რამდენად დაუცველია ისეთი ობიექტები, რომლებიც გასამხედროებულ დაცვას უნდა ექვემდებარებოდეს. ნებისმიერ ადამიანს შეუძლია შიგნით შესვლა. მის ეზოში უპრობლემოდ ხდება ცხოველების შეყვანა. ამ ტერიტორიას ერთი დარაჯიც კი არ იცავს". თუმცა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსი სოსო კაკუშაძე ლილოს საცავის მდგომარეობას დამაკმაყოფილებლად მიიჩნევს და საფრთხეს ვერ ხედავს.

სოსო კაკუშაძე დამაიმედებელ ინფორმაციას იძლევა იმის შესახებ, რომ რადიაციის დონის მიხედვით, საშიში ზონა საქართველოში პრაქტიკულად არ არსებობს. ამ მხრივ საინტერესო ხდება ლილოს პოლიგონის შესწავლა რადიაქტიური ფონის დადგენის თვალსაზრისით, რადგან ვაზიანის სამხედრო ბაზიდან ლილოს მუნიციპალური ნარჩენების პოლიგონზე წლების მანძილზე ხდებოდა საყოფაცხოვრებო ნარჩენების შეტანა. გამომდინარე იქიდან, რომ ვაზიანის სამხედრო ბაზაზე ნაპოვნია წყაროები, რომლებმაც გამოიწვია რამდენიმე ჯარისკაცის სერიოზული დასნებოვნება, საკმაოდ რეალურია, ვივარაუდოთ, ამ ბაზიდან გატანილ ნარჩენებს შორის მიზანმიმართულად ან შემთხვევით აღმოჩენილიყო რადიაქტიური გამოსხივების წყაროებიც. ამ ლოგიკურ ჯაჭვს თუ გავყვებით, შესაძლოა, ლილოში იყოს სხვადასხვა ტიპის რადიაქტიური გამოსხივების წყაროები.

ლილოს პოლიგონი ადგილობრივი მოსახლეობისთვის, და არა მარტო მათთვის, წარმოადგენს სერიოზული უარყოფითი ზეგავლენის მქონე ობიექტს. მასზე მხოლოდ მიწის მცირე საფარია მიყრილი, სადაც მიმდინარეობს ორგანული ნარჩენების ხრწნის პროცესი. ექსპერტთა თქმით, გამოიყოფა მეთანი, ამიტომ შეიძლება მოხდეს მისი დაგროვება და აფეთქება. მეთანის აალების შედეგად წარმოშობილი მავნე ნივთიერებები გამოიყოფა გარემოში (ტოქსინები და კარცინოგენები), რაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის მავნებელია და იწვევს ნაყოფის (შთამომავლობის) პათოლოგიებს. გამოდის, რომ იქ მცხოვრები მოსახლეობა თითქმის ისეთივე საფრთხის წინაშე დგას, როგორც ამ პოლიგონის მოქმედების დროს.

აღსანიშნავია, ლილოს პოლიგონის დახურვის ფაქტი, რაც ყოველგვარი წესების დაცვის გარეშე განხორციელდა. მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების პოლიგონის დახურვა, ისევე როგორც მისი გახსნა, არ შეიძლება გარემოს დაცვის სამინისტროს შესაბამისი ნებართვის აღების გარეშე. როგორც ჩვენთვის ცნობილია, ამ პოლიგონის ოფიციალურ დახურვასთან მიმართებაში მსგავს რამეს ადგილი არ ჰქონია. ქალაქის მუნიციპალიტეტმა უგულებელყო კანონის ეს მოთხოვნა და გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროსთან მხოლოდ წერილობითი შეთანხმების საფუძველზე დახურა ეს პოლიგონი.

შექმნილი ვითარება ცხადყოფს, რომ საქართველოში აუცილებელია ისეთი თავდაცვითი ნაგებობის არსებობა, სადაც ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიში ნივთიერებები ერთად იქნება თავმოყრილი, გაეწევა შესაბამისი კონტროლი, რათა არ მოხდეს მათი გაბნევა. თუმცა, გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სამსახურის უფროსის ინფორმაციის თანახმად, სამარხების აშენება ჯერ-ჯერობით არ იგეგმება, რადგან ამას სჭირდება ნაგებობის ასაშენებელი ტერიტორიის რამდენიმეწლიანი შესწავლა. გარემოს დაცვის სამინისტრო კი ჯერჯერობით მხოლოდ ტერიტორიების შერჩევას ახორციელებს, თუმცა ჩვენთვის ამ ტერიტორიების შესახებ ინფორმაცია გასაიდუმლოებული აღმოჩნდა; მაგრამ სანამ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო ტერიტორიებს „ოლიმპიური სიმშვიდით“ არჩევს, ამასობაში დღითიდღე იზრდება დასნებოვნებულ ადამიანთა რაოდენობა. ხოლო თუ საფრთხის ხარისხისა და ხასიათის მიხედვით ვიმსჯელებთ, ზიანის მასშტაბების განსაზღვრა შეუძლებელია.

**კასპის რაიონში მოსახლეობა იწამლება**

კასპის რაიონში არსებული ს.ს. „კასპიცემენტი“ უკვე ათ წელზე მეტია, რაც პროდუქციას გამწმენდი ფილტრების გარეშე ამუშავებს. შედეგად, როგორც რაიონის, ასევე მისი მიმდებარე ტერიტორიის ნაწილი, კერძოდ, სოფლები - ქვემო გომი და მეტეხი, საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება. გამონაბოლქვის შედეგად ნადგურდება მოსავალი, ბოლო პერიოდში კი მოსახლეობაში ხშირად თავს იჩენს ისეთი დაავადება, როგორიც არის ჩიყვი. მიუხედავად ხალხის არაერთი პროტესტისა, საწარმო კვლავ აგრძელებს გაუმართავ მდგომარეობაში მუშაობას, რასაც ქარხნის ხელმძღვანელობა მოწყობილობების სიძვირით ხსნის. ქარხნის მფლობელი უკვე რამდენიმე წელია ჰპირდება ადგილობრივ მაცხოვრებლებს, რომ ერთ წელიწადში ქარხნის მუშაობას ევროპულ სტანდარტებამდე აიყვანს. თუმცა, ეს ერთწლიანი მინიმალური ვადა ყოველ წელს ახალ დაპირებად იქცევა, ამასობაში კი მოსახლეობის ჯანმრთელობის ხარჯზე საწარმო მოგებას არ ამცირებს. გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო აღნიშნულ დაბინძურებას საგანგაშოდ არ აღიქვამს და ქარხანას მუშაობის ნებართვას აძლევს.

ს.ს. „კასპიცემენტის“ პრივატიზება მოხდა 2000 წელს, როცა ქარხანას ახალი მეპატრონე გამოუჩნდა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მეპატრონის დასახელებისაგან რაიონის გამგებელი ბ-ნი გენადი ხაჩიძე თავს იკავებს, ხოლო თავად საწარმოს გენერალური დირექტორი ბ-ნი მამუკა სულაძე აღნიშნავს, რომ ქარხანა კერძო კომპანია „ინტერტრასს“ ეკუთვნის და ის ერთი, კონკრეტული პირის, მფლობელობაში არ არის. თუმცა, თუ მოსახლეობაში გავრცელებულ ინფორმაციას დავუჯერებთ, აღნიშნული საწარმო უშიშროების საბჭოს მდივნის გელა ბეჟუაშვილის ძმას ეკუთვნის.

საწარმოს ამუშავებისთანავე ბუნების დაცვის სამინისტროსა და შიდა ქართლის გარემოს დამცველ ორგანოებთან შეთანხმებით, ქონების მართვის სამინისტროსა და მმართველ კომპანიას შორის დაიდო ხელშეკრულება. მიუხედავად იმისა, რომ არცერთ ღუმელზე ფილტრები არ იყო დამონტაჟებული, ხელშეკრულებით დამტკიცდა გაფრქვევის ზღვრულად დასაშვები ნორმები. ქარხანა საკმაოდ დიდ თანხას უხდიდა გარემოს დამცველ ორგანოებს, რათა შემდგომში ჩატარებულიყო გამწმენდი ღონისძიებები. ხელშეკრულებით ასევე დამტკიცდა იმ ღონისძიებების თანმიმდევრობა, რომელსაც წლების განმავლობაში უნდა მოეწესრიგებინა მტვრის ჰაერში გაფრქვევის პროცესი. ეკოლოგიური სამსახურისათვის გადახდილი თანხის ნაწილი ისევ კასპის რაიონს უნდა დაბრუნებოდა შემდგომში სხვადასხვა გამწმენდი ღონისძიებების ჩასატარებლად (საკანალიზაციო ქსელის მოწესრიგება, წყლის სისტემების მოწესრიგება ქალაქში და ა.შ.). თუმცა, საწარმოს ხელმძღვანელისათვის დღესაც გაურკვეველი რჩება, სად გაქრა ამხელა თანხა (საუბარია მილიონობით ლარზე).

ქარხნის ახლანდელი დირექტორი ბ-ნი მამუკა სულაძე მოსახლეობისათვის ზარალის მიყენებასთან დაკავშირებით ყოველგვარ პასუხისმგებლობას იხსნის, რადგან მიაჩნია, რომ ქარხნის გაუმართაობის შესახებ ზომების მისაღებად სახელმწიფოს უნდა ეზრუნა. რაც შეეხება მოსახლეობის ჯანმრთელობას, აღნიშნავს, რომ „გამონაბოლქვისაგან რამე დაავადების გამოწვევა გამორიცხულია და რეალობას აშკარად ემიჯნება“.

ცოტა ხნის წინ მოსახლეობის მხრიდან ს.ს. „კასპიცემენტის“ წინააღმდეგ კასპის რაიონის გამგეობაში შეტანილ იქნა საჩივარი. სპეციალურად მოწვეულ კრებაზე საწარმოს გენერალური დირექტორი ბ-ნი მამუკა სულაძე ხალხს დაჰპირდა, რომ ქარხანას ფილტრების გარეშე არ აამუშავებდა, მაგრამ მან ეს პირობა დაარღვია, რამაც ადგილობრივ მაცხოვრებლებში დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. როგორც კასპის რაიონის გამგებელმა ბ-ნმა ხაჩიძემ

გადმოგვცა, საწარმოს გასაიდუმლოებული მფლობელი ირწმუნება, რომ მაქსიმუმ ერთ წელში შეძლებს ქარხნის ევროპულ დონეზე აყვანას, თუმცა ერთი წლის შემდეგ რა მდგომარეობა იქნება, ძნელი სათქმელია.

**თაბუკაშვილის ქუჩა 42-ის ჩანახატები**

„ჩემი სახლიდან ქართლის დედა მოჩანს... მაგრამ არა ფანჯრიდან, არამედ კედელზე გაჩენილი ბზარიდან," - ირონიულად აღნიშნავს თაბუკაშვილის ქუჩის მაცხოვრებელი. XIX საუკუნის არქიტექტურული ნიშით დაგეგმარებული იმპერიალისტური სტილის საცხოვრებელი სახლი 1890 წელს, სპეციალურად მაღალჩინოსანი სამხედროებისათვის აშენდა. მიუხედავად ამისა, ქალაქის ისტორიული საგანძურით არავინ ამაყობს - საღებავ გადაცლილი ფასადით, ჩამონგრეული ორნამენტებითა და კედელზე გაჩენილი ღრმა ბზარებით თაბუკაშვილის ქუჩაზე მდებარე ისტორიული შენობა გარეუბნის საცხოვრებელ სახლს ჰგავს, რომელიც დღე-დღეზე ბულდოზერებმა უნდა დაანგრიონ.

თაბუკაშვილის № 42-ის დანგრევაზე საუბარი ჯერ კიდევ 1980-იან წლებში დაიწყო. თუმცა ხანგრძლივი ბიუროკრატიული პროცესების გავლის შემდეგ მაცხოვრებლებმა, რომელთაც ოპერისა და ბალეტის თეატრის უკან მდებარე უზარმაზარი ბინების დათმობა არც თუ ისე უადვილდებოდათ, შედეგს მიაღწიეს - 1988 წელს შენობას ისტორიული მემკვიდრეობის სტატუსი მიენიჭა.

მიუხედავად დიდი მოლოდინისა, ისტორიულ მემკვიდრეობას, ისევე როგორც სხვა მრავალ სფეროს ჩვენს ქვეყანაში, სათანადო ყურადღება არავინ მიაქცია. 2002 წლის მიწისძვრის შემდეგ XIX საუკუნის სახლი ავარიულად გამოცხადდა.

კულტურის სამინისტროს ისტორიული მონუმენტების შესაკეთებლად საკმარისი სახსრები არ გააჩნია. 2005 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან კულტურული მემკვიდრეობის აღდგენისათვის 1 მილიონი ლარი გამოიყო. ამ თანხიდან 104 ათასი ლარი თბილისში, ექვსი ისტორიული ძეგლის აღდგენას მოხმარდა. თბილისის მერია კი უკანასკნელი 5 წლის მანძილზე, თაბუკაშვილის ქუჩის მაცხოვრებლების ჩივილს უყურადღებოდ ტოვებს. საუკეთესო შემთხვევაში მომჩივნები მუნიციპალიტეტიდან ბუნდოვან პასუხს იღებენ.

გაზაფხულის ერთ თბილ დღეს თაბუკაშვილის №42-ის მაცხოვრებლებს იმედი სახლთან მომუშავე ინჟინერებმა გაუჩინეს. მშენებლების განცხადებით, ისინი შენობისათვის საძირკვლის გამაგრებას აპირებდნენ. თუმცა ერთი ფრაგმენტის დასრულების შემდეგ, საინჟინრო ფირმას დაფინანსება, ხოლო თაბუკაშვილის № 42-ის მაცხოვრებლებს ნორმალური ცხოვრების იმედი გაუქრათ. რამდენიმე თვის მანძილზე სამშენებლო ფირმა საძირკველის გამაგრებას საკუთარი სახსრებით აგრძელებდა, თუმცა ახლა ინჟინერები მაცხოვრებლებთან ერთად 2006 წლის სახელმწიფო ბიუჯეტიდან შესაბამისი დაფინანსების გამოყოფას ელოდებიან.

თაბუკაშვილის მაცხოვრებლების შეშფოთებამ პიკს მაშინ მიაღწია, როდესაც მერიის გადაწყვეტილებით ქუჩა სამარშრუტო ტაქსების მოძრაობისათვის ორმხრივად გაიხსნა. რუსთაველის გამზირის გადაკეტვის შედეგად, ავარიული სახლების გასწვრივ სამარშრუტო ტაქსების 84-მა ნომერმა დაიწყო მოძრაობა. მაცხოვრებლები აღშფოთებით აღნიშნავდნენ, რომ გადატვირთული მოძრაობა მათ ავარიულ სახლებს საცხოვრებლად კიდევ უფრო სახიფათოს ხდიდა. სამარშრუტო ტაქსების მძღოლების დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, თაბუკაშვილის მაცხოვრებლებმა ქუჩა გადაკეტეს. ამჯერად, ამ მიმართულებით სამარშრუტო ტაქსების მხოლოდ 6-8 ნომერი მოძრაობს.

მიუხედავად ამისა, მაცხოვრებლებს თითქმის არაფრის იმედი აღარ დარჩათ. სანამ ერთი ნაწილი ამ პრობლემას ფლეგმატურად აღიქვამს, მეორე ჯგუფს სწამს, რომ თბილისის კეთილმოწყობის სამსახური შენობის ბუნებრივი ნგრევის პროცესის დაწყებას ელოდება, რათა მაცხოვრებელთათვის კომპენსაციების გაცემას თავი აარიდოს. თუმცა, ეს მხოლოდ ვერსიაა და საბოლოო პასუხი არავის აქვს. მაშინ, როდესაც ზოგიერთი მაცხოვრებელი უძველესი შენობის გადარჩენისათვის ფანატიკურად იბრძვის, ბევრს ეს საკითხი უკვე უიმედოდ ეჩვენება. ზოგიერთი მოქალაქის ნიჰილისტური დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ მხოლოდ ერთი მიზეზით შეიძლება აიხსნას - ხალხს მორიგი იმედგაცრუების ეშინია.

ყოველ შემთხვევაში, ცხადია, რომ ისტორიული თაბუკაშვილის № 42-ის, მისი მაცხოვრებელის და სხვა მსგავს სიტუაციაში მყოფი მოქალაქეების ბედი მთლიანად მუნიციპალურ ბიუჯეტზეა დამოკიდებული.

„იმის მაგივრად, რომ მოსახლეობას ცხოვრების ელემენტარული პირობები შეუქმნან, რუსთაველზე ახალ ასფალტს აგებენ! რუსთაველის ასფალტს საგანგაშო არაფერი სჭირდა! ჩვენ კი ყოველ წუთას სახლის დანგრევის საფრთხის წინაშე ვდგავართ", - ცრემლებს ვეღარ იკავებს ავარიული შენობის ერთ ერთი მაცხოვრებელი.

თბილისის მერია ამ საკითხზე დუმილს ამჯობინებს.

**მიწისძვრით დაზარალებულებმა საპროტესტო აქცია გამართეს**

***თბილისი.16.12.05.მედიანიუსი.*** თბილისის მერიის შენობის წინ მიწისძვრით დაზარალებულმა მოსახლეობამ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის მონაწილეები თბილისის მერთან გიგი უგულავასთან შეხვედრას მოითხოვენ და დედაქალაქის 2006 წლის ბიუჯეტის პროექტს აპროტესტებენ.

მიწისძვრით დაზარალებულთა აქციას დღეს საკრებულოს ოპოზიციური ფრაქციის "ახალი მემარჯვენეების" და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც შეუერთდნენ.

"ხელისუფლებამ დედაქალაქის ავარიული საცხოვრებელი ბინების პრობლემა დაივიწყა. დღეს თბილისის მოსახლეობის 25 პროცენტი ავარიულ სახლებში, დაღუპვის მუდმივი შიშის ქვეშ ცხოვრობს. 2006 წლის არც საქართველოს და არც თბილისის ბიუჯეტში ავარიულ და მიწისძვრით დაზიანებულ სახლებზე არც ერთი თეთრი არ არის გამოყოფილი," - განაცხადა აქციაზე ფრაქცია "ახალი მემარჯვენეების" ლიდერმა გიორგი მოსიძემ.

**ფსიქიატრიული საავადმყოფო - ვისთვის სამკურნალო დაწესებულება, ვისთვის თავშესაფარი!**

რემონტი სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს შენობაში თითქმის დასრულდა, თუმცა ანტისანიტარიის სუნი, რომელიც შენობაში დგას, გაუსაძლისს ხდის იქ გაჩერებას. მიუხედავად ამისა, ამ შენობაში ცხოვრობს პაციენტთა უმეტესი ნაწილი. გისოსებს მიღმა არამარტო პატიმრები, არამედ პაციენტებიც ცხოვრობენ, თუმცა ბევრი მათგანისათვის ფსიქიატრიული დაწესებულება თავშესაფრადაა ქცეული. სახელმწიფო ვერ უზრუნველყოფს თავისი მოქალაქისათვის კონსტიტუციით მინიჭებულ უფლებებს.

სად და როგორ ცხოვრობენ საზოგადოებისაგან იზოლირებული ადამიანები, ზრუნავს თუ არა მათზე სახელმწიფო და რატომ იქცა ფსიქიატრიული დაწესებულება ზოგისთვის თავშესაფრად? რით იმართლებს თავს სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში არსებულ ანტისანიტარიაზე ხელმძღვანელობა? რა თანხას გამოყოფს სახელმწიფო ერთ ავადმყოფზე და არის თუ არა საკმარისი იგი? ირღვევა თუ არა ფსიქიკურად დაავადებულთა უფლებები?

პრობლემები ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მრავლადაა. პირველი, რაც მსგავს დაწესებულებაში შესვლისას თვალში გხვდება და მძაფრად აღიქმება, არის ანტისანიტარია და გაუსაძლისი საყოფაცხოვრებო პირობები. ალ. ქაჯაიას სახელობის სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფოს ხელმძღვანელობა აცხადებს, რომ თითოეულ პაციენტზე საშუალოდ 15 ლარია საჭირო მაშინ, როცა ისინი მხოლოდ 6.70 ლარს იღებენ. ეს ის თანხაა, რასაც დღესდღეობით სახელმწიფო გამოყოფს დღიურად თითოეულ ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანზე, რომელიც გადის სტაციონალურ მკურნალობას. აღნიშნულ თანხაში შედის პაციენტის დღიური საკვები ულუფა, მათი მოვლა (მედ-პერსონალის ხელფასი), ტანსაცმელი და პაციენტთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა. ამ ისედაც მწირ ფინანსებს ემატება დავალიანება, რომელიც სახელმწიფოს აქვს საავადმყოფოს მიმართ 1996 წლიდან. მიუხედავად იმისა, რომ საავადმყოფოში მკურნალობის ვადა 3 დან 6 თვემდეა, ზოგიერთი ადამიანისათვის სურამის ფსიქიატრიული კლინიკა მუდმივ თავშესაფრადაა ქცეული.

განსაკუთრებით მძიმედ დგას პაციენტთა საზოგადოებაში ინტეგრაციის პრობლემა. აღმოჩნდა, რომ არ არსებობს სოცმუშაკთა სამსახური, რომელიც აღნიშნულ საკითხზე იმუშავებდა. ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მიერ მოძიებული ინფორმაციის თანახმად, ფსიქიკურად დაავადებული ადამიანებისთვის არ არსებობს სახელმწიფოს მიერ შემუშავებული რაიმე სტრატეგია თუ გეგმა და საერთოდ მათი პრობლემა ჯანდაცვის სამინისტროს პრიორიტეტულ საკითხთა სიაშიც კი არ დგას.

იურისტი გიგა გიორგაძე, რომელიც ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა უფლებებზე ბოლო ორი წელია ინტენსიურად მუშაობს, ჩვენთან საუბრისას აღნიშნავს, რომ ფული, რომელიც იხარჯება სახელწიფოს მხრიდან, განკუთვნილია პაციენტის იზოლაციისათვის და არა მკურნალობისათვის. „აღნიშნული თანხა არანაირად არ არის საკმარისი მათი საყოფაცხოვრებო საჭიროებებისა და მედიკამეტებით უზრუნველყოფისათვის. ამიტომ ხშირად ისინი მკურნალობის გარეშე არიან დარჩენილნი. ამით კი პირდაპირ ირღვევა საქართველოს კონსტიტუციიის 37-ე მუხლი, სადაც ლაპარაკია ფსიქიკურად დაავადებულ ადამიანთა უმაღლესი სტანდარტებით მკურნალობაზე“,- აცხადებს გიორგაძე. იგი ასევე აღნიშნავს, რომ პაციენტთა მიმართ ხშირად ხდება არაჰუმანური და დამამცირებელი მოპყრობა, ამას ემატება იძულებითი შრომა, რაც არღვევს ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვეციას. მსგავსი დარღვევების მოწმე თავად გავხდით სურამის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში სტუმრობისას. აღნიშნული დაწესებულების რემონტი ძირითადად პაციენტების შრომის გამოყენებით მიმდინარეობს. მაგრამ, რამაც ყველაზე მეტად შეგვძრა, იყო ხელმძღვანელობის მხრიდან პაციენტებისადმი დამამცირებელი და უღირსი მოპყრობა.

აღსანიშნავია ასევე, რომ არ არსებობს მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც კონტროლს გაუწევს ფსიქიატრიულ დაწესებულებებში მიმდინარე პროცესებს. ეს საკითხი კვლავაც დახურულ და, შეიძლება ითქვას, შეუღწეველ სფეროდ რჩება.

**აზერბაიჯანული თეატრი - გადასაჭრელი თუ გადაუჭრელი პრობლემა**

საქართველოს კულტურის სამინისტრო აზერბაიჯანულ დრამატულ თეატრში მიმდინარე უკანონო ქმედებებზე რეაგირებას არ ახდენს. მსახიობებმა არაერთხელ მიმართეს დასახმარებლად აღნიშნულ ორგანოს, მაგრამ უშედეგოდ. აზერბაიჯანელი მსახიობები ღიად საუბრობენ თეატრში არსებულ დარღვევებზე, ზეწოლასა და კულტურის სამინისტროს უმოქმედოებაზე. ამას ემატება შანტაჟი თეატრის ხელმძღვანელობის მხრიდან.

რამოდენიმე წლის წინ საქართველოსა და აზერბაიჯანის პრეზიდენტებმა გადაწყვიტეს, რომ საქართველოში დაარსებულიყო აზერბაიჯანული თეატრი ეთნიკური უმცირესობისათვის. ამისათვის სპეციალურად მომზადდა 10 აზერბაიჯანელი სტუდენტი. ანზორ დოლენჯაშვილი, რომელიც თავდაპირველად თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელად მოიაზრებოდა მოულოდნელად თბილისის მერიის კულტურის სამმართველოს გადაწყვეტილებით, ირაკლი აზიკურით შეიცვალა. აზიკური, რომელიც თეატრალური სამყაროს წარმომადგენელთათვის სრულიად უცნობი სახეა, მსახიობების თქმით, გამოირჩევა სრული არაპროფესიონალიზმით. არსებობს საფუძველი იმისა, რომ თეატრის ხელმძღვანელობა ახორციელებს უკანონო ფინანსურ ოპერაციებს, რაც გამოიხატება იმაში, რომ საშტატო უწყისში აღნიშნულ ადამიანთა ვინაობა არავინ იცის. უწყისში გაფორმებულია 52 მსახიობი, აქედან კი ცნობილია მხოლოდ 15. თეატრი დაკომპლექტებულია გამოუცდელი სტაჟიორებით, რომელთაც აზერბაიჯანული ენაც კი არ იციან. თეატრის არაპროფესიონალიზმით აღშფოთებული მსახიობები უარს აცხადებენ მუშაობაზე, ზოგს კი უკანონოდ ათავისუფლებენ. აღნიშნული ფაქტის შესახებ უკვე დიდი ხანია ცნობილია კულტურის სამინისტროსათვის და შესაბამისი კომისიის შექმნის მოთხოვნით წერილიც იქნა გაგზავნილი ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მიერ.

2004 წელს თეატრის მსახიობებმა მიმართეს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტროს და მოითხოვეს ირაკლი აზიკურის გათავისუფლება. ამის შედეგად სამსახურიდან დათხოვილ იქნა თეატრის ორი მსახიობი ნამიგ გაჯიევი და ნამიკა მურაევი, რომლებიც მიიჩნევენ, რომ მათი სამსახურიდან დათხოვნა მოხდა კანონის უხეში დარღვევით და ფინანსური პოლიციის მხრიდან მოითხოვენ დოკუმენტაციის შემოწმებას.

თეატრში დარჩენილ მსახიობებზე კი სამხატვრო ხელმძღვანელი სხვადასხვა მეთოდებს იყენებს ზეწოლის მოსახდენად. აზიკური მსახიობ ვიუგარ მაშოვისაგან ითხოვს ხელწერილს იმის თაობაზე, რომ მას ხელი არ მოუწერია განცხადებაზე თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელის გათავისუფლების შესახებ, წინააღმდეგ შემთხვევაში მას ემუქრება სამსახურის დაკარგვა.

აღნიშნული პრობლემის მოსაგვარებლად აპრილის თვეში აზერბაიჯანულმა დიასპორამ მიმართა კულტურის სამინისტროს, სადაც შესული განცხადება მინისტრის მოადგილეს თამარ ქვარიანს დაეწერა განსახილველად. უშედეგო ლოდინის შემდეგ, აზერბაიჯანელებმა მოითხოვეს ჩამოერთმიათ საქმე თამარ ქვარიანისათვის და გადაეცათ სხვისთვის. რამდენად პარადოქსიც არ უნდა იყოს, აცილების მოთხოვნის განცხადება კვლავ ქვარიანს დააწერეს და შედეგად, აღნიშნული საქმე დღესაც ქალბატონი ქვარიანის ხელშია გაყინული.

აღნიშნული პრობლემის უკეთ გასარკვევად მივმართეთ აზერბაიჯანის საელჩოს კულტურის განყოფილების ხელმძღვანელს ბ-ნ ილგარ ჯაფაროვს, რომელიც აღიარებს, რომ თეატრის ახლანდელი ხელმძღვანელობა არის სრულიად არაპროფესონალი. "დირექტორი უკმაყოფილოა ახალგაზრდა მსახიობებით, რის გამოც, თეატრი არ მართავს წარმოდგენებს და სპექტაკლებს და არის უმოქმედოდ",-აცხადებს ჯაფაროვი. იგი საქართველოს კულტურის სამინისტროსგან ითხოვს კონკრეტულ გადაწყვეტილებას. ჯაფაროვი ამ პრობლემასთან დაკავშირებით ესაუბრა კულტურის მინისტრს, თეატრის ხელმძღვანელობას და ასევე გათავისუფლებულ მსახიობებს; შეხვდა აზერბაიჯანის ინტელიგენციას. მიუხედავად არასამთავრობო ორგანიზაციებისა და აზერბაიჯანული დიასპორის მრავალმხრივი მცდელობისა, თეატრის ხელმძღვანელობა მათ მიმართვებს იგნორირებას უკეთებს. ბატონი ილგარი ერთმნიშვნელოვნად მიიჩნევს, რომ ეს პრობლემა აუცილებლად უნდა გადაიჭრას და ეს უნდა მოხდეს საქართველოს კულტურის სამინისტროს მხრიდან.

მიუხედავად ადამიანის უფლებათა საინფორმაციო და სადოკუმენტაციო ცენტრის მრავალმხრივი მცდელობისა, კულტურის სამინისტრო კვლავ დუმილს ინარჩუნებს და პასუხისაგან თავს იკავებს. ცენტრი მოითხოვს სამინისტროსაგან, რომ მოახდინოს შესაბამისი რეაგირება, განიხილოს აღნიშნული საკითხი და შეისწავლოს და გამოიკვლიოს აზერბაიჯანულ თეატრში არსებული დარღვევები მათი კომპეტენციის ფარგლებში.